1180
2000

ქართული წყაროთმცოდნეობა

IX

თბილისი
2000

1180
2000

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

ქართული წყაროთმცოდნეობა
GEORGIAN SOURCE-STUDIES

IX

ეძღვნება აკადემიკოს თინათინ ყაუხჩიშვილს

Dedication to Tinatin Kaukhchishvili on the occasion of her 80th anniversary

თბილისი
2000

902.9 (C 41)
902 (47.922)
ქ 279

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კრებულში შესულია სტატიები საქართველოს ისტორიის და წყაროთმცოდნეობის სხვადასხვა საკითხებზე. ნაშრომთა დიდი ნაწილი უკავშირდება აკადემიკოს თინათინ ყაუხჩიშვილის ინტერესთა სფეროს.

The present collection offers papers on the georgian history and source-studies. Most of the articles concern the field of interest of the academician Tinatin Kaukhchishvili.

რედაქტორები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორები ***მ. ბერძნიშვილი***
გ. ალასანია

რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორები ***თ. ბერაძე***
ქ. ტაბატაძე

კრებული გამოსაცემად მომზადდა ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის გამომცემლობაში „*მემატიანე*“.

კომპიუტერული უზრუნველყოფა: *მარიამ ბუტიკაშვილი*
ანა რუაძე

წ 38
2000

2201ß

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ღვაწლმოსილი მეცნიერი

თინათინ ყაუხჩიშვილი დაიბადა 1919 წლის 10 მაისს თბილისში, არის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1953), პროფესორი (1968), მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1975), დაჯილდოვებულია ღირსების ორდენით (1999), დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილება (1941), სამეცნიერო პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის წყაროთმცოდნეობის განყოფილებაში (1945-დან) და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის კათედრაზე (1945-52; 1968-დან), არის ასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის 17 წიგნის ავტორი.

თინათინ ყაუხჩიშვილი, გამოჩენილი ქართველი მკვლევარი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სახელოვანი მამის, აკადემიკოს სიმონ ყაუხჩიშვილისეული მეცნიერული სკოლის საუკეთესო წარმომადგენელი, მრავალი ათეული წელია, რაც თავდადებით ემსახურება ქართულ ჰუმანიტარულ მეცნიერებას და არაერთი თაობის გაზრდას.

ქალბატონი თინას გზა მეცნიერებაში მუდამ იყო „ვიწროკარიბჭით" სვლა და არასოდეს გამხდარა გზა კარიერის ან მატერიალური უზრუნველყოფისაკენ. მას, ალბათ, როგორც არავის, შეეფერება, სახარებისეული „ვინც თავს დაიმდაბლებს, ამაღლდება". ხაზგასმული თავმდაბლობის მიუხედავად, მეცნიერებისადმი უსაზღვრო სიყვარული და არჩეული დარგისადმი უანგარო ერთგულება, სიფრთხილე და აუჩქარებლობა მეცნიერულ დასკვნებსა და განზოგადოებებში, მაღალი მომთხოვნელობა საკუთარი თავისადმი, ღრმა პროფესიონალიზმი და პიროვნული მომხიბვლელობა ქ-ნ თინას გამოკვეთილ ლიდერად აქცევს მეცნიერებაშიც და პიროვნულ ურთიერთობებშიც. იმ შემთხვევების გარდა, თუ ამას მისი მეცნიერული ინტერესი არ მოითხოვს, ჩვეულებრივ სიტყვაძუნწი ქალბატონი თინა იმ პიროვნებათა რიცხვს განეკუთვნება, რომელთა სიტყვასაც და მოქმედებასაც დიდი გავლენა აქვს საზოგადოებაზე და რომელთა გარეშე ცხოვრება ძალზე უფერული და უინტერესო იქნებოდა.

მართალია, თ. ყაუხჩიშვილი პირველ რიგში წყაროთმცოდნეა, ხოლო მისი მეცნიერული ინტერესი არსებითად შემოფარგლულია ანტიკური ხანის ბერძნული და რომაული თხრობითი თუ ეპიგრაფიკული ძეგლებით, რაც მის მიერ განხორციელებული უამრავი მონოგრაფიისა და გამოკვლევის სახითაა წარმოდგენილი, იგი ფართო პროფილის ისტორიკოსია, რომელიც იკვლევს შესაბამისი ეპოქის ქართული სახელმწიფოებრიობის, კულტურის, სოციალურ-ეკონომიკური თუ ეთნიკურ-პოლიტიკური ისტორიის და ისტორიული გეოგრაფიის საკითხებს. ეს განპირობებულია იმით, რომ უძველეს ბერძნულ წყაროებში დაცულია უდიდესი ინფორმაცია ძველი საქართველოს შესახებ.

დიდი ხნის მანძილზე ქართული მეცნიერებისათვის ამოსავალს წარმოადგენდა ბერძნულ-რომაულ წყაროთა რუსული თარგმანები. ახალ ეტაპს საქართველოს შესახებ ანტიკურ და ბიზანტიურ წყაროთა ცნობების გამოყენება-ინტერპრეტაციის მხრივ წარმოადგენდა სიმონ ყაუხჩიშვილის გამოკვლევები და არაჩვეულებრივი სიზუსტით და სისრულით შესრულებული თარგმანები. სწორედ მის ნაშრომებში ჩამოყალიბდა ამ წყაროთა გამოცემის და შესწავლის

ის ძირითადი პრინციპებიც, რომელიც შემდეგ გაგრძელდა და განვითარდა მისი მოწაფეების და, მათ შორის, პირველ რიგში თინათინ ყაუხჩიშვილის შემოქმედებაში.

თ. ყაუხჩიშვილის თემატურად მდიდარი და მრავალფეროვანი ნაშრომებიდან უნდა აღინიშნოს ბერძენ-რომაელ ავტორთა ნაწარმოებების სრული თარგმანი. ესაა ჰეროდოტეს „ისტორია" ორ ტომად და რომაელი მწერლის აპიანე ალექსანდრიელის „მითრიდატეს ომების ისტორია". ხაზგასასმელია, რომ ეს არ არის მხოლოდ ტექსტის გამოცემა, არამედ მეტად ღრმა და სერიოზული გამოკვლევები, რაც მნიშვნელოვანი შენაძენია ისტორიკოსისათვის.

იგივე შეიძლება ითქვას სტრაბონის „გეოგრაფიის" შესახებაც. მართალია, ეს თხზულება მთლიანად არ არის თარგმნილი და მას ქვესათაურად აქვს „ცნობები საქართველოს შესახებ", მაგრამ წიგნის შინაარსი ბევრად სცილდება სათაურს და მნიშვნელოვნად ამდიდრებს ჩვენ ცოდნას საქართველოს ძველი ისტორიის შესახებ. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, 6 ტომად წარმოდგენილი „ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ". თუ როგორ იკვლევს თ. ყაუხჩიშვილი ამ ძეგლებს, ამისათვის VI წიგნში შესული იოსებ ფლავიუსის ცნობათა მაგალითიც კმარა. ცნობათა ინტერპრეტაციას მკვლევარმა წაუმძღვარა შესავალი, რაც შემდეგ საკითხებს მოიცავს - ბიოგრაფია, შემოქმედება, წყაროები, ფლავიუსი შემდგომი დროის და სამეცნიერო ლიტერატურაში, ხელნაწერები, გამოცემები, თარგმანები, და მხოლოდ ამის შემდეგ ცნობები საქართველოს შესახებ, რასაც მოსდევს პარაგრაფები: „ცნობები მეზობელი ტომების შესახებ" და „იოსებ ფლავიუსი და „ქართლის ცხოვრება". დაბოლოს, ნაწყვეტების ქართული თარგმანი, ხოლო წიგნის დასასრულს ამ ნაწყვეტთა ბერძნული დედანი. განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი ღრმა, მეტად დაწვრილებითსა და მეცნიერულად უაღრესად კვალიფიციურ ანალიზს, თითოეული ავტორის ტერმინოლოგიის, ტოპონიმების და ეთნონიმების განმარტებას. როდესაც თ. ყაუხჩიშვილის ამ შრომებს ეცნობი, საკვლევი თითქმის აღარაფერი გრჩება და იძულებული ხარ ძირითადად გაიმეორო მისი ინფორმაცია და დასკვნები.

თ. ყაუხჩიშვილს ეკუთვნის კიდევ ერთი ფრიად მნიშვნელოვანი ნაშრომი. ესაა დამხმარე სახელმძღვანელო „საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები". ნაშრომი წარმოადგენს ამ საკითხის პირველ განმაზოგადებელ გამოკვლევა-მიმოხილვას ბერძნული წყაროთმცოდნეობის საკითხებზე უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე ამ დარგში მიღწეულის შეჯამებას და აუცილებელია არა მარტო სტუდენტებისათვის, არმედ ფილოლოგებისა და ისტორიკოსებისთვისაც.

განუზომელია ქალბატონ თინას წვლილი ბერძნული ეპიგრაფიკის დარგში. საქართველოს ბერძნული წარწერების სრულად შესწავლისა და გამოცემის თვალსაზრისით მისი ნაშრომები ჯერჯერობით ერთადერთია. საქართველოს ტერიტორიაზე დაცულ წარწერათა შორის ბერძნული წარწერები არამარტო უძველესია, არამედ ყველაზე ვრცელ ქრონოლოგიურ მონაკვეთს მოიცავს - ძვ. წ. V ს-დან XIX ს-მდე. მათი გამოვლენა და შესწავლა მხოლოდ XIX ს-დან იწყება მსოფლიო მეცნიერებაში ბერძნული ეპიგრაფიკისადმი გაზრდილი ინტერესის კვალდაკვალ, თუმცა ამ საქმეს იმ დროს სისტემატური ხასიათი არ მიუღია და მე-20 ს-ის 40-იან წლებამდე მხოლოდ ერთე-

ული ნაშრომები და სხვადასხვა გამოკვლევებში გაბნეული მასალა მოიპოვებოდა.

ამ ხარვეზის შევსება მოითხოვდა დიდ გამოცდილებას, დიდ ცოდნას, დიდ შრომისმოყვარეობას, მოთმინებას, მაგრამ ამასთანავე გამბედაობას. ამ ურთულეს საქმეს ხელს ჰკიდებს ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა თინათინ ყაუხჩიშვილი, რომელიც გამოცდილების ნაკლებობის კომპენსაციას დანარჩენი თვისებებით ახერხებს. კვლევის პროცესში მას რამდენჯერმე მოუხდა გამგზავრება და მუშაობა იმერეთში, რაჭაში, სამეგრელოში, გურიაში, კახეთსა და ქართლში, ზემო სვანეთში, აფხაზეთში, სამხრეთ საქართველოში და სხვ. გარდა ამისა, მკვლევარმა დაამუშავა ფოთის, ოზურგეთის, ქუთაისის, თბილისის, სოხუმის, მესტიის, გორის და სხვა საცავების და მუზეუმების მასალები. ეს იყო ფაქტობრივად გაუკვალავი გზა, საქართველოს ბერძნული წარწერების გამოვლენის, შესწავლის და სათანადო მეცნიერული აპარატით გამოცემის პირველი ცდა, რაც 1951 წ. განხორციელდა და რასაც წინ ხანგრძლივი და მონოტონური ლაბორატორიული მუშაობა უძღოდა.

1974 წ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებულმა საქართველოს ისტორიის წყაროთა განახლებულმა კომისიამ საქართველოს ისტორიის წყაროთა გამოვლენის, შესწავლის და გამოცემის ფართო ამოცანები დაისახა. კომისიაში, რომლის უცვლელი და აქტიური წევრიც ქ-ნი თინა იყო და არის, ეპიგრაფიკის სექციას განსაზღვრული ჰქონდა საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ დაცული და მოპოვებული ყველა სახის წარწერის გამოვლენა, შესწავლა და გამოცემა მეცნიერული აპარატით, გრაფიკული მონახაზებით და ფოტოპირებით. კორპუსის ბოლო ტომები უნდა დათმობოდა შემაჯამებელ გამოკვლევებს წარწერების პალეოგრაფიის, ენისა და ისტორის მნიშვნელობის შესახებ, სიმფონია - ლექსიკონებს, საძიებლებს და სხვ.

საქართველოს ისტორიის ბერძნული წარწერების მომზადება გამოსაცემად იტვირთა ქ-ნმა თ. ყაუხჩიშვილმა, რაც სრულიად ბუნებრივი იყო. ამ მიზნით მან 1981-89 წწ. ძალზე დიდი მოცულობის სამუშაო ჩაატარა, რაც ითვალისწინებდა ექსპედიციებს სვანეთსა და აფხაზეთში, სამეგრელოსა და გურიაში, იმერეთში, რაჭაში, მესხეთში, კახეთში, ქვემო, ზემო და შიდა ქართლში. ვინც საქართველოს ბერძნულ წარწერათა ახალ კორპუსს გაეცნობა (1999-2000 წ.), ადვილად დარწმუნდება, რომ ეს არავითარ შემთხვევაში არ არის ძველის გამეორება. ახალი გამოცემა მნიშვნელოვნად არის შევსებული ახალი მასალით. აქ დამატებულია მონეტების წარწერები, საქართველოს შესახებ უცხოეთში დაცული მასალა, დაზუსტებული და შევსებულია გამოკვლევა, ხოლო თვით წარწერების შესწავლა და მათი წარმოდგენა სრულიად სხვა პრინციპზეა დამყარებული და სხვა შინაარსისაა. ამასთანავე მისი სისტემატიზაციის წესი უცვლელი რჩება - პირველ რიგში გეოგრაფიული მდებარეობის (დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ - აფხაზეთი, სვანეთი, სამეგრელო, გურია, აჭარა, იმერეთი, რაჭა, ლეჩხუმი, ქართლი (შიდა, ზემო, ქვემო), კახეთი, მაგრამ ამასთანავე საჭირო მასალის - 1) მონეტების წარწერები, 2) ლაპიდარული, 3) მოზაიკური, 4) წარწერები ნივთებზე, 5) ფრესკული, ქრონოლოგიისა და შინაარსის მიხედვით. მკვლევარი დიდ ადგილს უთმობს ეპიგრაფიკის თეორიულ საკითხებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორსავე გამოცემაში თვალშისაცემია განხილულ პრობლემათა მრავალფეროვნება და კვლევის მრავალმხრივობა.

ეს არის:

1) სრულად წარმოდგენილი ეპიგრაფიკის ისტორიოგრაფია ზოგადად და კერძოდ, საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ბერძნულ წარწერათა შესწავლის ისტორია;

2) ზოგჯერ მნიშვნელოვნად დაზიანებულ წარწერათა აღდგენა. ეს საქმე, ცხადია, მოითხოვს ფანტაზიასაც, მაგრამ პირველ რიგში ენის და შესაბამისი ისტორიული კონტექსტის ღრმა ცოდნას. ძალზე ფრთხილი მკვლევარი ყველა ვარაუდს მყარ არგუმენტაციებზე აგებს და ყოველთვის ჩერდება იქ, სადაც მასალა არ იძლევა უფრო შორს წასვლის შესაძლებლობას. დეტალური მსჯელობით წარმოდგენილი ტექსტის რეკონსტრუქციები საქმეში ჩაუხედავი მკითხველისთვისაც კი ძალზე დამაჯერებელია. ამ თვალსაზრისით ეს ნაშრომები მეცნიერული კეთილსინდისიერების ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს;

3) საინტერესო დაკვირვებები ბერძნული ენის გავრცელებაზე საქართველოში სხვადასხვა ეპოქასა და კუთხეში და მის მნიშვნელობაზე, დაკვირვებები ბერძნულ პალეოგრაფიასა და ენაზე. ასეთი კვლევის ლოგიკური შედეგია ქ-ნი თინას საგანგებო გამოკვლევები ბერძნულ ეპიგრაფიკაზე და პალეოგრაფიაზე, რომელსაც მკითხველი მალე იხილავს;

4) ხშირ შემთხვევაში წარწერების დათარიღება, რისთვისაც მხედველობაში მიიღება როგორც პალეოგრაფია და წარწერების მასალა, ასევე ენა, ტერმინოლოგია, საკუთარი სახელები, გათვალისწინებულია აგრეთვე ხელოვნებათმცოდნეთა შეხედულებები ამა თუ იმ ძეგლის დათარიღებაზე;

5) ავტორი იკვლევს საკუთარ სახელთა წარმომავლობას, ახდენს პირთა იდენტიფიკაციას, არკვევს მათ ეთნიკურ და კულტურულ კუთვნილებას, წარმოაჩენს მათ წვლილს საქართველოს ისტორიაში, ადევნებს თვალს კულტების გავრცელებას, ახდენს ბიბლიის ციტატების ატრიბუციას, მათ სისტემატიზაციას სიხშირის თვალსაზრისით, მსჯელობს სოციალურ ინსტიტუტებზე, რომელთა შესახებაც ბერძნულ წარწერებში სრულიად უნიკალური მასალა მოიპოვება.

ასეთი ღრმა კვლევით არის ამეტყველებული საქართველოში აღმოჩენილი 1000-ზე მეტი ბერძნული წარწერა და ამ მასალაზე დაყრდნობით აღდგენილი საქართველოს საშინაო ვითარება და საგარეო ურთიერთობების არაერთი ფურცელი, პოლიტიკური, სავაჭრო, თუ კულტურული ხასიათის კონტაქტები არამარტო ბერძნულენოვან სამყაროსთან, არამედ ირანთან, შავიზღვისპირეთთან და სხვა უფრო შორეულ ქვეყნებთან.

ბერძნული წარწერების შესწავლა, რასაც ქ-ნმა თინამ 20 წელი მოანდომა და რაც ფაქტობრივად არასოდეს შეუწყვეტია, დღესაც გრძელდება. ამაზე მეტყველებს უკანასკნელ წლებში აღმოჩენილ წარწერებზე წაკითხული და გამოქვეყნებული მისი მოხსენებები და სტატიები.

თინათინ ყაუხჩიშვილის მეცნიერული ინტერესების სფეროში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქართული ენის შესწავლასთან დაკავშირებული საკითხების კვლევას. გარდა იმისა, რომ მან ბერძნულ-რომაული და ქართული წყაროების ანალიზის შედეგად მრავალი საყურადღებო მოსაზრება გამოთქვა ქართული ტოპონიმიკის, ონომასტიკისა და ტერმინოლოგიის შესახებ, დააზუ-

სტა მრავალი სახელისა და ლექსიკური ერთეულის ეტიმოლოგია, მას ეკუთვნის არა ერთი გამოკვლევა, მიძღვნილი საკუთრივ ქართული ენისა და ქართული წერილობითი წყაროებისადმი. აღსანიშნავია „მასალები ზ-ს ისტორიისათვის VI-X საუკუნეების ძეგლების მიხედვით" (საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი, 1945), ნაშრომები ზოგიერთ კავშირისა და ნაწილაკის მნიშვნელობისათვის ძველ ქართულში", „კომპოზიტები ძველ ქართულში" და სხვ.

როდესაც ქ-ნი თინას შემოქმედებას ეცნობი, გიკვირს, საიდან ჰქონდა ქალს, რომელიც არც ჯანმრთელობით გამოირჩევა, ასეთი უდრეკი ნებისყოფა, შრომის უნარი, დასახული, თუნდაც ურთულესი მიზნის მიღწევის ძალა. ამის საიდუმლო ალბათ მის მძაფრ მოვალეობის გრძნობაში, პასუხისმგებლობაში და ყაუხჩიშვილისეულ ორგანიზებულობაშია.

დღეს ქალბატონ თინას მეგობრები, ახლობლები, კოლეგები, მისი ნიჭის თაყვანისმცემლები აღფრთოვანებით, მოწიწებით და სიყვარულით ვუსურვებთ მას ხანგრძლივ სიცოცხლეს და ნაყოფიერი შემოქმედების წლებს.

მერი ინაძე
ნოდარ ლომოური
ოთარ ლორთქიფანიძე
დავით მუსხელიშვილი
გიული ალასანია

ვალერი ვაშაკიძე

თინათინ ყაუხჩიშვილი

თინათინ ყაუხჩიშვილი გამორჩეული პიროვნება, ნაღდი მეცნიერი და სამაგალითო აღმზრდელია. ათეულობით წელია, რაც იგი რუდუნებით ემსახურება ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების განვითარებას და სპეციალისტთა არაერთი თაობის აღზრდას.

ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ქართველ მკვლევართათვის ბერძნულ-რომაული წყაროების მხოლოდ უცხოენოვანი თარგმანები იყო ხელმისაწვდომი. ყაუხჩიშვილების გვარის უდავოდ დიდი დამსახურებაა, რომ საქართველოს შესახებ ანტიკურ და ბიზანტიურ წყაროებში დაცული ცნობების გამოყენება, კარგახანია, არაჩვეულებრივად ზუსტი ქართული თარგმანების მეშვეობით ხდება. თ. ყაუხჩიშვილი თავისი სახელოვანი მამის – სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ შექმნილი სამეცნიერო სკოლის მართლაცდა ღირსეული წარმომადგენელია.

თ. ყაუხჩიშვილის მეცნიერული კვლევის სფერო მრავლისმომცველია. იგი იკვლევს ქართული კულტურის, ენის, სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური ისტორიის, ისტორიული გეოგრაფიის, წყაროთმცოდნეობის საკითხებს. არჩეული საქმისადმი საოცარი ერთგულება, საკუთარი თავისადმი არაჩვეულებრივი მომთხოვნელობა, დიდი პროფესიონალიზმი, გამორჩეული პიროვნული ღირსებები, ოსტატ-შეგირდობის ინსტიტუტისადმი ქართული დიდაქტიკური სკოლისათვის დამახასიათებელი მიდგომა – აი ის თვისებები, რომლებიც ქმნიან თ. ყაუხჩიშვილის პორტრეტს.

თ. ყაუხჩიშვილის მრავალრიცხოვანი და თემატურად მრავალფეროვანი ნაშრომებიდან უცილობლად აღნიშვნის ღირსია ბერძენ-რომაელ ავტორთა თხზულებებში საქართველოს შესახებ დაცული ცნობების თარგმნა და მეცნიერული შესწავლა. ჰეროდოტეს "ისტორია" (2 ტომად), აპიანეს "მითრიდატეს ომების ისტორია", სტრაბონის "გეოგრაფია", 6 ტომად გამოცემული "ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ" სანიმუშოა როგორც ტექსტის გადმოცემის, ასევე კვლევის მეთოდოლოგიის თვალსაზრისით. სამაგალითოდ ძველი ბერძენი გეოგრაფოსის – სტრაბონის "გეოგრაფიაც" კმარა. თ. ყაუხჩიშვილი გამოწვლილვით სწავლობს ავტორის ენას, ტექსტში გამოყენებულ ტერმინებს, ტოპონიმებს, ეთნონიმებს და მხოლოდ ამის შემდეგ მსჯელობს "გეოგრაფიაში" დაცული ცნობების სანდოობის შესახებ. როცა თ. ყაუხჩიშვილის აღნიშნულ ნაშრომს ეცნობი, სერიოზულ კვლევისათვის თითქმის აღარაფერი გრჩება. მეცნიერის მიერ ამა თუ იმ საკითხზე გამოთქმული თითოეული მოსაზრება ცალკე დამოუკიდებელ სამეცნიერო გამოკვლევას წარმოადგენს. იძულებული ხდები, დაეთანხმო თ. ყაუხჩიშვილის დასკვნებს.

თ. ყაუხჩიშვილმა უდიდესი ღვაწლი დასდო საქართველოში შემორჩენილი ბერძნული წარწერების სრულად შესწავლისა და გამოცემის საქმეს. იგია ფუძემდებელი ჩვენში ბერძნული ეპიგრაფიკის დარგის განვითარებისა. საქართველოს ტერიტორიაზე დაცული ბერძნული წარწერები ქრონოლოგიურად მოიცავს ძვ.წ.ა. V – ახ.წ.ა. XIX სს. ამ წარწერების მოძიების, შესწავლის და სათანადო მეცნიერული აპარატით გამოცემის პირველი ცდა იყო 1951 წელს. ეს იყო ენით აუწერელი ხანგრძლივი და მძიმე შრომის შედეგი. თ. ყაუხჩიშვილისათვის დამახასიათებელმა თვისებამ, რომ ყოველი გამოკვლევა დაგროვილი ცოდნის მხო-

ლოდ გარკვეული ეტაპის ასახვაა და მას მუდმივად სრულყოფა სჭირდება, მეცნიერი აიძულა 1980-89 წლებში განმეორებით მიბრუნებოდა ბერძნული ეპიგრაფიკის კვლევის საკითხებს. საქართველოს ყველა მხარეში მოწყობილი ექსპედიციების შედეგად 1999 წელს „საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსის" პირველი ტომი გამოიცა. 2000 წ-ს მეორე ტომიც. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ეს არის სრულიად ახალი გამოკვლევა, რომელშიც კონკრეტული პრობლემატიკის გვერდით, დიდი ადგილი ეთმობა ეპიგრაფიკის თეორიულ საკითხებს. აღნიშნული გამოცემა დღევანდელობის ყველაზე უმკაცრეს მოთხოვნებს აკმაყოფილებს. იგი საქართველოს ისტორიის, კულტურის, ქართული ენისა და ლიტერატურის, ბერძნული პალეოგრაფიის და სხვა არაერთი საკითხით დაინტერესებული ყველა პირისათვის უთუოდ სამაგიდო წიგნია. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ თ. ყაუხჩიშვილი, როგორც ჭეშმარიტი მეცნიერი, დიდი რუდუნებით იკვლევს ყველა პრობლემას, ხოლო მეცნიერული დასკვნების გაკეთებისას დიდ სიფრთხილესა და მოკრძალებას იჩენს. ამიტომაც ძნელია ძირითადად არ გაიზიარო თ. ყაუხჩიშვილის მიერ გამოთქმული მეცნიერული შეხედულებები.

განსაკუთრებული თემაა თ. ყაუხჩიშვილი, როგორც პედაგოგი და აღმზრდელი. იგი შეგირდისაგან მოითხოვს, უპირველეს ყოვლისა, არჩეული სპეციალობისადმი უანგარო სიყვარულს, საქმისადმი თავგანწირვას, სათანადო ცოდნასა და განათლებას, ხოლო მოსაზრებების გამოთქმისას — ზომიერებას. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ თ. ყაუხჩიშვილთან მუშაობისას და ურთიერთობისას, სპეციალობასთან ერთად, სწავლობ პუნქტუალობას, ნაღდი მეცნიერისათვის დამახასიათებელ კეთილსინდისიერებას, ეჩვევი კამათის კულტურას, მოკლედ, იღებ ყველა იმ საუკეთესო თვისებას, რომლებიც ასე ჭარბად აქვს თ. ყაუხჩიშვილს. ის არ ზღუდავს ახალგაზრდა მკვლევარს გამოთქვას მისგან განსხვავებული მოსაზრება, თუნდაც არ იზიარებდეს მას, მაგრამ მოთხოვნა არის უმკაცრესი: მეცნიერული დასკვნა უნდა ემყარებოდეს არგუმენტებს და უნდა შეჩერდე იქ, სადაც წყარო არ იძლევა უფრო შორს წასვლის შესაძლებლობას. საკუთარი გამოცდილებიდან ვიტყვი, რომ თ. ყაუხჩიშვილთან ურთიერთობის პირველ ეტაპზე შეგირდისათვის წაყენებული ყველა ეს მოთხოვნა გარკვეულ გაღიზიანებასაც კი იწვევს, მაგრამ უგუნური უნდა იყო, რომ ვერ მიხვდე — ყველაფერი კეთდება შენს სასიკეთოდ.

არაერთხელ მითქვამს, რომ თ. ყაუხჩიშვილის, როგორც გამორჩეული პიროვნების, ნაღდი მეცნიერისა და სამაგალითო აღმზრდელის შესახებ წერა იოლიცაა და ძნელიც. იოლია თითქოს იმიტომ, რომ თ. ყაუხჩიშვილის მრავალმხრივი მოღვაწეობა შეფასებებისათვის აუარებელ მასალას იძლევა, ხოლო ძნელია იმიტომ, რომ, ადვილი შესაძლებელია, ღირსეულ შემფასებლად ვერ გამოდგე. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი თავის თხზულებაში ათქმევინებს ალექსანდრე დიდს (ალექსანდრე მაკედონელს): „არა დიდ იყავ აქილევი, არამედ დიდსა მიემთხვიე მაქებელსა უმიროსს". ჩვენს შემთხვევაში ნამდვილად პირიქითაა. მე, როგორც თ. ყაუხჩიშვილის ერთ-ერთმა მოწაფემ, თავს უფლება მივეცი, ორიოდე სიტყვა მეთქვა ჩემი უსაყვარლესი მასწავლებლის შესახებ. ვთვლი, რომ თ. ყაუხჩიშვილის სამეცნიერო მემკვიდრეობა მონოგრაფიული შესწავლის საგანი გახდება. ეს ყველაფერი მომავლის საქმეა.

მერი ინაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის“ ზოგიერთი ცნობის დათარიღებისათვის

წინამდებარე წერილი ეძღვნება იმ წყაროთა დათარიღებას, რომლებიც უნდა გამოეყენებინა „არგონავტიკაზე“ მუშაობის დროს აპოლონიოს როდოსელს (ძვ.წ. III ს.) აიეტის სამფლობელო ქვეყნის აღწერილობისათვის*.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ აპოლონიოსის პოემაში შემონახული კოლხეთის აღწერილობა უძველეს პლასტებს განეკუთვნება. ამის დასტურად მიჩნეულია პოემის მთელი სიმბოლიკა, რომლის მიხედვით თითქოს შეიძლება აღდგენილ იქნეს ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულის კოლხეთის მესტყვისი სურათი. „არგონავტიკის“ ვერსიებში შედარებით ახალ შრეებსაც არჩევენ. ასეთებად თვლიან შავიზღვისპირეთის გეოგრაფიული და ეთნიკური გარემოს აღწერას, რომელიც თითქოს ძვ. წ. VIII-VII საუკუნეთა შემდგომ დაგროვილ ცოდნას ასახავს და გაცილებით გვიანი დანაშრევია, ვიდრე თქმულების ძირითადი სიუჟეტური ბირთვი[1]. აპოლონიოსის მიერ კოლხეთის აღწერისათვის გამოყენებულ ცნობათა კვლევა-ძიებამ ჩვენ რამდენადმე განსხვავებულ დასკვნამდე მიგვიყვანა.

საკითხის შესწავლა უპირველესად მოითხოვს დავადგინოთ კონკრეტულად რას გულისხმობდა ავტორი (აპოლონიოსი) აიეტის სამფლობელო ქვეყანაში და სად მდებარეობდა ეს ქვეყანა. თუ თვალს გადავავლებთ „არგონავტიკაში“ დაცულ ცნობებს, ძნელი არ არის იმის შენიშვნა, რომ აიეტის სამფლობელოში აპოლონიოსი გულისხმობს არა მთელ კოლხეთს, არამედ მხოლოდ მის ნაწილს, რომელსაც იგი უწოდებს „კუტაიის ხმელეთს“ („Κυταΐδος ἠπείρος“), ან „კუტაიის მიწას“. („Κυταΐδος γαίης“). აპოლონიოსის მიხედვით, „კუტაიის მიწა“ კოლხეთის ის მხარეა, რომელსაც ჩრდილოეთიდან დიდი კავკასიონი ებჯინება, დასავლეთიდან ზღვა აკრავს, ხოლო აღმოსავლეთით და სამხრეთით ჩამოუდის მდინარე ფასისი (რიონი). „კუტაიის მიწის“ ლოკალიზაციისათვის განსაკუთრებით საყურადღებოა „არგონავტიკის“ შემდეგი ადგილი: „არგონავტები შენავდნენ მდინარის (ფასისის) დიდ ნაკადში, მდინარე ტალღათა მიმოსვლით თმობდა გზას. ხელმარცხნივ (მათ) ეკავათ მაღალი კავკასიონი და ქალაქი კუტაისი“[2].

აპოლონიოსის აღწერილობით „კუტაიის მიწა“ კოლხეთის საუკეთესო, უმდიდრესი ნაწილია, განვითარებული მეტალურგიით და მიწათმოქმედებით, ხოლო თვით მეფე აიეტი - ოქროს საწმისის მფლობელი, უძლიერესი გამგებელია.

---

* როგორც ცნობილია, თ. ყაუხჩიშვილმა დიდი ამაგი დასდო ელინისტი პოეტების - კალიმაქეს, ლიკოფრონის, თეოკრიტეს, არატოსის პოეზიის კვლევას, მისი როგორც საქართველოს ძველი ისტორიის წყაროს შესწავლას და შეფასებას. მართალია, თ. ყაუხჩიშვილს სპეციალურად არ გამოუკვლევია, როგორც წყარო, ელინისტი პოეტის - აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის“ ცნობები კოლხეთის შესახებ, მაგრამ ზემოაღნიშნული მუშაობით მან გზა გაუკვლია მის მომდევნო მეცნიერთა მიერ ამ პოემის შემდგომ წყაროთმცოდნეობით კვლევა-ძიებას (იხ. თ. ყაუხჩიშვილი, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, IV, თბილისი, 1980).

კუტაიის მიწის (ანუ ქვეყნის) საზღვრების დადგენის თვალსაზრისით ყურადღებას იმსახურებს ახ. წ. VI ს-ის ბიზანტიელი მწერლის, პროკოპი კესარიელის გადმოცემა, რომელშიც ავტორი გვამცნობს, რომ მდ. რეონის- სანაპიროსთან, იმ ადგილის მახლობლად, სადაც ძველად ქალაქი კვიტაიონი მდებარეობდა... მის დროს არსებობდა მჭიდროდ დასახლებული ნაყოფით სავსე ქვეყანა, რომელსაც მოხირისს ეძახდნენ (BG, VIII, 14)[3]. აპოლონიოს როდოსელის გადმოცემის შედარებამ პროკოპი კესარიელის ცნობებთან გვიჩვენა, რომ „კუტაიის (კუტაიის) მიწა" (იგივე ქართლის ცხოვრების „შიდა ეგრისი") თითქმის ჰფარავს პროკოპის მიერ მოხსენიებულ მოხირისის (ანუ მუხურის) მხარეს, რომელიც ამ ავტორის დახასიათებით მის დროს წარმოადგენდა კოლხეთის საუკეთესო ნაწილს, მის ყველაზე უხვმოსავლიან კუთხეს (BG, VIII, 14)[4].

წერილობითი წყაროების განხილვით მიღებულ სურათს კარგად ავსებს ჩრდილოეთ კოლხეთის არქეოლოგიური კვლევა-ძიებით გამოვლენილი მასალა, რომლის შუქზე შესაძლებელია თვალი გავადევნოთ ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულსა და ძვ. წ. VIII-VII სს-ში ამ ტერიტორიაზე მიმდინარე ისტორიულ პროცესებს. სახელდობრ, მდინარეების რიონის, ცხენისწყლის, ტეხურას, ენგურის ხეობებსა და მათ მიმდებარე მიწებზე ჩატარებული არქეოლოგიური კვლევაძიებით შემდეგი სურათი გვეხატება.

გვიან ბრინჯაოს ხანის კოლხური კულტურის ადრეულ საფეხურზე დასავლეთ საქართველოს ჩრდილოეთი მთისწინა ზოლი ჯერ კიდევ არ იყო მჭიდროდ დასახლებული. მდინარე რიონის აუზის ჩრდილოეთით მდებარე ვრცელ ხეობათა ნაყოფიერი მიწების დამუშავება-ათვისება შესაძლებელი ხდება მხოლოდ რკინის იარაღზე გადასვლისა და მის ფართო გამოყენებასთან ერთად (ძვ. წ. VIII-VII სს.), რაც ხელს უმართავს აქ ინტენსიური მიწათმოქმედების განვითარებას.

ამრიგად, რიონის აუზისა და კოლხეთის ჩრდილოეთ მთიანეთს შორის მოქცეულ მხარეში, რომელიც აპოლონიოსის პოემის მიხედვით წარმოგვიდგება აიეტის სამფლობელო ქვეყნად (იგივე კუტაიის მიწა), ძვ.წ. VIII-VII სს-ში თავს იყრის ყველა პირობა იმისათვის, რომ აღნიშნულმა მხარემ და მისმა მოსახლეობამ წამყვანი როლი შეასრულოს კოლხეთის სამეფოს შექმნის პროცესში. სწორედ ამან განაპირობა ის გარემოება, რომ კოლხთა ჰეგემონობით და ეგრების აქტიური მონაწილეობით აღებულ ხანაში აქ აღმოცენდა წინასახელმწიფოებრივი წარმონაქმნი. უფრო მოგვიანებით იგი გარს შემოიკრებს ირგვლივ მდებარე ეთნო-ტერიტორიულ ერთეულებს-ქვეყნებს და წამყვან როლს შეასრულებს ძვ.წ. VI ს-ის მეორე ნახევრისათვის კოლხეთის სამეფოს ჩამოყალიბებაში[5].

ამავე ხანას ემთხვევა ბუნებრივი რესურსებით მდიდარ ჩრდილოეთ კოლხეთში ლითონის მოპოვებით დაინტერესებულ ეოლიელ და ეგეიდელ ზღვაოსანთა გამოჩენა. სტრაბონის გადმოცემით, ეოლიელებმა იონიელებზე ოთხი თაობით, და შესაძლებელია, უფრო ადრეც, ფართოდ გაშალეს თავიანთი საკოლონიზაციო საქმიანობა შორეულ ქვეყნებში (XIII, 1, 3,), რაც უპირველესად ამ მხარიდან ლითონის გატანას ისახავდა მიზნად[6]. როგორც ეს ჩვენს მიერ ადრეა აღნიშნული, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში (კოლხეთის მისადგომებთან) დასაყრდენი პუნქტების შექმნის შემდეგ ეოლიელი ზღვაოსნები და მათი პარტნიორები - ბეოტიელები, თესალიელები, თავიანთ სა-

ვაჭრო ინტერესების სფეროში აქცევენ ჩრდილოეთ კოლხეთს, განსაკუთრებით მის მთისწინა ზოლს, სადაც რკინის წარმოებამ ძვ.წ. VII ს-თვის მანამდე არნახულ მასშტაბებს მიაღწია[7]. და აი აქ, მდინარეების ხუმუშკურისა და ღალიძგას წყალშესაყართან, უთუოდ დღ. სოფელ სიდას ადგილას (დღ. გალიდან 10-15 კმ-ით სამხრეთით, ზღვიდან ამდენივე კმ-ის დაცილებით) ეოლიელები ქმნიან თავიანთ ახალ დასაყრდენს - სავაჭრო ფაქტორიას, რომელიც ასევე იწოდებოდა სიდად[8].

ლითონით მოვაჭრე ეოლიელ ზღვაოსანთა ერთერთი მნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი, ჩვენი ვარაუდით, უნდა დაარსებულიყო ყვირილას ზემო წელზეც, საირხესთან (საბადურის გორასთან), რომელიც ჩვენ გავაიგივეთ სტრაბონის ქალაქ ფრიქსოპოლის-იდეესასთან[9].

ჩრდილოეთ კოლხეთთან მჭიდრო სავაჭრო კონტაქტების დამყარება, ვფიქრობთ, ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა ლითონის მაძიებელ ეოლიელ და ბეოტიელ ზღვაოსნებს, რათა მათ საკმაოდ ზუსტი და ვრცელი ინფორმაცია მიეღოთ ძვ. წ. VIII-VII სს-ში აქ არსებული დაწინაურებული წინასახელმწიფოებრივი წარმონაქმნისა და მის ძლიერ გამგებელთა შესახებ.

თავის მხრივ, კოლხურ და ეოლიურ სამყაროს დაახლოებას უნდა მოჰყოლოდა მათი კულტურულ მონაპოვართა და რელიგიურ რწმენა-წარმოდგენების ურთიერთგაზიარება და ამასთან სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთსა და კოლხეთში ბეოტიურ-თესალიური თქმულებების ფართოდ გავრცელება. უთუოდ ამავე ხანებში იქმნება ეოლიური ვერსიები ბეოტიელი ფრიქსეს მიერ სატაძრო ცენტრების, სამლოცველოების, სამისნოების დაარსების შესახებ კოლხეთის საზღვარზე, იბერიაში (ფრიქსოპოლის-იდეესა), მოსხთა ქვეყანაში (ლევკოთეა), ასევე ფასისის შესართავთან (ფრიქსეს სამლოცველო და მისი სახელობის კორომი) (Strabo, XI, 2, 17, 18; Pomp. Mela, De chorog, I, 108).

ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესწავლის თვალსაზრისით საგანგებო ყურადღებას იმსახურებს ის გარემოებაც, რომ ასეთი ეოლიური ვერსიები წინ არის წამოწეული და ჭარბად წარმოდგენილი აპოლონიოსის პოემაში. ეოლიურ სამყაროში დამუშავებულ ვერსიათა რიგს განეკუთვნება ვერსია ფსიქსეს მამის, ორქომენის მეფის ათამანტის ეოლოსისგან წარმომავლობის შესახებ, ვერსია ფრიქსეს ეოლიური წარმოშობის თაობაზე (II, 1140-1141), რაც პოემაში რამდენჯერმე მეორდება. ეოლიდებად იწოდებიან პოემაში აგრეთვე ფრიქსეს თანამემამულენი - ორქომენელები (II, 1190-1195) და სხვ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინების შემდეგ თუ დავუბრუნდებით მოსაზრებას „არგონავტიკაში“ მოხსენიებული „კუტაიის მიწის“ იგივეობის შესახებ ჩრდილოეთ კოლხეთში ძვ.წ. VIII-VII სს-ში არსებულ წინასახელმწიფოებრივ წარმონაქმნთან, საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ „არგონავტიკაზე“ მუშაობის დროს აპოლონიოსს უხვად უნდა ესარგებლა ეოლიელ ზღვაოსან ვაჭართა მიერ ადგილზევე ავტოფსიის გზით შეკრებილი ცნობებით და ამდენად მის პოემაში ისტორიული სინამდვილე კუტაიის ქვეყნის შესახებ მჭიდროდ შერწყმოდა ავტორის მიერ გამოყენებულ, მის ხელთ არსებულ უძველეს გადმოცემებს და თქმულებებს ლეგენდარული მეფე აიეტის სამფლობელოზე.

ამრიგად, აპოლონიოსის პოემაში დაცული ცნობები კუტაიის ქვეყნის შესახებ, ჩვენი აზრით, უნდა დათარიღდეს წინაანტიკური ხანით, ყოველ შემთხვევაში, ამაზე გვიანდელი ხანით არა. ამავე დროს უნდა განეკუთვნებოდეს

სავსებით რეალური ცნობები რიონისპირეთისა და კავკასიის მთიანეთს შორის მდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის - კოლხების, როგორც მათ აპოლონიოსი უწოდებს, სამეურნეო საქმიანობის, ყოფის, რელიგიური წარმოდგენების, საზოგადოებრივი განვითარების, პოლიტიკური წყობის, ზნე-ჩვეულებების და სხვათა შესახებ.

და მაინც, აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ აიეტის სამფლობელო ქვეყნის შესახებ „არგონავტიკაში" დაცული ცნობების წინაანტიკური ხანით (ძვ.წ. VIII-VII სს-ით) დათარიღება, ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმ ავტორთა ვინაობის დადგენას, რომელთა თხზულებებიდან შემორჩენილი ფრაგმენტებითაც უნდა ესარგებლა აპოლონიოსს აღნიშნული ცნობების გამოყენების დროს. საერთოდ ცნობილია, რომ ალექსანდრიელი მწიგნობარი პოეტები ხშირად მიმართავდნენ ადრინდელ ავტორთა თხზულებებს, რომლებშიც თავმოყრილი იყო ძველი მითოლოგიური ამბები, არგონავტთა თქმულებების გარშემო არსებული ძველი წერილობითი გადმოცემები, მაგრამ იმდენად, რამდენადაც ამ თხზულებებმა ჩვენამდე არ მოაღწიეს, დღესდღეობით საუბარი მათ შესახებ მხოლოდ გვიანდელ სქოლიონებში გადარჩენილი ფრაგმენტებით თუ ხერხდება.

„არგონავტიკის" სქოლიონების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სხვა წყაროებთან ერთად აპოლონიოსი სარგებლობდა ეოლიელ მწერალთა — პოეტების, ისტორიკოსების, გეოგრაფოსების - ჰესიოდეს, ჰელანიკეს, ეფორეს, ერატოსთენეს და სხვათა თხზულებებით, მაგრამ ამ ავტორთა ნაწარმოებებიდან მიღებულ ცნობათა შორის ჩვენ ვერ ვხვდებით იმ ცნობებს, რომლებიც აპოლონიოსს უნდა გამოეყენებინა აიეტის სამფლობელო ქვეყნის - კუტაიის მიწის და ქალაქის აღწერილობისას. ქალაქ კუტაიას და კუტაიის მიწას არ იხსენიებს არც წარმოშობით ეოლიელი (თუმც ბეოტიაში მოღვაწე) პოეტი ჰესიოდე, მაშინ, როდესაც პირველად თავის „თეოგონიაში" მის დროისათვის ცნობილ მდინარეთა შორის ასახელებს ფასისს (რიონს) და რესოსს (რიონის ზემო წელს), სადაც სწორედ მდებარეობდა ქალაქი კუტაია.

ქალაქ კუტაიას სახელწოდებას, როგორც ჩანს, არ იცნობდა არც უძველესი გეოგრაფიული ნაწარმოების — პერიპლუსის შემდგენელი სკილაქს კარიანდელი, რომლის ნაწარმოებით ისარგებლა ძვ. წ. IV ს-ის ათენელმა ავტორმა ე. წ. ფსევდო-სკილაქსმა[10]. მისგანვე ისესხა ამ უკანასკნელმა მეტად მნიშვნელოვანი კონკრეტული ჩვენებები კოლხების ქვეყანაში მდებარე „დიდი ბარბაროსული ქალაქის" შესახებ, „საიდანაც იყო მედეა". ეს ქალაქი პერიპლუსში მდინარე რისსთან ანუ რიონის ზემო წელთან არის დასახელებული (Ps.-Scylax, Per., 81), რაც მოწმობს, რომ აქ ქალაქ კუტაიაზე - ქუთაისზე უნდა იყოს საუბარი[11]. მიუხედავად ზემო განხილულ წყაროთა დუმილისა, ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ არგონავტთა თქმულების ზოგიერთ ვერსიაში უძველესი ხანიდანვე ჩნდება „კუტ"-ძირიანი გეოგრაფიული სახელი, რაც დასტურდება ჰეროდოტესთან დაცული გადმოცემითაც (VII, 197), რომელშიც დამოწმებულია ფრიქსეს ძის სახელწოდება - „კუტისოროსი" („კუტისოროსი აია-კოლხიდიდან"). თ. ყაუხჩიშვილის საინტერესო დაკვირვებით, ამ სახელწოდებაში იგივე „κυτ"-ძირი უნდა დავინახოთ, რაც სიტყვაში Κυταια (ქუთაისი) („ισσ" – გეოგრაფიული სახელის მაწარმოებელი სუფიქსი უნდა იყოს)[12]. ამრიგად, სახელი Κυτισσωρος დაახლოებით იმასვე უნდა ნიშნავდეს, რასაც ქართულად „ქუთათელი"[13]. აღნიშნული გარემოება მოწმობს, რომ ძველ ხანაში ცნობილი

უნდა ყოფილიყო „კუტისოროსის" შესატყვისი „კუტ"-ძირიანი გეოგრაფიული სახელიც.

„კუტ"-ძირიანი გეოგრაფიული სახელების სიძველის დადგენის თვალსაზრისით ჩვენი ყურადღება უნდა შევაჩეროთ კიდევ ერთ საინტერესო გარემოებაზე.

ბიზანტიელი მწერალი პროკოპი კესარიელი ძველი ქალაქის - „კუტაიას" შესახებ ცნობის გადმოცემისას თავის წყაროდ ასახელებს „პოეტებს" (BG, VIII, 14), რომლებშიც იგულისხმებიან ალექსანდრიელი პოეტები, მათ შორის უთუოდ აპოლონიოსიც. მაგრამ ამასთან დაკავშირებით, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს პროკოპი კესარიელის ზემოთ განხილულ გადმოცემაში „კუტაიონის" პარალელურად მოტანილი „კოტ"-ძირიანი სახელწოდების ფორმა „კოტიაიონი", რომელიც ბიზანტიელი მწერლის ცნობით, მას სხვა, ასევე ძველი წყაროდან აუღია (BG, VIII, 14). (პროკოპი ამ მეორე წყაროდ არიანეს მონათხრობს ასახელებს, მაგრამ, როგორც ვიცით, ფლავიუს არიანეს ჩვენამდე მოღწეულ თხზულებებში კოტიაიონის შესახებ არაფერია ნათქვამი).

აქვე უთუოდ აღსანიშნავია ისიც, რომ პროკოპი კესარიელის თხზულების ტექსტში ძირითადად „Κοτ"-ძირიანი ფორმაა დადასტურებული[14]. იგივე ფორმას Κοτιαιον-იძლევა თითქმის ყველა ხელნაწერის გადამწერი[15]. ამავე „კოტ"-ძირიან ფორმას ხმარობს ისტორიკოსი აგათია სქოლასტიკოსიც თავის ნაშრომის სამ ადგილას (II, 19, II, 22 და III, 6 - Κοταϊσιν აკუზატ. ბრუნვაში; Κοταϊσις-სახელობით ბრუნვაში და ერთ ადგილას ნათ. ბრუნვაში Κοταϊσίου-III, 7)[16].

ქუთაისის სახელწოდების ამ ფორმის - „კოტაის"-ის განმარტებას ს. ყაუხჩიშვილი ერთ მეტად საინტერესო შენიშვნას ურთავს: „თუ ჩავუკვირდებით ჩვენამდე მოღწეულ სხვა ბერძნულ ძეგლებს, ჩვენთვის ცხადი გახდება, რომ ფორმა „კოტაისი" („ქუთაისი") ბერძნული ტრადიციისათვის საკმაოდ ცნობილი ყოფილა"[17]. ს. ყაუხჩიშვილის კომენტარიდანვე ირკვევა, რომ ფორმა Κοταϊς-ი ყველაზე ადრინდელ ხელნაწერში იყო დაცული[18], რაც, ჩვენი აზრით, ამ სახელწოდების სიძველეზედაც უნდა მეტყველებდეს და ამასთან იმის კიდევ ერთი მანიშნებელიც უნდა იყოს, რომ „კოტ" - „კუტ"-ძირიანი გეოგრაფიული სახელი ძველ ბერძნულ გადმოცემებში და თქმულებებშიც უნდა ყოფილიყო ცნობილი.

საბოლოოდ, საკითხის კვლევის შედეგად იკვეთება შემდეგი დასკვნა: აპოლონიოსის მიერ „არგონავტიკაში" აიეტის სამფლობელოს აღწერილობისას გამოყენებული ცნობები სავსებით შეესაბამება ძვ.წ. VIII-VII სს-სათვის ჩრდილოეთ კოლხეთში - რიონის აუზის და კავკასიონის მთიანეთს შორის მდებარე ქვეყანაში შექმნილ რეალურ-ისტორიულ ვითარებას იმდენად, რამდენადაც ეს ცნობები უნდა ემყარებოდეს ადგილზევე ავტოფსიის გზით შეკრებილ ინფორმაციას. მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ჩვენთვის უცნობია, სახელდობრ რომელ ძველ ავტორთაგან უნდა მომდინარეობდნენ აღნიშნული ცნობები.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. მიქელაძე თ, ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბ., 1974, გვ. 159.
2. აპოლონიოს როდოსელი. არგონავტიკა, ბერძნულიდან თარგმნა აკ. ურუშაძემ, თბ., 1970, გვ. 109.
3. გეორგიკა, ტ. II, ს. ყაუხჩიშვილის თარგმანი კომენტარებით, თბ., 1965, გვ. 194.
4. იქვე, სამეცნიერო ლიტერატურაში დიდი ხანია რაც აღნიშნულია, რომ მუხირისი მთლიანად ან ნაწილობრივ შეიცავდა თანამედროვე ქუთაისის, აბაშის, მარტვილის, ვანის, სამტრედიის რაიონებს, რომლებიც სამეურნეო თვალსაზრისით გარკვეულ მთლიანობას შეადგენდნენ (მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, თბ., 1977, გვ. 113; ჯანაშია ს., ეგრისის სამეფოს წარმოშობა. შრომები, II, თბ., 1952, გვ. 320, 321).
5. ინაძე მ., კოლხთა წინასახელმწიფოებრივი წარმონაქმნი დასავლეთ საქართველოში. მესამე საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმის მასალები. თბ., 1999, გვ. 83-85.
6. ინაძე მ., ეოლიური სამყარო და კოლხეთი. ადრეული კონტაქტები (ძვ.წ. VIII-VIIსს.) კრებულში: „ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი", ლოგოსი, თბ., 1999, გვ. 159-175.
7. ჯაფარიძე ო., დასავლეთ საქართველო გვიანბრინჯაოს ხანაში (გაგრძელება), „მაცნე", ისტორიის... სერია, №2, 1982, გვ. 34, 36, 37, 53.
8. ინაძე მ., ეოლიური სამყარო და კოლხეთი... გვ. 172.
9. ინაძე მ., ძველი კოლხეთის საზოგადოება, თბ., 1994, გვ. 65, 66.
10. Инадзе М. П., Причерноморские города древней Колхиды, Тб,. 1968, გვ. 50, 51.
11. ინაძე მ., ძველი კოლხეთის საზოგადოება, გვ. 58, 59.
12. ყაუხჩიშვილი თ., ჰეროდიტეს ცნობები საქართველოს შესახებ. თბ., 1960, გვ. 34,35. ფრიქსეს ძის კიტისორეს სახელი დამოწმებულია აპოლოდორესთანაც (ძვ.წ. IIს.) (Bibl., I, IX) (იხ. აკ. ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბ., 1964, გვ. 351) და „არგონავტიკის" სქოლიონებში (იქვე, გვ. 318).
13. ყაუხჩიშვილი თ., დასახ. ნაშრ., გვ. 35.
14. გეორგიკა, II, გვ. 195, შენ. 7.
15. იქვე, მაშასადამე ირკვევა, რომ „ქუთაისის" პარალელურად არსებულა ამ ქალაქის სახელწოდების მეორე ფორმა - Κόταϊς („კოტაის", „ქოთაის")
16. იქვე.
17. გეორგიკა, II, გვ. 196, შენ. 7.
18. იქვე, იხ. Церетели Г. Ф., Аполлоний Родосский, Аргонавтика, Тб., 1964, გვ. 93.

Mary Inadze

On the Sources of Information in Argounautica of Apollonius of Rhodes

The domain of King Aiet, or "the Land of Kutaia", described by Apollonous of Rhodes in Argounautica must be localized in north-west Colchis. It included fertile lands rich in natural resources in the Rioni valley and in the foothill zone. In the 8th -7th cc BC, the proto-state organization of Colchians existed there. Aeolian Greeks founded there a settlement called Sida (on the site of the present village Sida), which became the centre of metal (especially iron) export. The existence of a locality called Sida on the territory of north-west Colchis testifies that long before the establishment of the Ionian (Miletian) centres Aeolian colonists may have played an important role in the collection of information about the proto-state organization of Colchians. Thus, one can conclude that Apollonius of Rhodes used quite trustworthy sources, which reliably reflected the situation in north-west Colchis in the 8th-7th cc. BC.

გიული ალასანია

ქართული წერილობითი წყაროების ბუნ-თურქები (საკითხის ისტორიოგრაფია)

საისტორიო წყაროებში დამოწმებული ეთნონიმია დაკვირვებას მოითხოვს. ზოგჯერ ერთი და იგივე ტერმინი სხვადასხვა ეთნოსის აღსანიშნავად გამოიყენება. არის, როგორც ჩანს, საპირისპირო შემთხვევებიც, როდესაც სხვადასხვა ტერმინი ერთსა და იმავე ეთნიკურ მასივს გულისხმობს.

"მოქცევაი ქართლისაი" მიხედვით ქართლში შემოსულ ალექსანდრე მაკედონელს ბუნ-თურქები დახვდნენ - "ნათესავნი სასტიკნი... მსხდომარენი მდინარესა ზედა მტკუარსა...". სწორედ "ბუნთურქთა უფლისაგან" ითხოვეს "ქუეყანაი ხარკითა" ქალდეველთაგან გამოსხმულთა ჰონთა[1].

"ქართლის ცხოვრების" პირველი მატიანის შემდგენელი ლეონტი მროველი ჰონებს არ იცნობს, ხოლო "მოქცევაის" მითითებულ ცნობას თავისებურად კითხულობს. ჰონების ქართლში მოსვლის შესახებ "მოქცევაის" ინფორმაცია "მეფეთა ცხოვრებაში" ერთგვარ ტრანსფორმაციას განიცდის და ადგილსაც იცვლის. ლეონტი მროველისათვის უცნობი ჰონები ადგილს უთმობენ ჰურიებს, წყაროს მთელი ნაწყვეტი გადადის ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის წინ, უკავშირდება ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმის დაპყრობას, ხოლო ბუნ-თურქთა უფლის ნაცვლად ადგილობრივი ხელისუფალი "მცხეთელთა მამასახლისი" ხდება[2].

ე. თაყაიშვილი, ისევე როგორც ლეონტი მროველი, "მოქცევაის" ტექსტში "ჰურიებს" კითხულობს, ვინაიდან მას ქალდეა ესმის როგორც ბაბილონი[3]. ამავე ვარაუდს მხარს უჭერს ნ. ჯანაშიაც, ვინაიდან, მისი აზრითაც, "ქალდეველებთან, ე.ი. ბაბილონელებთან კავშირში სწორედ ებრაელები უნდა ყოფილიყვნენ მოხსენიებულნი და არა ჰუნები, რომელთაც მათთან ისტორიულად არავითარი შეხვედრის მომენტი არ გააჩნდათ". მკვლევარი არც იმას გამორიცხავს, რომ "მეფეთა ცხოვრებაში" ავტორმა "მოქცევაის" ჰონები თვითონ გაასწორა "ურიებად" მათი ქალდეველებთან ერთად მოხსენიების გამო"[4].

გ. არახამიას აზრით, "მოქცევაის" ტექსტში იმთავითვე "ჰონნი" ეწერა. მანვე ჩაატარა აღნიშნული ცნობების დეტალური ანალიზი და შეგვახსენა კ. კეკელიძის დაკვირვება იმის შესახებ, რომ "მოქცევაიში" ქალდეველნი ყოველთვის სპარსელებს აღნიშნავს[5].

ლეონტი მროველისათვის ქართლის უძველესი მოსახლეობა ქართულია, ხოლო ყველა დანარჩენი იქ სხვადასხვა ქვეყნიდან მოსული ლტოლვილები არიან. მათ შორის თურქნი, ან ბუნ-თურქნი, რაც, ავტორის აზრით, ერთი და იგივეა.

"მასვე ჟამსა მოვიდეს თურქნი, ოტებულნი მისვე ქაიხოსროსაგან. გამოვლეს ზღუა გურგანისი, აღმოყვეს მტკუარსა და მოვიდეს მცხეთას სახლი ოცდარვა და ეზრახნეს მამასახლისსა მცხეთისასა, აღუთქუეს შეწევნა სპარსთა ზედა[6]. ხოლო მამასახლისმან მცხეთელმან აუწყა ყოველთა ქართველთა. .... მას ჟამსა შინა სადათაც ვინ მოვიდის ძვირის მოქმედთაგან საბერძნეთით, გინა ასურით ოტებული, გინა ხაზარეთით, ყოველნივე დაიმეგობრიან ქართველთა შემწე-

ობისათვის სპარსთა ზედა". ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის გადმოცემისას ლეონტი მროველს ეს თურქნი უკვე ბუნ-თურქებად ყავს მოხსენიებული.

ამგვარად, როგორც "მოქცევაიში", ასევე "ქართლის ცხოვრებაში", არის ცნობა იმის შესახებ, თუ როგორ მოდიან მცხეთაში სპარსეთიდან გამოდევნილი, ერთ შემთხვევაში, ჰუნები, ხოლო, მეორე შემთხვევაში,- თურქები, თუმცა არც უშუალო და არც ირიბი კავშირი ამ ორ ძეგლს შორის ამ შემთხვევაში არა ჩანს. "მოქცევაის" მიხედვით ეს ფაქტი ალექსანდრე მაკედონელის დროს მოხდა, ხოლო "ქართლის ცხოვრების" თანახმად უფრო ადრე, სპარსეთში ქაიხოსროს გამგებლობის დროს.

"ქართლის ცხოვრების" ცნობამ თურქთა მოსვლის შესახებ მოგვიანებით ცვლილება განიცადა ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაში, ხოლო შემდეგ იოანე ბაგრატიონთან. ვახუშტი თურქთა 28 სახლს 2800-ით ცვლის[7], იოანე ბაგრატიონი კი რიცხვსაც ცვლის და მთლიანად ცნობის განსხვავებულ ვერსიასაც გვთავაზობს, ამასთანავე ჰუნებს ან ღუნებს, ხაზარებს და თურქისტანელთ ერთ კონტექსტში იხსენიებს: "ესე ხაზარნი არიან მოთხრობისაებრ ღინოვიის მეისტორიისა, რ[ომე]ლიცა მოიხსენების თჳსსა აღწერასა შ[ინ]ა, რ{ომე}ლიცა აღწერა მან ღუნთათჳს". ამას მოყვება თავი "ხაზართა ომისათვის", სადაც ჩართულია ცნობა თურქისტანელთა შესახებ "მხედრობითა დიდითა მოვიდოდენ და შემოვიდნენ ქართლისაცა შინა მოსახლენი თურქისტანელნი ვიდრე ორიათას რვაასი კომლი კაცი, რ-ლთა გამოვლეს გარემო კასპიის ზღვისა, გამოვიდნენ ედილსა და თერგსა, გამოვლეს დარუბანდი და მოვიდნენ მცხეთას წინაძღომითა ბეგისა ვისამეზედ წოდებით ჯამბაკურისა, რლმანცა აღუთქვა შეწევნა ქართველთა თვისთა მტერთა ზედა დასაბამიდგან წელსა 2525 სა, რომელიცა შეიწყნარა მცხეთის მამასახლისმან იანისმან, და მისცა მთაბარნი და დაასახლა მუნ, აგრეთვე სხვანიცა"[8]. როგორც ვხედავთ, ავტორმა "ქართლის ცხოვრებაში" მოხსენიებულ თურქებს მარშრუტი შეუცვალა, ჩრდილოეთიდან მოიყვანა, გაიმეორა ვახუშტის რიცხვი 2800, ამასთანავე შეახავა ქართლის ცხოვრების ცნობა იმ გადმოცემასთან, რომლის ერთ-ერთი ვერსია მე-13 ს-ის სომეხი ავტორის სტეფანოს ორბელიანის თხზულებაში ორბელთა წარმოშობის შესახებ მოგვითხრობს[9].

იოანე ბაგრატიონი არ იცნობს ბუნ-თურქებს, მაგრამ "მოქცევაისა" და "ქართლის ცხოვრებისაგან" განსხვავებით მასთან ვხვდებით სკვითებს, რომლებიც აგრეთვე სახლდებიან საქართველოს ტერიტორიაზე: "წელსა დასაბამიდგან 3367 სა შემდგომად სიკუდილისა ფაროტ მიდთა მეფის, იქმნა მიდელთა ზედა ძე მისი ციასკარ მეფედ. ესე იყო მხნე და ახოვანი. ჟამსა ამის მეფობისასა გამოვიდეს სკვითნი, გზითა მეოტის ტბით, რ[ომე]ლთაცა წინაუძღოდა მათ მეფეი მათი, მადიეს, მოვიდნენ და შთამოსახლდნენ ყოველსა მცირეს ადგილსა აზიისა ეგრეთვე მიდიას, კოლხიდიას და ივერიას შინა, და ვინაითგან ციასკარ ვერა განეწყო მათ ძალითა, იძლია სკვითთა მათგან, წარვიდა და განამაგრა ნინევი და ეპყრათ სკვითთა ადგილნი ესე, ვიდრე 28-სა წელსა. და მერე შეითქვნეს თვითეულთა მდგმურნი თვისნი, და ერთს ღამეს შინა თითქმის სრულიად აღწყვეტნეს მხედრობანი ამა სკვითელთანი და მიზეზითა ამით კუალადვე აღსდგა მეფობაი მიდთა, და შემდგომად ციასკარისა მეფედ იქმნა ძე მისი ასტიას, წელსა დასაბამიდგან, 3409-სა"[10].

როგორც ვხედავთ, სხვაობების მიუხედავად, სპარსთაგან დევნილების საქართველოს ტერიტორიაზე დასახლების შესახებ ცნობა საკმაოდ გავრცელებუ-

ლია ძველ ქართულ წერილობით ტრადიციაში. წარმოდგენილი ვერსიების კომენტარები სამეცნიერო ლიტერატურაში განსხვავებულია.

პირველად ტერმინი "ბუნ-თურქი" განმარტა მ. ბროსემ. მან ასე თარგმნა ტერმინი როგორც Turks primitifs, ე. ი. პირველყოფილი თურქები, არამედ დაუკავშირა ისინი უფრო ადრე მოხსენიებულ სპარსეთის მეფის ქაიხოსროს მიერ განდევნილ თურქებს, ანუ, მისი აზრით, "შაჰ-ნამეს" თურანელებს[11], რომელთა ეთნიკური და ტერიტორიული კუთვნილების საკითხი, სხვათა შორის, თვითონ მოითხოვდა დადგენას.

მ. ბროსეს აღნიშნული მოსაზრება ნაწილობრივ გაზიარებულ იქნა, კერძოდ, პარალელი თურანელებთან, მაგრამ ე. თაყაიშვილმა სიტყვის ეტიმოლოგიაზე საკუთარი მოსაზრება წამოაყენა, დაუკავშირა რა კომპონენტი "ბუნ" სომხურ შუბის ტარს, რომელიც, მკვლევარის ვარაუდით, ალბათ, ძველ ქართულში შუბს ნიშნავდა. აქედან გამომდინარე თვით ბუნ-თურქი ე. თაყაიშვილმა თარგმნა როგორც შუბოსანი თურქი[12]. როგორც გ. წულაიამაც შენიშნა, მკვლევარი ამ შემთხვევაში დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონს ეყრდნობა. ასეთი ინტერპრეტაცია სამართლიანად გააკრიტიკა ნ. ჯანაშიამ, რომელმაც გაიზიარა ნ. მარისა და მის მიმდევართა მოსაზრება[13].

ნ. მარი ტერმინს არაერთგზის შეეხო და განმარტა ის როგორც ადგილობრივი, ავტოხთონური[14]. იგივე აზრი გაიმეორა მ. ანდრონიკაშვილმა, რომელმაც მოიტანა სათანადო მასალები სანსკრიტულ, ფალაურ (საშუალო), ახალ სპარსულ და სომხური ენებიდან[15]. ლ. მელიქსეთ-ბეგმა ტერმინი პალეოგრაფიულ ნიადაგზე მიღებულ შეცდომად მიიჩნია და იგულისხმა აქ ჰუნ-თურქი[16]. ტერმინი ბუნ-თურქი გ. მელიქიშვილს ერთგან განმარტებული აქვს როგორც "თავდაპირველი თურქები", ხოლო მეორეგან "ბუნ-თურქი" და "ჰუნები" როგორც ჰუნები, ჰუნ-თურქები[17]. ზ. ანჩაბაძემ იგივე ტერმინი დაუკავშირა კავკასიელ ბულგარელებს (ჰუნებს), თუმცა თავისი მოსაზრება არ დაუსაბუთებია[18]. ვ. გაბაშვილმა ორი ვარაუდი გამოთქვა. პირველის თანახმად ბუნ-თურქი მან უცხოური წყაროების "გუნი"-ს, იგივე "ჰუნი"-ს, დაუკავშირა, მეორეთი კი - მე-6 ს. თურქთა სახაკანოს ერთ-ერთ დამაარსებლის ტუმინის, ან ბუმინის სახელს[19].

იგივე ტერმინი გ. წულაიამ განმარტა როგორც თურქული ეთნიკური ტერმინი "коренные, подлинные турки". ერთ-ერთი კომენტარიდან ჩანს, რომ გ. წულაიას ლეონტი მროველის თურქები სპარსული ეპოსის თურანელებად მიაჩნია, ხოლო უკანასკნელნი - თურქებად (20). აზერბაიჯანელმა მეცნიერმა მ. სეიდოვმა თარგმნა ეს ტერმინი როგორც თურქული ტომი, ვინაიდან ზოგიერთ თურქულ ენასა და დიალექტში - კუმანურ, ყირგიზულ, ყარაყირგიზულ და ყაზანულ-თათრულში "ბუნ" თაობას აღნიშნავსო. გამოყენებულია ვ. რადლოვის ლექსიკონის მასალები[21].

თავის მხრივ ტერმინმა "თურქი" არაერთი მკვლევარის ყურადღება მიიპყრო. საბჭოთა მეცნიერებმა ძირითადად გაიზიარეს ვ. ბარტოლდის აზრი იმის შესახებ, რომ აღნიშნულ ტერმინს თავდაპირველად და საკმაოდ დიდხანს არა ეთნიკური, არამედ პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. იგი აღნიშნავდა ტომთა სამხედრო გაერთიანებას, რომელთაგანაც თითოეულს თავისი საკუთარი სახელი ერქვა[22]. მე-5 ს-ში ტერმინი თურქი ეწოდებოდა მთავარი აშინის ირგვლივ შემოკრებილ თურქულ ენაზე მოლაპარაკე ურდოს, თუმცა ამავე ენაზე მოლაპარაკე მეზობელ ხალხს სხვა სახელი ერქვა[23]. მე-6 ს-ში ჩინელები ამ ტერმინს,

რომელიც მათ მონღოლურენოვანი ჟუჟანებისაგან ისესხეს, თუქუეს ფორმით იცნობდნენ. მე-6 ს-დან იხსენიება ტერმინი არაბულ წყაროებში ცენტრალური აზიის ყველა მომთაბარე ტომის აღსანიშნავად, იმისაგან დამოუკიდებლად, თუ რომელ ენაზე ლაპარაკობდნენ ისინი. მე-6 ს-ის მე-2 ნახევრის ისტორიკოსის თეოფანე ბიზანტიელის ცნობით "ტანაიდის აღმოსავლეთით მდებარე მხარეში ბინადრობენ თურქები, რომელთაც ძველად მასაგეტები ეწოდებოდათ და რომელთაც სპარსელები თავიანთ ენაზე კერმიხიონებს ეძახიან"[24]. მომთაბარე ტომებს აღნიშნავდა ტერმინი სირიულ წყაროებში (მე-6 ს.), ძველ თურქულში (მე-7-8სს), ტიბეტურში (მე-8-9სს.). რაშიდ ად-დინი უკვე არჩევს თურქებსა და მონღოლებს. ა. კონონოვის აზრით, სიტყვის ეტიმოლოგია უკავშირდება საერთო ტოტემის დასახელებას თურ-თორ[25]. დროთა განმავლობაში ტერმინმა უარყოფითი მნიშვნელობა შეიძინა და უვიცის, მდაბიოს სინონიმად იქცა. მისი რეაბილიტაცია მოხდა მხოლოდ ახალ ეპოქაში. ეთნიკური მნიშვნელობა ტერმინმა საკმაოდ გვიან შეიძინა, ხოლო კიდევ უფრო გვიან იგი ერთი ოჯახის ენათა მთელი სისტემის დასახელებად იქცა[26].

სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ აღინიშნა, რომ ბიბლიურ გოგსა და მაგოგთან სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფები არიან დაკავშირებული, მათ შორის პირველ რიგში ირანულენოვანი და თურქულენოვანი. თუ სკვითი გულისხმობს ატილას ჰუნებს, კუტრიგურებს, უტიგურებს, ონოგურებს, თურქებს, ავარებს, ხაზარებს, ბულგარებს, უნგრელებს, პაჭანიგებს, უზებს, სელჩუკებს, მონღოლებს, ოსმალებს, გოთებს, სლავებს, რუსებს, საკუთრივ სკვითებს, ზოგიერთ შემთხვევაში ქართველური წარმოშობის ხალხებსაც კი, თავის მხრივ თურქიც ნიშნავს გოგისა და მაგოგის ყველა შთამომავალს[27].

მიუხედავად ამისა, ზოგიერთ შემთხვევაში ქართული წყაროების თურქი გაგებულ იქნა სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობით. შ. მესხიამ დაადასტურა ცნობა იმის შესახებ, რომ თურქნი შეადგენდნენ ქართლის მოსახლეობის ნაწილს, ხოლო უფრო დეტალურად მათი წარმომავლობის საკითხზე არ უმსჯელია[28]. გ. წულაიამ ცნობა ანაქრონიზმად მიიჩნია, თუმცა არ გამორიცხა რომელიმე ძველ დროში თურანელების (თურქების) ქართლში ჩასახლების შესაძლებლობა, ამასთანავე შენიშნა: "Исследователи отмечают удивительную уживчи—вость тюрок домусульманского периода с чужеродными племенами"[29]. ერთ-ერთი აზრით ბუნ-თურქები შორეულ წარსულში ასიმილირებული კავკასიური (არაქართული) წარმოშობის ტომები ყოფილან[30]. აზერბაიჯანელმა მეცნიერმა მ. სეიდოვმა ქართულ წყაროებზე დაყრდნობით თურქები კავკასიის უძველეს მოსახლეობად მიიჩნია[31].

ვხვდებით განსხვავებულ შეხედულებებსაც.

ო. ლორთქიფანიძის აზრით "ქართლის ცხოვრებაში" აქემენიდთა ირანის ძლიერების ხანა აისახა. მკვლევარი ფრთხილ ვარაუდს გამოთქვამს, "ხომ არაა აქ გამოძახილი აქემენიდთა ირანის მმართველის დარიოს I ძლევამოსილი ლაშქრობისა შუა აზიაში მოსახლე საკებისა და მასაგეტების წინააღმდეგ... ცნობილია, რომ ამ დროს იწყება ამ სკვითური ტომების მოძალება წინა აზიასა და ამიერკავკასიაში"[32]. "ქართლის ცხოვრებაში" მართლაც არის ცნობები დარიოსის შესახებ, მაგრამ ცოტა გვიან, იქ, სადაც ლაპარაკია სპანდიატ რვალზე, რომელიც შურს იძიებს პაპის მკვლელობისათვის[33] "ძე სპარსთა მეფისა ვაშტაშაბისი, სახელით სპანდიატ-რვალი, მოკლეს მამის მამა მისი თურქთა და შე-

მოვიდეს თურქნი სპარსეთად...შეიქცა თურქთა ზედა ძებნად სისხლსა მამის-მამისა მისისასა". ჩვენთვის საინტერესო ამბები ამას წინ უსწრებს და, ვფიქრობთ, სწორია იმ მკვლევართა მოსაზრება, რომლებსაც დ. ბაქრაძის[34] კვალდაკვალ ეს ამბები მიდიის ხანაში გადააქვთ, ხოლო ქართულ წყაროებში მოხსენიებულ ბუნ-თურქებს სკვითებად მიიჩნევენ.

მკვლევართა უმრავლესობის აზრით ქართული წყაროების ცნობებს ისტორიოგრაფიული წარმოშობა აქვს. ხშირად "ქართლის ცხოვრების" განსახილველ ნაწყვეტს "შაჰ-ნამეს" წინამორბედ თხზულებებთან ან გოგისა და მაგოგის ლეგენდების ციკლთან აკავშირებენ (მ. ბროსე, პ. ინგოროყვა, კ. კეკელიძე, ო. ლორთქიფანიძე, გ. მამულია[35] და სხვ.). მ. ანდრონიკაშვილის აზრით, ლეონტი მროველი არა ერთი, არამედ რამდენიმე წყაროთი სარგებლობდა. "შაჰ-ნამეს" წინამორბედ "ხვადაი-ნამაკის" არაბულ და ახალსპარსულ თარგმანებთან ერთად ის იყენებდა სპარსული ეპიკური ციკლის გმირებზე ქართულ ზეპირ გადმოცემებსაც[36].

ზოგიერთი მკვლევარის დასკვნით "ქართლის ცხოვრების" ცნობები ბუნ-თურქებზე მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს (გ. ყორანაშვილი)[37], მაგრამ არაერთმა მკვლევარმა მასში რეალობა დაინახა. მათ შორის არის ვ. კოვალევსკაია, რომლის დასკვნითაც ლეონტი მროველის ნაწყვეტში არ იგულისხმებიან "შაჰ-ნამეს" თურანელები, ავტორის აზრით, "ქართლის ცხოვრების" თურქები რეალობაა[38], თუმცა თავის მხრივ არც "შაჰ-ნამეს" პრობლემაა მარტივად გადასაჭრელი და ხშირ შემთხვევაში ისიც სანდო ისტორიულ წყაროდ არის მიჩნეული.

ლეონტი მროველი თურქებს რამდენიმეჯერ იხსენიებს და ყველა შემთხვევაში სპარსეთის მეფეებთან ურთიერთობაში. ესენი არიან ქეიკაპოსი, ძე მისი ფარაბოროტი, დისწული მისი შიოშ ბედნიერი და ძე მისი ქაიხოსრო. ყველა ეს მეფე გვხდება "შაჰ-ნამეშიც", რომლის თურანისა და თურანელების შესახებ სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული. მართალია, როგორც ა. კონონოვმა აღნიშნა, პოემამ განამტკიცა ხელოვნური ეტიმოლოგია, რომელიც "თურქს" ფერიდუნის შვილს თურს უკავშირებს და რომლის სამფლობელო იყო თურანის ქვეყანა – ირანის მუდმივი მეტოქე და დაპირისპირებული ძალა, მაგრამ არაერთი მეცნიერის აზრით, თურ არ მომდინარეობს თურანიდან, ვინაიდან თურანელები არიელები არიან. ამასთანავე აღნიშნავენ იმ ფაქტს, რომ "შაჰ-ნამეს" მიხედვით ირანის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე თურანი ძველად უპირატესად ირანულენოვანი მოსახლეობით იყო დასახლებული[39].

"შაჰ-ნამეს" ზოგჯერ 3 ძირითად ნაწილად ყოფენ -მითოლოგიური, საგმირო (საფალავნო) და ისტორიული[40]. ჩვენთვის საინტერესო ცნობები მეორე ნაწილშია, სადაც სისთანის მეფის გოლიათი როსთამის გმირობა სამი ქაიანიდის გამგებლობას ემთხვევა - ქაიყობადის, ქეიქაუსის და ქაიხოსროსი. აქვე გადმოცემულია ქეიქაუსის ვაჟის სიავუშის ტრაგიკული ბედი, რომელიც მამაზე ნაწყენი გადადის თურანში და ცოლად ირთავს თურანის მეფის აფრასიაბის ქალს. მაგრამ შემდეგ აფრასიაბი აკვლევინებს სიავუშს. უკანასკნელის ვაჟი ქაიხოსრო იწყებს ომს მის წინააღმდეგ და ამარცხებს თურანელებს.

"ქართლის ცხოვრების" მიხედვით ქაიხოსროსაგან გამოდევნილი თურქები ქართლში მოდიან, 28 სახლი. ამ რიცხვთან დაკავშირებითაც ლიტერატურაში სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული. რომ ეს არის შესწორება "ქართლის ცხოვრების" ცნობისა აზოს მიერ "არიან ქართლიდან" მამა მძუძეთა 18 ოჯახის გადმოსახლების შესახებ[41]. ან გვხვდება ასეთი მსჯელობაც, რომ "ოტებულ

თურქთ გამოეყო 28 ოჯახი, მცხეთელ მამასახლისს, აღუთქვა დახმარება სპარსთა წინააღმდეგ და რომელნიც "ყოველთა ქართველთა" დასტურით ქალაქში დაასახლეს. მათ უპირისპირდებიან დანარჩენები - წყაროს აბუჩი გამოთქმით "უმრავლესნი", რომელთაც მამასახლისი ქალაქს გარეთ ასახლებს[42]. ყურადღება მიექცა ამ რიცხვსა და წინა აზიაში სკვითთა ბატონობის ხანგრძლიობის დამთხვევას - 28 წელი[43].

წყაროების მიხედვით ირკვევა, რომ "შაჰ-ნამეს" აღნიშნული მეფეების პროტოტიპები სრულიად რეალური პირები არიან, კერძოდ,მიდიის მეფეები დეიოკესი, რომელიც მიდიის და მისი დედაქალაქის (ექბატანი) დამაარსებლად ითვლება, ფრაორტესი (იგივე ქაშათრათი) და კიაქსარესი.

ჰეროდოტე მიდიის მეფეების შემდეგ თანამიმდევრობას გვთავაზობს – დეიოკესი, ფრაორტესი, კიაქსარესი. მისსავე ცნობით, მიდიელებს აზია 28 წლის მანძილზე ეკავათ[44]. ამასვე ეთანხმება მოვსეს ხორენაცის სიაც- დეოკოსი, ფრავორტისი, კვაქსარქსი[45]. ამგვარად, "ქართლის ცხოვრებაში" ასახული ვითარება ყველაზე მეტად მიდიის მეფეთა ხანას შეესაბამება. მიდიის პირველი მეფე დეიოკესი ("ქართლის ცხოვრების" მიხედვით ქეკაპოსი) ებრძვის როგორც ჩრდილოელებს (ე. ი. სკვითებს), ასევე შემდეგ თურქებს, რომელთა განსახლების ადგილი მითითებული არ არის. მანვე მოხარკე ყვნა ქართველნი. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ფრაორტესი მოკლეს სკვითებმა, რომლებიც ასურელების მოკავშირეები იყვნენ[46] და რომ სკვითების ჰეგემონია მიდიაზე გაგრძელდა, ვიდრე ისინი არ დამარცხდნენ კიაქსარესთან ბრძოლაში და განიდევნენ.[47]

როგორც დავინახეთ, ძველმა ქართულმა მატიანეებმა შემოგვინახეს ცნობები საქართველოში სკვითების მოსვლის შესახებ. იოანე ბაგრატიონის მიხედვით, სკვითები ქართლში ჩრდილოეთიდან მოვიდნენ, "მოქცევაის" მიხედვით სპარსეთიდან მოსულ ჰონებს ქართლში ბუნ-თურქები დახვდნენ, ხოლო "ქართლის ცხოვრებაში" სპარსეთიდან მოსული ბუნ-თურქების გარდა ქართლში ჩრდილოეთიდან შემოსული ხაზარებიც იყვნენ, რომლებიც აღნიშნულ მონაკვეთში სკვითებს გულისხმობს[48]. ყველაფერი ეს, შესაძლოა, იმაზეც მიუთითებდეს, რომ სკვითები საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა დროს და სხვადასხვა გზით მოდიოდნენ: ჩრდილოეთიდან ან სამხრეთიდან.

საქართველოს ტერიტორიასთან სკვითების ერთგვარ კავშირზე მიუთითებს ბერძნულ-რომაული წყაროებიც, რომელთა თანახმად ხალიბები, ასევე ლაზები სკვითური ტომია, კოლხეთი სკვითური ქვეყანაა. იგივე ვრცელდება აფსილებზეც[49]

წერილობითი ძეგლების გარდა მნიშვნელოვან მასალას იძლევა ენობრივი და არქეოლოგიური წყაროები. ენობრივი მასალის დეტალური ანალიზი მ. ანდრონიკაშვილს საფუძველს აძლევს საქართველოს ტერიტორიაზე გარკვეულ პერიოდში სკვითების ყოფნა ივარაუდოს[50].

რაც შეეხება არქეოლოგიურ მასალას, მათ ანალიზს მკვლევარები ჯერ-ჯერობით სხვადასხვა დასკვნამდე მიყავს.

სკვითების შეჭრა წინა აზიაში, მათი მარშრუტები, ე.წ. "სკვითური სამეფოს" საკითხი არაერთი მკვლევარის ყურადღებას იქცევს. საქართველოს ტერიტორიაზე სკვითების კვალის არსებობაც მრავალჯერ აღინიშნა, მათ შორის ქართულ ისტორიოგრაფიაში (ნ. მარი, ი. ჯავახიშვილი, ა. შანიძე, გ. მელიქიშვილი, მ. ანდრონიკაშვილი, რ. აბრამიშვილი, მ. ფირცხალავა, გ. ქავთარია,

ნ. ახვლედიანი და სხვ.). არქეოლოგიურ გათხრებში სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილას დადასტურებული სკვითური მასალა, რომელიც თუმცა არ სცილდება ძვ. წ. მე-8 და ძვ. წ. მე-6 სს., ენობრივ მონაცემებთან ერთად ვრცელ საკამათოდ ტოვებს საკითხს მოსულთა აქ ყოფნის ფორმის შესახებ. თუ ერთ შემთხვევაში გამოთქმულია ვარაუდი მათი პოლიტიკური ბატონობის შესახებ აღმოსავლეთ საქართველოს ნაწილზე (გ. მელიქიშვილი, მ. ანდრონიკაშვილი, რ. აბრამიშვილი)[51], მეორე შემთხვევაში საუბარია ტომთა შორის ურთიერთობაზე (მ. ფირცხალავა)[52], ან ნომადების მიერ აღმოსავლეთ საქართველოს გარკვეული ტერიტორიის სამხრეთისაკენ წინსვლის ფორპოსტად გამოყენებაზე (ნ. ახვლედიანი)[53].

პრობლემის შესახებ ქართული წერილობითი წყაროების ინფორმაციის სისრულისათვის საჭიროა შევეხოთ "ქართლის ცხოვრების" კიდევ ერთ ცნობას. ლეონტი მროველის გადმოცემით, ალექსანდრე მაკედონელის მეფობამდე "იზრახებოდა ქართლსა შინა ექუსი ენა: სომხური, ქართული, ხაზარული, ასურული, ებრაული და ბერძნული"[54] აღნიშნული ცნობა არაერთხელ გამხდარა მსჯელობის საგანი. სამეცნიერო ლიტერატურაში ყურადღება მიექცა ერთი შეხედვით ერთგვარ შეუსაბამობას აქ ჩამოთვლილ ენათა და ძეგლის სხვა ცნობებს შორის. "მეფეთა ცხოვრების" მკითხველისათვის გასაგები რომ ყოფილიყო, თუ საიდან გაჩნდნენ ქართლში ჩამოთვლილი ენები, ავტორს ამის შესახებ რაიმე ცნობები უნდა მოეცა წინამავალ თხრობაში. ასეთი ცნობებია აქ, მაგალითად, თურქებზე და სპარსელებზე. აქედან გამომდინარე ჩამონათვალს თითქოს აკლდა თურქული და სპარსული ენები"[55] ეს თვალსაზრისი შემდეგ ასე განვითარდა: "ლეონტი მროველის სიას აკლდა თურქული... მაგრამ თურქულიანად ქართლის მოსახლეობა შვიდ ენაზე მოლაპარაკე გამოდის, მაშინ, როცა ტექსტში გარკვევით არის ნათქვამი - "იზრახებოდა ქართლსა შინა ექუსი ენა". სრულიად აშკარაა, რომ "მეფეთა ცხოვრების" არქეტიპში (ან მის წყაროში) ეწერებოდა "და იზრახებოდა ქართლსა შინა ექუსი ენა: "თურქული, ქართული, ხაზარული, ასურული, ებრაული და ბერძნული"[56] ასეთივე ლოგიკით ხელმძღვანელობდა, როგორც ჩანს, იოანე ბაგრატიონიც, რომელმაც "ქართლის ცხოვრების" ენათა სია ასე განავრცო: "სპარსული, სომხური, თურქული, ქრისტიანული ხაზარული, ეგვიპტური, ასურული, ბერძნული და ურიული"[57]. მაგრამ შემოთავაზებული კონიექტურების გაზიარება შეუძლებელია.

"ქართლის ცხოვრებაში" ჩამოთვლილი ყველა ენა იდენტიფიცირებულია. აქ მოხსენიებული ასურული ენა არამეულია[58], რომელიც აქემენიდურ სპარსეთში საქმისწარმოების ენა იყო, რომელიც, ჩანს, ქართლშიც იცოდნენ. ამის და იმის გამო, რომ "ქართლის ცხოვრების" მიხედვით სპარსელები მხოლოდ დამპყრობლები იყვნენ და არა ქართლში შემოხიზნული ლტოლვილები, როგორც, მაგალითად, ბერძნები, ასურელები და ებრაელები[59], ლეონტი მროველის ჩამონათვალში სრულიად ზედმეტი ხდებოდა სპარსული ენა. რაც შეეხება ხაზარულ ენას, ის ზოგიერთ მეცნიერს (ვ. დონდუა, ა. სუმბათ-ზადე)[60] დასაბუთების გარეშე თურქულად მიაჩნია.წყაროებით თურქულენოვანი მასივის ყოფნა წინა აზიაში ახ. წ.-მდე არ დასტურდება[61], ხოლო ხაზარული ენა აღნიშნულ კონტექსტში სკვითურ-სარმატულს გულისხმობს.

ის, რომ ცნობაში არ არის შეტანილი თურქული ენა, შესაძლოა, იმაზე მიუთითებდეს, რომ "ქართლის ცხოვრების" შესაბამისი მონაკვეთის ავტორმა იცის,

რომ სპარსეთიდან გამოდევნილი თურქები და ჩრდილოეთიდან მოსული ხაზარები ერთსა და იმავე ენაზე ლაპარაკობდნენ.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, 1, თბ., 1964, გვ. 81.
2. ქართლის ცხოვრება ("ძველი ქართლის ცხოვრება"). გამოსაცემად მოამზადეს, წინასიტყვაობა და ტერმინთა განმარტება დაურთეს ი. ანთელავამ და ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1996, გვ, 47.
3. თაყაიშვილი ე. სამი ისტორიული ქრონიკა, თბ., 1890, გვ. CI.
4. ჯანაშია ნ. "ცხოვრება ქართველთა მეფეთა"-ს წყაროებისათვის. - კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები. თბ., 1966, გვ. 138-139.
5. არახამია გ. "ქართლის ცხოვრების" პირველი მატიანის წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული შესწავლის საკითხები, სადოქტორო დისერტაცია (ხელნაწერი ინახება საქ. მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში), თბ., 1994, გვ. 184-185 (იქვე იხ. ცნობის დაწვრილებითი ანალიზი).
6. ქართლის ცხოვრება, გვ. 47.
7. ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა.- ქართლის ცხოვრება, IV. ტექსტი, დადგენილი ყველა ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1973, გვ. 53.
8. საქ. მეცნ. აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი H -2134, 525 r.v.
9. სტეფანოს ორბელიანის "ცხოვრება ორბელთა"-ს ძველი ქართული თარგმანები. ქართულ-სომხური ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1976, გვ. 25.
10. H -2134,526 v.
11. Brosset M. Histoire de la Géorgie 1, S-Pb, 1849, 33.
12. Такайшвили Е.С. Источники грузинских летописей. Три хроники, Тифл., 1890. с. 1—2.
13. ჯანაშია ნ. "ცხოვრება ქართველთა მეფეთას" წყაროებისათვის, გვ. 134.
14. Марр Н. Я. Ипполит. Толкование Песни Песней. СПб., 1901, с.1—X11.
15. ანდრონიკაშვილი მ. ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, 1. თბ., 1966, გვ., 299.
16. Меликсет—Бек Л.Топонимические штудии к этимологии названий "Хунан" и "Вардзия".— За марксистское языкознание.Тб.,1934, с.158, прим. 2. Он же. К истории появления гуннов в Восточном Закавказье.— АН Азерб ССР. Доклады. XIII, Б, 1957, 709-715.
17. მელიქიშვილი გ. ქართლი (იბერია) ძვ. წ. VI-IV საუკუნეებში. ქართლის სამეფოს წარმოქმნა. - საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, თბ., 1970, გვ. 438; Меликишвили Г. А. К истории Древней Грузии, Тб., 1969, გვ. 37.

18. Анчабадзе З. В. Кипчаки Северного Кавказа по данным грузинских летописей XI–XIV вв.– Материалы научной сессии по проблемам происхождения Балкарского и Кавказского народов. Нальчик, 1968, с. 115.
19. გაბაშვილი ვ. ცნობები თურქული ტომებისა და ხალხების შესახებ ძველ ქართულ წყაროებში. - ქართული წყაროთმცოდნეობა III, თბ., 1971, გვ. 45-46. სტეფანე ბიზანტიელი, გეორგიკა, III, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1936, გვ. 253.
20. Мровели Леонти. Жизнь Картлийских царей. Извлечение сведений с древнегрузинского, предисловие и комментарии Г.В. Цулая, М., 1979, с. 59–60.
21. Сейдов М. Опыт этимологического анализа слова Бунтурк//Бунтюрк. – Доклады АН Азерб ССР, 1969, 8 т. XXV, с. 91–93; Радлов В. В. Опыт словаря тюркских наречий, т. IV, ч. 2, СПб., 1911, 813.
22. Кононов А.Н. Опыт анализа термина турк. – СЭ 1949, 1, с. 40–48.
23. Гумилев Л. Н. Древние тюрки. М.,1967, с. 24; Артамонов М.И. История хазар, Л., 1962, с. 103–104.
24. გეორგიკა 111, გვ. 253.
25. Кляшторный С. Г. Проблемы ранней истории племени турк (Ашина). – Новое в советской археологии, М., 1965 (Материалы и исследования по археологии СССР, 130, с. 278).
26. იქვე.
27. Дерфер Г. О языке гуннов.– Зарубежная тюркология. Вып. I,79; Anderson A.R. Alexander's Gate. Gog and Magog and the enclosed nations. Cambridge, Massachusetts, 1931.
28. მესხია შ. ლეონტი მროველი საქართველოს ისტორიის ორი პერიოდის შესახებ. - კავკასიის ხალხთა ისტორიისათვის, თბ., 1966, 122-123.
29. Мровели Леонти,с.58.
30. Новосельцев А. П., Пашуто В. Г., Черепнин Л. В. Пути развития феодализма, М., 1972, с. 32–34.
31. Сейдов М. დასახ. ნაშრ.
32. ლორთქიფანიძე ო. ლეონტი მროველის ცნობები "მცხეთელი მამასახლისის" შესახებ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XXIX, №6, 1962, გვ. 804-805.
33. დაკვირვება მკუთვნის ვ. კოვალევსკაიას Ковалевская В. Б. Скифы, Мидия, Иран во взаимоотношениях с Закавказьем по данным Леонти Мровели, მაცნე, ისტორიის სერია, 1975, 3.
34. ბაქრაძე დ. ისტორია საქართველოსი, 1889, გვ. 132 (მე-8 კარი).
35. ლორთქიფანიძე ო. დასახ. ნაშრომი (იქვე ის. შესაბამისი ლიტერატურა); მამულია გ. "აფრასიაბის გამოქვაბულის" ლეგენდა ლეონტი მროველის წყარო. – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XXX, 1, თბ., 1965, გვ. 247-249; მისივე: კლასობრივი საზოგადოება და სახელმწიფოს ჩამოყალიბება ძველ ქართლში, თბ., 1979, გვ. 149-153.
36. ანდრონიკაშვილი მ. დასახ. ნაშრ., გვ. 148-149.

37. ყორანაშვილი გ. "მოქცევაი ქართლისაი" სა და "მეფეთა ცხოვრების" ერთი ადგილის გაგებისათვის.- საქართველოს ისტორიის საკითხები, ნაწ. I, თბ., 1994, გვ. 205.
38. Ковалевская В. Б. დასახ. ნაშრ. გვ. 67.
39. Кононов А. Н. Опыт анализа термина турк; Иностранцев К. Хунну и Хунны. Л.,1926, с.44.
40. თოდუა მ. ფირდოუსი და მისი "შაჰ-ნამე". ქუთაისი, 1995, გვ. 35.
41. მელიქიშვილი გ. დასახ. ნაშრ. გვ. 37
42. ლორთქიფანიძე ო. მცხეთის საქალაქო თემის ისტორიისათვის, გვ. 802 (სქოლიო); Ковалевская В. Б.დასახ ნაშრ. 69 – 70.
43. Ковалевская В. Б. с. 69; ახვლედიანი ნ. რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლები თბილისიდან (თრელის ნასახლარი და სამაროვანი), საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1999 (ხელნაწერი ინახება საქ. მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ბიბლიოთეკაში), გვ. 90.
44. ჰეროდოტე. ისტორია. ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და საძიებელი დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა, ტ. 1, თბ., 1975, გვ. 74-75.
45. მოვსეს ხორენაცი. სომხეთის ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ა. აბდალაძემ, თბ., 1984, გვ. 87.
46. Пигулевская Н. В. Якубовский А. Ю., Петрушевский И. П., Строева Л. В., Беленицкий А. М. История Ирана с древнейших времен до конца XVIII века, Л., 1958, с. 10 – 11.
47. Дандамаев М.А. Лекция 7. Мидия и Ахеменидская Персия. – История Древнего мира. Расцвет древних обществ. М., 1982, с. 78.
48. ანჩაბაძე გ. ეთნონიმ "ხაზარის" მნიშვნელობისათვის "ქართლის ცხოვრებაში".- ქართული წყაროთმცოდნეობა, VIII, გვ. 41.
49. ცნობები იხ. სტეფანე ბიზანტიელთან (გეორგიკა, 111. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1936, გვ. 276, 281; შესაბამისი მასალა იხ. აგრეთვე მ. ფირცხალავას საკანდიდატო დისერტაციაში "არქაული ხანის (ძვ. წ. მე-7-6 სს) სკვითური კულტურის ძეგლები საქართველოში, თბ., 1975, გვ. 21, დისერტაციის ხელნაწერი ინახება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგირი კვლევის ცენტრის ბიბლიოთეკაში.
50. ანდრონიკაშვილი მ. დასახ. ნაშრ., გვ. 40-55.
51. Abramischvili R. Neue Angaben uber die Existenz des Thrakokimmerischen Ethnischen Elements und des Sog. Skythischen Reiches im Osten Transkavkasiens. Archaologischer Anzeiger, 1995.
52. ფირცხალავა მ. არქაული ხანის (ძვ. წ. VII-VI სს.) სკვითური კულტურის ძეგლები საქართველოში, თბ., 1975. გვ. 149.
53. ახვლედიანი ნ. დასახ. ნაშრ. გვ. 93-100.
54. ქვ., გვ. 48.
55. ჯანაშია ნ. "ცხოვრება ქართველთა მეფეთა"-ს წყაროებისათვის. - "ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ნარკვევები", თბ., 1986, გვ. 109.
56. ალექსიძე ზ. ამბავი ქართლისა და ნათესავისა მათისა.- ამიერკავკასიის ისტორიის პრობლემები, თბ., 1991, გვ. 82.

57. H-/ 2134 გვ. 526.
58. წერეთელი კ. "სირიელისა" და "ასურელის" აღმნიშვნელი ეთნიკური ტერმინები ქართულში. - ი. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 1976, გვ. 182.
59. არახამია გ. დასახ. ნაშრ. გვ. 115.
60. დონდუა ვ. ლეონტი მროველისმიერი პროტოისტორიის ზოგი ამოსაკითხავი. - საისტორიო ძიებანი, 1, თბ. 1967, გვ. 16; Сумбат–Заде А. С. Азербайджанцы–этногенез и формирование народа, Баку, 1990, с. 91.
61. Джафаров Ю. Р. Гунны и Азербайджан. Б., 1985, с. 11–40.

Giuli Alasania

Bun -Turks of the Georgian Written Sources

The paper traces meaning of the term "Turk" according to the various sources. Analyzing evidence of the Georgian written sources - "Moktsevay Kartlisay" ("Conversion of Kartli"), "Kartlis Tskhovreba" ("History of Kartli"), as well as of the works by Vakhushti Bagrationi and Ioann Bagrationi, the author shares the conclusion of the scholars that Bun-Turks of the Georgian sources are Scythians. It's supposed that "Khazar language" mentioned in the "Kartlis Tskhovreba" is Scythian-Sarmatian. Thus the terms "Turk" and "Khazar" of the first author of "Kartlis Tskhovreba", Leonti Mroveli, sometimes are synonyms. Different perceptions of the term Bun-Turk according to the scholarly literature are considered as well. Finally the opinion of the author regarding short-term settling of Scythians on the Georgian territory is expressed (confirming G. Melikishvili, M. Andronikashvili, R. Abramishvili, V. Kovalevskaya.).

მანანა სანაძე

საქართველოს ისტორიის უძველესი პერიოდი „ქართლის ცხოვრებისა“ და „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ მიხედვით

„ქართლის ცხოვრება“ და „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ შეიცავს უმნიშვნელოვანეს ცნობებს საქართველოს და საერთოდ კავკასიის ხალხების უძველესი ისტორიის შესახებ. ქვემოთ ჩვენ შევეხებით ამ ცნობათა ერთ ნაწილს.

უპირველეს ყოვლისა განვიხილოთ ინფორმაცია „ხაზართა“ ლაშქრობებისა, „თურქთა“ და „ებრაელთა“ ქართლში მოსვლის და იმ „უხსოვარ დროში“ „სპარსთა“ მიერ სამხრეთ კავკასიის, მათ შორის ქართველთა წინაპრების დამორჩილების შესახებ.

დიდი ხანია შენიშნულია, რომ „ქართლის ცხოვრების“ შესავალ, ფარნავაზის მეფობის წინარე ხანის ამსახველ, ნაწილში კავკასიის გადმოსასვლელებით (დარიალი, დარუბანდი) „ხაზართა“ ლაშქრობების აღწერისას მემატიანე მის დროს (VII-VIII სს. ძ. ს) კავკასიის ჩრდილოეთით გაბატონებული ხალხის სახელის „ხაზარის“ ქვეშ სკვითებს და კიმერიელებს გულისხმობს, რომელთა მომთაბარე ტომების შემოსევებს ადგილი ჰქონდა ძვ. წ. VIII-VI სს-ში. (2, 45; 15, 10-11). ამ შემოსევების რეალურობა და სკვითების ხანგრძლივი ბატონობა წინა აზიასა და სამხრეთ კავკასიაში დასტურდება, როგორც ძველი ბერძენი ავტორების ცნობებით, ისე ბოლო ხანების არქეოლოგიური მონაცემებით (21,6; 17, 45-59).*

ირანული სამყარო „ქართლის ცხოვრების“ ამ უძველესი ისტორიის ამსახველ მონაკვეთში ჯერ წარმოდგენილია მიდიის სამეფოს და მისი მეფეების (ქეკაპოსი, ფარაბოროტი-ფრაატი, ქაიხოსრო, იგივე ყიახსარი) სახით. შემდგომ კი აქემენიდური ირანის (სპანდიატ-რვალი ძე გაშტაშაბისა, იგივე დარიოს ვაშტაშაბის ძე) სახით.

მთელი ეს ინფორმაცია „ქართლის ცხოვრებაში“, ჩვენი აზრით, არ არის მოხვედრილი ზეპირსიტყვიერების გზით. ეს წიგნიერი ინფორმაციაა, მისი ჩაწერა მოხდა ირანულ სამყაროში (პართია, სასანური ირანი), ხოლო ავესტის ხვატაი ნამაკის, თუ სხვა დღემდე ვერ მოღწეული არამეული ტექსტების გაცნობა-ათვისების შედეგად დაიმკვიდრა მან ადგილი ჩვენ წინაპართა ცნობიერებასა და ძველ ქართულ მწერლობაში.

სამხრეთ კავკასიაში სკვითების („ხაზარების“) შემოსევის, მათი აქ ხანგრძლივი ბინადრობისა და ჩვენი წინაპრების ირანულ სამყაროსთან (მიდია, აქემენიდური ირანი) ურთიერთობის შესახებ ცნობებთან ერთად, „ქართლის ცხოვრება“ შეიცავს ინფორმაციას „თურქთა“ და „ებრაელთა“ ქართლში მოსვლის შესახებ ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობების წინარე ხანაში.

„ქართლის ცხოვრება“ აღნიშნავს: „ხოლო მასვე ჟამსა მოვიდეს თურქნი ოტებულნი მისვე ქაიხოსროსაგან. გამოვლეს ზღვა გურგანისა, აღმოყვეს მტკუარსა და

---

* დაწვრილებით ისტორიოგრაფია ამ საკითხის ირგვლივ იხ. ამავე კრებულში, აქვე: გ. ალასანიას სტატიაში.

მოვიდეს მცხეთას სახლი ოცდა რვა და ეზრახნენ მამასახლისსა მცხეთისასა, აღუთქვეს შეწევნა სპარსთა ზედა. ხოლო მამასახლისმან მცხეთელმან აუწყა ყოველთა ქართველთა. ინებეს დამეგობრება მათ თურქთა, რამეთუ აქუნდა შიში სპარსთა და შემწეობისათვის დაიმეგობრნეს თურქნი იგი გამოსხმულნი და განიყვანეს ყოველთა ქალაქთა შინა. ხოლო უმრავლესნი მათგანნი მოვიდეს და პოვეს ადგილი ერთი მცხეთას, დასავლით კერძო კლდეთა შორის გამოკუეთილი, ღრმა, და მოითხოვეს ადგილი იგი მცხეთელთა მამასახლისისაგან. მისცა და აღაშენეს იგი, მოზღუდეს მტკიცედ და ეწოდა მას ადგილს სარკინე...

და გამოხდეს ამას შინა ჟამნი მრავალნი, მაშინ ნაბუქოდონოსორ მეფემან წარმოსტყუნა იერუსალემი და მუნით ოტებულნი ურიანი მოვიდეს ქართლს და მოითხოვეს მცხეთელთა მამასახლისისაგან ქუეყანა ხარკითა. მისცა და დასხნა არაგუსა ზედა წყაროსა, რომელსა ჰქვიან ზანავი და რომელი ქუეყანა აქუნდა მათ ხარკითა, აწ ჰქვიან ხერკ ხარკისა მისთვის" (10, 15-16).

„ალექსანდრე მაკედონელის" პირველი შემოსვლის აღწერის შემდეგ კი „ქართლის ცხოვრება" აღნიშნავს: „არამედ მას ჟამსა ვერ უძლო (ალექსანდრემ) რამეთუ პოვნა ციხენი მაგარნი და ქალაქნი ძლიერნი. კუალად გამოვიდეს სხუანი ნათესავნი ქალდეველნი და დაეშენნეს იგინიცა ქართლს"(10,17).

„მოქცევაჲ ქართლისაჲ" ალექსანდრე მაკედონელის იმავე პირველი შემოსვლის აღწერის შემდეგ მოგვითხრობს: „მაშინ მოვიდეს ნათესავნი მბრძოლნი, ქალდეველთაგან გამოსხმულნი ჰონნი და ითხოვეს ბუნ-თურქთა უფლისაგან ქუეყანაი ხარკითა და დასხდეს იგინი ზანავს და ეპყრა იგი, რომელ ხარკითა აქუნდა, ჰქვიან მას ხერკი" (7, 81).

თავდაპირველად ისტორიკოსებმა, „ქართლის ცხოვრების" მემატიანის მსგავსად, ქალდეველები ასურელებთან გააიგივეს. ძ. ჯანაშიამ პირველმა დამაჯერებლად აჩვენა, რომ ძველ ქართულ ტექსტებში „ქალდეველნი" სპარსთა მნიშვნელობით იხმარება (3, 268-270).

რაც შეეხება „მოქცევაჲს" „ჰონნის", ეს საკითხი დაწვრილებით განიხილა გ. არახამიამ. მან კარგად დაასაბუთა, რომ „ჰონნი" აქ სწორედ ჰონებს, ანუ ჰუნებს გულისხმობს (1, 44), ეს უკანასკნელი კი სკვითების მნიშვნელობითაა ნახმარი. ჩვენის აზრით დავუმატოთ, რომ აღნიშნული ინფორმაცია „მოქცევაჲში", უეჭველია, IV-V სს-ების დღემდე არ მოღწეული ქრონიკიდანაა უცვლელად გადმოტანილი, თორემ, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, უფრო გვიანი ხანის რედაქციის შემთხვევაში გვექნებოდა შეცვლილი ვარიანტი: სპარსნი და ხაზარნი, ან სპარსნი და თურქნი. სიუჟეტის ასეთი ვარიაცია - სპარსნი და თურქნი შემონახულია „ქართლის ცხოვრებაში".

ამგვარად, სრულიად აშკარაა, რომ ამ შემთხვევაში ქალდეველთაგან//სპარსთაგან (მიდიელები) გამოსხმულ, გამოძევებულ ჰუნებზე-სკვითებზეა საუბარი, რასაც, როგორც ცნობილია, მართლაც ჰქონდა ადგილი მიდიის მეფის კიაქსარის („ქართლის ცხოვრების" ქაიხოსრო) დროს (16, 290-292). ქართლის ცხოვრების პირველი შემდგენელ-მემატიანე ვერ გაერკვა აღნიშნულ ინფორმაციაში და ქალდეველები ასურელებად გააიზრა, „ჰონნი" კი „ჰურიანის" ქარაგმის არასწორ გახ-

სნად მიიჩნია. ამგვარად, მიდიის მეფე ყიახსარისაგან (ქაიხოსრო) გამოდევნილი ჰუნების-სკვითების ნაცვლად, ასურელების მიერ გამოდევნილი ჰურიები მიიღო. აღნიშნული ადგილი ტიპიური მაგალითია, თუ როგორ ვიღებთ შუასაუკუნეების ქრონიკაში ერთი ინფორმაციის ნაცვლად მეორეს, უფრო მეტიც, ერთხელ მცდარად გაგებული ინფორმაცია იძენს რა ახალ იერსახესა და ხანდახან სრულიად განსხვავებულ შინაარს, უკვე ივსება ამ ახალი შინაარსისათვის დამახასიათებელი დეტალებით. საფიქრებელია, რომ მემატიანე თავისი დროის განათლებული ადამიანი იყო და, უეჭველია, ბიბლიას კარგად იცნობდა. როდესაც მან ძველ ქრონიკაში დაცული სწორი და მნიშვნელოვანი ინფორმაცია ქალდეველებისგან (მიდიელებისგან) ჰონთა (სკვითების) გამოდევნისა და ქართლში მოსვლის შესახებ, მისდა უნებურად შეცვალა, ის ამ შეცდომაში უფრო შორს წავიდა. როდის მოვიდოდნენ ასურეთიდან დევნილი ებრაელები ქართლში? რა თქმა უნდა, ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალემის აღებისა და ებრაელთა ტყვედ წაყვანის დროს. ამგვარად, ის თავისი განათლების სიმაღლეებიდან ნაკლებად განათლებულ მკითხველს უმარტავს, რომ „მაშინ ნაბუქოდონოსორ მეფემან წარმოსტყუნა იერუსალემი და მუნით ოტებულნი ურიანი მოვიდეს ქართლს". (10, 15)

აღნიშნულ ინფორმაციაზე „ქართლის ცხოვრების" პირველი შემდგენელი-მემატიანის მუშაობის მეთოდს თუ თვალს გავადევნებთ, მივხვდებით, რომ მას ხელთ ჰქონდა ორი პარალელური ქრონიკა. სხვადასხვა ეპოქებში და, შესაბამისად სხვადასხვა ტერმინოლოგიით დაწერილი. ორივეში ერთიდაიგივე ადგილას ერთიდაიგივე ინფორმაცია იყო მოცემული - მიდიელებისაგან გამოდევნილი სკვითების ქართლში მოსვლისა და აქ დასახლების შესახებ. ერთგან ნახმარი იყო „ქალდეველები და ჰონნი", მეორეგან კი „სპარსნი და თურქნი". მემატიანემ ერთი ქრონიკის „ქალდეველები" და „ჰონნი" ასურელებად და ებრაელებად გაიაზრა, შესაბამისად, ყიახსარის(ქაიხოსროს) მიდიაში მეფობის დროს სკვითების გამოძევების ამბავი მეორე ქრონიკიდან ჩაამატა სპარსელებისაგან გამოსხმული თურქების სახით. როდესაც „ქალდეველთაგან გამოსხმულნი ჰონნი" ახალი ტერმინოლოგიით, სპარსთაგან გამოსხმულ თურქებად იქცნენ, შეიქმნა ამ ამბის ფალაურ ლეგენდათა ციკლთან დაკავშირების ცთუნება. ამიტომ ინფორმაცია შეიმოსა „აფრასიაბის გამოქვაბულის" ლეგენდისათვის დამახასიათებელი მომენტებით: რკინისაგან გაკეთებული მიწისქვეშა სასახლე - „ქართლის ცხოვრებაში" სარკინე, „კლდეში გამოკვეთილი ღრმა ადგილი" და მსგავსი (5, 247-249).

რაც შეეხება „თურქთა" ქართლში მოსვლის მარშრუტს: „გამოვლეს გზა გურგენისა და ამოყვენ მტკუარს" ეს უკვე მემატიანის წარმოდგენაა, თუ რა გზით შეიძლებოდა მის დროს, ან ახლო წარსულში მოსულიყვნენ ქართლში სპარსთაგან დევნილი თურქები, რომლებიც, მისი თვალსაზრისით, სწორედ შუა აზიიდან უნდა წამოსულიყვნენ, გურგენის ზღვა გადმოელახათ და მტკვარს ამოჰყოლოდნენ. ამგვარად, ერთიდაიგივე ინფორმაცია გაორმაგდა. ოღონდ ერთ შემთხვევაში გადაკეთდა და ებრაელების ქართლში მოსვლის ამბად იქცა, მეორე შემთხვევაში კი უცვლელი დარჩა. ამიტომაც მოსდევს ეს ორი ინფორმაცია „ქართლის ცხოვრებაში" ერთმანეთს. ანუ მემატიანე მისდევს ძირითადად ერთ ქრონიკას, თუ მისი აზრით რაღაც ინფორმაცია პირველ ქრონიკაში არ არის - უმატებს მეორედან. უფრო

მეტიც, „ხაზართა“ ქართლზე თავდასხმების ამსახველი ორი პარალელური ქრონიკის გარდა მას, აშკარად, ხელთ ჰქონდა „მოქცევაჲს“ ქრონიკის ერთ-ერთი წყარო, რომელიც ჩვენ ალექსანდრე მაკედონელის ქართლში შემოსვლის მოარულ მოთხრობის ამსახველი ქრონიკის სახით წარმოგვიდგენია. აქაც მას დახვდა სიუჟეტი „ქალდეველთაგან გამოსხმულ ჰონთა“ შესახებ. ვინაიდან ალექსანდრე მაკედონელამდე ქართლის ისტორიის ამსახველი ორი ქრონიკის გაერთიანების დროს, ერთ შემთხვევაში ქალდეველები და ჰონნი ასურელებად და ურიებად შეცვალა და ეს იმ ჟამად მოსული ურიები დაასახლა ზანავს, ამის შემდეგ კი სკვითების გამოძევების სიუჟეტი სპარსელებისაგან გამოძევებული თურქების სახით მოგვითხრო (ჩაამატა მეორე ქრონიკიდან), ამიტომ ახლა „ალექსანდრე მაკედონელის“ ქართლში შემოსვლის ამსახველ ამ მოთხრობაში არსებული ცნობა „ქალდეველთაგან გამოსხმულ ჰონებზე“, როგორც ჩანს, უბრალოდ ქალდეველების (ასურელების) მოსვლად მიიჩნია და ამ ინფორმაციასთან ჰონთა, ანუ, მისი გაგებით, ურიათა მოსვლის დაკავშირება უკვე ძველი მემატიანის (ალექსანდრე მაკედონელის მოთხრობის შემდგენელის) აღრევად ჩათვალა. საბოლოოდ მან არც ერთი ინფორმაცია არ დაკარგა: „ალექსანდრე მაკედონელის“ შემოსვლამდე ქართლში მოსულან ჯერ ურიები, შემდგომ თურქები, ალექსანდრეს მოსვლის შემდეგ კი — ქალდეველები. როგორც ვხედავთ, ყოველივე ეს ერთი ინფორმაციის მიდიის მეფის მიერ გამოძევებული სკვითების ქართლში მოსვლის ამბის სამი ვარიაციაა.

ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს „გამოსვლა ხაზართას“ სახელწოდების ქვეშ გაერთიანებულ მოთხრობასთან, რომელიც ქართლის ისტორიის არქაულ, ფარნავაზამდელ, ანუ მეფობამდელ ხანას ეხება. თუ ჩვენ „ქართლის ცხოვრებაში“ წინადადებას, რომელიც თავდება შემდეგი სიტყვებით: „აღაშენა ადარბადაგანს სახლი სალოცავი სჯულისა მათისა და წავიდა“, უშუალოდ გადავაბამთ ტექსტს, რომელიც იწყება სიტყვებით: „და გამოხდეს ამას შინა ჟამნი მრავალნი, მაშინ ნაბუქოდონოსორ მეფემან...“, ვნახავთ, რომ ვარდება სიუჟეტი თურქთა მოსვლის შესახებ, რომელიც ჩვენ მეორე პარალელური ქრონიკიდან ჩამატებული გვგონია. იმიტომ რომ, ერთ მოთხრობაში არ შეიძლება ორჯერ ზედიზედ განმეორებული ყოფილიყო ერთიდაიგივე ინფორმაცია. მემატიანემ არ იცოდა, ჩვენ კი ხომ ვიცით, რომ აქ „ებრაელების“ მოსვლა და „თურქთა“ მოსვლა ერთიდაიგივე ამბის - სკვითების მოსვლის ვარიაციებია. „თურქთა“ მოსვლის ჩამატების საჭიროება მაშინ შეიქმნა, როდესაც პირველ ქრონიკაში გაქრა ინფორმაცია „ჰონთა“ მოსვლის შესახებ და ის „ჵურიათა“ მოსვლად გადაკეთდა. „თურქთა“ მოსვლის ამბავი, რომ უფრო გვიანი ჩანამატია, ამას მოწმობს „ქართლის ცხოვრების“ ამ ადგილას ქართლში გავრცელებულ ენათა ჩამონათვალიც: „და იზრახებოდა ქართლსა შინა ექუსი ენა: სომხური, ქართული, ხაზარული, ასურული, ებრაული და ბერძნული“. ეს ენათა ჩამონათვალი გაკეთებულია ერთ-ერთ ქრონიკაში იმ მემატიანის მიერ, ვინც ტექსტში „ქალდეველები“ და „ჰონები“ ებრაელებით და ასურელებით შეცვალა. შემდგომ კომპილატორს ეს გადაკეთება უკვე დახვდა. როცა მან პირველი ქრონიკის მთელი ინფორმაცია ჩაიკითხა, ნახა, რომ ტექსტს აკლდა ინფორმაცია სპარსთაგან დევნილ „თურქთა“ (მისი ეპოქის ტერმინოლოგიით), ანუ „ქალდეველთაგან“ დევნილ „ჰონთა“ შესახებ, რაც კიდეც ჩაუმატა ზუსტად შესაბამის ადგილას. ენათა

ჩამონათვალში კი, თურქულის ჩამატება გამორჩა, უფრო სწორად მან თავს ამის უფლება არ მისცა: „თურქთა“ მოსვლის შესახებ მას ინფორმაცია ეძლეოდა მეორე ქრონიკაში, ამიტომ იოლად ჩაამატა და შეავსო ნაკლული ადგილი. თურქულ ენაზე საუბრის შესახებ კი მას ინფორმაცია არსად ჰქონდა, ამიტომაც ენათა ჩამონათვალი უცვლელად დატოვა.

ახლა ვნახოთ, თუ როდის მოვიდნენ სინამდვილეში ისტორიულ საქართველოში ებრაელები და რას მოგვითხრობენ ამის შესახებ „ქართლის ცხოვრება“ (იმ ცნობის გარდა, რაც ზემოთ განვიხილეთ), და „მოქცევაჲ ქართლისა“.

„მოქცევაჲს“ მიხედვით: „მეფობდა ქარძამ არმაზს და მცხეთას ბრატმან და ამათთა ჟამთა ჰურიანი მოვიდეს მცხეთას და დასხდეს“ (7, 82). „ქართლის ცხოვრება“ ამავე ფაქტს შემდეგნაირად გვიყვება: „ხოლო ამას ადერკის ესხნენ ორნი ძენი, რომელთა ერქუა სახელად ერთსა ბარტომ და მეორესა ქართამ... და მოკუდა ადერკი და მეფობდა შემდგომად მისსა ძენი მისნი. ხოლო ამათსა მეფობასა ვესპასიანოს ჰრომთა კეისარმან წარმოტყუენა იერუსალემი და მუნით ოტებულნი ურიანი მოვიდეს მცხეთას და დასხდეს ძველთავე ურიათა თანა“ (10, 43-44).

„ქართლის ცხოვრების“ კონცეფცია გასაგებია: ვინაიდან მემატიანემ ნაბუქოდონოსორის დროს ებრაელები უკვე მოიყვანა, ახლა ქართამის და ბარტომის დროს ისინი მეორედ მოსულებს შეუერთა. ასევე მანვე დაუკავშირა ებრაელთა მოსვლა ვესპასიანეს მიერ იუდეველთა ამბოხის ჩაქრობასა და რომაელთა მიერ ებრაელთა დარბევას. სინამდვილეში, „მოქცევაჲში“ ეს მოვლენა სულაც არაა დაკავშირებული ვესპასიანეს ხანასთან. აქ მხოლოდ ქართლში ბარტომისა და ქართამის მეფობაში ებრაელების მოსვლაზეა საუბარი. მაშ რატომ დაუკავშირა „ქართლის ცხოვრების“ მემატიანემ ეს ამბავი ვესპასიანეს ხანას. მას, როგორც ჩანს, რაღაც ინფორმაცია ჰქონდა იმის შესახებ, რომ ქართლში ებრაელთა მოსვლა გამოწვეული იყო მათ ქვეყანაზე რომაელთა მძლავრობით. მემატიანის წინაშე დადგა ებრაელთა მოსვლის დათარიღების საკითხი, რაც ქართლის მეფეთა ბარტომისა და ქართამის ზეობის ხანის დადგენას უკავშირდებოდა. „ქართლის ცხოვრების“ მემატიანემ ფარსმანისა და კაოსის და შემდეგ არმაზელის და არშოკის (არსოკის) მეფობაში წარმოებული ქართველ-სომეხთა ომი რომელსაც, ჩვენი აზრით, ადგილი ჰქონდა სომეხთა მეფის არტაშეს II (ძვ. წ. 34-21) დროს, მოსე ხორენელზე, თუ მის წყაროზე დაყრდნობით დაუკავშირა რომის კეისრის დომიციანეს მმართველობის ხანას. შესაბამისად, შეცვალა ქრონოლოგია: არმაზელი დომიციანეს თანამედროვედ აქცია, ხოლო ადერკი, არმაზელის ნაცვლად, ძველი და ახალი ერების მიჯნაზე ჩაიყვანა. ამგვარად, ქართამისა და ბარტომის (ბრატმანის) მეფობა ვესპასიანეს ეპოქაში გამოუვიდა. ამიტომაც, ებრაელთა მოსვლის შესახებ ინფორმაცია ვესპასიანეს მიერ მათ დარბევას დაუკავშირა. ჩვენი ქრონოლოგიით, ქართამი და ბარტომი ადერკ//არდოკის შემდგომ ძვ. წ. 50-იან წლებში მეფობდნენ.* ერთი რამ სრულიად ცხადია, ვესპასიანეს ხანასთან ფარსმანის და კაოსის მეფობის დაკავშირება მემატიანის აშკარა შეცდომაა. შესაბამისად, არც ვესპასიანეს მიერ იუდე-

---

* ქართლის წარმართ მეფეთა ჩვენს მიერ წარმოდგენილი ქრონოლოგიის შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. მ. სანაძე, ჯავახეთის ისტორიის ერთი ეპიზოდი ქართლის წარმართ მეფეთა ქრონოლოგიის ფონზე, „ასპინძა“- ისტორია, თანამედროვეობა, თბილისი-ახალციხე, 2000, იბეჭდება.

ველთა აჯანყების ჩაქრობას შეიძლება ებრაელთა ქართლში მოსვლა დავუკავშიროთ. ჩვენი ქრონოლოგიით კი ებრაელთა ქართლში მოსვლა, რომელსაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ადგილი ჰქონდა ფარსმანის და კაოსის ხანაში, უნდა მომხდარიყო ძვ. წ. 50-იანი წლების დასაწყისში ძვ. წ. 63 წ. იუდეაზე რომაელთა გაბატონების შემდეგ.

განვიხილოთ „ქართლის ცხოვრებაში" და „მოქცევაჲ ქართლისაჲში" დაცული ინფორმაცია ქართველთა ეთნოგენეზის შესახებ. როგორც ცნობილია, „ქართლის ცხოვრების" სქემა ქართველთა წარმოშობის შესახებ ასეთია: აღმოსავლეთ ანატოლიის და კავკასიის მოსახლეობას (რომელიც მატიანეში რვა ძმის რვა ერთეულის - სომეხთა, ქართველთა, რანთა და მოვაკანელთა, ჰერთა და ლეკთა, მეგრელთა და კავკასიანთა სახითაა წარმოდგენილი), ერთი ჰყავდა წინაპარი (მამა) თარგამოსი, ძე თარშისა ძმისწული იაფეტისა ძისა ნოესი: „წარმოვიდა ესე თარგამოს ნათესავითურთ მისით და დაემკვიდრა ორთა მათ მთათა შუა კაცთშეუვალთა, არარატსა და მასისსა... ხოლო ქუეყანა იგი, რომელი წილთ ხდომოდა, ესე არს საზღვარი ქუეყანისა მისისა: აღმოსავლეთით ზღუა გურგანისა, დასავლით ზღუა პონტოსი და სამხრით ზღუა ორეთისა და ჩრდილოთ მთა კავკასია" (10, 3,4); „ხოლო კავკასიათა ჩრდილოთ არა იყო ხუედრი თარგამოსასა, არამედ არცა იყო კაცი კავკასიისა ჩრდილოთ და უმკვიდრო იყო ქუეყანა იგი კავკასიითგან ვიდრე მდინარემდე დიდად [ხაზარეთისა მ. ს.], რომელი შესდის ზღუასა დარუბანდისასა... მისცა ლეკანს ზღვითგან დარუბანდისით, ვიდრე მდინარემდე ლომეკისა, ჩრდილოთ ვიდრე მდინარემდე დიდად ხაზარეთისად, და მისცა კავკასს ლომეკის მდინარითგან ვიდრე დასასრულამდე კავკასისა დასავლით" (10, 6).

ცხადია, რომ „ქართლის ცხოვრების" მემატიანე ამ შემთხვევაში იყენებს ბიბლიურ სქემას. უფრო სწორად, ის ცდილობს ხალხთა წარმოშობის ქრისტიანული თეორია მიუსადაგოს კავკასიის ხალხთა წარმოშობის შესახებ მის ხელთ არსებულ ინფორმაციას. ამავე დროს უნდა გავითვალისწინოთ, რომ „ძმობა" „ქართლის ცხოვრებაში" ყოველთვის არ ნიშნავს მხოლოდ სისხლით ნათესაობას. როდესაც ქვეყნებზე და ხალხებზეა საუბარი. „ძმები" მეტნაკლებად თანაბარ სტატუსში მყოფი პოლიტიკური ერთეულებია, შვილები კი ვასალური ერთეულები. ამ შემთხვევაშიც, სისხლით ნათესაობაზე უფრო მეტად სწორედ ეს თანაბრობაა აღსანიშნავი. თუ ჩვენ ბიბლიურ სქემას უკუვაგდებთ, რომელსაც ხარკს უხდის ჩვენი მემატიანე, დაგვრჩება შემდეგი ინფორმაცია: რვა ერთეული ხალხი (რვა ტომი, რვა სახლი), რომელთა შორის ქართველთა წინაპარიც გაიაზრება, მოდის და იკავებს ჯერ აღმოსავლეთ ანატოლიას და სამხრეთ კავკასიას შემდეგ საზღვრებში: ჩრდილოეთით კავკასიონის ქედი, აღმოსავლეთით - გურგენის, ანუ კასპიის ზღვა, დასავლეთით - შავი ზღვა, ხოლო სამხრეთით ორეთის, ანუ ხმელთაშუა ზღვა (8, 100), ხოლო შემდეგ მათი ნაწილი (ორი ერთეული), გადადის და იჭერს ჩრდილოეთ კავკასიას აღმოსავლეთით მდ. დიდი ხაზარეთიდან (მდ. ვოლგა), დასავლეთით კავკასიონის შავ ზღვასთან შეერთებამდე. თუ მარშრუტსაც თვალს გადავავლებთ, ვნახავთ, რომ აქ აშკარად ხალხთა დიდი მასის გადასახლებაა სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ გადმოცემული. სამწუხაროდ, ქართული ისტორიოგრაფია, გარკვეულ პერიოდში „ქართლის ცხოვრებისადმი" ჰიპერკრიტიკული დამოკიდებულების გამო, ამ ცნობას იგნორირებას უკეთებდა და მასში ბიბლიური

სქემის მეტს ვერაფერს ხედავდა. სამაგიეროდ, ქართველთა გენეზისის საკითხის კვლევისას, ისტორიკოსთა ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა „მოქცევაჲ ქართლისა“, რომელიც ქართველთა წარმოშობის შესახებ, მეცნიერთა თვალსაზრისით, მეტად უფრო საინტერესო და სანდო ინფორმაციას შეიცავდა.

აღწერს რა „ალექსანდრე მაკედონელის“ ქართლში ლაშქრობას, ქრონიკა მოგვითხრობს, რომ: „თანა ჰყვანდა ალექსანდრე მეფესა აზოი, ძე არიან ქართლისა მეფისაი, და მას მიუბოძა მცხეთაი საჯდომად და საზღვარი დაუდვა მას ჰერეთი და ეგრის წყალი და სომხითი და მთაი ცროლისაი და წარვიდა. ხოლო ესე აზოჲ წარვიდა არიან ქართლად, მამისა თჳსისა და წარმოიყვანა რვაი სახლი და ათნი სახლნი მამა-მძუძეთანი... და ესე იყო პირველი მეფე მცხეთას შინა აზოჲ, ძე არიან ქართლისა მეფისაი და მოკვდა და შემდგომად მისა დადგა ფარნავაზ“ (7, 81).

თუ დავუკვირდებით, არაფერს პრინციპულად ახალს ეს ინფორმაცია „ქართლის ცხოვრებასთან“ შედარებით არ იძლევა. აქაც აზოს მოჰყავს რვა სახლი (რვა ერთეული) ქართველთა. საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ „ქართლის ცხოვრების“ მიხედვითაც, ქართლოსის შვილები და შვილიშვილები ჯამში რვანი არიან (ხუთი შვილი: გაჩიოსი, გარდაბოსი, კახოსი, კუხოსი, მცხეთოსი; და სამი შვილიშვილი: უფლოსი, ოძრახოსი და ჯავახოსი), ხოლო მათთან ერთად, ანუ ქართველებთან ერთად მოდიან კიდევ მათი მოკიდებულნი - მამა-მძუძეთა 10 სახლი. მამამძუძე არაა სისხლით მონათესავე ოჯახი. შესაბამისად, თუ აზოს რვა სახლი ქართველებია, დანარჩენი 10 სხვა მოკიდებული სახლებია, ასე ვთქვათ „ძმებია“. ამგვარად, როგორც ვხედავთ, აზო და ქართლოსი ერთი და იგივე თქმულების ვარიაციებია: თუ აზო მოდის საკუთარი რვა სახლით და ათი მამამძუძის სახლით, ქართლოსი საკუთარი რვა სახლის გარდა (შვილები, შვილიშვილები), ერთ-ერთია რვა „ძმას“ შორის. ქართლოსის შემთხვევაში ქართველთა ეპონიმის სახელი „ქართლოსი“ ქართველთა თვითსახელწოდებიდანაა გაკეთებული, იმიტომ, რომ აზოს სახელი „ქართლის ცხოვრების“ მემატიანემ ბერძნულ-მაკედონურ სამყაროს დაუკავშირა - იაზონად გაიაზრა და ალექსანდრეს სარდლად აქცია. შესაბამისად, ბერძნული გაფორმება მიიღო მისი მამის სახელმაც იარედ+ოს (ბერძნული სუფიქსი). აზოზე თქმულების უფრო ადრეულ პლასტში იარედი „ოს“ სუფიქსის გარეშე, აშკარად ირანულ სამყაროს ეკუთვნის. „ქართლის ცხოვრება“ იარედის შესახებ შემდეგ ინფორმაციას გვაძლევს: „ხოლო ოდეს განუყო აფრიდონ ყოველი ქვეყანა სამსა ძეთა მისთა, მაშინ რომელსაცა ძესა მისცა სახლად სპარსეთი, და მასვე ხუდა წილად ქართლი, რომელსაც სახელად ერქუა იარედ... მიერითგან უცალო იქმნეს ძენი აფრიდონისნი, რამეთუ იწყეს ბრძოლად ურთიერთს. და მოკლეს ორთა ძმათა იარედ, ძმა მათი. მაშინ ჰპოვეს ჟამი მარჯუე ქართლოსიანთა და ეწყობნეს ოვსთა, გარდმოიყვანეს ოვსნი და ჰპოვეს ერისთავი სპარსთა ველსა გარე... და მოკლეს იგი და რომელ ჰპოვეს სპარსნი, ყოველნი მოსწყვიტეს ოვსთა და ქართველთა“ (10, 13-14).

„ქართლის ცხოვრების“ ავტორმა „ქართველთა“ მოსვლა სამხრეთიდან დანარჩენ შვიდ „ძმასთან“ ერთად, როგორც ვნახეთ, ქართლოსს დაუკავშირა. ამიტომ აზო ქართველთა მოსვლის სიუჟეტიდან ამოვარდა, ის მოსულ სასტიკ მტრად იქცა

და თანდათან ირანული სამყაროდან (არიან ქართლი, მამა იარედი), შესაძლოა, მისი სახელის იაზონთან გაიგივების გამო (ამას, როგორც ქვემოთ ვნახავთ, მართლაც ჰქონდა ძველ ბერძნულ ისტორიოგრაფიაში ადგილი) ბერძნულ სამყაროს დაუკავშირდა, ალექსანდრე მაკედონელის მიერ ქართლში დანიშნულ „პატრიკად" იქცა. თუმცა, როგორც ამას მოსე ხორენელიდან ვგებულობთ, და ეს სხვა წყაროებითაც დასტურდება, ალექსანდრე მაკედონელის ხანაში სამხრეთ კავკასიაში გამგებლად დანიშნული იყო არა აზო, არამედ მირდატი (12, 107; 15, 20-21; 4, 226-229).

რაც შეეხება „ქართლის ცხოვრებაში" აზოს ბერძნულ სამყაროსთან დაკავშირების საკითხს, ამას, როგორც ცნობილია, პირველად შეეხო ს. ჯანაშია, რომელმაც ბერძენთა მიერ აზოს კულტის გაცნობა და იაზონად გააზრება აქემენიდურ ეპოქას დაუკავშირა (13, 75). ჩვენის აზრით, ამას ადგილი ჰქონდა მას შემდეგ, რაც ალექსანდრე მაკედონელის დაპყრობების შედეგად, დაიწყო ელინისტური ხანა. ალექსანდრე მაკედონელის მოლაშქრეები გაეცნენ წინა აზიისა და სამხრეთ კავკასიის ადგილობრივ თქმულებებს და მათ პერსონაჟებს ბერძნული ანალოგიები გამოუძებნეს. ასე მოხდა ბერძნული მითების პერსონაჟების აღმოსავლურ და კავკასიურ სამყაროსთან შერწყმა. ამ პროცესს კარგად ასახავს სტრაბონის ერთი ცნობა. სომხეთა ისტორიის გადმოცემისას, იგი აღნიშნავს: „ძველი ისტორია ამ ხალხის ასეთია: არმენოსმა არმენიონიდან, თესალიის ქალაქიდან... ილაშქრა იაზონთან ერთად არმენიაში. ამის მოსახელე არის არმენიაო, ამბობენ ისინი, ვინც იყვნენ კირსილე ფარსალიელთან და მიდიოს ლარისელთან ერთად. ამ ვაჟკაცებმა კი ალექსანდრესთან ერთად ილაშქრეს" (11, 193).

როგორც ვხედავთ, ინფორმაცია მოდის ალექსანდრე მაკედონელის თანამოლაშქრეებიდან. სომხეთში, იბერიასა და ალბანეთში ალექსანდრეს მოლაშქრეებს დახვდათ აზოს კულტი, აზოს თაყვანისცემა. სტრაბონის მიხედვით: „იაზონის მოსახსენებლად იაზონის ტაძრებია ფრიად პატივცემული ბარბაროსთაგან; კასპიის კარებს ზემოთ, მარცხნივ დიდი მთაც არის იაზონად წოდებული" (11, 184); „...ორივე ლაშქრობის ძეგლები მოიპოვება: ფრიქსესას მიუთითებენ კოლხიდისა და იბერიის საზღვარზე, ხოლო იაზონისას - ბევრგან: არმენიის, მიდიისა და მიდამო ქვეყნების ადგილებში" (11, 71); „...მითები მოგვითხრობენ იაზონის ლაშქრობაზე, რომელიც მოვიდა მიდიამდე" (11, 124); „...იაზონის და მისი მახლობლების შესახებ ფიქრობენ, რომ მათ უშორესი ლაშქრობა შეასრულეს კავკასიის სანახებამდე" (11, 140), „...ამბობენ, რომ, როდესაც იაზონი არმენოს თესალიელთან ერთად კოლხეთში მოვიდა, მან მიაღწია კასპიის ზღვამდე, იბერიაცა და ალბანიაც გადაიარა და დიდი ნაწილი არმენიისა და მიდიისა, როგორც მოწმობს ამას იაზონისა და სხვათა მიმართ განკუთვნილი მრავალი ძეგლი"(11, 135); „...ამბობენ, რომ მთებიდან ჩამოსული არმენიის არაქსი ძველად ფართოდ იშლებოდა და ქვემოთ მდებარე დაბლობებს წალეკავდა ხოლმე, იაზონმა კი ... კალაპოტი გასჭრა, რომლითაც ახლა მოშხუის წყალი და ჩადის კასპიის ზღვაში"(11, 134),

ტაციტუსმა კი შემოგვინახა უნიკალური ცნობა იმის შესახებ, რომ იბერები და ალბანელები თავის წარმოშობას იაზონს უკავშირებენ (9, 57).

აქციეს რა აზო იაზონად, მასთან ერთად მცირე აზიაში, სამხრეთ კავკასიასა და მიდიაში მოლაშქრე სომხეთა მამამთავარი არმენიც თესალიელად მიიჩნიეს

(იაზონის ანალოგიით). შესაბამისად, არგონავტების მითს დაემატა წინა აზიასა და სამხრეთ კავკასიაში იაზონის უკვე მეორედ ლაშქრობის ციკლი. ამ ლაშქრობის ობიექტი კი გახდა ის ტერიტორია, რომელიც მათ ადგილობრივ თქმულებებში აზოსთან დაკავშირებით ეძლეოდათ. ასე იქცა ბერძნულ მითოლოგიაში სამხრეთ კავკასიის ხალხების ლეგენდარული წინაპარი აზო, ბერძენ-თესალიელ იაზონად.

VI-VIII სს-ის განათლებული ქართველები კარგად იცნობდნენ ძველ ბერძნულ მწერლობას, რომლის გავლენით მათაც ადგილობრივი ლეგენდარული აზო-აზოჲ იაზონად გაიაზრეს (ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია „ქართლის ცხოვრებაში" დაცული ფორმა ამ სახელისა, რომელიც აშკარად გვიანი გადაკეთების კვალს ატარებს - აზონი). და მისი მოსვლა და მმართველობა ალექსანდრე მაკედონელს დაუკავშირეს. აზოს მამის სახელიც, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, იარედიდან იარედოსად იქცა. ასე დასრულდა ქართულ სინამდვილეში ურთიერთ შერწყმა თქმულებისა ადგილობრივ ეთნარქ აზოზე ბერძნული მითოლოგიის ლეგენდარულ გმირთან იაზონთან, ანუ აზოს გაბერძნება.

მას შემდეგ, რაც აზო გაიაზონდა ბერძენად იქცა, ქართველთა ეთნარქის სახელი თვით ქართველთა თვითსახელწოდებიდან იქნა წარმოებული - ქართლოსი, მაგრამ თვით მოთხრობა ქართველთა სხვა ხალხებთან ერთად სამხრეთიდან გადმოსახლებისა (რვა სახლი - როგორც ჩანს, ქართველთა, საკუთრივ აზოსი და ათი სახლი მამამძუძეთა „მოქცევაჲში"; რვა ძმა „ქართლის ცხოვრებაში"- ქართლოსი და მისი შვიდი ძმა; რვა სახლი საკუთრივ ქართლოსის - ხუთი შვილი და სამი შვილიშვილი) დარჩა, რამაც უკვე „ქართლის ცხოვრებაში" ბიბლიური გაფორმება მიიღო. საინტერესოა, რომ, როგორც უკვე ზემოთ ვნახეთ, სომხებსა და ქართველებში თქმულება მათი საერთო მოსვლის შესახებ ელინისტურ ეპოქამდე არსებობდა და ალექსანდრეს ლაშქრობების ხანიდან მან ბერძნული გაფორმება მიიღო (არმენის და იაზონის ერთად ლაშქრობის სახით).

სომხურმა წყაროებმაც სომეხთა მოსვლის შესახებ შემოგვინახეს თქმულება, რომელიც სომეხ ავტორთა ხელში, მათი კონცეფციისდა მიხედვით განცდილი ძლიერი ცვლილებისა და ბიბლიურ სქემასთან მისადაგების მიუხედავად, აშკარად ეხმიანება „მოქცევაჲ ქართლისას" და „ქართლის ცხოვრების" მონაცემებს.

მოსე ხორენელის მიხედვით, ჰაიკი, რომელიც ასევე სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მოდის, ებრძვის ტიტან ბელს, ამ ქვეყანაზე პირველ მეფეს (ეს ბრძოლა „ქართლის ცხოვრებაში", როგორც ცნობილია, ნებროთის წინააღმდეგ ბრძოლის სახითაა წარმოდგენილი). ვინ გამოჰყავს ჰაიკს ამ ბრძოლაში? „იხილა რა ჰაიკმა ძლიერად შეჭურვილი ტიტანი და კაცნი გამორჩეულნი მის მარჯვნივ და მარცხნივ, არმენიაკი მისი ორი ძმით (მათი სახელები, როგორც ავტორის შემდგომი თხრობიდან ირკვევა, ხორო და მანავაზია) დააყენა მარჯვნივ, კადმოსი და ორი სხვა თავისი ვაჟთაგანი - მარცხნივ .... თვითონ დაიკავა წინა ხაზი, ხოლო დანარჩენი ლაშქარი უკან დაიყენა" (12, 71). ამგვარად, ჰაიკი თქმულების მოსე ხორენელთან დაცულ ვარიანტში აგრეთვე რვა ერთეულით ებრძვის ბელს. ახლა ჰაიკის გარდა რა ვიცით ჩვენ დანარჩენი შვიდი ერთეულის შესახებ?

მოსე ხორენელთან კადმოსი ჰაიკის შვილიშვილად და არმენიაკის ძედაა გამოყვანილი, მაგრამ, როგორც ეს თავის დროზე კ. პატკანოვმა მშვენივრად აჩვენა, მთელი შინაგანი სტრუქტურა ჰაიკის შესახებ თქმულებისა ამას ეწინააღმდეგება

და კადმოსი უფრო ჰაიკის შვილად ჩანს ვიდრე შვილიშვილად (19, 86-117). ზემოთ მოყვანილი ნაწყვეტიც მოსე ხორენელის თხზულებისა ამას მოწმობს: „კადმოსი და ორი სხვა თავის ვაჟთაგანი". ამგვარად ჰაიკის შვილებად გვევლინებიან არამანიაკი (არმენი), კადმოსი, ხორო და მანავაზი. დასახელებულია აგრეთვე მანავაზის ძე ბაზა, მაგრამ წყარო არაფერს გვეუბნება „ორ სხვა ვაჟთაგანის" სახელზე. ეს სახელები სომხურმა ხალხურმა მეხსიერებამ არ შემოინახა, თუმცა აშკარაა, რომ ბელთან ბრძოლაში მონაწილეობდა 8 სახლი (ერთი ჰაიკი, ექვსი მისი შვილი და შვილიშვილი ბაზა, ან ხუთი შვილი და ორი შვილიშვილი - კადმოსი და ბაზა).

მოსე ხორენელი თავის წყაროს საკმაოდ თვითნებურად ექცევა და თავისი კონცეფციისა და შეხედულებებისამებრ ცვლის. ამ შემთხვევაში ბევრად უფრო რეალური სურათი შემოგვინახა იმ ანონიმურმა თხზულებამ, რომელსაც სებეოსი თავისი თხზულების შესავლად იყენებს: „ჰაიკმა მოუწოდა თავისთან არამანიაკს და კადმოსს, მის ძეს და ძეთა მათთა და ასულისწულთა შვიდისა თვისისა ასულისათა (ჩვენის აზრით, ქალიშვილებთან მიმართებაში თავდაპირველად ტექსტში უნდა ყოფილიყო მათი ქმრები - სიძეები და არა ვაჟები), კაცთა გოლიათთა, თუმცა შედარებით მცირერიცხოვანთა და გაეშურა ბელის წინააღმდეგ" (20, 13). უფრო ქვემოთ კი, არმენთან დაკავშირებით, წყარო გვამცნობს: „როცა მოკვდა ჰაიკი, არმენმა თან წაიყვანა თავისი ვაჟები და ასულები მათი ქმრებით და თავისი შვიდი და მათი ქმრებით ვაჟებითა და ქალებით" (20, 14). ამგვარად, აშკრაა, რომშვიდ სიძესთან მიმართებაში ჰაიკი ცალკე „სახლი" იყო, ისევე, როგორც არმენი. სულ კი ორსავე შემთხვევაში რვა-რვა „სახლი" გამოდის.

მოსე ხორენელთან და სებეოსთან შემონახულ სომეხ ეთნარქებზე დაკვირვებამ, მათი დამკვიდრების ადგილების, მოძრაობის მარშრუტის, მოღვაწეობის არეალის განსაზღვრამ, კ. პატკანოვი მიიყვანა სრულიად სამართლიან დასკვნამდე, რომ არამენიაკი არ უნდა ყოფილიყო ჰაიკის შვილი. ჰაიკი ერთი ხალხის ეპონიმი იყო (კ. პატკანოვი მათაც სომხურენოვან ტომებად მიიჩნევს, თუმცა, ჩვენის აზრით, ისინი ხურიტულ-ურარტული ენის მატარებლები უნდა ყოფილიყვნენ), რომლებსაც ძირითადად ვანის ტბის ირგვლივ უნდა ეცხოვრათ, ხოლო არმენი კი იმ ხალხისა, რომელიც უფრო ჩრდილოეთით არაქსის მიდამოებში დასახლდა (ეს ხალხი იყო ინდოევროპული ენის მატარებელი). შესაბამისად, თავდაპირველად დამოუკიდებელ ციკლებს ქმნიდნენ თქმულებები ჰაიკზე და არმენზე, მაგრამ ამ ხალხების შერწყმის შედეგად ორივეზე გავრცელდა სამხრეთელთა თვითსახელწოდება - ჰაიკი. თქმულებათა ციკლში კი არმენი ჰაიკის ძედ იქცა და მისი სახელი ჩაჯდა კადმოსსა და ჰაიკს შორის (19, 89). სომეხთა წარმოშობის შესახებ სომხურ (მოსე ხორენელი, სებეოსი) და ბერძნულ წყაროთა მონაცემებზე დაკვირვებამ ჩვენ გაგვიჩინა თვალსაზრისი, რომ ჰაიკის მოძრაობა სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ სინამდვილეში არმენის მოძრაობაა, იმიტომაც იწყება ეს სვლა არმენის გაჩენით. შემდგომში ამ ორი ხალხის შერწყმის შედეგად, ადგილობრივი მამამთავრის სახელს დაუკავშირდა მოსული ხალხის თვითსახელწოდებაც, ამიტომ მოძრაობას იწყებს ჰაიკი, ხოლო აგრძელებს არმენი. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ისიც, რომ ბერძნულ მწერლობაში ბევრს მოგვითხრობენ არმენზე, იაზონთან (აზო მ. ს.) ერთად მის ლაშქრობაზე მიდიის წინააღმდეგ, კავკასიონის კალთებამდე და კავკასიონის იქითაც კი.

„ქართლის ცხოვრების“ და „მოქცევაჲს“ მონაცემებთან შედარების თვალსაზრისით, ჩვენთვის საინტერესოა ჰაიკის და არმენის ჩრდილოეთისაკენ მსვლელობასთან დაკავშირებული ერთი ფაქტი.

მოსეს მიხედვით ჰაიკი პირველად მკვიდრდება ჰარკში: „თვითონ (ჰაიკი) ... დანარჩენი ამალით გაემართა ჩრდილო-დასავლეთისაკენ, მოვიდა და დაემკვიდრა ზეგანზე, რომელსაც დაარქვა ჰარქი, რამდენადაც აქ დასახლდნენ მამანი თარგამოსის სახლის მოდგმისა. გააშენა მან აგრეთვე ერთი სოფელი და თავისი სახელისაგან უწოდა ჰაიკაშენი“ (12, 70). ცნობილია რომ, ასეთი სახელწოდების ქალაქი სხვაგან სომხურ წყაროებში არ გვხვდება (12, 249). რაც შეეხება, ჰარქად წოდებულ ადგილს, რომელსაც მოსე ხორენელი, მისი ჩვეულებისამებრ, სომხური ენის ნიადაგზე უძებნის ეტიმოლოგიას და შესაბამისად ის „მამათა დასახლებად“ მიაჩნია, სამეცნიერო ლიტერატურაში ჰარქის გავართანაა გაიგივებული - ვანის ტბის ჩრდილო-დასავლეთით (12, 249, შენ. 38), ეს გაიგივება, როგორც ჩანს, საწყისს მოსე ხორენელიდან იღებს. ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესო არის ის, რომ ჰარკში მკვიდრდება არმენის (არამენიაკის) ძმა მანავაზი.

ამავე ამბავთან დაკავშირებით სებეოსთან ვკითხულობთ: „შემდგომ ჰაიკი ... გაეშურა უფრო შორს ჩრდილოეთისაკენ, მოვიდა და დაემკვიდრა მაღალ ზეგანზე და ამ ველმა მიიღო სახელი ჰაიკი. მამათა სახლის მიხედვით. ხოლო ქვეყანამ კი მიიღო სახელი ჰაიკი, ანუ ჰაიკის ხალხი“. შემდგომ ჰაიკი სებეოსის გადმოცემის მიხედვით მიდის იქიდან (ჰარქიდან) უკან და მკვიდრდება არარატის მიწაზე. სიკვდილისას ყველაფერს უტოვებს თავის შვილიშვილს კადმოსს (სინამდვილეში, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ის მისი შვილი უნდა ყოფილიყო თქმულების თავდაპირველ ვარიანტში). არმენს კი უბრძანებს უკან ჩრდილოეთით მიბრუნებას თავისი თავდაპირველი დასახლების ადგილას“ (ანუ ჰარქში მ. ს.). უფრო ქვემოთ არმენთან (არამენიაკი) დაკავშირებით კი მემატიანე აღნიშნავს: „როცა გარდაიცვალა ჰაიკი, არმენმა წაიყვანა თავისი ვაჟები და ასულები თავიანთი ქმრებით და თავისი შვილი და მათი ქმრებით ... გაემართა და დაესახლა ისევ პირველ ქვეყანაში, რომელსაც ეწოდა ჰარქი“ (20, 14).

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ მთელი ამ მსვლელობის მოთავედ სწორედ არმენს მივიჩნევთ. ჩვენის აზრით, სწორედ ის მოდის (ან მისი „ძმა“ მანავაზი) ჰარქში. მოსეს და სებეოსს კი ჰაიკისთვის უპირატესობის მინიჭების გამო, ჯერ ჰაიკი მოჰყავთ ჰარკში და შემდგომ არმენს ვითომდა მამის ბრძანებით აბრუნებენ ჩრდილოეთისაკენ - ჰარქში. ასეთი შენაცვლებისათვის საფუძველიც არსებობდა - ისინი ხომ ტოპონიმ „ჰარქში“ ჰაიკის სახელს ხედავდნენ.

სომხური წყაროების ტოპონიმი „ჰარქ“-ი ქართულ წყაროებში გვხვდება „ხერკ“ ფორმით. „მოქცევაჲ ქართლისა“ მოგვითხრობს: „მაშინ მოვიდეს ნათესავნი მბრძოლნი, ქალდეველთაგან გამოსხმულნი ჰონნი და ითხოვეს ბუნ-თურქთა უფლისაგან ქვეყანა ხარკითა და დასხდეს იგინი ზანავს და ეზყრა იგი, რომელ ხარკითა აქუნდა, ჰრქვიან მას ხერკი“ (7, 81).

თუ ჩვენ ამ ცნობას ზემოთ მოყვანილ სომხურ წყაროებში დაცულ ცნობებს შევადარებთ, მივხვდებით, რომ ქართულმა წყაროებმა უფრო კარგად შემოგვინახა აღნიშნული ინფორმაცია: აქ საუბარია ხალხთა დიდ გადმოსახლებაზე - „ქალდეველთაგან გამოსხმულნი ჰონნი“, რომელიც ძველმა სომხურმა ისტორიოგრაფიამ

ბაბილონიდან წამოსულ ჰაიკად გაიაზრა. სინამდვილეში კი, როგორც ზემოთ გნახეთ, საქმე გვქონდა „ჰონნთა“, ანუ სკვითთა თვრამეტი, თუ ოცდარვა „სახლის“ (შეადარ. 28 სახლი სპარსთაგან დევნილ თურქთა; აქედან რვა ძირითადი „სახლის“ და ათი, თუ ოცი მოკიდებული, სახლის (ათი სახლი მამამუძეთა) გამოდევნასთან მიდიის და ასურეთის საზღვრებიდან. ამ გადმისახლებას მეთაურობდნენ არმენი (არამენიაკი) და აზო (ბერძენთა მიერ იაზონად გააზრებული) და სხვა ექვსი „ძმა“ თავთავიანთი „სახლების“ მეთაურები. რომ სწორედ ქართულმა ვერსიამ შემოგვინახა ყველაზე ძველი და სიმართლესთან ახლო მდგომი ინფორმაცია, ამას მოწმობს შემდეგი: სომეხი ავტორებიც გვამცნობენ, რომ გარდა საკუთრივ სახელი ჰარკ//ხერკისა ფიგურირებდა კიდევ სოფელი, დასახლება, რომელიც თავისი დამაარსებლის სახელს ატარებდა. ვინაიდან დამაარსებლად მათ ჰაიკი გაიაზრეს, შესაბამისად ამ დასახლებას ჰაიკაშენი დაარქვეს (თუმცა ის, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ამ სახელით არცერთ წყაროში არ იხსენიება). ვინ იყო მაინც ამ დასახლების დამაარსებელი? სომხური ვერსიით, საბოლოოდ ჰარქი წილად ხვდა არმენის ძმას მანავაზს. შესაბამისად, ჩვენთვის საინტერესო გახდა ამ სახელის ეტიმოლოგია. მოსე ხორენელთან დაცულია ერთი ფრიად საინტერესო ცნობა, რომ: „იაპეტოსთე, მეროდი, სირათი, თაკლადი არიან იგივე იაფეტი, გომერი, თირასი, თარგომი“ (12, 69). ამ სახელებზე დაკვირვებამ კ. პატკანოვი მიიყვანა სამართლიან დასკვნამდე, რომ ეს ვარიაციები სახელების მარჯვნიდან და მარცხნიდან წაკითხვის არევის შედეგია, რაც თავისთავად არამეული დამწერლობით შესრულებული ტექსტების თარგმანიდან მომდინარეობს (19, 86-117).

სირათის და თირასის შემთხვევაში ეს სრულიად გამჭვირვალეა. რაც შეეხება, გომერ - მეროდს, აქ ჯერ მარცვლებია მოტრიალებული, ანუ მეროდი მიღებულია გომერიდან ჯერ ბოლო „მერ“ მარცვლის მარცხნიდან მარჯვნივ წაკითხვით, ხოლო შემდეგ „დო“ მარცვლის მარჯვნიდან მარცხნივ წაკითხვით, ოღონდ „დ“ და „გ“ შენაცვლებულია. რაც შეეხება თაკლად თორგომის იგივეობას, აქ სულ სხვა შემთხვევასთან გვაქვს საქმე: ისინი ფონეტიკური ვარიანტებია „რ“ და „ლ“ ფონემების შენაცვლებით. იყო „თარგამ“//„თალკამ“, სადაც „რ“ და „ლ“ ფონემების გადანაცვლებით მივიღეთ „თაკლამ“. ამ უკანასკნელში ბოლო „მ“ ფონება შეცვალა „დ“-მ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო სახელ მანავაზის ეტიმოლოგია. ქართული წყარო გვეუბნება, რომ ხერკში დასახლებული ხალხი ფლობდა ზანავს, ხოლო სომხური წყაროს მიხედვით ჰარქში მკვიდრდება მანავაზი. ზემოთ აღნიშნული, მარჯვნიდან წაკითხვის პრინციპით კი მანავაზი იგივე ზავან-ამ//ზავან-ად-ია. ეს სახელი ზავან-ის ფორმით, ანუ „ამ“//„ად“ ბოლოსართის გარეშე, გვხვდება კიდევაც მოსე ხორენაცისეულ სომეხ მამამთავართა ჩამონათვალში, რომელიც პირველ 19 მამამთავრს მოსდევს. ჩვენის აზრით, სწორედ ეს სიაა უფრო ზუსტი, იმიტომ რომ ის თავისუფალია ხალხური ზეპირსიტყვიერების აღრევებიდან, მოსეს კომენტარებისა და ეტიმოლოგიებისაგან და არის ერთიანი ნუსხა, რომელიც, მემატიანემ უცვლელად გადმოიტანა თავისი წყაროდან. ეს სია უაღრესად საინტერესოა, მით უფრო, რომ სწორედ 28 სახელს შეიცავს. მათ შორის ხოროს, არას (არმენი?), ჰაიჰის, ზავანს, სურს.

ამგვარად, ინდოევროპული, ირანულ-სკვითური ტომები, მიდიის მეფისაგან (ყიახსარისაგან) გამოდევნილნი მოდიან ასურეთის და მიდიის საზღვრებიდან („ქალდეველთაგან გამოდევნილნი ჰონნი") ჩრდილოეთით. ამ გადასახლებაში მონაწილეობს 28 სახლი (ეს ციფრი ჰეროდოტეს შეცდომით სკვითთა მიდიაზე ბატონობის 28 წლად მიაჩნია). ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანი წინამძღოლები უნდა ყოფილიყვნენ არმენი (არა-არამაიაკი) და აზო. უკიდურეს ჩრდილოეთით მდებარე პუნქტი, სადაც ერთ-ერთი ასეთი ტომი//სახლი აზოს მეთაურობით დასახლდა, იყო ზავანი//ზავანამ(ად)ი. შემდგომში ამ სახელწოდებიდან მივიღეთ ქართული ტოპონიმი ზანავი. ვინაიდან ჩვენ გვაქვს მოსე ხორენელის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ჰარქში დასახლებულმა წინამძღოლმა თავის დასახლებას სახელწოდება საკუთარი სახელის მიხედვით უწოდა, ძნელი არაა გამოვიცნოთ ზავანის ეტიმოლოგია, რაც, ჩვენის აზრით, აზა-ვანი, აზოს სახლი უნდა იყოს (არამეულ დამწერლობაში, როგორც ცნობილია ხმოვნები არ იხმარებოდა, ამიტომ ქართული და სომხური დამწერლობით შესრულებულ უძველეს ნუსხებში, რომლებიც ფაქტია, არამეულიდან ითარგმნებოდნენ, გახმოვანება საკმაოდ თვითნებურია).

ახლა ისევ დავუბრუნდეთ „ქართლის ცხოვრების" მიხედვით ქართლოსის მიერ დაკავებულ ტერიტორიას. ქართლოსი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოდის სამხრეთიდან დანარჩენ შვიდ „ძმასთან" ერთად. ქართლში დამკვიდრებისას ის შემდეგ ტერიტორიას იკავებს: ყველაზე ჩრდილოეთი პუნქტი ქართლის მთაა, რომელზედაც ესაფლავება კიდეც. გარდა ციხე-ქალაქ ქართლისა, მისივე აშენებულად მიიჩნევს მემატიანე მტკვრის ციხე ხუნანს და ორბის ციხეს სამშვილდეს. ციხეთა ჩამონათვალი „ქართველთა" თავდაპირველი დასახლების ადგილად მტკვრის სამხრეთს მიუთითებს. „ქართლის ცხოვრების" მონაცემების ანალიზის საფუძველზე აშკარაა, რომ სახელწოდება ქართლი თავდაპირველად სწორედ მტკვრის სამხრეთ მხარეს შეესაბამებოდა*.

ამგვარად, ხალხი, რომელსაც მოუძღოდა იარედის ძე აზო და რომელმაც თავის გამაგრებულ ქალაქს ქართ-ლი უწოდა (როგორც ცნობილია ქართ//გარდ ინდოევროპული ძირია და სემანტიკურად გამაგრებულ, მოზღუდულ ადგილს აღნიშნავს (6, 221), ინდოევროპული ენის მატარებელი უნდა ყოფილიყო. მართლაც, ცნობილია, რომ სკვითები ინდოევროპული ენების ირანულ ჯგუფს ეკუთვნოდნენ.

ფაქტია, სკვითური ტომების ქართლში მოსვლა უმტკივნეულო სულაც არ იქნებოდა. „მოქცევაჲ ქართლისას" გამონათქვამი: „მოვიდნენ ნათესავნი მბრძოლნი" იმისი აშკარა დადასტურებაა, რომ მოსულებს თავისი საბრძოლო თვისებების დემონსტრირება დასჭირდათ. გარდა ამისა, როგორც ცნობილია, ხერკის ქვეყანა სტრატეგიული თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესი ტერიტორიაა რეგიონში და მისი ფლობა მაშინაც და უფრო გვიანაც ირგვლივ მხარეებზე სამხედრო-პოლიტიკურ ბატონობას მოასწავებდა. ცხადია არცერთი მამასახლისი ხერკს მოსულ ხალხს ნებით არ დაუთმობდა.

ახლა შევეხოთ „ალექსანდრე მაკედონელს", რომელთან ერთადაც ვითომდა მოვიდა აზო. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ელინისტური ხანის დასაწყისში სამხრეთ კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის გაცნობისას, მოსულმა ბერძნებმა

აქ აითვისეს თქმულებები არმენზე და აზოზე. აზო იაზონად გაიაზრეს და შესაბამისად მასთან წყვილში მოლაშქრე არმენთან ერთად თესალიელად აქციეს. ახლა ჯერი ქართულ მწერლობაზე მიდგა და მანაც უკვე ბერძნულ სამყაროსთან დაკავშირებული აზონი ნაკლებად ცნობილ არმენის ნაცვლად, ბერძნულ სამყაროსათვის ყველაზე ცნობილ პიროვნებას ალექსანდრე მაკედონელს დაუკავშირა. მით უფრო რომ ბერძენთა მიერ სამხრეთ კავკასიის დაუფლებისთვის ანალოგიურ ბრძოლებს ალექსანდრე მაკედონელის, თუ უშუალოდ მის მომდევნო ხანაში მართლაც ჰქონდა ადგილი. საინტერესო და ყურადსაღებია ის, რომ „ალექსანდრე მაკედონელი" ქართლში ორჯერ შემოდის. პირველად მან ვერ აიღო ციხეები და უკუიქცა, ხოლო მეორედ „თანა ჰყვანდა ალექსანდრეს მეფესა აზოძე არიან-ქართლისა მეფისაი". „დალეწნა სამნი ესე ქალაქნი და ციხენი და ჰონთა დასცა მახვილი, ხოლო სარკინესა ქალაქსა ებრძოდა ათორმეტ თუე". თუ ჩვენ ამ მოთხრობას სომხურ წყაროთა მონაცემებს შევადარებთ, ვნახავთ, რომ ჰარქში//ხერკში ჰაიკი და არამენიაკი (არმენი) ორ-ორჯერ მოდიან. სომხური წყაროების მიხედვით მოვიდა ვითომ ჯერ ჰაიკი (ჩვენ ზემოთ გაჩვენეთ, რომ ეს უნდა ყოფილი არა ჰაიკი, არამედ არამენიაკი), ხოლო შემდგომ არამენიაკი; ან მოდის ჰაიკი, შემდეგ უკან ბრუნდება, შემდეგ მოდის ხელმეორედ ჰარქში, სადაც კვდება, ხოლო არამენიაკი, უტოვებს რა ჰარქს თავის ძმა მანავაზს (ზავან-ამ//ზავან-ადს), თვითონ მიდის. იგივე ორჯერ მოსვლასთან გვაქვს საქმე აზოს შემთხვევაშიც: აზო ვითომ ჯერ შემოჰყვება „ალექსანდრე მაკედონელს", შემდეგ ბრუნდება თავის ქვეყანაში და მოჰყავს „ქართველები".

ამგვარად, ჩვენ ალექსანდრეს პერსონაჟი გვიან ჩამატებულად გვესახება. ასევე უფრო გვიანი ჩამატება უნდა იყოს ფრაზა: „და ჰონნთა დასცა მახვილი". თუ ამ წინადადებას ამოვიღებთ, ტექსტი ორგანულად გადაებმება ერთმანეთს: „და შემდგომად რაოდენისამე ჟამისა მოვიდა... მეფე ყოვლისა ქვეყნისაი და დასცნა სამნი ესე ქალაქნი და ციხენი, ხოლო სარკინესა ქალაქსა ებრძოდა ათორმეტ თუე".

ნათელია, რომ ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის ხანისათვის, აზოს (იაზონის) სახელზე სამხრეთ კავკასიაში ტაძრებს აშენებდნენ. მას თაყვანს ცემდნენ, იბერები და ალბანელები მას თავიანთ ეთნარქად გაიაზრებდნენ. ამგვარად ის, რა თქმა უნდა, ვერ იქნებოდა ალექსანდრეს თანამედროვე და ფარნავაზის მეტოქე.

როგორც ცნობილია ძვ. წ. VII ს-ის ბოლოს და VI ს-ის დასაწყისში მიდიის მეფე ყიაქსარმა დიდი დარტყმა მიაყენა სკვითებს. მან დაამარცხა და დაიმრჩილა ურარტუც (16, 317), ამან გამოიწვია სკვითური ტომების (28 „სახლი") აყრა და ჩრდილოეთით გადანაცვლება.

მათი ნაწილი დასახლდა ვანის ტბის, ნაწილი არაგაწის, მიდამოებში, ერთი ნაწილი კი აზოს მეთაურობით მოდის მტკვრამდე და აარსებს სახელმწიფოს, რომლის ცენტრი ხდება ხერკი და ქართლის მთა - გვიანდელი არმაზი. მძიმე ბრძოლების შედეგად აზო თავის კონტროლს უმორჩილებს არაგვის დასავლეთით მდებარე ტერიტორიას - ოთხ ციხე-ქალაქს - კასპს, ურბნისს, სარკინეს და ოძრხეს და იმ მოსახლეობას, რომელიც სახლობდა „მდინარესა ზედა მტკუარსა მოხუევით,

---

* უფრო დაწვრილებით ამ საკითხთან დაკავშირებით იხილეთ მ. სანაძე, ზემოთ დასახ ნაშრომი.

ოთხ ქალაქად“ და რომელსაც „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით მცხეთის, ხოლო „მოქცევაჲს მიხედვით“ „ბუნ-თურქთა“ მამასახლისი განაგებდა.

სკვითების ბატონობა ქართლში საკმაოდ დიდ ხანს გაგრძელდა ამიტომ მათი ცენტრალური ციხე-ქალაქის, სახელი „ქართ“ ჯერ მათი ქვეყნის, თანდათან კი ამ ქვეყანაში მცხოვრები ხალხის თვითსახელწოდებად იქცა. იგივე არ ითქმის ენაზე, „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, გარკვეულ ხანამდე „ქართლოსიანთა ენა სომხური იყო, რომელსა ზრახვდეს; ხოლო ოდეს შემოკრბეს ესე ურიცხვნი ნათესავნი ქართლსა შინა, მაშინ ქართველთაცა დაუტევეს ენა სომხური და ამათ ყოველთა ნათესავთაგან შეიქმნა ენა ქართული“ (10, 16).

ყოველივე ზემოთ თქმული ერთიანი სკვითურ-წინააზიურ-ინდოევროპულ მასის აღმოსავლეთ ანატოლიასა და სამხრეთ კავკასიაში მოსვლისა და დამკვიდრების შესახებ, აშკარას ხდის „ქართლის ცხოვრების“ მემატიანის ამ ინფორმაციის შინაარსს. ხალხი, რომელიც თავის ცენტრალურ ციხე-ქალაქს უწოდებდა „ქართ“-ს და საიდანაც სახელი მიიღო ქართლმა, საუბრობდა ინდოევროპულ (სკვითურ-ირანულ) ენაზე. ამ ერთიან სკვითურ-ინდოევროპულ ენას გულისხმობს, როგორც ჩანს, „ქართლის ცხოვრება“ პირველადი „სომხური“ ენის ქვეშ. ცხადია, გვიანდელი მემატიანე თავისებურ ინტერპრეტაციას უკეთებს მის ხელთ არსებულ უძველეს ინფორმაციას.

სომხეთის ტერიტორიაზე, რომელმაც მიიღო მომხვდურთა ძირითადი მასა, ადგილობრივმა ენებმა განიცადეს სრული ინდოევროპიზაცია, ძლიერი ინდოევროპული ნაკადი შემოვიდა ქართველურ ენებში. მიუხედავად ამისა, სკვითურ-ინდოევროპული ენა ვერ მოერია ადგილობრივ ენას. მოსულთა ასიმილაციის შედეგად გაიმარჯვა ადგილობრივმა ენამ. ამ პროცესს განსაკუთრებით ხელი შეუწყო ფარნავაზის ხანაში (ძვ. წ. IV-III სს-ის მიჯნა) ქართლის სამეფოს სათავეში მტკვრის ჩრდილოეთით მდებარე ქართლიდან გამოსული დინასტიის გაბატონებამ. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ფარნავაზი იყო „ნათესავი უფლოსისა, მცხეთოსის ძისა“. ნიშანდობლივია, რომ სწორედ მის ეპოქას მიაწერს მემატიანე ქართული ენის გავრცელებას სამეფოს მთელ ტერიტორიაზე: „ამან განავრცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა“ (10, 26).

დასასრულს, შევეხებით „არიან-ქართლის“ საკითხს, რომლის შესახებ არა ერთ ქართველ ისტორიკოსს აქვს გამოთქმული თავისი მოსაზრება. თავდაპირველად „მოქცევაჲ ქართლისას“ ქრონიკის გაცნობის შემდეგ, ქართულ ისტორიოგრაფიაში წარმოიშვა თვალსაზრისი, რომ „არანი“ (ამ ფორმას ენიჭებოდა უპირატესობა არიანთან შედარებით) არის აზოს მამის სახელი.

ს. ჯანაშიამ თავის შესანიშნავ ნაშრომში „უძველესი ეროვნული ცნობა ქართველთა პირველსაცხოვრისის შესახებ“, დაასაბუთა ამ თვალსაზრისის უსაფუძვლობა და აჩვენა, რომ „არიანი“ (მან სწორედ ამ ფორმას მიანიჭა უპირატესობა) არის სახელწოდება არა აზოს მამის, არამედ იმ ქვეყნისა, საიდანაც აზომ „ქართველები“ მოიყვანა. ს. ჯანაშია შეეცადა დაედგინა, თუ კონკრეტულად რომელი ქვეყანა შეიძლება ყოფილიყო არიან ქართლი: „ქართლის მოქცევის“ თხრობის არიან ქართლი წარმოადგენს მოგონებას ჰარი ქვეყნის, როგორც ქართველთა უძველესი საცხოვრებლის შესახებ. რეალურად, აქ შესაძლებელია იგულისხმებოდეს,

როგორც მიტანი, ისე ურარტუც, ვანის ტბის მიდამოები, რადგანაც „ჰარი ქვეყანა შეიცავდა ერთსაც და მეორესაც" (13, 70).

ამ საკითხის კვლევას სხვა მიმართულება მისცა გ. მელიქიშვილმა. მან „არიან ქართლი" ირანის ქართლად გაიაზრა და ჰეროდოტესთან მოხსენიებული აქემენიდური ირანის XIX სატრაპიაში შემავალი ისტორიული ქართლის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილის აღმნიშვნელ ტერმინად მიიჩნია (18, 278-279).

ამჟამად ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს მოსაზრება საყოველთაოდაა გაზიარებული. გ. მამულია ამ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნავს: „არიან ქართლი" იგივე სამხრეთ ქართული სახელმწიფოებრივი ერთეულია" (4, 224; 5, 101).

„ქართლის ცხოვრების", „მოქცევაჲს" და სომხურ-ბერძნული წყაროების ურთიერთ შეჯერების საფუძველზე, ზემოთ ჩვენს მიერ წარმოებული კვლევის შედეგად, აშკარა ხდება, რომ ყველაზე ახლოს სიმართლესთან იყო ს. ჯანაშია. მან დაინახა „ქართველთა" და „სომეხთა" ერთიანი გადმოსახლება არმენის და აზოს მეთაურობით. თუმცა, ბოლომდე ვერ მიიყვანა ეს საკითხი, ვერ დაუკავშირა ეს ინფორმაცია „ქალდეველთაგან გამოსხმულ ჰონებს", ანუ ყიახსარისაგან გამოძევებულ სკვითებს.

შესაბამისად, გასაგები უნდა იყოს რას ნიშნავს „არიან-ქართლი". „ქართლი" ამ შემთხვევაში უფრო გვიანი ჩამატებაა არიანის განსამარტებლად. VI-VIII სს-ის ქართველი ისტორიკოსისათვის, მართლაც და, რა უნდა რქმეოდა ქვეყანას, საიდანაც ქართველები წამოსულან. თუ არა ქართლი? ამიტომ, მან წყაროში არსებულ ქვეყნის სახელწოდებას „არიანი" მიუმატა ქართლი. სინამდვილეში, როგორც ეს ჯერ კიდევ ჰეროდოტეს აქვს ანიშნული (14, 164) არია მიდიის უძველესი სახელწოდებაა. საერთოდ ინდოელების, სპარსელების, მიდიელების, სკვითების, და ალანების თვითსახელწოდება თავდაპირველად იყო არია (16, 147).

ამგვარად, ასურეთისა და მიდიის საზღვრებზე შედარებით ხანმოკლე ისტორიულ მონაკვეთში არსებულ სკვითურ სახელმწიფოს ჩვენის აზრით, სწორედ „მოქცევაჲ ქართლისაჲში" შემონახული სახელი „არიანი" უნდა რქმეოდა. ამ სკვითური ქვეყნის - არიანის - მეფის იარედის ძე უნდა იყოს აზო. რომელმაც საფუძველი ჩაუყარა პირველ აღმოსავლურ ქართულ სახელმწიფოებრივ გაერთიანებას.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. არახამია გ. ქართლის ცხოვრების პირველი მატიანის წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული შესწავლის საკითხები, 1994 (სადოქტორო დისერტაცია)
2. ბაქრაძე დ. ისტორია საქართველოისა (უძველეს დროიდან მე-10 ს, დასასრულამდე), ტფ. 1889
3. კეკელიძე კ. შენიშვნები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან I, თბ. 1956

4. მამულია გ. არიან ქართლის საკითხისათვის - საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, თბ. 1968
5. მამულია გ. აფრასიაბის გამოქვაბულის ლეგენდა - ლეონტი მროველის-წყარო. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XXXIX-I, 1965
6. მელიქიშვილი გ. საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხი, თბ. 1965
7. მოქცევაი ქართლისაი - ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლები, I, 1963
8. სანაძე მ. ბერაძე თ. კავკასიის უძველესი პოლიტიკურ-გეოგრაფიული აღწერილობა და მისი შედგენის დრო, მესხეთი, III, თბილისი-ახალციხე 1999.
9. ტაციტუსის ცნობები საქართველოს შესახებ, ლათინური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავალი ნარკვევით და კომენტარებით გამოსცა ა. გამყრელიძემ, თბ. 1973
10. ქართლის ცხოვრება ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ ტ. I, თბ. 1955
11. ყაუხჩიშვილი თ. სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ, თბ, 1957
12. ხორენაცი მოსე, სომხეთის ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ალექსანდრე აბდალაძემ, თბ. 1984
13. ჯანაშია ს. უძველესი ეროვნული ცნობა ქართველთა პირველსაცხოვრისის შესახებ მახლობელი აღმოსავლეთის სინათლეზე - შრომები II, თბ., 1962
14. ჰეროდოტე, ისტორია, თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა, თბ. 1975-1976
15. Баратов С. История Грузии, тет. I, СПб. 1865
16. Дьяконов И. История Мидии, Москва 1965
17. Ковалевская В. Роль скифов в этногенезе местных северокавекзских племен.- მაცნე, ისტორ. სერია, 1975, N3,
18. Меликишвили Г. К истории древней Грузии, Тб. 1959.
19. Патканов К. Ванские надписи и значение их для истории передней Азии. С. Пб. 1878
20. Себеос. История епископа Себеоса, перевод С. Малхасянца, Ереван 1939.
21. Abramischvili R. Neue Angaben uber die Existenz des Thrakokimmerischen Ethnischen Elements und des Sog. Skythischen Reiches im Osten Transkaukasiens. Archaologischer Anzeiger, Berlin 1995.

Manana Sanadze

Ancient Period of the Georgian History According to the "History of Kartli" ("Kartlis Tskhovreba") and "Conversion of Kartli" ("Moktsevay Kartlisay")

Juxtaposition of information of "Kartlis Tskhovreba with the evidences of "Moktsevay Kartlisay", Armenian and Greco-Roman sources convinced us that narrating about origin of Georgians "Kartlis Tskhovreba" just outwardedly used the Bible scheme paying tribute to the early medieval historiographic tradition.

In fact information of "Kartlis Tskhovreba" in this respect is a variation of the corresponding evidences of the Armenian sources.

All above-mentioned sources concerning origin of Georgians and Armenians are based on one story recorded probably initially in Arameic. The story narrated about coming and settling of Scythians in East Anatolia and South Caucasus after their ousting from Assyria and Media by the king of Media Kiaksar.

Migration of Scythians was headed by the legendary Armen and Azo. In the Hellenic Greek world the latter was linked to Yason and Aso's invasion of Media and the South Caucasus was included in the new cycle of the Argounauts' myth. .

It's evident, that "Arian Kartli" mentioned in "Moktsevay Kartlisay" means Scythian-Iranian state for the short time existed on the border of Assyria and Media.

ნუნუ მინდაძე

თინათინ ყაუხჩიშვილი და საქართველოს ტრადიციული მედიცინის ისტორიის საკითხები

ცნობილია, რომ ადამიანის როგორც ფიზიკური ტიპის, ისე ცხოვრების წესის ჩამოყალიბებაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება გეოგრაფიულ გარემოს.

გეოგრაფიული გარემოს როლს ადამიანის ჯანმრთელობასთან მიმართებაში შეისწავლის მეცნიერების დამოუკიდებელი დარგი - სამედიცინო გეოგრაფია.

მნიშვნელოვანია აღნიშნული პრობლემის ისტორიულ-ეთნოგრაფიული კვლევა, რაც საშუალებას იძლევა გამოვლინდეს ადამიანის ჯანმრთელობისა და დაავადების ხელშემწყობი გეო-კლიმატური პირობები ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიულ წარსულში.

საქართველოს რთული რელიეფისთვის დამახასიათებელი ეკოსისტემის თავისებურებანი ხშირ შემთხვევაში განაპირობებდა და ზოგჯერ ახლაც განაპირობებს ენდემურ დაავადებათა სპეციფიკას, რომელთა შესწავლა ისტორიულ-ეთნოლოგიური თვალსაზრისით საინტერესო შედეგებს იძლევა.

ამ მხრივ საყურადღებო ინფორმაციას გვაწვდის ანტიკურ ავტორთა ცნობები. განსაკუთრებით ფასეულია და ტრადიციული ქართული მედიცინის შესწავლისათვის მეტად მნიშვნელოვანი ბერძენი ექიმის ჰიპოკრატეს დაკვირვება ძველი კოლხეთის მოსახლეობის მკვიდრთა შესახებ. ჰიპოკრატეს ცნობების ქართული თარგმანი და კომენტარები, როგორც ცნობილია, თინათინ ყაუხჩიშვილს ეკუთვნის.

მოვიყვანთ ჰიპოკრატეს ერთ-ერთ ცნობას: „ხოლო ვინც ფასისში ცხოვრობს, მათ შესახებ შემდეგი მაქვს სათქმელი: ეს ქვეყანა ჭაობიანია, თბილი წყლებით მდიდარი და ხშირი ტყეებით დაფარული. წლის ყოველ დროს იქ ხშირი და ძლიერი წვიმები მოდის. ადამიანებს საცხოვრებელი ჭაობებში აქვთ და მათი ხისა და ლერწმის სახლები წყალზეა გამართული, ისინი იშვიათად დადიან ფეხით ქალაქებსა და ნავსადგურებში (ἐμπόριον-სავაჭრო ადგილებში), სამაგიეროდ დაცურავენ აღმა-დაღმა (ან აქეთ-იქით თ. ყ.). ერთ ხეში ამოღებული ნავებით, რადგან არხები ბევრია. ისინი სვამენ თბილსა და დამდგარ წყალს, მზისგან დამპალს და წვიმებისაგან ადიდებულს. თვითონ ფაზისი კი ყველა მდინარეთა შორის ყველაზე უფრო დინჯია და ძალიან მდორედ მიედინება. ნაყოფი, რომელიც აქ წარმოიშვება, ყველა ზრდადაუსრულებელია, სუსტი და უვარგისი, წყლის სიუხვის გამო. ამიტომ აქ ნაყოფი არ მწიფდება. წყლებისაგან ამ ქვეყანას დიდი ნისლი ადგას. ამ მიზეზების გამოა, რომ ფასისელებს სხვა ადამინებთან შედარებით დიდად განსხვავებული შესახედაობა აქვთ; ტანად დიდები არიან, სისქით - მეტისმეტად სქელები; არც ერთს არ ემჩნევა არც სახსარი და არც ძარღვი; კანი ყვითელი აქვთ. თითქოს სიყვითლე სჭირდეთ. ლაპარაკობენ ადამიანთა შორის ყველაზე ბოხი ხმით, რადგან სუფთა ჰაერით კი არ სუნთქავენ, არამედ ნოტიოთი და ნესტიანით; ხოლო საიმისოდ, რომ სხეულს ჯაფა რამე მიაყენონ, ძალიან ზარმაცები არიან"[1].

ამგვარად ჰიპოკრატეს ფასისელები ავადმყოფური გარეგნობის ზარმაც ხალხად მიაჩნია.

ჰიპოკრატეს ზემომოყვანილი ცნობის შესახებ თინათინ ყაუხჩიშვილმა შემდეგი მოსაზრება გამოთქვა: „ამ მასალაში",- წერს მეცნიერი- „ორი რიგის ცნობებს ვხვდებით - ერთი არის აღწერილობა კოლხიდის ბუნებრივ-გეოგრაფიული მონაცემებისა და მეორე - თვით ხალხის გარეგნობისა და ყოფა-ცხოვრებისა. პირველი რიგის ცნობებში ყველაფერი რიგზეა. სწორედ არის აღწერილი კოლხიდის ჰავა...

მეორე საკითხია - ხალხის აღწერილობა... ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ჰიპოკრატე არსად ხმარობს სიტყვას კოლხები, ... როდესაც „კოლხების სახელი კარგად იყო ცნობილი მთელი განათლებული სამყაროსათვის. მე ვფიქრობ, რომ ფასისის მიდამოში (ე. ი. დღევანდელი კოლხეთის დაბლობზე) ჰიპოკრატემ ბევრი სხვადასხვა ტომი ნახა საერთო ფიზიკური ნიშნებით: ჰენიოხები, კორაქსები, კოლები, კოლხები, ბიძერები, ეკეჭერიები, ბეჭერიები და სხვ... და ისინი მოიხსენია ერთი გეოგრაფიული სახელწოდებით - „ფასისელები", მისთვის ცალკეული ტომების მიხედვით აღნიშვნას აზრი არ ჰქონდა, რადგან მისი მიზანი კონსტიტუციური ტიპის დადგენა იყო და არა სხვა რამ...

...„ფასისელები" ჰიპოკრატეს თხზულებაში ან კოლხების სინონიმია, ან კრებითი სახელი, ტომთა იმ ჯგუფისათვის, რომელშიც პირველობა იმ დროისათვის კოლხებს ეკუთვნოდათ.

როგორ ახასიათებს ფასისელებს ჰიპოკრატე - ისინი ტანმაღლები, მსუქნები და ჩაყვითლებულები არიან. ლაპარაკობენ ბოხი ხმით, საგანგებოდ არის აღნიშნული მათი სიზარმაცე, სიყვითლე, ჩანს იმათი იქნა შემჩნეული, ვისაც მალარია სჭირდა და ასეთი ბევრი იქნებოდა ჭაობებში მცხოვრებთაგან. რაც შეეხება მეტისმეტად სიმსუქნესა და სიზარმაცეს, ამაზე ჭირს რაიმეს თქმა, რადგან ქართველი ხალხი და მით უმეტეს დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა თავისი სისხარტითა და სიცქვიტით არის განთქმული. შესაძლოა, ჰიპოკრატეს მეტისმეტად მსუქანი (ან დასიებული) და ზარმაცი ისევ ავადმყოფები ეჩვენენ, რომლებიც მას, როგორც ექიმს უფრო აინტერესებდა, ვიდრე ჯანღონით სავსე მშრომელი ხალხი, რომლის დაკვირვების საშუალება ექიმს ნაკლებად ექნებოდა"[2].

ამგვარად, ჰიპოკრატეს აშკარად მცდარი შთაბეჭდილების შექმნის მიზეზი სავსებით სწორად ახსნა თინათინ ყაუხჩიშვილმა იმ ფაქტით, რომ ჰიპოკრატეს, როგორც ექიმის, დაკვირვების ობიექტი იყო ძირითადად კოლხეთის ჭრელი მოსახლეობის, რომელსაც იგი ფასისელებს უწოდებს, მალარიით დაავადებული ნაწილი.

თ. ყაუხჩიშვილის ეს განმარტება მეტად მნიშვნელოვანია, რადგან ააშკარავებს და ასაბუთებს ჰიპოკრატეს შეფასების ტენდენციურობას და ამით სწორ მიმართულებას აძლევს კოლხეთის სამედიცინო გეოგრაფიის კვლევას.

არანაკლებია თინათინ ყაუხჩიშვილის დამსახურება მაგიურ-რელიგიური მედიცინის კვლევის საქმეში.

საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული სნეულებისაგან დამცავი სპეციალური სახის ამულეტი ე. წ. ავგაროზი.

ავგაროზი ქაღალდზე დაწერილი სამკურნალო ლოცვა ან შელოცვა (ლოცვის ან შელოცვის ტექსტის ფრაგმენტია), რომელსაც ხავერდის ქსოვილში ან ტყავში გამოკერილს მკერდზე ჩამოკიდებულს ატარებდნენ.

ეს ამულეტი დაკავშირებულია ედესის მთავრის ავგაროზ I სახელთან. ლეგენდის მიხედვით ავგაროზი უკურნებელი სენით var-კეთრით იყო დაავადებული. მან წერილი მისწერა იესო ქრისტეს და დახმარება ითხოვა. ქრისტემ პასუხი გამოუგზავნა. ავგაროზმა ქრისტეს წერილი უბეში ჩაიდო და სასწაულებრივ განიკურნა.

ზემომოყვანილიდან გამომდინარე ავგაროზის მითოლოგიური საფუძველი ერთ-ერთ პოპულარულ ქრისტიანულ აპოკრიფთან არის დაკავშირებული. მაგრამ სხვადასხვა ფორმის წარწერიანი ამულეტები გავრცელებული იყო არა მხოლოდ ქრისტიანული, არამედ სხვადასხვა ქვეყნის და მრწამსის საზოგადოებაში: ებრაელებში, მუსლიმებში და სხვ.

მუსლიმები ასეთ ამულეტს „ნუსხას" უწოდებდნენ. შ. ნიჟარაძის განმარტებით „ნუსხა არის შელოცვის ტექსტი (არაბულ ენაზე, რომელსაც ცრუმორწმუნენი ატარებდნენ სამკუთხედად დაკეცილს და გასანთლულ ქსოვილში გამოხვეულს უმთავრესად ყელზე ჩამოკიდებულს) ავი სულების, ავი თვალისა და უჟმურისაგან თავის დასაცავად"[3]. მაჰმადიან ქართველებში ეს ამულეტი „ნუსხის" სახელით მოიხსენიება.

აპოთროპეული წარწერების ტრადიცია საკმაოდ ძველია და ფართოდ იყო გავრცელებული ანტიკურ სამყაროშიც, რასაც ადასტურებს ბერძნული აპოთროპეული ფირფიტები და სხვ.[4]

თინათინ ყაუხჩიშვილის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს, რომ მან საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ წილკანში აღმოჩენილი ერთ-ერთი გემა, რომელიც III-IV საუკუნეებით დაათარიღა - ავგაროზად - წარწერიან ამულეტად მიიჩნია.

თ. ყაუხჩიშვილის მიერ ამოკითხული გემის წარწერა ასეთია - „უფალო, ქტორიოსი, (მატარებელი ამ ნივთისა) შეიწყალე სასიკეთოდ და საბედნიეროდ". იქვე გამოხატულია მენადა, რომელიც დაკავშირებულია უნებურ სიგიჟესა და ავადმყოფობისაგან ადამიანის დაზღვევასთან. სახელი მენადა და ამოკვეთილი ბერძნული წარწერა იმის მომასწავებელია, რომ ამ ნივთის მატარებელი ქტორიოსი უფალს სთხოვს შეწყალებას ე. ი. დაიცვას სნეულებისაგან"[5].

ამგვარად თ. ყაუხჩიშვილის მიერ დადგენილია წინაქრისტიანულ საქართველოში წარწერიანი ამულეტის არსებობის ფაქტი. ეს კი იმის მაუწყებელია, რომ საქართველოს ტრადიციულ ყოფაში დამოწმებული ავგაროზი უძველესი წარწერიანი ამულეტის მოდიფიცირებულ, ქრისტიანულ ტიპს წარმოადგენს.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ქრისტიანობის გავრცელებასა და განმტკიცებასთან ერთად მაგიური ტექსტების გამოყენების პრაქტიკა დაგმობილ იქნა, როგორც ოფიციალური ეკლესიის, ისე ბიზანტიური სახელმწიფოს მიერ. ამ მხრივ საყურადღებოა თეოდოს II კანონთა კოდექსი (438 წ., ა. წ.)[6].

სხვა მაგიურ წესებსა და ქმედებებთან ერთად აიკრძალა ამულეტის ტარება, მათ შორის ავგაროზის ტიპის ამულეტებისაც, რაზედაც მიუთითებს შემდეგი ფრაგმენტი იოანე ოქროპირის თხზულებიდან: „დაბადებულისათჳს და წინათვე განჩინებულისა კაცისა ზედა" - „დაუთმეთ, საყუარელნო, სულ-

გრძელებით და ნუ წარ[64]ხუალთ უძლურებისათჳს კითხვად და კურნებად გრძნეულთა და მისანთა, არამედ მადლობით შეიწყნარეთ ყოველი განსაცდელი მომავალი, ვითარცა იობ მართალმან ღმრთისათჳს შეიწყნარნა ყოველნი ჭირნი და დაჴსნაჲ გუამისაი, და არა მივიდა იგი კითხვად და კურნებად მისანთა და გრძნეულთა, და არცა შემლოცველთა და **არცა წიგნის მწერალთა, რომელი - იგი ყელსა გამოაბიან, რამეთუ ესე ყოველი ეშმაკისა ღონე არს ჴაცთა საცთურისათჳს**"[7] (ხაზი ჩემია - ნ. მ.)

მიუხედავად ამისა, ავგაროზები ხალხში მაინც პოპულარობით სარგებლობდა და როგორც აღვნიშნეთ, მათ თვით სასულიერო პირები ავრცელებდნენ. ქრისტიანობამ, როგორც ჩანს, ვერ შეძლო ამულეტების ტარების უძველესი ტრადიციის, ასევე ბევრი სხვა მაგიური წესისა და ქმედების აღმოფხვრა, რაზედაც საეკლესიო თუ სახელმწიფო კოდექსებში მათი აკრძალვების სიუხვე მეტყველებს[8]. ამიტომ, ზოგიერთი მათგანი მიიღო და გაითავისა კიდეც.

ქართველთა ტრადიციულ ყოფაში დამოწმებული ავგაროზი უძველესი წარწერიანი ამულეტის მოდიფიცირებულ ქრისტიანულ ტიპს წარმოადგენს.

ამგვარად, მიგვაჩნია, რომ თინათინ ყაუხჩიშვილს, რომლის წვლილი ისტორიული და ფილოლოგიური მეცნიერების დარგში კარგად არის ცნობილი, დამსახურება მიუძღვის ტრადიციული ქართული მედიცინის შესწავლის საქმეში. კერძოდ, თ. ყაუხჩიშვილის ზემოგანხილული ნაშრომები დიდად მნიშვნელოვანია ანტიკური საქართველოს მოსახლეობის ტრადიციული **კულტურის** კვლევისთვის.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. ყაუხჩიშვილი თ., ჰიპოკრატე და მისი ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1965, გვ. 19-20.
2. ყაუხჩიშვილი თ., დასახ. ნაშრ., გვ. 20-21.
3. ნიჟარაძე შ., ქართული ენის ზემო აჭარული დიალექტი (ლექსიკა) ბათუმი, 1971.
4. Мещерская Е., Легенда об Авгаре, Ранесирииский памятник, М., 1980, გვ. 84.
5. ყაუხჩიშვილი თ., წილკანში აღმოჩენილი გემის წარწერა. - მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის I, 1955, გვ. 211-212
6. Мещерская Е., დასახ. ნაშრ., გვ. 57.
7. მამათა სწავლანი X და XI საუკუნეების ხელნაწერთა მიხედვით. გამოსცა ილ. აბულაძემ, თბ., 1955, გვ. 4.
8. Мещерская Е., დასახ. ნაშრ., გვ. 57.

Nunu Mindadze

Tinatin Kaukhchishvili and the Traditional Medical Culture

Tinatin Kaukhchishvili contributed a lot to the development of researches of the ancient Georgian traditional medical culture. She has translated Hippocratus evidences concerning Colchis and commented on his conclusions. She considers that some evidences of Hippocratus doesn't concern the population of Colchis as a whole, but only patients suffering from malaria.

Studying the gems from the Tsilkani archeological finds Tinatin Kaukhchishvili paid attention to one of them dated back to the 3rd-4th cc. She considers the inscription on it to be apothropic and gem itself to be an amulet.

მარიამ ჩხარტიშვილი

ცნობები სამოელ მთავარეპისკოპოსის შესახებ ძველ ქართულ ჰაგიოგრაფიულ და საისტორიო მწერლობაში

„წმ. შუშანიკის წამებაში" იხსენიება რამდენიმე სასულიერო პირი. ერთ–ერთი მათგანია სამოელი. ავტორი მასზე საუბარს ყოველგვარი საგანგებო წარდგინების გარეშე იწყებს. როცა იაკობ ხუცესი ვარსქენის მიერ ნაგვემ შუშანიკს მეორე დღეს ინახულებს, წყლულების მობანვის ნებას სთხოვს და ძალით მიაღებინებს საკვებს. ეს საკვები სამოელ ეპისკოპოსის და იოვანეს მოძღვნილი ყოფილა: „ხოლო მე მცირედ ვაიძულე მიღებად შეჭამადი, რომელი მოეძღუანა **სამოელ ეპისკოპოსსა** და იოვანეს, რამეთუ ფარულად იღუწოდეს და ნუგეშინის–სცემდეს"[1].

ერთი შეხედვით უცნაურია: რატომ უძღვნიან შუშანიკს „ჭამადს"? ამ ფაქტის მიზეზი რომ გასაგები გახდეს, გავიხსენოთ წინა მოთხრობა, რომლის მიხედვით აშკარა ხდება, რომ გვემამდე სულ მცირე ერთი კვირა მაინც შუშანიკი შიმშილობდა. როგორც ირკვევა, საკვების მიღება მან ალიკვეთა ვარსქენის გამაზდეანების საზარელი ამბის შეტყობის მიზეზით. იაკობ ხუცესი გვიხატავს იმ მძიმე მდგომარეობას, რომელშიც აღმოჩნდა შუშანიკი. დიდი სულიერი ტკივილით შეპყრობილი შვილებითურთ ეკლესიაში წავიდა. ეკლესიიდან შინ აღარ დაბრუნდა, არამედ მახლობელ მცირე სახლში დაევანა „სიმწარითა სავსე". გავიდა სამი დღე. თავის რეზიდენციას მოაღწია ვარსქენმა. მეორე დღეს იხმო ხუცესები და ცოლთან გააგზავნა, რომ დაებრუნებინათ. ამ ღონისძიებამ ნაყოფი ვერ გამოიღო. ახლა სხვანი მიუგზავნა. დიდი ვედრებით დაიყოლიეს შუშანიკი, დაბრუნდა, მაგრამ სადედოფლოში კი არ მივიდა, ერთ მცირე ოთახში დაიდო ბინა. გავიდა კიდევ ორი დღე. ვარსქენმა ნადიმობა ბრძანა ძმასთან და რძალთან ერთად. ისინი შუშანიკის წაყვანასაც შეეცადნენ, რადგან, როგორც იაკობ ხუცესი შენიშნავს, „ყოველნი იგი დღენი უზმასა გარდაევლნეს"[2]. ცხადია, იგულისხმება დღეები მას შემდეგ, რაც შუშანიკმა საშინელი ცნობა მიიღო და მისი ცხოვრების ჩვეულებრივი რიტმი დაირღვა. ეს კი, როგორც ვნახეთ, სულ მცირე ერთი კვირა მაინც არის. შუშანიკი აშკარად უკან დახევას არ აპირებდა. მან ნადიმზეც "გემოჲ არარაჲსაჲ იხილა"[3]. ის იყო, რომ ჯოჯიკის ცოლმა ღვინის მიღება დააძალა. როგორც ვიცით, ამ დაძალებას სამწუხარო შედეგი მოჰყვა. ყველაფრით (ალბათ ხანგრძლივი შიმშილითაც) აგზნებულმა და გაღიზიანებულმა შუშანიკმა რძალს ჭიქა შეალეწა, რამაც ვარსქენის მოთმინების ფიალა აავსო და ცოლი გვემა.

აშკარაა, რომ შიმშილობას შუშანიკის ჯანმრთელობისათვის საშიშად მიიჩნევდნენ. ამის გამოხატულება უნდა იყოს სასულიერო პირთაგან ჭამადის ძღვნა. ორივე ზემოხსენებული პიროვნება, მათ შორის, პირველ რიგში, ჩვენთვის საინტერესო სამოელი შუშანიკისათვის უდავოდ ავტორიტეტს წარმოადგენდა. მან ხომ ფაქტობრივ მათი თხოვნით მიიღო საკვები. სამოელ ეპისკოპოსს, ჩანს, დიდი გავლენა ჰქონდა მორწმუნეებზე. საგულისხმოა, რომ იაკობ ხუცესსაც საჭიროდ მიუჩნევია შუშანიკისადმი სამოელის თანადგომაზე ყურადღების გამახვილება.

ცოტა ქვემოთ თხზულებაში კვლავ ვხვდებით ცნობას შუშანიკის მიერ საჭმლის იძულებით მიღების შესახებ. აქ სამოელი ნახსენები არაა, ოღონდ შენიშნულია, რომ საკვები მოძღვნილი იყო წმინდა ეპისკოპოსის მიერ. სავარაუდოა, რომ იგივე სამოელ ეპისკოპოსს ეხება სიტყვა: „რამეთუ მოეძღუანა **წმიდასა მას ეპისკოპოსსა** საზრდელი და ვითარ ფრიად ვაიძულე, მცირედ ოდენ გემოჲ იხილა და ჰმადლობდით ღმერთსა"[4]. ამჯერად შუშანიკი შვილების გამაზდეანების მიზეზით შიმშილობდა. ეს შიმშილობა კვლავ ხანგრძლივი ყოფილა, რადგან საკვების მიღების შემდეგ ახლობლებს შვებით ამოუსუნთქავთ. საერთოდ, სიტყვამ მოიტანა და აქვე ვიტყვით: შუშანიკის მოწამეობრივ ღვაწლში საჭმლის მიღების აკრძალვას ეჭირა განსაკუთრებული ადგილი. რა თქმა უნდა, ეს უბრალოდ საპროტესტო შიმშილი არ იყო. ეს იყო სულის განწმენდის და განახლების ყველაზე ქმედითი საშუალება. ამიტომაც, საჭმლის სრული მიუღებლობა ხანგრძლივი პერიოდების განმავლობაში ვარსქენის შეცოდების შემდეგ თავის ცხოვრების წესად აქცია შუშანიკმა[5]. სულიერი მოძღვარი უშლიდა კიდეც შუშანიკს სიცოცხლისათვის საშიშ „ფიცხელ მარხვას"[6], მაგრამ უშედეგოდ. მძიმე ასკეტიზმის ნაადრევი მსხვერპლი რომ არ შექმნილიყო, ჩანს, დროდადრო აუცილებელი ხდებოდა ავტორიტეტული პიროვნებების ჩარევა. ერთ-ერთი ასეთი უთუოდ იყო ეპისკოპოსი სამოელი.

როცა შუშანიკის გარდაცვალების მოახლოება ცხადი შეიქმნა, მასთან გამოსამშვიდობებლად და კურთხევის მისაღებად მნახველებმა იწყეს დენა. მოსულთა შორის პირველები პიტიახშის ძმა – ჯოჯიკი და მისი ცოლი იყვნენ. ამის შემდეგ კი მოსულა სამოელი: „მერმე, შემდგომად ჯოჯიკისა, მოიწია **თავი იგი ეპისკოპოსთაჲ სამოელ** და იოვანე ეპისკოპოსი, მისივე მოყუასი, რომელ-იგი იყვნეს განმამტკიცებელ და დიდად დამაშურალ სახლეულითურთ თანა-ყოფით იყვნეს მონა, და მონაწილე იყვნეს და თანაზიარ შრომათა მისთა"[7].

ამ ნაწყვეტითაც იგრძნობა, რომ სამოელი ავტორიტეტული პიროვნებაა. მისი და მისიანების თანადგომის აღნიშვნა აუცილებლად მიუჩნევია ჰაგიოგრაფს.

როგორც ვნახეთ, ამ ბოლო ხსენებისას სამოელს ახლავს ატრიბუტი „თავი". იგი წარმოგვიდგება როგორც „თავი ეპისკოპოსთაჲ". რას ნიშნავს ეს ატრიბუტი? სიტყვა „თავი" მრავალი მნიშვნელობით გამოიყენება ქართულში. ერთ-ერთი მნიშვნელობით იგი „მთავრის" სინონიმია. „თავი ეპისკოპოსთაჲ" ეს იგივე კარგად ცნობილი საეკლესიო ტიტული „მთავარეპისკოპოსია". ამრიგად, ჩვენთვის საინტერესო პიროვნება ყოფილა მთავარეპისკოპოსი. ტექსტში იგი ჯერ ეპისკოპოსის ტიტულით იხსენიება, შემდგომ კი – მთავარეპისკოპოსის. ხომ არ მიუთითებს ეს იმას, რომ შუშანიკის მოღვაწეობის პერიოდში სამოელი აღზევდა იერარქიულ კიბეზე? როგორც წყაროთა ანალიზი ცხადყოფს, აღნიშნული ფაქტის ამგვარად განმარტება არაა აუცილებელი. საქმე ისაა, რომ ქართულ წყაროებში „ეპისკოპოსი" და „მთავარეპისკოპოსი" ხშირად წარმოგვიდგება, როგორც სინონიმები. რა თქმა უნდა, ეს მოულოდნელი არაა. „მთავარეპისკოპოსიც" ხომ „ეპისკოპოსია". მაგალითად, „მოქცევაჲ ქართლისაჲს" შატბერდულ რედაქციაში მითითებულია, რომ კონსტანტინე კეისარმა ქართლში გამოგზავნა იოანე ეპისკოპოსი[8]. როცა ბოდში მყოფი წმ. ნინო სასიკვდილოდ დასნეულდა, მცხეთიდან მას მიუვლინეს იგივე იოანე,

რომელიც ამჯერად იხსენიება როგორც „მთავარეპისკოპოსი“[9]. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ჭელიშური რედაქციითაც ეს იოანე არის ეპისკოპოსი; როცა წმ. ნინოს აზიარებს, მაშინ წოდებულია „მთავარეპისკოპოსად“, ხოლო როცა თვით მისი გარდაცვალების შესახებ არის ცნობა, იგი კვლავ „ეპისკოპოსად“ იწოდება. „ეპისკოპოსისა“ და „მთავარეპისკოპოსის“ სინონიმური გამოყენება განსაკუთრებით თვალსაჩინოა შემდეგ წინადადებებში. „დაჯდა მეფედ ბაკურ, ძე რევისი და მოკუდა **იოანეცა ეპისკოპოსი** და მის წილ დაჯდა მღდელი, რომელი ენება ნინოს მთავარეპისკოპოსად“[10]. ან კიდევ: „და მოვიდეს მეფე და ნანა დედოფალი და იოვანე **მთავარეპისკოპოსი** კითხვად და წარყვანებად მცხეთად. ხოლო მან არა ინება, არამედ შეჰვედრა იაკობ მღდელი მეფესა და **ეპისკოპოსსა**, რაჲთა შემდგომად მან დაიპყრას საყდარი მცხეთისა“[11].

როგორც ცნობილია, წმ. შუშანიკის მოღვაწეობის ხანა არის V ს–ის 60–70–იანი წლები ანუ ზოგადად V ს. II ნახევარი. ასე რომ, სამოელ მთავარეპისკოპოსის ზეობის ქრონოლოგიის მიახლოებით გამოთვლაც სირთულეს არ წარმოადგენს. ხოლო ვინაიდან იგი მთავარეპისკოპოსია, მიზანშეწონილია მის შესახებ ცნობების მოძიება „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ და „ქართლის ცხოვრებაში“. ამ ძეგლებში ხომ ქართლის იერარქთა შესახებ ინფორმაციაა დაფიქსირებული.

არც „მოქცევაჲ ქართლისაჲში“, არც „ქართლის ცხოვრებაში“ ვახტანგ გორგასლის საეკლესიო რეფორმამდელ ქართლის მთავარეპისკოპოსთა სიაში მთავარეპისკოპოსი, სახელად სამოელი, არ გვხვდება. ვახტანგის მიერ გატარებული რეფორმის შემდგომ პერიოდში კი მოღვაწეობს სამოელი — მცხეთის ეპისკოპოსი. მცხეთელი ეპისკოპოსები იწოდებოდნენ მთავარეპისკოპოსებად[12]. ეს სამოელი პირველ კათალიკოს პეტრეს ჩამოჰყვა და მის თანადროულად იყო მცხეთის ეპისკოპოსი ანუ მთავარეპისკოპოსი. პეტრეს შემდეგ, დაჩი ვახტანგის ძის დროს, ე. ი. VI ს. დასაწყისში იგი გახდა კათალიკოსი, მისი მთავარეპისკოპოსობა მოდის ამ თარიღამდე პერიოდში, ე. ი. V ს. II ნახევარში. ამრიგად, „მოქცევაჲ ქართლისაჲში“, „ქართლის ცხოვრებაში“ ნახსენები ვახტანგის თანამოღვაწის სახელი, ტიტული, ქრონოლოგია ემთხვევა შუშანიკის თანამგრძნობი პიროვნების სახელს, ტიტულს, მოღვაწეობის ქრონოლოგიას. ახლა გვრჩება შევამოწმოთ არის თუ არა სამოელ მცხეთელი მორწმუნეთა შორის იმგვარივე დიდი ავტორიტეტის მქონე პიროვნება, როგორც „წმ. შუშანიკის წამების“ სამოელ „თავი ეპისკოპოსთაჲ“.

სამოელ მცხეთელის შესახებ ვრცელ ინფორმაციას გვაწვდის „ქართლის ცხოვრება“. მემატიანე მას წარმოგვიდგენს როგორც სრულიად გამორჩეულ პიროვნებას. აქ, კერძოდ, აღწერილია ვახტანგ გორგასლის შეხვედრა ქართლის მომავალ პირველ კათალიკოს პეტრესთან და სამოელთან. ერთ–ერთი ლაშქრობის დროს, პეტრესა და ვახტანგს შორის გაიმართა ხანგრძლივი საუბარი. პეტრე ურჩევდა ვახტანგს ხელი აეღო ბიზანტიელებთან ბრძოლაზე, უსაბუთებდა ერთმორწმუნეებთან დაპირისპირების გაუმართლებლობას. მთელი საუბრის განმავლობაში სამოელი დუმდა. ეს გარემოება და ისიც, რომ სამოელ მონაზონი ტექსტში პეტრე მღვდლის შემდეგ იხსენიება, წინასწარ განგვაწყობს აზრისათვის, რომ სამოელი ვახტანგის ისტორიის რიგითი, მეორეხარისხოვანი პერსონაჟია. მაგრამ მოულოდნელად სამოელი ერთვება ვახტანგისა და პეტრეს საუბარში და საკმაოდ მკვახედ შეესიტყვება ამ უკანასკნელს. როგორც ითქვა, პეტრე უსაბუთებდა ვახტანგს ბიზანტიასთან მშვიდო-

ბიანი ურთიერთობის აუცილებლობას. იმისათვის, რომ პოლიტიკური კურსი შეეცვალა და თავისი ნაბიჯის სისწორეში დარწმუნებული ყოფილიყო, ვახტანგმა სთხოვა მოსაუბრეს ლოცვით ეჩვენებინა მისთვის სიზმარი, რომელშიც წარმოჩინდებოდა უფლის ნება. პეტრემ აუხსნა, რომ ამგვარი სიზმრის გამოწვევა შეუძლია მხოლოდ რჩეულ ადამიანთა ლოცვებს, ასეთებად კი იგი თავის თავსა და, ალბათ, სამოელსაც არ მიიჩნევდა. ამიტომ დროს ითხოვდა ამ განსაკუთრებული მადლის მქონე პიროვნებებთან მისასვლელად და მათი მეოხების მოსაპოვებლად. ამგვარი პასუხი სამოელმა საქმის გაჭიანურებად მიიჩნია და უაღრესად გაჯავრებულმა შეუძახა პეტრეს, რომ თუ მეფის რწმენა იქნებოდა, მათი ლოცვაც გასჭრიდა: „შერისხნა მას სამოელ მონაზონი და რქუა: „მღდელო, საქმესა ღმრთისასა, ვითარცა საქმესა კაცთასა ზრახავ"[13].

ამრიგად, მემატიანეს მინიშნებით, საუბარში თავიდან სამოელის ჩაურევლობა მისი პიროვნების უმნიშვნელობით როდი იხსნება: დუმილს სამოელი მაშინ არღვევს, როცა აუცილებელი ხდება გააცხადოს ღვთის ნება.

ამ მხრივ ნიშანდობლივია „ქართლის ცხოვრებაში" წარმოდგენილი ვახტანგის სიზმარიც. მეფემ ხელმარჯვნივ იხილა პეტრე, ხელმარცხნივ — სამოელი, მაგრამ განკარგულებას თუ როგორ მოიქცეს, იგი სამოელისაგან იღებს და არა პირველ რიგში მოხსენიებული, მარჯვნივ მდგომი პეტრესაგან: „ხოლო მეფემან მყოვარ—ჟამ ილოცა და დაწვა... ჰელი ვახტანგისი მარჯუენა ეპყრა პეტრეს მღდელსა და მარცხენა სამოელს მონაზონსა. და რქუა სამოელ: „შეუვრდი პირველად დიდსა იმას მთავარსა ზეცისასა გრიგოლის"[14].

როცა საეკლესიო რეფორმის განხორციელებას შეუდგა, იმავე წყაროს ცნობით, ვახტანგ გორგასალმა ითხოვა პეტრე კათალიკოსად. ითხოვა, აგრეთვე ეპისკოპოსები, რომელთა შორის პიროვნულად გამოარჩია სამოელი: „ხოლო ვახტანგ წარავლინა მოციქული წარმოყვანებად ცოლისა მისისა და პეტრესათჳს კათალიკოსისა და სამოელ ეპისკოპოსისა"[15]. ეს იყო ვახტანგსა და მიქაელ მთავარეპისკოპოსს შორის მომხდარ კონფლიქტამდე. მიქაელთან კონფლიქტის შემდეგ კვლავ გაუგზავნია საბერძნეთს ელჩობა ვახტანგს და თხოვნა გაუმეორებია: „შეუთუალა, რათა კათალიკოსი და თორმეტნი ეპისკოპოსნი სწრაფით წარმოავლინენ. მათ შორისმცა არს პეტრე კათალიკოსად და სამოელ ეპისკოპოსად, და სხუანი ვინცა სთნდენ"[16].

ბუნებრივია, რომ ასე საგანგებოდ მოწვეულ სამოელს ვახტანგმა რიგითი ეპისკოპოსობა არ შეჰკადრა, არამედ მცხეთაში დასვა ეპისკოპოსად: „ხოლო მცხეთას მეფემან ვახტანგ აღაშენა ეკლესია მოციქულთა სუეტი ცხოველი... და მუნ შინა დასუეს პეტრე კათალიკოსად და სამოელ ეპისკოპოსად მცხეთასავე საეპისკოპოსოსა"[17].

როგორც ჩანს, მცხეთის საეპისკოპოსოს უშუალოდ კათალიკოსის დაქვემდებარებიდან გამორიცხვა სამოელისათვის, განსაკუთრებით საპატიო პიროვნებისათვის, დაშვებული გამონაკლისი იყო. როცა პეტრეს გარდაცვალების შემდეგ თავად სამოელი გახდა კათალიკოსი, მცხეთის საეპისკოპოსო მასვე დარჩა: „და მოკუდა პეტრე კათალიკოსი და დაჯდა სამოელ და მეფემან მას მიათუალა მცხეთა, რამეთუ ეგრე ებრძანა მეფესა ვახტანგს"[18]. აქ მოყვანილი ცნობების შესაძლო კომენტარი ნათელია: „ქართლის ცხოვრების" მიხედვით სამოელ მთავარეპისკოპოსი მადლით მოსილი პიროვნებაა.

ამგვარივე დამოკიდებულება სამოელისადმი ჩანს „მოქცევაჲ ქართლისაჲ-შიც“: „ხოლო მეფემან წარავლინა მოციქულნი საბერძნეთად და ითხოვა მე-ფისაგან და პატრეაქისაგან კათალიკოზი. ხოლო მან მოსცა პეტრე კათალი-კოზი და თანა ჰყვანდა მას სამოველ მონაზონი, **წმიდაჲ და ღირსი**“[19].

ყურადღებას იპყრობს, რომ ამ სიტყვაძუნწ ქრონიკაში ეპითეტებით არის შემკობილი სამოელი და თანაც მას ეწოდება „წმიდაჲ“. აქ არ შეიძლება არ გაგვახსენდეს „წმ. შუშანიკის წამების“ „წმიდაჲ ეპისკოპოსი“. როცა ყველა ფაქტს ერთად მოვიაზრებთ, ცხადი ხდება, რომ სამოელ I – ქართლის კათა-ლიკოსი, რომელსაც იხსენებს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და „ქართლის ცხოვრე-ბა“, იგივე შუშანიკის თანამგრძნობი, მისთვის ჭამადის მიმძღვნელი პიროვნე-ბაა. ოღონდ „წმ. შუშანიკის წამებაში“ მას ვხედავთ არა კათალიკოსის რან-გში. ამ დროს იგი თავი ეპისკოპოსი ანუ მთავარეპისკოპოსია.

***

„წმ. შუშანიკის წამებაში“ ნახსენები სამოელის ქართლის მეორე კათა-ლიკოს სამოელ I–თან გაიგივების პრობლემას ჩვენამდე არაერთი სპეცი-ალისტი შეეხო. აღნიშნული ძეგლი ავთენტური წყაროა, მისი ყოველი პერსო-ნაჟის ბიოგრაფიის დადგენა დიდმნიშვნელოვანი ფაქტია თავისთავად, მაგრამ ამ შემთხვევაში მკვლევართა ინტერესს სამოელისადმი განსაკუთრებით ის გარემოება აძლიერებდა, რომ მისი ვინაობის საკითხი დაუკავშირდა ქართვე-ლოლოგიის ისეთი კარდინალური პრობლემის გადაწყვეტას, როგორიცაა ქა-რთლში კათალიკოსობის დაწესების ქრონოლოგიის განსაზღვრა. წინამდებარე გამოკვლევის შედეგიც ფაქტობრივ პასუხს წარმოადგენს კითხვაზე, როდიდან შეიძლება საუბარი ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელისათვის ახალი ტი-ტულის მინიჭების შესახებ. კერძოდ, საჩინო ხდება, რომ V ს. 60–70–იან წლებში ქართლში ზეობს პირველი კათალიკოსი პეტრე, რადგან ამ დროს მთავარეპისკოპოსია სამოელი. პეტრეს კათალიკოსობა და სამოელის მთავარ-ეპისკოპოსობა სინქრონული მოვლენებია.

„წმ. შუშანიკის წამებაში“ ნახსენები „თავი ეპისკოპოსათაჲს“ სამოელ I–თან გაიგივებისადმი ძირითადად ორგვარი დამოკიდებულება არსებობდა: ზოგი სპეციალისტის აზრით, სამოელ „თავი იგი ეპისკოპოსთაჲ“ არ არის სამოელ I კათალიკოსი, იგი ვახტანგის რეფორმამდელი მთავარეპისკოპოსია. მკვლევართა მეორე ნაწილი კი მიიჩნევს, რომ „თავი ეპისკოპოსთაჲ“ ეს იგივე „კათალიკოსია“, სამოელ „თავი ეპისკოპოსთაჲ“ კი არის სამოელ I კა-თალიკოსი და, ამრიგად, შუშანიკის მოღვაწეობის პერიოდში, კერძოდ, მისი გარდაცვალების ჟამს, ე. ი. V ს. 70–იან წლებში ქართლში უკვე რიგით მე-ორე კათალიკოსია.

პირველ შეხედულებას სათავე ფაქტობრივ ი. ჯავახიშვილმა დაუდო. იგი ასე მსჯელობდა: „საქმე ის არის, რომ 472 წელს **იაკობ ხუცესსაც „თავი იგი** ეპისკოპოსთაჲ ჰყავს მოხსენიებული და ეს გარემოება ცხად-ჰყოფს, რომ ამ დროს 472 წ. **ჯერ კათალიკოსობა არ ყოფილა, არამედ წი-ნანდებურად ისევ მთავარეპისკოპოსი იყო**, რომლის შესატყვის წოდებულება-საც უეჭველია **„თავი ეპისკოპოსთაჲ“** უნდა წარმოადგენდეს“[20].

სამოელის რეფორმამდელ მთავარეპისკოპოსად მიჩნევას არაერთმა სპეცი-ალისტმა დაუჭირა მხარი. ამასთან შენიშნეს ამ თვალსაზრისის სუსტი მხარე და შეეცადნენ მის დაძლევას. საქმე ისაა, რომ შემორჩენილია ვახტანგის რე-

ფორმამდელ ქართლის იერარქთა სია („მოქცევაჲ ქართლისაჲში“, „ქართლის ცხოვრებაში“). მასში კი მთავარეპისკოპოსი სახელით სამოელი არ იხსენიება. ამ ფაქტის ასახსნელად ყურადღება გამახვილდა იმ გარემოებაზე, რომ წყაროებში მთავარეპისკოპოსთა საერთო რაოდენობა 13–ითაა განსაზღვრული, აღდგენა კი ხერხდება მხოლოდ 12 მათგანის. ამიტომ შესაძლებლად ჩაითვალა ქართლის მთავარეპისკოპოსთა რიგში ჩაერთოთ სამოელიც. წყაროს მონაცემების ამგვარი შევსება არავითარ ანგარიშგასაწევ საფუძველს არ ემყარება და, რა თქმა უნდა, ვოლუნტარიზმია. ამის გამოვლინებაა თუნდ აზრთა სხვადასხვაობა სამოელის სახელის ჩასმის ადგილთან დაკავშირებით. მაგალითად, ვ. გოილაძე სამოელის სახელს აღადგენს ქართლის მთავარეპისკოპოს მიქაელსა და კათალიკოს პეტრეს შორის[21], ხოლო გ. მამულიას გასაზიარებლად ეჩვენება მ. თარხნიშვილის თვალსაზრისი ამ სამოელის მიქაელის წინამორბედ მთავარეპისკოპოსად მიჩნევის თაობაზე[22].

მეორე პოზიცია განისაზღვრება კ. კეკელიძის შეხედულებით იმის შესახებ, რომ „თავი ეპისკოპოსთაჲ“ არის „კათალიკოსის“ ეკვივალენტური ტერმინი, რომ „წმ. შუშანიკის წამებაში“ V ს. 70–იანი წლებისათვის ნახსენები „თავი ეპისკოპოსთაჲ“ არის ქართლის რიგით მეორე კათალიკოსი სამოელი[23]. ეს შეხედულებაც არაერთი მკვლევრის მიერ იქნა გაზიარებული. კ. კეკელიძის აზრის მიმდევრები შეეცადნენ დაეძლიათ ის ხარვეზი, რომელიც ახლავს ამ კონცეფციას. პრინციპული მნიშვნელობისაა ქრონოლოგიური შეუსაბამობა. თუ მივიჩნევთ, რომ „წმ. შუშანიკის წამების“ მიხედვით V საუკუნის 70–იან წლებში საკათალიკოსო საყდარზე ჩანს სამოელი, მაშინ ეს წყარო ეწინააღმდეგება „მოქცევაჲ ქართლისაჲს“, „ქართლის ცხოვრებას“, რომელთა მიხედვით სამოელი კათალიკოსი გახდა VI ს. დასაწყისში. ამ წინააღმდეგობის დაძლევა შეუძლებელია აღნიშნული კონცეფციის ფარგლებში, ამიტომ ხდება „მოქცევაჲ ქართლისაჲსა“ და „ქართლის ცხოვრების“ ცნობების იგნორირება იმ საბაბით, რომ „წმ. შუშანიკის წამება“ ავთენტური წყაროა და მას უნდა მიენიჭოს უპირატესობა[24]. პრობლემის ამგვარი გადაწყვეტაც, ცხადია, ვოლუნტარიზმია წყაროსთან მიმართებაში, უგულვებელყოფილია სრულიად გარკვეული პირდაპირი ინფორმაცია, იმის მაგიერ, რომ მკვლევრებმა საკუთარი ჰიპოთეზის სისწორეში შეიტანონ ეჭვი.

აღნიშნული პოზიციის დამცველთათვის აუცილებელი ხდება გადაილახოს მეორე სირთულეც, რომელსაც იწვევს „წმ. შუშანიკის წამების“ სამოელის გაიგივება სამოელ I–თან ტიტულების – „თავი ეპისკოპოსთაჲ“ და „კათალიკოსის“ – იდენტურობის საფუძველზე. ნ. ჯანაშია სვამდა, მაგრამ ღიად ტოვებდა საკითხს იმის თაობაზე, თუ რატომ არ იხსენიებს იაკობი სამოელს კათალიკოსის ტიტულით[25]. ა. ბოგვერაძე ცდილობს ახსნა გამოუნახოს ამ მართლაც უჩვეულო ფაქტს. მისი მითითებით, წოდებულების მიხედვით „თავი ეპისკოპოსთაჲ“ „კათალიკოსიც“ შეიძლება იყოს და „მთავარეპისკოპოსიც“. ამ შემთხვევაში „კათალიკოსი“ უნდა იგულისხმებოდეს, „მთავარეპისკოპოსი“ რომ იგულისხმებოდეს, „მთავარეპისკოპოსს“ დაწერდა ჰაგიოგრაფი. ეს უკანასკნელი სიტყვა შინაარსობრივ განმარტებას არ საჭიროებდა, კათალიკოსობა კი ახალი იყო და განმარტებას მოითხოვდა[26]. სრულიად აშკარაა, რომ სირთულე ა. ბოგვერაძის მსჯელობის შემდეგაც გადაულახავი რჩება. მიუხედავად მისი მტკიცებისა, ტექსტში არავითარი განმარტება არაა

მოცემული. ან კი როგორაა შესაძლებელი ტერმინი განიმარტოს მისი მოხსენიების გარეშე?!

ორივე ტრადიციული მიდგომისაგან განსხვავებული ორიგინალური ვერსია სამოელ „თავი ეპისკოპოსთაჲ"-ს ვინაობის საკითხში უკავია თ. მგალობლიშვილს. მისი აზრით, „თავი ეპისკოპოსთაჲ" არც მთავარეპისკოპოსია, არც კათალიკოსი; ესაა სპეციფიკური ტიტული ირანისადმი დაქვემდებარებულ მხარეთა ეკლესიების იერარქთათვის მინიჭებული. ამ დასკვნამდე, მკვლევრის აზრით, მივყავართ სომხეთში დადასტურებული ვითარების ანალოგიას[27]. მაგრამ მეცნიერი ცდება და ეს კარგად ჩანს მისივე მსჯელობით, რომელიც ფაქტობრივ, ზემოხსენებული დასკვნის უარყოფას წარმოადგენს: „მიუხედავად უმაღლესი სასულიერო ტიტულატურის ასეთი მრავალფეროვნებისა, სომხური ეკლესიის მეთაურის წოდება — ეპისკოპოსთა თავი... ფავსტოსის გარდა ჩვენ ვერსად დავიდასტურეთ. ხსენებულ წყაროში ამ ტიტულით სამი ეპისკოპოსია დასახელებული, რომლებიც ნერსე დიდის შემდეგ საჰაკ დიდამდე დაახ. 374–390 წლებში იყვნენ სომხეთის ირანული ნაწილის სათავეში. ესენი არიან „ეპისკოპოსთა თავი" ზავენი, „ეპისკოპოსთა თავი" საჰაკი, „ეპისკოპოსთა თავი" ასპურაკესი. **იგივე ეპისკოპოსები სხვა ავტორებთან მთავარეპისკოპოსის წოდებით** არიან მოხსენიებულნი. ბუნებრივია, დაისმის კითხვა: რით არის გამოწვეული ამ ეპისკოპოსთათვის სხვათაგან სრულიად განსხვავებული ტიტულის მიკუთვნება"[28]. რა თქმა უნდა, ეს კითხვა ბუნებრივი არაა, პირიქით, თუკი პიროვნებებს, რომელთაც ფავსტოსი „თავ ეპისკოპოსებს" უწოდებს, სხვები „მთავარეპისკოპოსებად" იხსენიებენ, სრულიად აშკარაა, რომ სომხეთშიაც „თავი ეპისკოპოსი" „მთავარეპისკოპოსის" შესატყვისი ყოფილა. მაგრამ კიდევაც რომ „თავი ეპისკოპოსთაჲ" რაღაც განსაკუთრებულ, უცხო ტიტულს წარმოადგენდეს, სამოელი კი ეპარქიული მღვდელმთავარი იყოს, გაუგებარია ეს ფაქტი რა საფუძველს მისცემდა მკვლევარს ემტკიცებინა, რომ განსახილველ ეპოქაში ქართლში კათალიკოსობა ჯერ კიდევ არ იყო შემოღებული.

ამრიგად, ზემოთ განხილულ თვალსაზრისებს ახასიათებთ გადაულახავი შინაგანი წინააღმდეგობანი, წყაროებისადმი ვოლუნტარისტული დამოკიდებულება, რაც გამოიხატება არარსებული ცნობის ჩამატებაში, არსებულის უგულვებელყოფაში, ინფორმაციის სრულიად საპირისპიროდ განმარტებაში.

ჩვენი კონცეფცია გულისხმობს წყაროთა სრულ შესაბამისობას: „წმ. შუშანიკის წამება", „მოქცევაჲ ქართლისაჲ", ქართლის ცხოვრება" კი არ ეწინააღმდეგება, პირიქით, დამაჯერებლად ავსებს ერთმანეთს. ამ კონცეფციის არგუმენტირებისათვის საჭირო არაა მეცნიერული თვალსაზრისით უპერსპექტივო ძიებანი ტერმინების „თავი ეპისკოპოსთაჲ" და „მთავარეპისკოპოსის" იგივეობის უარსაყოფად, არც ცნობათა ვოლუნტარისტული უგულვებელყოფა ან ჩამატება.

***

ჩვენი დამოკიდებულება „წმ. შუშანიკის წამებაში" ნახსენები სამოელის ვინაობის თაობაზე პირველად გამოვთქვით ამ რამდენიმე წლის წინ „მოქცევაჲ ქართლისაჲს" ტექსტის წყაროთმცოდნეობით ანალიზთან დაკავშირებით[29]. თვალსაზრისის ჩამოყალიბებისას მოგვიხდა კრიტიკულად განგვეხილა ა. ბოგვერაძის აზრი, რომლის მიხედვითაც სამოელ I კათალიკოსობამდე იყო არა მცხეთელი, არამედ — ბოლნელი[30]. ჩვენ მიუღებლად მივიჩნიეთ ეს აზრი იმ

მიზეზით, რომ ეწინააღმდეგება წყაროს სრულიად გარკვეულ, პირდაპირ ცნობას, არგუმენტები კი, რომლებიც წყაროს კრიტიკისათვის მოჰყავდა მკვლევარს, არ ჩავთვალეთ დამაჯერებლად. შემდგომში გამოქვეყნებულ ხსენებულ წერილში სამოელ I ქართლის კათალიკოსზე მეცნიერი ძირითადად იმეორებს თავის ადრინდელ შეხედულებებს და არგუმენტებს, თუმც არის სიახლეებიც, მათ შორის, კრიტიკული შენიშვნები ჩვენი მისამართით: „ამ მომენტებს ვერ აცნობიერებს მ. ჩხარტიშვილი", „ავტორი ვერ აცნობიერებს", „მკვლევარი იმას მაინც უნდა დაეფიქრებინა"[31]. ჩვენს კონცეფციაში მკვლევარს მოუთმენლად ესახება ორი ფაქტი: ის, რომ არ ვიზიარებთ თვალსაზრისს სამოელ I ბოლნელობის შესახებ მისი მოღვაწეობის კათალიკოსობამდელ პერიოდში (I) და რომ „თავი ეპისკოპოსთა" „მთავარეპისკოპოსის" სინონიმად მიგვაჩნია (II). ჩვენ კრიტიკულ შენიშვნას საკუთარ შეხედულებაზე ა. ბოგვერაძე არ დაუკმაყოფილებია იმ მიზეზითაც, რომ იგი, მისივე სიტყვით რომ ვთქვათ, ზოგადია.

ა. ბოგვერაძის მისამართით გამოთქმული ჩვენი კრიტიკა არ იყო დეტალური, რადგანაც ჩვენ მას არსობრივ შევეკამათეთ. მაგრამ რადგან მკვლევარს დეტალური განხილვა აინტერესებს, ესეც არაა საძნელო საქმე. მით უმეტეს, რომ წინამდებარე გამოკვლევისათვის იგი ლოგიკურიცაა: პოზიტიური მსჯელობებიდან გამომდინარე დასკვნების ჭეშმარიტება ნეგატიური მსჯელობებით უფრო თვალსაჩინო გახდება.

პირველი, რასაც განიხილავს ჩვენთან პოლემიკაში ა. ბოგვერაძე, როგორც ითქვა, არის სამოელ I ბოლნელობის საკითხი. ბოლოდროინდელ ნაშრომში ამ მტკიცებულების არგუმენტები მას შეუმოკლებია. ამიტომ მათ სრულად წარმოსაჩენად ადრევე ჩვენ მიერ კრიტიკულად განხილულ გამოკვლევას მივმართავთ: „ეს მღვდელმთავარი (სამოელი — მ. ჩ.) ორჯერ იხსენიება იაკობ ცურტაველის თხზულებაში: პირველად ეპისკოპოსად, ხოლო მეორედ „ეპისკოპოსთა თავად". კ. კეკელიძემ კარგა ხანია გამოარკვია, რომ შუშანიკის პირველ ტანჯვას ადგილი ჰქონდა 469 წ. 8 იანვარს. მეორე დღეს ვარსქენ პიტიახში, სანადიროდ წავიდა. იაკობმა ისარგებლა ამით და შუშანიკი ინახულა. ამ ეპიზოდის თხრობისას ვეცნობით პირველ ცნობას სამოელ ეპისკოპოსზე: „მე მცირედ ვაიძულე მიღებად ჭამადი, რომელი მოეძღუანა სამოელ ეპისკოპოსსა და იოვანეს, რამეთუ **ფარულად იღუწოდეს** და ნუგეშინის-სცემდეს"-ო. როდის და, თუ შესაძლებელია, ითქვას ვის მიერ იქნა ზემოხსენებულ პირთაგან გამოგზავნილი საჭმელი სენაკში გამოკეტილ დედოფალთან შეტანილი? იაკობს აღნიშნული აქვს, რომ მანამდე შუშანიკს „ყოველი იგი დღენი უზმასა გარდაევლნეს", რომლის ანგარიში ალბათ უნდა დავიწყოთ 2 იანვრიდან, როცა შუშანიკმა ვარსქენის გამაზდეკანება შეიტყო. მაგრამ 2-იდან 6 იანვრამდე შუშანიკი ეკლესიის მახლობლად ერთ მცირე სახლში იყო შეფარებული, სადაც მის ნებაზე იყო ჭამდა თუ იშიმშილებდა (5 იანვრამდე ვარსქენიც არ დაბრუნებულიყო ცურტავში). ასე რომ, ამ დღეებში სამოელ ეპისკოპოსისაგან მის მიმართ გამოჩენილ მზრუნველობას და ისიც „ფარულს", აზრი არ ჰქონდა, 6-იდან 8 იანვრამდე შუშანიკი დედოფლადაა შემოყვანილი სასახლეში და ამიტომ არც ამ დროს საჭიროებდა ის ვინმესაგან მატერიალურ საზრდოს და ისიც ფარულად გამოგზავნილს, მას შემდეგ კი, რაც პიტიახშმა ის გვემა და სენაკში გამოკეტა, შუშანიკს მხოლოდ ფარულად შეგზავნილი საჭმლის მიღება შეეძლო. მაგრამ ეს იქნებოდა

უკვე მეორე დღეს, 9 იანვარს, როცა ვარსქენი სანადიროდ წავიდა და შუშანიკზე მეთვალყურეობა მცველებს მიანდო. იაკობი არ ამბობს, მაგრამ უთუოდ მისი შეტანილია დედოფალთან ეპისკოპოსისაგან მოძღვნილი „ჭამადი". ცხადია, მისი შოვნა არც მას გაუჭირდებოდა, მაგრამ სხვა ფასისა იყო უმაღლესი მღვდელმთავრისაგან მოკითხული. უთუოდ 8–შივე ან 9–ში დილით იაკობმა ინახულა ზემოხსენებული პირები და მათ პიტიახშის სასახლეში მომხდარი ამბავი აცნობა და დედოფლის ნახვის სურვილიც გაანდო. სამოელ ეპისკოპოსმა და მისმა „მოყვასმა" იოანემ იაკობის პირით შუშანიკს თანადგომა და „ნუგეშინის–ცემა" აღუთქვეს, რისი დასტურიც იყო მათგან მოძღვნილი საჭმელი... მთელი ეს მსჯელობა იმიტომ დაგვჭირდა, რომ მკითხველებისათვის გვეჩვენებინა შუშანიკის მოძღვრის ახლო, ყოველდღიური კავშირურთიერთობა სამოელ ეპისკოპოსთან... სამოელი, უეჭველია, ეპარქიული მღვდელმთავარია, რომლის სამწყსოზე პიტიახშის ძალაუფლება ვრცელდებოდა. ამიტომ იღწვის ის შუშანიკისათვის ფარულად, თორემ სხვა საეპისკოპოსოს საჭეთმპყრობელს საამისო არაფერი სჭირდა და ვერც ასე სწრაფად შეიტყობდა პიტიახშის სასახლეში დატრიალებულ ამბავს. **საეჭვო არ უნდა, იყოს, რომ სამოელი ბოლნისის ეპისკოპოსი ანუ ბოლნელი იყო**, რადგან საპიტიახშოს ტერიტორიაზე ადრეულ შუა საუკუნეებში მხოლოდ ერთადერთი საეპისკოპოსო არსებობდა... თვით ის გარემოებაც, რომ ეს ეპისკოპოსები მხოლოდ სახელებით არიან მარტვილობაში მოხსენებულნი და არა საეპისკოპოსოების სახელწოდებითაც, იმის ნიშანია, რომ ავტორი წარმოადგენდა ადგილობრივი საეპისკოპოსოს მესვეურებს, რომელთაც იმდროინდელი მკითხველი იცნობდა ანდა განმარტების გარეშეც ხვდებოდა"[32].

ამრიგად, ა. ბოგვერაძის აზრით, სამოელის ბოლნელობას აჩვენებს სამი გარემოება: მყისიერი რეაქცია შუშანიკის მიერ შიმშილის დაწყებაზე, საჭმლის მიძღვნა სულ რაღაც ერთი დღის თუ დღე-ნახევრის განმავლობაში (I); სამოელის მოქმედების ფარულობა (2); სამოელის საეპისკოპოსოს მოუხსენებლობა (3).

მყისიერი რეაქციის შესახებ არგუმენტის მოხმობისას ა. ბოგვერაძე კვლავ არ ეთანხმება წყაროს, ოღონდ ამჯერად „წმ. შუშანიკის წამებას". თავადაც შენიშნავს, რომ იაკობ ხუცესი შუშანიკის შიმშილობაზე ლაპარაკობს ქმრის გამაზდეანების შესახებ ცნობის მიღების დროიდანვე; ეს კი, სულ მცირე ერთი კვირა მაინც არის, როგორც ვნახეთ. მაგრამ მკვლევარი არ ენდობა ჰაგიოგრაფის ამ ინფორმაციას და ცდილობს თვითონვე გამოთვალოს შუშანიკის შიმშილობის დღეების რაოდენობა. ამ გამოთვლისას კი ავლენს ქრისტიანული მსოფლმხედველობისათვის უჩვეულო, ე. წ. მებრძოლი ათეიზმისათვის კი სავსებით ბუნებრივ დამოკიდებულებას წმინდანისადმი. მისი აზრით, ვიდრე შუშანიკი თავის ნებაზე იყო და არავინ უყურებდა, გამორიცხულია მას ეშიმშილა. არც მაშინ იშიმშილებდა, ცხადია, როცა სასახლეში იყო და, როგორც დედოფალს, ყოველივე უხვად ჰქონდა. აი, როცა ჩაკეტეს და გარესამყაროსთან კავშირი მოუსპეს, იძულებული გახდა ეშიმშილა! ასეთია მკვლევრის პირველი „არგუმენტი" სამოელის ბოლნელობის შესახებ. ბუნებრივია, ჩვენ იგი ვერ გავიზიარეთ. ზემოთ მოყვანილმა ანალიზმა, ვფიქრობთ, მკითხველი უკვე დაარწმუნა, რომ შუშანიკს საკვების მიღებას არავინ უკრძალავდა. პირიქით, იგი თავად შიმშილობდა, და მისთვის მნიშვნელობა

არ ჰქონდა ეკლესიის მახლობელ მცირე სახლაკში იმყოფებოდა და არავინ უყურებდა თუ პიტიახშის გაშლილ სუფრასთან იჯდა.

მეორე არგუმენტს მკვლევრისათვის, ითქვა, სამოელის ფარული ქმედება წარმოადგენს. ადრე ჩვენ ეს საკითხი უკვე განვმარტეთ. ახლა გავიმეორებთ ჩვენს თვალსაზრისს. სამოელის ფარული მხარდაჭერა შუშანიკს აქვს მისი მოღვაწეობის დასაწყისში. ეს ის პერიოდია, როცა შუშანკის პროტესტს არ მიუღია საზოგადოებრივი ჟღერადობა, როცა მისი და ვარსქენის ურთიერთობას არ ჩამოსცილებია ოჯახური კონფლიქტის ელფერი. შუშანიკი ამ დროს ქმრის სახლშია. ამიტომ საქმეში აშკარა ჩარევა მაღალი რანგის სასულიერო პირისათვის უხერხულია. სწორედ ეს, ეთიკური მომენტი არის სამოელის ფარული მოქმედების მიზეზი და არა შიში, როგორც მიიჩნევს ა. ბოგვერაძე. მართალია, ცენტრიდან შუშანიკს თანაუგრძნობდნენ, მაგრამ შუშანიკი აგენტი ხომ არ იყო ზუსტად ისე ემოქმედა, როგორც იქ სურდათ. თავიდან არავითარი გარანტია არ არსებობდა, რომ გაფიცხებული ქალი უკან არ დაიხევდა და ქმარს არ შეურიგდებოდა. მაგრამ როცა შუშანიკის მოღვაწეობა ფართო საზოგადოებრივ რეზონანსს იძენს და ცხადი ხდება, რომ ვარსქენთან მისი შეთანხმება უკვე შეუძლებელია, სამოელი აშკარად ავლენს თავის მხარდაჭერას, რაც პიტიახშის ოჯახურ საქმეებში ჩარევად ვეღარ ჩაეთვლება.

სამოელის ბოლნელობის მამტკიცებელ ერთ–ერთ საბუთად ა. ბოგვერაძე უთითებს იმ ფაქტს, რომ თხზულებაში არაა ნახსენები მისი სამწყსო. მკვლევრის შეხედულებით, ეს სამოელის ადგილობრივობის მაუწყებელია, მკითხველს განმარტების გარეშეც შეეძლო მიხვედრა თუ ვის ეხებოდა სიტყვა. მაგრამ განა ასევე განმარტების გარეშე არ შეიძლებოდა ყოფილიყო წარმოდგენილი მცხეთელი ეპისკოპოსი — დიდი გავლენისა და საყოველთაო ავტორიტეტის მქონე პიროვნება? ეს შესაძლებლობა ხომ არ გამოურიცხავს მკვლევარს, მაშ როგორღა იყენებს აღნიშნულ ფაქტს არგუმენტად?!

როგორც ვხედავთ, ა. ბოგვერაძის უკლებლივ ყველა „არგუმენტი“ მამტკიცებელ ძალას მოკლებულია. ჩვენთვის გაუგებარია (ა. ბოგვერაძის სიტყვით „ვერ ვაცნობიერებთ“) რატომ ცდილობს მკვლევარი დაამტკიცოს „წმ. შუშანიკის წამებაში“ ნახსენები სამოელის ბოლნელობა, როცა ამის არავითარი საფუძველი არ არსებობს. მაგრამ თუ ჩავთვლით, რომ მან ეს დაამტკიცა (როგორც ითქვა, ამაში ეჭვიც არ ეპარება), მაშინ როგორღა ფიქრობს, რომ ეს პიროვნება იყო სამოელ I ქართლის კათალიკოსი, რომელიც, წყაროთა ჩვენებით, კათალიკოსობამდე იყო არა ბოლნელი, არამედ მცხეთელი? მართლაც, ვერ გავაცნობიერეთ. სხვათა შორის, დამახასიათებელია, რომ სპეციალისტები, რომლებიც მხარს არ უჭერენ სამოელ „თავი ეპისკოპოსთაჲ“ გაიგივებას სამოელ I–თან, ცდილობენ აჩვენონ სამოელის კავშირი ქვემო ქართლის ეპარქიასთან, რომ ამით დააცილონ იგი სამოელ I, რომელიც კათალიკოსობამდე იყო მცხეთელი. მაგალითად, გ. მამულია ამ სამოელს მიიჩნევს კორიუნის თხზულებაში მოხსენიებულ ქართველ მღვდელმთავრად, რომელიც საპიტიახშოს ეპისკოპოსი იყო და, რომელსაც, ბუნებრივია, არაფერი ჰქონდა საერთო წარმოშობით ბერძენ, სულ სხვა საეკლესიო კარიერის მქონე სამოელ I–თან[33]. ვ. გოილაძე, რომელიც ასევე იდენტიფიკაციის მოწინააღმდეგეა, ენთუზიაზმით იზიარებს შეხედულებას სამოელის ბოლნელობის შესახებ[34].

მეორე საკითხი, რომელშიც არ გვეთანხმება ა. ბოგვერაძე, როგორც ითქვა, არის ჩვენ მიერ „თავი ეპისკოპოსთაჲს“ "მთავარეპისკოპოსის" იდენტურ ტიტულად მიჩნევა: „ავტორი (ე. ი. ჩვენ — მ. ჩ.) **ვერ აცნობიერებს**, რომ მცხეთელი ეპისკოპოსი „მთავარეპისკოპოსი“ იყო ტიტულით, ხოლო „თავი ეპისკოპოსთა“ არის საეპისკოპოსოებად დაყოფილი მთელი ქვეყნის ეკლესიის სათავეში მყოფი უმაღლესი იერარქი განუსაზღვრელად იმისა, კათალიკოსად იწოდებოდა იგი თუ მთავარეპისკოპოსად. **მკვლევარი იმას მაინც უნდა დაეფიქრებინა**, რომ თუ კათალიკოსობამდე სამოელი „ეპისკოპოსთა თავი“ იყო, პეტრე კათალიკოსი ვინლა იყო“?[35]

როგორც ამ მსჯელობიდან ჩანს, მკვლევრის აზრით, „თავი ეპისკოპოსთაჲ“ ზუსტად იგივე თანამდებობის აღმნიშვნელი სიტყვაა, რაც „კათალიკოსი“. თუ ეს ასეა, მაშინ, ცხადია, გაუგებარია ორი ერთი და იმავე ძალმოსილების იერარქი როგორ შეიძლება იყოს ერთდროულად ქვეყანაში. მაგრამ საიდან იცის ა. ბოგვერაძემ, რომ „თავი იგი ეპისკოპოსთაჲ“ სამოელი უსათუოდ სხვებზე მაღლა მდგომი პიროვნებაა, რომელსაც იურისდიქცია აქვს დანარჩენ ქართლის ეპისკოპოსებზე, თხზულებაში ამის თაობაზე ხომ არაფერია ნათქვამი?!

სხვა გზა არ არის, გვრჩება ვივარაუდოთ, რომ ამგვარი დასკვნისაკენ მკვლევარს უბიძგა თვად სიტყვა „თავმა“. ჩანს, ა. ბოგვერაძე ითვალისწინებს „თავის“ მხოლოდ ერთ მნიშვნელობას. სწორედ ამიტომ ეპისკოპოსი ამ ატრიბუტით, კათალიკოსის მსგავსად, მას სხვა ეპისკოპოსებზე იურისდიქციის მქონედ მიაჩნია. მაგრამ სიტყვა „თავი“ ნიშნავს არა მარტო „ბელადს“ და „უფროსს“. ეს სიტყვა „რჩეულის“, „პირველის“, „საუკეთესოს“ აღმნიშვნელიცაა. „თავი ქალი“ არა ქალების უფროსია, არამედ ამა თუ იმ კოლექტივის ყველაზე წარჩინებული, პატივსაცემი ქალბატონია[36]. ასევეა თავი ეპისკოპოსი. ესაა ეპისკოპოსთა შორის პირველი. ამრიგად, ლოგიკური თვალსაზრისით „თავი ეპისკოპოსთაჲს“ და „კათალიკოსის“ ტიტულების მქონე პირთა თანაარსებობა ქვეყანაში სულაც არაა ნონსენსი. ისტორიულად კი ამგვარ ვითარებას ადასტურებს „ქართლის ცხოვრება“: სამოელის მცხეთელობა (თავ ეპისკოპოსობა, მთავარეპისკოპოსობა) და პეტრეს კათალიკოსობა სინქრონული მოვლენებია.

ამრიგად, ა. ბოგვერაძე ცდება, როცა გვეკამათება. შეცდომისაგან დაზღვეული არავინაა, მაგრამ წყაროების მეტი სიფრთხილით განხილვა, მსჯელობათა ლოგიკურობის მოთხოვნის დაცვა მკვლევარს უთუოდ თავიდან აიცილებდა ბევრ ლაფსუსს. როცა დასკვნების გამოტანისას არაერთი „შებრკოლების ლოდი“ შეხვდა, საჭირო იყო შეჩერება, საკუთარ შეხედულებათა გადამოწმება და არა წყაროთა ხელაღებით უარყოფა ანდა კოლეგისადმი ქედმაღლური დამოკიდებულება. ჩვენი მისამართით მისი აგდებული საუბარი განსაკუთრებით იმიტომაც გვტკენს გულს, რომ კრიტიკაზე ამგვარი რეაქცია საერთოდ მისთვის დამახასიათებელი არ არის. „რაინდულად“ ეპყრობა ა. ბოგვერაძე თ. მგალობლიშვილს, დუმილით უვლის გვერდს ნაშრომს, რომელშიც არათუ კრიტიკულად არის განხილული ა. ბოგვერაძის პოზიცია, არამედ მიეწერება მას ისეთი მცდარი აზრი, რომლის გამომრიცხველი შეხედულება აქვს გამოთქმული ა. ბოგვერაძეს[37]. მაშ რა უნდა იყოს ჩვენი კონცეფციით მისი ამგვარი აღშფოთების მიზეზი? ვგონებთ, მკვლევარი მიხვდა: ჩვენ მიერ გამოთქმული თვალსაზრისია მართებული.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა ავტორთა კოლექტივმა ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. – თბ., 1963, I, გვ. 18 (ხაზი ჩვენია. – მ. ჩ.) (შემდეგში: ძეგლები I).
2. იქვე, გვ. 16–17.
3. იქვე, გვ. 17.
4. იქვე, გვ. 23 (ხაზი ჩვენია. – მ. ჩ.).
5. აი, როგორ წარმოგვიდგენს იაკობ ხუცესი შუშანიკის ყოფას აღდგომის დღესასწაულის წინა პერიოდში: „ხოლო დიდთა მათ მარხვათა აღვსებისათა ერგასისთა მათ დღეთა, ექუსთა წელთა შინა არცა დღისი, არცა ღამჱ არა დაჯდის ქუე, არცა დაიძინის, არცა საჭმელი რაჲ მიიღის, გარნა დღესა ხოლო კჳრიაკესა ეზიარის ჴორცთა და სისხლსა ქრისტჱს ღმრთისა ჩუენისასა; და მცირედ ოდენ წუენი მხლისა, შექმნული – იგიცა მცირედ– მიიღოს, ხოლო პურისა გემოჲ არა იხილოს ვიდრე აღვსებამდე", იქვე, გვ. 25.
6. ძეგლები I, გვ. 24.
7. იქვე, გვ. 27 (ხაზი ჩვენია – მ. ჩ.).
8. იქვე, გვ. 86.
9. იქვე, გვ. 89.
10. იქვე, გვ. 91 (ხაზი ჩვენია – მ. ჩ.).
11. იქვე, გვ. 89 (ხაზი ჩვენია – მ. ჩ.).
12. ლომინაძე ბ. მცხეთის საეპისკოპოსო. – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბ., 1984, ტ. 7, გვ. 258.
13. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. – თბ., 1955, I, გვ. 166 (შემდეგში ქართლის ცხოვრება I).
14. ქართლის ცხოვრება I, გვ. 167.
15. იქვე, გვ. 196.
16. იქვე, გვ. 197.
17. იქვე, გვ. 198.
18. იქვე, გვ. 205.
19. ძეგლები I, გვ. 93 (ხაზი ჩვენია – მ. ჩ.)
20. ჯავახიშვილი ი. ქართველი ერის ისტორია: თხზ. 12 ტომად.–თბ., 1979, ტ. I, გვ. 385 (ხაზი ავტორისაა – მ. ჩ.).
21. გოილაძე ვ. ქართული ეკლესიის სათავეებთან – თბ., 1991, გვ. 151–152.
22. მამულია გ. ქართლის ეკლესია V–VI საუკუნეებში – თბ., 1992, გვ. 19–20.
23. კეკელიძე კ. კანონიკური წყობილება ძველ საქართველოში – ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან – თბ., 1957, IV, გვ. 341.
24. ჯანაშია ნ. შუშანიკის წამება, ისტორიულ–წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა. – თბ., 1988, გვ. 356. შდრ. ზოგვერაძე ა. სამოელ I – ქართლის კათალიკოსი. – საქართველოს ეკლესიის, ქართული სასულიერო მწერლობის და ქრისტიანული ხელოვნების ისტორიის საკითხები. სვეტიცხოვლობისადმი მიძღვნილი პირველი სამეცნიერო კონფერენციის მასალები, 11–13 ოქტ. 1995, თბ., 1998, გვ. 78.

25. ჯანაშია ნ. შუშანკის წამება. ისტორულ–წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა, გვ. 356.

26. ბოგვერაძე ა. სამოელ I – ქართლის კათალიკოსი, გვ. 67–68.

27. კლარჯული მრავალთავი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო თ. მგალობლიშვილმა – თბ., 1991, გვ. 198.

28. იქვე, გვ. 195. (ხაზი ჩვენია – მ. ჩ.).

29. ჩხარტიშვილი მ. „მოქცევაჲ ქართლისაჲ ერთი ანარქონიზმის შესახებ. („შუშანიკ იწამა (ცურტავს") – მნათობი, 1990, №9, გვ. 146–149. სამოელის პიროვნებას ჩვენ შევეხეთ აგრეთვე ნაშრომში „ისტორიული პორტრეტები", თბ., – 1992, გვ. 59–68.

30. ბოგვერაძე ა. ძიებანი V ს–ის საქართველოს ისტორიიდან. – საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1985, №4, გვ. 156–162.

31. მისივე. სამოელ I – ქართლის კათოლიკოსი, გვ. 73, შენ 15, გვ. 73, 75, შენ. 19.

32. ბოგვერაძე ა. ძიებანი V ს–ის საქართველოს ისტორიიდან, გვ. 159–160 (ხაზი ყველგან ავტორისაა. – მ. ჩ.).

33. მამულია გ. ქართლის ეკლესია V–VI საუკუნეებში, გვ. 19–20.

34. გოილაძე ვ. ქართული ეკლესიის სათავეებთან, გვ. 151.

35. ბოგვერაძე ა. სამოელ I – ქართლის კათოლიკოსი, გვ. 74–75, შენ. 99 (ხაზი ჩვენია – მ. ჩ.).

36. ნეიმანი ა. ქართულ სინონიმთა ლექსიკონი.– თბ., 1978, გვ. 188, 191.

37. „თუ ჩვენი ვარაუდი ჭეშმარიტებას მოკლებული არ არის, მაშინ ამ იერარქიული წოდების – „თავი იგი ეპისკოპოსთაჲ" – გათვალისწინებით, ალბათ, შეუძლებელია ქართული ეკლესიის რეორგანიზაცია 467–468 წწ–ით დავათარიღოთ და **ქართლის პირველ კათალიკოსად** „შუშანიკის წამებაში" დასახელებული „თავი იგი ეპისკოპოსთაჲ" სამოელი გამოვაცხადოთ, როგორც ამას კ. კეკელიძე და ა. ბოგვერაძე ფიქრობენ". იხ. კლარჯული მრავალთავი გვ. 199. (ხაზი ჩვენია – მ. ჩ.). შდრ. ა. ბოგვერაძე „შუშანიკის მარტვილობაში" ჯერ ეპისკოპოსად და მერე „ეპისკოპოსთა თავად" მოხსენიებული სამოელი არის **ქართლის მეორე კათალიკოსი პეტრეს შემდეგ**". იხ. სამოელ I – ქართლის კათალიკოსი, გვ. 78 (ხაზი ჩვენია – მ. ჩ.).

Mary Chkhartishvili

The Evidences on Samuel the Archbishop of Kartli (Eastern Georgia) in Monuments of medieval Georgian Literature

The several ecclesiastics are mentioned in the "Martyrdom of St. Shushanik". The archbishop (head of the bishops) Samuel is the most remarkable one. The author of the "Martirdom" -Jacob the Presbyter - narrates on Samuel in connection with the events of 460-470s and presents him as a very authoritarian person.

The monuments of medieval Georgian historiography the "Conversion of Georgia" ("Moktsevai Kartlisai") and the "History of Georgia" ("Kartlis Tskhovreba") do not mention archbishop by the name Samuel in the period before the king Vakhtang Gorgasali's ecclesiastic reforms. However after the reforms they do mention Samuel the monk who accompanied Peter the first Catholicos of Kartli when he arrived in Georgia. Samuel became the bishop of Mtskheta. The bishops of Mtskheta were called archbishops. After Peter's death at the beginning of 5th c. he was the bishop of Mtskheta (archbishop of Kartli). Both sources are depicting Samuel as an eminent church worker who had influence on the believers. Thus not only the name, or the title or the chronology of activities, but also the features of the character are identical. Undoubtedly Samuel mentioned in the "Martyrdom" is the same personality, which is mentioned by the "Conversion" and the "History". However Jacob the Presbyter, it has to be stressed, presents the early period of Samuel's career, when he was not the Catholicos yet.

Besides the positive statements the article includes critical observation of the preceding opinions on the subject. A. Bogveradze's assertions are the most inaccurate. They are considered in detail.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნანა ხაზარაძე

ჯუანშერისეული სტერის იდენტიფიკაციისათვის

სადღეისოდ ჯუანშერის თხზულება ერთადერთი საისტორიო წერილობითი წყაროა, რომელიც ქ. სტერს იხსენიებს. პონტოში ვახტანგ გორგასლის ლაშქრობის აღწერისას ჯუანშერი გვამცნობს: „და მოადგეს (ვახტანგ გორგასლის ლაშქარი - ნ. ხ.) ციხე-ქალაქსა, რომელსაც ერქუა კარახპოლა, ხოლო აწ ეწოდების კარნუ ქალაქი. და ბრძოდეს მას, ხოლო ვერ შეუძლეს დაპყრობად, რამეთუ იყო იგი ზღუდითა მაღლითა სამითა და დაუტევნეს ერისთავნი მჴედრითა თორმეტი ათასითა ბრძოლად ქალაქისად.

წარვიდა ვახტანგ პონტოს და მოაოჴრნა გზასა ქალაქნი სამნი: ანძორეთი, ეკლეცი და სტერი. და მოადგეს ლაშქარნი პონტოსა ქალაქსა დიდსა ზღჳს კიდესა“[1].

სტერის ადგილმდებარეობის საკითხთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში ერთიმეორისაგან განსხვავებული თვალსაზრისებია გამოთქმული.

ს. ყაუხჩიშვილის თანახმად, სტერი „ქალაქია პონტოში“[2].

გ. წულაიას აზრით, „სტერი“ რომელიღაც ქალაქის ან ოლქის დასახელების შერყვნილი ფორმაა. მკვლევარი არც იმ ვარაუდს გამორიცხავს, რომ სტერში აკილისენეს მეზობლად მდებარე სისპირიტიდა (ქართული წერილობითი წყაროების სპერი) იგულისხმებოდეს[3].

ვ. გოილაძე არ ეთანხმება გ. წულაიას მოყვანილ მოსაზრებებს. „ჯერ ერთი, შენიშნავს ავტორი, სტრაბონთან დასახელებული აკილისენე ოლქია, ჯუანშერი კი, ქალაქ ეკლეცს ასახელებს. ასევე სტერიც ქალაქად აქვს ჯუანშერს დასახელებული და სისპირიტიდის ოლქთან მისი გაიგივება არ შეიძლება. თანაც სტრაბონის „გეოგრაფიაში“ ჩართულ რუკაზე ამ ოლქების ადგილმდებარეობას თუ გავითვალისწინებთ, მაშინ გ. წულაიას მოსაზრებას ვერ დავეთანხმებით“[4].

თავად ვ. გოილაძის თვალსაზრისით, ჯუანშერისეული სტერი კაპადოკიის ქალაქი ამასია (დღევანდელი სამსუნი) უნდა იყოს[5].

მ. სანაძისა და ნ. შოშიაშვილის მიერ შემოთავაზებული ლოკალიზაციითაც, სტერი ამასიას ადგილზეა საძიებელი[6].

ჩვენი ვარაუდით, სტერი შესაძლოა სტრაბონისეულ დასტეჲრასთან//დასტირასთან (Δάστειρα) იქნეს იდენტიფიცირებული. ამ ორი გეოგრაფიული სახელწოდების ფუძეთა (სტერ-ი შდრ. და-სტეჲრ-ა//და-სტირ-ა) ფონეტიკურ მსგავსებასთან ერთად ამგვარი ვარაუდის სასარგებლოდ ისტორიულ-გეოგრაფიული რეალიებიც უნდა მეტყველებდეს.

როგორც დავინახეთ, ჯუანშერი სტერს ეკლეცთან და ანძორეთთან ერთად იხსენიებს. ამ სამ ქალაქს ქართველი ისტორიკოსი პონტოსკენ, უკეთ, პონტო ქალაქისკენ მიმავალ გზაზე ათავსებს („წარვიდა ვახტანგ პონტოს და მოაოჴრნა გზასა ქალაქნი სამნი: ანძორეთი, ეკლეცი და სტერი. და მოადგეს ლაშქარნი პონტოს ქალაქსა, დიდს ზღჳს კიდესა“).

ანძორეთის, ეკლეცისა და სტერის ლოკალიზაციისათვის ჯუანშერი სხვა ორიენტირებსაც გვთავაზობს. უპირველეს ყოვლისა, საყურადღებო ისაა, რომ ავტორს სამივე ქალაქი სასაზღვრო ტერიტორიაზე ეგულება. ამასთანავე იგი ერთმნიშვნელოვნად იმაზეც მიუთითებს, რომ ანძორეთი, ეკლეცი და

სტერი კარნუ-ქალაქის (დღევ. ერზრუმის) სამხრეთითა და სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობენ. დაბოლოს, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ორიენტირის შესახებ: ჯუანშერის მოწმობით, ანძიანძორა (ანძორეთი-ანძორა) ის ქალაქია „სადა უკუე აწ არს საფლავი დიდი მოძღუარისა გრიგოლისი“[7].

თუ ჩვენთვის საინტერესო პუნქტების ჩამოთვლის ჯუანშერისეულ თანმიმდევრობას გავითვალისწინებთ (ანძორეთი - ეკლეცი - სტერი), დავუშვებთ, რომ პონტო ქალაქი ტრაპიზონია და იმასაც გავიხსენებთ, რომ ლეონტი მროველისა და ვახუშტი ბატონიშვილის თანახმად, ქაჯთა ქალაქთან აზონზე ფარნავაზის გამარჯვების შემდეგ ქართლის მეფემ „საბერძნეთის“ და არიან-ქართლის (აზონის ქვეყნის) საზღვარზე ჯერ ანძიანძორა მოაოხრა, ხოლო კლარჯეთში მაინცდამაინც ეკლეცზე გავლით მიაღწია („ხოლო წელსა მეორესა აზონ მოირთნა სპანი საბერძნეთით, განძლიერდა ფრიად და მომართა ფარნავაზს, ხოლო ფარნავაზს განემრავლნეს მჰედარნი ქართლისანი. მოუწოდა მათ და უჰმო ქუჯის და ოვსთა და შეკრბეს ესე ყოველნი, და მოერთნეს ერისთავნი ანტიოქოზისნი სომხითით. და ესე ყოველნი შეკრიბნა ფარნავაზ და მიეგება ნაქალაქევსა თანა არტანისასა, რომელსა ერქუა მაშინ ქაჯთა ქალაქი, რომელ არს ჰური... და ეწყვნეს მუნ, და იქმნა ბრძოლა დიდძალი. და მოსწყდეს ორგნითვე ურიცხუ. ხოლო იძლივნეს ბერძენნი ფარნავაზისაგან. ივლტოდა ბანაკი მათი და მოკლეს აზონ, და ურიცხუნი სპანი მათნი მოსრნეს და ტყუე ქმნეს. **და წარვიდა ფარნავაზ და მოტყუენა საზღვარი საბერძნეთისა ანძიანძორა, და ეკლეცით შემოიქცა. მოვიდა კლარჯეთს და დაიპყრნა კლარჯეთი,** და წარმოვიდა მცხეთად სიხარულითა დიდითა. ხოლო სიმდიდრესა ზედა მისსა დაერთო ხუასტაგი აზონისცა. და იქმნა სიმდიდრე გარდარეული“)[8], იმ მართებულ დასკვნამდე მივალთ, რომ ანძიანძორეთი — ანძიანძორა ეკლეცის სამხრეთით ან სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობდა, ხოლო ჯუანშერისეული სტერი - ჩრდილოეთ ეკლეცშია საძიებელი.

როგორც ჩვენს სხვა ნაშრომშიაც აღვნიშნეთ[9], სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული, სავსებით მართებული, თვალსაზრისის თანახმად, ქართულ წერილობით წყაროებში მოხსენიებულ „ეკლეცს“ სტრაბონი „აკილისენეს“, „აკისენეს“, კლავდიოს პტოლემაიოსი „აკილისენეს“, ხოლო პროკოფი კესარიელი „აკელსენეს“ სახელწოდებებით იცნობენ. ქართული „ეკლეცის“ შესატყვის „ეკელიაცი“, „ეკეღიაცის“ არაერთგზის იხსენიებენ ძველი სომეხი ავტორებიც: ფავსტოს ბუზანდი, ლაზარ ფარპეცი, აგათანგელოსი, მოვსეს ხორენაცი, კორიუნი, ზენობი, სებეოსი და სხვები. ძველი სომხური წერილობითი წყაროების მოწმობით, ეკელიაცი-ეკეღიაცი დიდი სომხეთის ერთ-ერთი ნაჰანგის - მაღალი სომხეთის გავარი იყო. იგი დასავლეთ ევფრატის ხეობაში, ერზინკას (დღევ. ერზინჯანის) ზეგანზე მდებარეობდა. ვარაუდობენ, რომ ადრეულ ხანაში ეკელიაცი-ეკეღიაცი ამ მხარის კუთვნილ ტერიტორიასთან ერთად დარანალსა და დერჯანის გავარების სანახებსაც მოიცავდა. ეკელეცი-ეკეღიაცის გავარის ტერიტორიაზე განლაგებული ქალაქების რიცხვში ძველი სომეხი ავტორები ერიზას ანუ ერზინკას (დღევ. ერზინჯანს) და მასთან ახლო მდებარე თილს ასახელებენ.

ბერძენ-რომაელი ავტორების მონაცემებიც სავსებით ადასტურებენ დღევანდელი ერზინჯანის ზეგანზე, დასავლეთ ევფრატის ხეობაში, აკილისენე (აკისენე, აკელესენეს) ლოკალიზაციას[10].

რაც შეეხება ანძიანძორა-ანძორეთ-ანძორის ადგილმდებარეობის საკითხს, სავსებით მართებული უნდა იყოს გ. ქავთარაძის და ჩვენს მიერ გამოთქმული ვარაუდი ჯუანშერისეულ ზემომოყვანილ ფრაზაში („ხოლო წყობა პირველთა მეფეთა იყო ანძიანძორსა, სადა უკუე აწ არის საფლავი დიდისა მოძღუარისა გრიგოლისი") მოხსენიებული გრიგოლის გრიგოლ განმანათლებელთან იდენტიფიკაციის შესახებ და აქედან გამომდინარე, ერზინჯანის ზეგანზე, დასავლეთ ევფრატის ხეობაში, გრიგოლ განმანათლებლის მოღვაწეობის ბოლო წლებთან, მის პირველ და მეორე საფლავთან დაკავშირებული დარანალიქ-თორდანის შემოგარენში ანძიანძორეთ-ანძიანძორა - ანძორის ძიება[11].

ანძიანძორეთ-ანძორა-ანძორის ამგვარი ლოკალიზაცია სავსებით პასუხობს წერილობითი წყაროების (ლეონტი მროველის, ჯუანშერის, ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებების) მოთხოვნებს ეკლეცი-ანძიანძორეთის მდებარეობის შესახებ. ჩვენთვის საინტერესო ქალაქი (მხარე) თავსდება არტანისა-ერუშეთის, კარნუ-ქალაქისა და ტაო-კლარჯეთის სამხრეთითა და სამხრეთ-დასავლეთით, იმ ტერიტორიაზე, სადაც ჯერ „საბერძნეთისა" და არიან-ქართლის საზღვარი გადიოდა, ხოლო მოგვიანებით - ბიზანტიისა და დიდი არმენიისა.

საგულისხმო ისაა, რომ სტრაბონისეული დასტეჟრაც, რომელიც ჩვენი ვარაუდით, ქართული წყაროს (ჯუანშერის თხზულების) სტერის შესატყვისი უნდა იყოს, მაინცდამაინც ჩრდილოეთ აკილისენეს რეგიონში ლოკალიზდება. დასტეჟრას სტრაბონი მითრიდატე-პომპეუსის ომის პერიპეტიებზე საუბრისას იხსენიებს. ბერძენი გეოგრაფოსის მონათხრობით, როდესაც მითრიდატე ევპატორი გაძლიერდა, იგი კოლხეთისა და სხვა იმ ადგილების ბატონი გახდა, რომელიც მას ანტიპატროს სისიდეს ძემ დაუთმო. სტრაბონისავე ცნობით, მითრიდატე „ისე ზრუნავდა იმ ადგილებისათვის, რომ იქ 75 ციხე-სიმაგრე ააგო, რომლებშიც მოათავსა მეტი წილი განძისა. მათ შორის უმნიშვნელოვანესია: ჰიდარა, ბასკოჲდარიძა და სინორია: [ეს] არის დიდი არმენიის საზღვარზე მდებარე ადგილი, ამიტომაცაა, რომ თეოფანემ მას სჳნორია (ანუ „საზღვარზე მდებარე" - თ. ყაუხჩიშვილი) უწოდა"[12].

ჩვენთვის საინტერესო დასტეჟრას სტრაბონი შემდეგ კონტექსტში იხსენიებს: „პარიადრეს მთელ მთიანეთს ბევრი ასეთი ხელსაყრელი რამ აქვს: არის წყლით მდიდარი, ტყიანი და მრავალგან დაღარული ციცაბო ხეობებითა და კლდეებით, ამიტომ იყო აქ მოწყობილი მეტი წილი განძთსაცავებისა და, ბოლოს, პომპეუსის მიერ დევნილი მითრიდატე აქ გამოიქცა, პონტოს სამეფოს ამ უკიდურეს [კუთხეში], დაიპყრო დასტეჟრასთან აკილისენეს წყალუხვი მთა (მახლობლად იყო ევფრატიც, რომელიც საზღვრავდა აკილისენეს მცირე არმენიისაგან) და აქ ცხოვრობდა მანამ, სანამ ალყაშემორტყმული იძულებული არ გახდა გაქცეულიყო მთების გადაღმა კოლხიდაში და იქიდან კი - ბოსფორში"[13]...

ამგვარად, სტრაბონის მოყვანილი მონაცემებით, დასტეჟრა პონტოს უკიდურეს კუთხეში, აკილისენეში მდებარეობდა, წყალუხვ მთასთან, მდ. ევფრატთან, რომელიც აკილისენეს მცირე არმენიისაგან საზღვრავდა.

დასტეჟრას ადგილმდებარეობას გარკვეულწილად აპიანეც აზუსტებს. მართალია, „მითრიდატეს ომების ისტორიაში" ისტორიკოსი აკილისენე — დასტეჟრაზე არაფერს ამბობს, მაგრამ კოლხეთში მითრიდატეს გაქცევის ალ-

წერისას სინორეგას ფორმით სინორიასაც იხსენიებს, მდ. ევფრატსაც, აფსაროს-ჭოროხსაც და კოლხეთსაც. აპიანეს მონათხრობში საინტერესოა ისაა, რომ იგი ახალი დეტალებით ავსებს კოლხეთისაკენ მიმავალი მითრიდატეს გადაადგილების მარშრუტს. აპიანე გვამცნობს: ლტოლვილი მითრიდატე დაახლოებით 3000 ქვეითითურთ ციხე-სიმაგრე სინორეგაში მივიდა. „აქ მას დიდძალი ფული ჰქონდა დაგროვილი. მან საჩუქრები და მთელი წლის ქირა მისცა მათ, ვინც მასთან ერთად გამოიქცა; ხოლო 6000 ტალანტი წაიღოთან და გაეშურა ევფრატის სათავეებისაკენ, რომ იქიდან კოლხებში გადასულიყო.

[მითრიდატემ] შეუსვენებლივ სირბილით იარა და დაახლოებით მეოთხე დღეს გადალახა ევფრატი, ხოლო შემდეგი სამი დღე იდგა და აიარაღებდა იმათ, ვინც მასთან ერთად იყო, ან მას უერთდებოდა. [შემდეგ] შეიჭრა ხოტენეში, არმენიაში. იქ მან უკუაგდო ხოტენები და იბერები, რომლებიც მას ისრებითა და შურდულებით აბრკოლებდნენ და გადავიდა მდინარე აფსაროსზე... მითრიდატემ ზამთარი დიოსკურიაში გაატარა"[14].

ახლა, თუ სტრაბონისა და აპიანეს მოყვანილ ცნობებს ერთიმეორეს შევუდარებთ და თან აფსაროს-ჭოროხისა და ევფრატის სათავეებს შორის ხოტენე-ხორზენეს მრავალი მეცნიერის მიერ გაზიარებულ ლოკალიზაციას[15] გავითვალისწინებთ, შესაძლოა დავუშვათ, რომ აკილისენეში მდებარე ციხე-სიმაგრე (ციხე-ქალაქი) დასტეჲრა პარიადრის მთების (ანუ ტაო-სპერის) სამხრეთით განლაგებულ რეგიონშია საძიებელი, პონტოს სამეფოსა და დიდი არმენიის საზღვარზე, იქ, სადაც კოლხეთში (პონტოსპირეთში) მიმავალი ის გზა გადიოდა, რომლითაც ძვ. წ. I ს-ში პომპეუსისაგან დევნილმა მითრიდატემ და მისმა ქვეითმა ჯარმა ისარგებლეს, ხოლო გვიან - ვახტანგ გორგასალმა და მისმა ლაშქარმა.

სტრაბონისეულ დასტეჲრასთან ჯუანშერისეული სტერის იდენტიფიკაციის ჩვენს მიერ შემოთავაზებული ვარიანტის გაზიარების შემთხვევაში სტერი დღევ. ერზინჯანის ზეგანზე (ჩრდილოეთ ეკლეცში), ევფრატის სათავეების სამხრეთით უნდა მოვათავსოთ, რაც სავსებით გასაგებს გახდის ანძიანძორეთი, ეკლეცი, სტერის, როგორც სასაზღვრო ქალაქების ერთიმეორის გვერდით მოხსენიებას და პერსპექტივას შექმნის ტრაპიზონთან ჯუანშერისეული პონტო ქალაქის გაიგივებისათვის.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 23.
2. ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 421.
3. Джуаншер Джуаншериани, Жизнь Вахтанга Горгасала. Перевод, введение и примечания Г. В. Цулая, Тб., 1986, с. 140, № 76, 79, 81, 82, 89.
4. გოილაძე ვ. ვახტანგ გორგასალი და მისი ისტორიკოსი, თბ., 1991, გვ. 126-145.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. იქვე.
6. ქართლის ცხოვრება, ტ.II, ტექსტის ადაპტაცია, ბოლოთქმა და განმარტებები ეკუთვნით მ. სანაძეს და ნ. შოშიაშვილს, თბ., 1999, გვ. 199.
7. ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 160.
8. ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 23.
9. იხ. ხაზარაძე ნ., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისათვის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალის შრომების კრებული II, ახალციხე, 2000, გვ. 34.
10. ხაზარაძე ნ., დასახ. ნაშრომი, გვ. 35.
11. ხაზარაძე ნ., დასახ. ნაშრომი, გვ. 33-40.
12. ყაუხჩიშვილი თ., სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1957, გვ. 212-213.
13. ყაუხჩიშვილი თ., დასახ. ნაშრომი., გვ. 213.
14. აპიანე, მითრიდატეს ომების ისტორია, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი და საძიებელი დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1959, გვ. 194-195.
15. უფრო დაწვრილებით იხ. Хазарадзе Н., Очерки древней истории месхов, Тб., 1992, с. 46-48.

Nana Khazaradze

Location of Steri mentioned by Juansher

Taking into account the phfonetic similarity of the roots of the town Steri in the Georgian written sources (the work by Juansher) and Δάστειρα (Steri comp. to Δάστειρ-α), which is mentioned by Strabo in his "Geography" identification of Δάστειρα and Steri and its location on the present Erzinjan highlands (in the north Akilisene-Ekletsi) more south of the upper Euphrat is assumed.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თენგიზ პაპუაშვილი

ხახულის კარედი ხატის კვირიკეს ჯვრის ქართულ-ბერძნული წარწერა

ქართული მინანქრული ხელოვნების ძეგლთა შორის მკვლევართა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ხახულის კარედი ხატის (ტრიპტიქონის) ე.წ. კვირიკეს ჯვარი. იგი გამოირჩევა არა მარტო თავისი მაღალი მხატვრული ღირსებებით და ოსტატობით, არამედ იგი მნიშვნელოვანია ჩვენთვის იმითაც, რომ მასზე მოიპოვება ქართულ-ბერძნული წარწერები, სადაც ისტორიული პირია მოხსენიებული. ჯვარი ორ ნაწილად არის გაყოფილი და ხახულის ტრიპტიქონის ორივე ფრთაზეა მოთავსებული. ამ სანაწილე ჯვრის (ენკოლპიონი) მარჯვენა ფრთაზე ჯვრის უკანა მხარეა და სწორედ მასზეა მოთავსებული წარწერები - ქართული (ლურჯი მინანქარი) და ბერძნული (წითელი მინანქარი). ქართული წარწერა გვაუწყებს: ქე ადე კე მფც (= ქრისტე, ადიდე კვირიკე მეფე). ბერძნული წარწერა კი ასე იკითხება: **+Κύριε, βοήθει τῷ δούλῳ Κυρίκῳ μαγίστρῳ** (ქ. უფალო, შეეწიე მონასა შენსა კვირიკე მაგისტროსსა)[1].

კვირიკეს ჯვრის ზემოთ მოტანილი ქართულ-ბერძნული წარწერის პირველი მეცნიერული განხილვა მოცემული აქვთ ნ. კონდაკოვს და დ. ბაქრაძეს. ხსენებული მკვლევარნი თავიანთ ერთერთ შრომაში ამ წარწერის შესახებ შემდეგს აღნიშნავენ: „Грузинская надпись, повидимому, соответствует греческой: "Господи прославь царя Квирика"! Но эта прибавка не облегчает, а только затрудняет до крайности понимание греческой, которая указывает на этот крест, как на тельник какого - то византийского магистра Кирика. Между тем, под именем "Царя Квирика" известен царь Абхазский Кирик или Куркен, которому император Роман, соправитель Константина Багрянородного, послал почетное звание магистра. Два других Квирика известны между 1010-29 и 1084-1121 годами. Относить тельник к первому значило бы, до известной степени, противоречить характеру эмали, который имеет все особенности работ XI века, и потому мы предпочитаем думать, что это был византийский тельник, доставшийся одному из этих последних Квириков, и по сходству имени стал его тельником; затем рознят и наложен, как цата, на Хахульскую икону"[2]. როგორც ვხედავთ, ავტორები ზემოაღნიშნულ მინანქარს XI ს-ით ათარიღებენ და მას მიიჩნევენ XI ს-ის რომელიღაც ბიზანტიელი მაგისტროსის კვირიკეს საკუთრებად. როგორც თ. ყაუხჩიშვილი ფიქრობს, აქ ვითარება ხელოვნურად არის გართულებული: არაა არავითარი აუცილებლობა ვეძებოთ XI ს-ში ბიზანტიელი „კვირიკე მაგისტროსი“ და შემდეგ XII ს-ში მისი თანამოსახელე ქართველი „კვირიკე მეფე“. გარდა ამისა, არ ჩანს, რითი ხსნიან ავტორები მინანქრის ცენტრალურ ადგილას, საგანგებოდ თავიდანვე უფრო მსხვილი ასოებით შესრულებულ ქართულ წარწერას (ბიზანტიელი მაგისტროსი მას არ გააკეთებინებდა, მინანქარზე ქართული და ბერძნული წარწერების განლაგება კი მის თავიდანვე არსებობას გვავარაუდებინებს)[3].

ხელოვნებათმცოდნე დიმ. გორდეევი ზემოაღნიშნულ მინანქარს XI ს-ით ათარიღებს, ხოლო წარწერაში მოხსენიებული კვირიკე მაგისტროსი მას მი-

ახნია კვირიკე III დიდი, „რანთა და კახთა“ მეფედ. ს. კაკაბაძის ცნობებზე დაყრდნობით იგი ასე მსჯელობს ამ მინანქრის შესახებ: „Царь Квирике с византийским титулом магистра..., есть Квирике "Царь Ранский и Кахский" с прозвищем "Великий", не раз упоминаемый в грузинской летописи 1020-1038 г.г. н. э.... Упоминание царя Квирике с византийским титулом магистра вполне понятно, т. к. в это же время и грузинский царь Баграт IV, подобно своим предшественникам, носил также византийский титул Куропалата“[4].

შ. ამირანაშვილი 1950 წელს გამოცემულ თავის შრომაში „История грузинского искусства“ XI საუკუნის მეორე ნახევრის მინანქარზე საუბრის დროს ეხება ამ მინანქარსაც: „К этой же группе принадлежит и половинка креста энколпия на Хахульской иконе с двумя надписями: грузинской и греческой. Грузинская надпись гласит: "Христос, возвеличь царя Квирика", греческая: "Господи, помоги рабу твоему, магистру Кирику". Царь Кирик с византииским титулом магистра – это, несомненно, "Царь ранский и кахский", прозванный "Великим", о котором часто упоминают грузинские летописи около 1020-1030 г.г.“ (გვ. 229). მაგრამ შემდგომში 1961 წ. გამოქვეყნებულ „ქართული ხელოვნების ისტორია“-ში და თავის სპეციალურ მონოგრაფიაში „ხახულის კარედი“ (თბ., 1972, სურათი 33) შ. ამირანაშვილმა შეიცვალა შეხედულება და ამჯერად იგი დაასკვნის, რომ მინანქარი შესრულებულია X ს. კახეთის მეფის და მაგისტროსის კვირიკეს ბრძანებით, უთუოდ ქართველი ოსტატის მიერ[5].

ხახულის კარედი ხატის ე. წ. კვირიკეს ჯვრის ქართულ-ბერძნულ წარწერას გაკვრით შეეხო მ. ლორთქიფანიძე. იგი წერს: „სხვა საბუთების უქონლობის გამო გაგვიძნელდება გადაჭრით ვთქვათ, თუ რომელია ეს, ხახულის ხატის ქართული წარწერის კვირიკე „მეფე“ და ბერძნული წარწერის „მაგისტროსი“. მაგრამ უფრო იმ აზრისა ვართ, რომ ეს XI ს. „კვირიკე დიდი“ უნდა იყოს, რასაც უჭერს მხარს მინანქრის ხელოვნებათმცოდნეობითი ანალიზი. ჩვენი მხრით კი დავუმატებთ, რომ კვირიკე დიდზე ადრე, ჩვენთვის ცნობილ წყაროებში, კახეთის არც ერთი კვირიკე მეფობით არ იხსენიება“[6].

კვირიკეს ჯვარი ხელოვნებათმცოდნეობითი თვალსაზრისით საგანგებოდ შეისწავლა ლ. ხუსკივაძემ. იგი მას X საუკუნით ათარიღებს. მისი აზრით, ჯვარი ქართული ნამუშევარია, იგი შესრულებულია ქართველი ოსტატის მიერ ქართველი შემკვეთისათვის, X ს-ის კვირიკე მეფისათვის, რომელიც ატარებდა მაგისტროსის საპატიო ტიტულს[7].

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა კვირიკეს ჯვრის ქართულ-ბერძნული წარწერის შესწავლის საქმეში თ. ყაუხჩიშვილმა. ამიტომ აქ ჩვენ შედარებით უფრო ვრცლად განვიხილავთ მის შეხედულებებს ამ საკითხზე. იგი ასე მსჯელობს: რადგან საქმე გვაქვს მინანქარზე შესრულებულ წარწერასთან, ამიტომ პირველი სიტყვა ხელოვნებათმცოდნეებს ეკუთვნით, მაგრამ ერთი - წმინდა პალეოგრაფიული ნიშნით და მეორე - რეალურ-ისტორიული ვითარების გათვალისწინებით შესაძლებელია მათი დათარიღება ცოტა გადასასინჯი შეიქნეს. ქართული წარწერა, როგორც ზევითაც მოვიყვანეთ, ასეთია: „ქე ადე კე მფჱ“. სხვა სიტყვები ეჭვს არ იწვევს, ხოლო დაქარაგმებული კ~ე თავის თავად შეიძლება ორნაირად გაიხსნას: „კონსტანტინე“ და „კვირიკე“. სახელი „კვირიკე“ მოკლდება ან „კ~ე“ ან „კკ~ე“. რადგან ბერძნულ წარწერაში გარკვევით სწერია „კვირიკე“ (და ბერძნული და ქართული

წარწერები კი უეჭველად თანადროული არიან), ამიტომ ამ დაქარაგმებულ სიტყვას ვხსნით „კვირიკე“. ე. ი. წარწერა ასე უნდა წავიკითხოთ: „ქრისტე ადიდე კვირიკე მეფჱ“. წარწერა შესრულებულია ძველი ქართული ენის კლასიკური ნორმების მიხედვით: ე - ფუძიანი საკუთარი სახელი სახელობით ბრუნვაში გვაქვს ე-თი, ხოლო იქვე გვერდით, საზოგადო სახელი - ჱ-თი. ეს მდგომარეობა ასე თუ ისე სტაბილურია XI ს-მდე. ხოლო XI ს-დან ე და ჱ-ს ხმარების ნორმები საგრძნობ რყევას განიცდის. ამ ნიშნით ქართული წარწერა XI ს-ზე ადრინდელი უნდა იყოს.

მეორე, უფრო საგულისხმო გარემოება, როლმელიც თ. ყაუხჩიშვილს ათარიღებინებს წარწერებს X ს-ით: სახელ კვირიკეს ატარებენ კახეთის მფლობელები: X ს-ში ორი (ე. ი. **პირველი** კვირიკე I (893-918 წწ.)), რომელიც კახეთში ქორეპისკოპოზად ფადლა I-ის შემდეგ ჯდება; **მეორე** - კვირიკე II (929-976 წწ.; რომელიც ფადლა II მემკვიდრეა); **XI ს-ის პირველ ნახევარში ერთი** (ეს არის კვირიკე III - დიდი - 1009-1037 წწ.); და ასევე ერთი XI-XII სს-ის საზღვარზე (ეს არის კვირიკე IV - 1084-1102 წწ., რომელიც კახეთ-ჰერეთში აღსართან I-ის შემდეგ მეფობს). ამრიგად, როგორც ვხედავთ, X-XI სს-ში საისტორიო წყაროებში კახეთის მფლობელი ოთხი კვირიკეა ცნობილი. ამათგან, X ს-ში ჩვეულებრივი ტიტული კახეთის მფლობელისა არის ქორეპისკოპოზი. XI ს-ის პირველი ნახევრის მოღვაწე კვირიკე არის ე. წ. კვირიკე დიდი, რომელიც ყოველთვის მეფედ იხსენიება. ასევე მეფედ იხსენიება XI-XII ს-ის საზღვარზე გაერთიანებული კახეთ-ჰერეთის სამეფოს მფლობელი კვირიკე IV.

თ. ყაუხჩიშვილი, ბერძნული წარწერის გარჩევისას ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ რომელიმე ამ ზემოთ დასახელებულ კვირიკეთაგანს რომ ჰქონოდა ბიზანტიური ტიტული - მაგისტროსი, გარდა ამ წარწერისა, სხვა წყაროებით ცნობილი არ არის. მისივე აზრით, ბერძნულ წარწერაში კვირიკე მხოლოდ მაგისტროსად არის მოხსენიებული, მაშინ როდესაც ქართულში ის „მეფეა“. თ. ყაუხჩიშვილი ეჭვს გამოსთქვამს იმის თაობაზე, რომ XI ს-ში რანთა და კახთა სამეფოს მფლობელი, მით უმეტეს კვირიკე დიდი, იმდენად დამფასებელი ყოფილიყო ბერძნული (და არც თუ ისე მაღალი) ტიტულისა, რომ თავი მარტო მაგისტროსად მოეხსენიებინა და თავისი „მეფობა“ არ აღენიშნა. მხოლოდ „მაგისტროსობით“ თავს ის მოიხსენიებდა, ვისთვისაც მეფობა იმდენად მკვიდრი არ იყო, ე. ი. X ს-ის რომელიმე კვირიკე, რომელიც უფრო მეტად ქორეპისკოპოზად იყო ცნობილი, ვიდრე მეფედ. ზემოთ თქმულის საფუძველზე, თ. ყაუხჩიშვილი ფიქრობს, რომ მინანქარი, თავისი ბერძნულ-ქართული წარწერებით გააკეთებინა Xს-ის მოღვაწემ, კახეთის მფლობელმა, კვირიკე მეფე-მაგისტროსმა.

მეტად საგულისხმოა თ. ყაუხჩიშვილის დაკვირვება ერთ ფრიად ანგარიშგასაწევ მომენტზე. იგი მდგომარეობს იმაში, რომ ძირითადი ქართული წარწერის გვერდით ბერძნული წარწერის არსებობა მკვლევარს რაიმე სპეციალური დასკვნების გამოტანას არ ავალდებულებს, ხოლო ზოგი თავისებურება ბერძნულ წარწერაში კვლავ ქართველის ხელის მონაწილეობას გვაფიქრებინებს: შემოკლება **Κε (=Κύριε)**, **subscriptum**-ების უხმარებლობა (**τω, σω, δουλω Κύρίκω μαγίστρω**) მეტისმეტად ჩვეულებრივია ბერძნული პალეოგრაფიისათვის ჯერ კიდევ პირველი საუკუნეებიდან. წარწერაში გარდა სიტყვისა **Κυρικων**, შეიძლება ითქვას, დაცულია მართლწერის არქაული ნორმებიც კი (მაგ.,

სწერია Βοήϑει, თავის ადგილზეა ω). არსებობს მზა ფორმულა Βοήϑει τινί („შეეწიე ამასა და ამას" - მიცემითი ბრუნვის ფორმით დამატება), ეს იცის მწერალმა და კარგად წერს, მაგრამ როდესაც საქმე მიდგა დამოუკიდებელ შემოქმედებაზე, სახელის ჩაწერაზე, უკვე აღარ იცის რა დაბოლოება გაუკეთოს მას და სწერს: Κυρικων, რომელიც მიცემითი ბრუნვა აღარაა (ν აქვს მეტი) და აკუზიტივისათვისაც გაუმართლებელი ω აქვს (სხვა შემთხვევაში მწერალი ο და ω-ს არ რევს), ეს შეცდომა გვაფიქრებინებს იმას, რომ ხელოსნისათვის ბერძნული საკუთარი ენა არ არის, ბერძნული იცის მან მზა ფორმულებისა და ტრაფარეტული გამოთქმების ფარგლებში[8].

თავდაპირველად ჩვენის მხრით, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ კახეთ-ჰერეთის მთავართა მიერ ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულების ტარება მოულოდნელ შემთხვევად არ უნდა ჩაითვალოს. საისტორიო წყაროებიდან ცნობილია, რომ კახეთ-ჰერეთის სამთავროთა ხელისუფალნი ატარებდნენ ბიზანტიურ ტიტულებს. ეს დასტურდება არაბი მწერლის ბალაძორის თხზულების ერთი ადგილითაც, სადაც ჰერეთის მთავარი საჰლ-სუმბატი (IX ს. I მეოთხედი) მოხსენიებულია პატრიკიოსად[9]. ასევე, „მატიანე ქართლისაჲ"-ს ავტორი ჰერეთის მთავარ ადარნასეს (დაახ. 906-943 წწ.) პატრიკიოსის ტიტულით იხსენიებს („ადარნასე პატრიკი")[10].

როგორც ზემოთ დავინახეთ, ბერძნულ ქართული წარწერის ანალიზის საფუძველზე მკვლევართ მიაჩნიათ, რომ წარწერაში უნდა იხსენიებოდეს X ს-ში კახეთში მოღვაწე **რომელიმე კვირიკე კახთა მეფე** - მაგისტროსი (იგივე ქორეპისკოპოსი), რომელიც აკეთებინებს ამ შესანიშნავ მინანქარს, მაგრამ ისინი ვერ ახდენენ საბოლოო, მტკიცედ განსაზღვრულ იდენტიფიკაციას, თუ სახელდობრ რომელი კვირიკეთაგანი უნდა მივიჩნიოთ მინანქარის შემკვეთად. ისტორიულ წყაროთა ანალიზისა და რეალურ-ისტორიული ვითარების ზოგიერთი მომენტის გათვალისწინების საფუძველზე ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქართულ-ბერძნულ წარწერაში უნდა იხსენიებოდეს X ს-ის კახეთის სამთავროს მფლობელი (ქორეპისკოპოსი) **კვირიკე II (929-976 წ.წ.)**. ჩვენეული საამისო არგუმენტაცია ასე გამოიყურება: კახეთში კვირიკე II-ის მმართველობის წლები გარკვეულწილად ემთხვევა ტაო-კლარჯეთში დავით III დიდი კურაპალატის მოღვაწეობასა (X-ს. II ნახევარი) და მის მიერ ხახულის ტაძრის მშენებლობის პერიოდს (ასევე X ს. II ნახევარი). სამწუხაროდ, მატიანეთა ცნობებში არ არის მითითებული, სახელდობრ როდის მიმდინარეობდა ხახულის ტაძრის მშენებლობა. სამშენებლო წარწერა ტაძრის კედელზე არ მოიპოვება. „მატიანე ქართლისაჲ"-ს ერთერთი ჩანართი შეიცავს ასეთ ცნობას: „ხოლო ამან დავით კურაპალატმან აღაშენა ეკლესია ხახულისა". მეორე ცნობა ხახულის შესახებ, რომელიც მოიპოვება იმავე „მატიანე ქართლისაჲ"-ს ყველა ნუსხაში, ასეთია: „ამან (ე. ი. დავით დიდმა კურაპალატმა - თ. პ.) აღაშენა მონასტერი და საყდარი ღმრთისა, წმინდა ეკლესია ხახულისა"[11]. უფრო დაწვრილებით მოგვითხრობს ამის შესახებ ვახუშტი: „შიფაქლუს მთის კალთას არს ეკლესია მონასტერი ხახულისა, ყოვლად წმინდის ღვთისმშობლისა, დიდი, გუმბათიანი, დიდ-შვენიერად გებული, შუენიერს, კარგ ადგილს. ეს აღაშენა დავით კურაპალატმან, ბაგრატ მეფის მშობელმან"[12]. ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილ ორივე ისტორიულ წყაროში, ცხადია, საუბარი შეეხება მაგისტროს დავით III-ს, რომელმაც მიიღო კურაპალატის ტიტული 978 წ. და გარდაიცვალა 1001 წ. ისტორიკოსებისთვის დავით III ცნობილია როგორც კურაპალატი,

ამიტომაც მას ასე იხსენიებენ წყაროებში. მაგრამ აქ ჩვენს წინაშე ასეთი კითხვა ისმის: ხომ შეეძლო დავით ხახულის ტაძრის მშენებლობა დაეწყო ადრე, როდესაც იგი ჯერ მაგისტროსი იყო ან ერისთავთ-ერისთავი. ასეთ შემთხვევაში ტაძრის აგება შეიძლება გადაიწიოს **უკან 10 ან 20 წლით**. (უფრო მეტი დაზუსტება ამჟამად რა თქმა უნდა, შეუძლებელია). თუ ჩვენი დაკვირვება სწორია, მაშინ შეიძლება დავუშვათ, რომ სწორედ კვირიკე II აკეთებინებს ამ მინანქარს ხახულის ტაძრისათვის.

ამავე თვალსაზრისით, საგანგებო აღნიშვნის ღირსია არსენ ნინოწმინდის ეპისკოპოსი (გარდაიცვალა 1018 წ.), რომლის სასულიერო მოღვაწეობა სცილდება კახეთის სამთავროს საზღვრებს და ფართო კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას ეწევა ტაო-კლარჯეთში, დავით III-ის სამეფო კარზე. მან, როგორც გიორგი მთაწმინდელი გადმოგვცემს, თავისი ნებით „დაუტევა ეპისკოპოსობაჲ და დავით კურაპალატისა წინაშე მივიდა, ხოლო მან კეთილად მოხსენებულმან ღირსად სიწმინდისა მისისა მოიკითხა და ოთხთა ეკლესიათა წარგზავნა", სადაც იოანე ათონელთან ერთად „მრავალჟამ იღუწოდეს"[13].

ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ კახი არსენ ნინოწმინდელი ჭეშმარიტ ქართველად გრძნობს თავს ტაო-კლარჯეთის მეფის დავით კურაპალატის კარზე. როგორც ცნობილია, ოთხთა-ეკლესია აგებულია სწორედ ჩვენთვის საინტერესო პერიოდში (ვგულისხმობთ კვირიკე II-ის მეფობის ხანას). კერძოდ, როგორც ამას სპეციალისტი ხელოვნებათმცოდნენი ვარაუდობენ, არა უგვიანეს **X ს-ის 70-იანი წლებისა**[14].

დასასრულ, რადგანაც ზემოთ ბიზანტიური მაგისტროსის ტიტულზე გვქონდა საუბარი, ერთ საკითხსაც უნდა შევეხოთ. ამ ტიტულს იმპერატორი რომანოზ ლეკაპენი, როგორც ჩანს, უხვად ანიჭებდა ქართული ქვეყნების ხელისუფალთ X ს-ის 20-30-იან წლებში, ცდილობდა რა ამით ბიზანტიის პოლიტიკურ ორბიტაში ჰყოლოდა ისინი. X ს-ის II ნახევარში კი მხოლოდ დავით III-ს, მომავალ კურაპალატს, ჰქონდა ეს პატივი მინიჭებული. აქედან გამომდინარე, საეჭვო არ უნდა იყოს, რომ ხახულის ხატის მინანქარზე ბერძნულად შესრულებულ წარწერაში მოხსენიებული კვირიკე მაგისტროსი მხოლოდ კვირიკე II ქორეპისკოპოსი - X ს-ის 30-70 წლების კახეთის მმართველი შეიძლება იყოს[15].

აქვე გვსურს ხაზი გავუსვათ კიდევ ერთ გარემოებას, რომელიც ჩვენს მიერ ზემოთ დასახელებულ მკვლევართ, რატომღაც, გამორჩათ. საქმე ეხება ხატის ქართულ წარწერაში კვირიკეს მოხსენებას მეფედ (ქე ადე კე მფჱ) და არა ქორეპისკოპოსად. ამ მიმართებით აღსანიშნავია, რომ კვირიკე II და მისი მამა ფადლა II „კახთა მეფეებად" იხსენიებიან სწორედ X ს-ის 30-იანი წლების მიქაელ მეძღვიმეს საბუთში. აი, რას წერს მიქაელ მეძღვიმე: „გარდავე ლიხთ-იმერით და მოვილე თავისუფლობისა ბრძანება კონსტანტინესი და ბაგრატისი, **კახთა მეფეთა: ფადლესი და კუ(ი)რიკესი**. მეფეთა ხელრთვა[16].

ამრიგად, ისტორიულ წარწერათა ანალიზისა და რეალურ-ისტორიული ვითარების გათვალისწინების და აგრეთვე ქართულ-ბერძნულ წარწერათა პალეოგრაფიული თვალსაზრისით შედარებითი შესწავლის საფუძველზე ირკვევა, რომ ხახულის კარედი ხატის ე. წ. კვირიკეს ჯვრის ქართულ ბერძნულ წარწერებში უნდა იხსენიებოდეს X საუკუნის მოღვაწე კახთა მეფე-მა-

გისტროსი (იგივე ქორეპისკოპოსი) კვირიკე II (929-976 წ. წ.), რომელიც ამ-თებინებს ამ შესანიშნავ მინანქარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ყაუხჩიშვილი თ., ბერძნული წარწერები საქართველოში, თბ., 1951, გვ. 148.
2. Кондаков Н., Бакрадзе Д., Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии, С-Петербург, 1890, გვ. 18-20.
3. ყაუხჩიშვილი თ., დასახ. ნაშრ., გვ. 148.
4. Гордеев Д., К вопросу разгруппирования эмалей Хахульского складния, Мистецвознавство, Харьків, 1928, გვ. 158.
5. ამირანაშვილი შ., ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1961, გვ. 333; მისივე, ხახულის კარედი, თბ., 1972, გვ. 33.
6. ლორთქიფანიძე მ., ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, თბ., 1963, გვ. 174.
7. Хускивадзе Л. З., Грузинские эмали, Тб., 1981, გვ. 85, მისივე, შუა საუკუნეების ტიხრული მინანქარი საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში, თბ., 1984, გვ. 37.
8. ყაუხჩიშვილი თ., ბერძნული წარწერები საქართველოში, გვ. 149-150.
9. Баладзори. "Книга завоевания стран", перевод с арабского проф. П. К. Жузе, Баку, 1927, გვ. 21.
10. ქცა, I, გვ. 264.
11. ქცა, I, გვ. 259, 274.
12. ქცა, IV, გვ. 686
13. გიორგი მთაწმინდელი, ცხოვრებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II, გვ. 56.
14. Беридзе В., Архитектура Тао-Кларджети, Тб., 1981 წ., გვ. 164.
15. ბოგვერაძე ა., ტაო-კლარჯეთის მფლობელი ზოგიერთი ბაგრატიონის პატივის გარკვევისათვის, „მაცნე", ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1993 წ., №3-4, გვ. 28.
16. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი I, თბ., 1984, გვ. 19.

Tengiz Papuashvili

The Georgian -Greek Inscription of the Kvirike Cross of the Khakhuli Triptych - Icon

Among the monuments of Georgian enamel art particular attention of scholars is paid to the Kvirike Cross of the Khakhuli Triptych. It is selected not only for its artistic merit and mastership, but it is important because of the Georgian-Greek inscription found on it, in which the historic person is mentioned. The cross is divided into two parts and is placed on both panels of the Khakhuli Triptych. Art-critics believe that the Kvirike Cross is the Georgian production and dates back to the 10 th century. On the right panel is the backside of the cross and the inscriptions are placed exactly on it - the Georgian (blue enamel) and the Greek (red enamel).

The Georgian inscription says : Crist, Glory the King Kvirike and the Greek inscription reads: God, Help the slave of yours, Kvirike the master.

By the paleographic point of view of the Georgian-Greek inscriptions on the basis of the comparative study, analysing of historic sources and real historic circumstances is that in the Georgian- Greek inscriptions the promoter of the 10 th c. the King of Kakhs - the master (i.e. chora -episcopos) Kvirike II must be mentioned, who orders to make such a marvellous enamel.

Carrying the courtier's title by the owners of Kakheti mustn't be considered as an unexpected case. It is known by the historic sources that the governors of the principality of Khakheti-Hereti had the Byzantine titles. It is confirmed by one of the excerpt of the work of the Arabic writer Balazori , were the governor of Hereti Sahl- Sumbat (the first quarter of the 10 th c.) is mentioned as the Patrikios.The author of the "Chronicle of Kartli" mentions the governor of Kakheti Adarnase (approximately 906-943) by the title of Patrikios (Adarnase Patrik).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინო თოთლაძე

სამუელ ანეცის ქრონიკის ტექსტთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი

XII საუკუნის სომეხი ავტორის სამუელ ანეცის „ამონაკრეფი მეისტორიეთა ნაწერებიდან“ მნიშვნელოვანი წყაროა საქართველოს ისტორიისათვის. თხზულება პირველად ლათინურ ენაზე გამოიცა[1]. 1869 წელს გამოქვეყნდა ქრონიკისა და მისი გაგრძელების ერთი მონაკვეთი (ჯვაროსანთა პერიოდის ისტორია) ფრანგული თარგმანითურთ.[2] ამის შემდეგ დაიბეჭდა თხზულების ძირითადი ნაწილის (ქრონოლოგიური ტაბულის) ფრანგული თარგმანი.[3] ანეცის ქრონიკის ერთადერთი სრული გამოცემა ორიგინალის ენაზე განახორციელა 1893 წელს ა. ტერ-მიქელიანმა[4]. ტექსტი დადგენილია იმ დროს ეჩმიაწინის ბიბლიოთეკაში არსებული 13 ხელნაწერის მიხედვით.

როდესაც ვეხებით ქრონიკის ცნობებს საქართველოს შესახებ, წამოიჭრება ტექსტთან დაკავშირებული რამდენიმე საკითხი. მათ შორის ერთ-ერთი ეხება სამუელ ანეცის ცნობას დავით V-ის – დემეტრეს ძის – შესახებ.

ა. ტერ-მიქელიანის გამოცემაში ამ ცნობას ასეთი სახე აქვს:

„Ի ՈԴ թվին վախճանեցաւ արքայն վրաց Դեմետրէ և թագաւորեաց որդի նորա Դաւիթ. և յետ Բ ամի և նա վախճանեալ առնու զիշխանութիւն նորա եղբայր նորա Գորգի:[5]

„604 წელს გარდაიცვალა ქართველთა მეფე დემეტრე და გამეფდა მისი ძე დავითი, ხოლო ორი წლის შემდეგ ისიც გარდაიცვალა, მისი ძალაუფლება მისმა ძმამ გიორგიმ მიიღო.“

ამავე გამოცემის მიხედვით ჩანს, რომ ეს ადგილი სამ ხელნაწერში გვაძლევს კითხვა-სხვაობას: *„յետ Բ ամի“*-ს ნაცვლად, რაც ნიშნავს „ორი წლის შემდეგ“, ამ ხელნაწერებში არის *„յետ Բ. ամսոյ“* – „ორი თვის შემდეგ“.[6] ამ კითხვასხვაობის გაჩენა ადვილი ასახსნელია: სიტყვები „თვე“ და „წელიწადი“ ჟღერადობით წააგავს ერთმანეთს. წელიწადი არის *„ամ“*, (ამ), ხოლო თვე *„ամիս“* (ამის), რაც ადვილად შეიძლებოდა გამხდარიყო შეცდომის საფუძველი.

საჭიროა გაირკვეს, ამ ორი ვარიანტიდან რომელია პირველადი. „ორი წელიწადის“ სასარგებლოდ თითქოს უნდა მეტყველებდეს ის ფაქტი, რომ ასეთივე ცნობა გვხვდება XIII საუკუნის სომეხი ისტორიკოსის სტეფანოს ორბელიანის თხზულებაშიც: „იცოცხლა ამან წელსა ორსა დ ესეცა მოკუდა“[7]

მაგრამ აქ საჭიროა სხვა ცნობების გათვალისწინებაც. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, დავითს ექვსი თვე უმეფია: „იმეფა ექუს თუე და მოკუდა“.[8] დავითის მეფობის ხანგრძლივობის შესახებ ცნობა გვხვდება ერთ-ერთ მცირე ქრონიკაშიც: „მიიცვალა დიმიტრი მეფე და დაჯდა მეფედ შვილი მისი დ͠ თ. განგებისაგან მეტი დღე არ ედვა. წლის გათავებაზედ იგიც მოკ͠და.“[9]

ვარდან არეველცის ცნობითაც, დავითს მცირე ხანს უმეფია:

Իսկ թագաւորն վրաց Դեմետրէ ... վճարի և առնու ըզթագն Դաւիթ՝ որդի նորա ... և հանեալ ՝ի բանտէ զԹիրքաշն զՃօրն կապեալն, գնէ զօրագլուխ և զկնի ամսոյ միոյ մեռանի.“[10]

„ხოლო ქართველთა მეფე დემეტრე ... გარდაიცვალა და გვირგვინი მიიღო მისმა ძემ დავითმა ... და გამოუშვა საპყრობილიდან მამამისის მიერ შეპყრობილი თირქაში, დასვა მხედართმთავრად და ერთი თვის შემდეგ გარდაიცვალა“.

ყველა ამ ცნობის მიხედვით, დავითის მეფობა ხანმოკლე იყო და წელიწადს არ აღემატებოდა. ასევეა სამუელ ანეცის ქრონიკის ზემოთდასახელებულ სამ ხელნაწერშიც. თუ ანგარიშს გავუწევთ სხვა წყაროებს და იმ ფაქტსაც, რომ ერთი და იმავე ძეგლის სხვადასხვა ხელნაწერში განსხვავებული ვარიანტები გვხვდება, უნდა ვიფიქროთ, რომ სამუელ ანეცის თხზულებაში თავდაპირველად იყო ცნობა ორი თვის მეფობის შესახებ. შემდეგ კი შეცდომის წყალობით, ამ ცნობამ სახე იცვალა. არ არის გამორიცხული შეგნებული ჩასწორებაც – რაკი მეფობის ხანა ჩვეულებრივ წლებით განიზომება და ხშირად წელთაღრიცხვის საფუძველსაც წარმოადგენდა ხოლმე, შესაძლოა ეს ადგილი შეცდომად ჩაეთვალათ და ორი თვე ორ წლად ექციათ. ყოველივე ამის საფუძველზე, იქნებ უმჯობესი იყოს, თუ სამუელ ანეცის თხზულების ტექსტში უპირატესობა მიეცემა აღნიშნულ სამ ხელნაწერში დადასტურებულ ფორმას.

რაც შეეხება სტეფანოს ორბელიანის ცნობას, შესაძლოა, ის სწორედ ასეთ შეცდომას იმეორებდეს.

როგორც ჩანს, დამახინჯებული უნდა იყოს სამუელ ანეცის ცნობა, რომელიც ეხება დემეტრესა და სელჩუკ ათაბაგ ყარასონყურს შორის ბრძოლას: *„արքայ Դեմետր հճար զխարասնդուրն Աթաբակի Նորբերդին բազում զօրօք:“*[11] ის შეიძლება ასე ითარგმნოს: „მეფე დემეტრემ დაამარცხა ყარასონყური (ხარასნდური) ნორბერდის ათაბაგის მრავალრიცხოვანი ჯარით,“ ან „მეფე დემეტრემ დაამარცხა ნორბერდის ათაბაგის ყარასონყური მრავალრიცხოვანი ჯარით“, რაც შეცდომა იქნება, რადგან ყარა-სონყური თვითონ იყო ათაბაგი, ხოლო ნორბერდის ათაბაგის არსებობა ძნელი წარმოსადგენია. ასეთი თარგმანი გამოწვეულია იმით, რომ სიტყვები *„Աթաբակ“* – „ათაბაგი“ და *„Նորբերդ“* - „ნორბერდი“ – ორივე ნათესაობით, ან მიცემით ბრუნვაშია. თუ სიტყვა *„աթաբակի“*-ს ჩამოვაშორებთ ასო *„ի“*-ს, მაშინ ის გადაიქცევა სიტყვა „ნორბერდისათვის“ ადგილობითი ბრუნვის მაწარმოებელ წინდებულად: *„արքայ Դեմետր հճար զխարասնդուրն Աթաբակ ի Նորբերդին բազում զօրօք“.* ასეთ შემთხვევაში ეს ადგილი ასე ითარგმნება: „მეფე დემეტრემ დაამარცხა ყარასონყურ ათაბაგი ნორბერდში მრავალრიცხოვანი ჯარით“. ტექსტის ასეთ ჩასწორებას მხარს უჭერს XIII ს-ის სომეხი ისტორიკოსის მხითარ აირივანეცის ქრონიკა, რომელსაც მსგავსი ცნობა აქვს:

„Դեմետրէ թագաւորն հճար զՂարասընթուր աթապէկն ի՝Նորբերդին:“[12] – „დემეტრე მეფემ დაამარცხა ღარასენთურ ათაბაგი ნორბერდში“.[13]

ანალოგიურად თარგმნის ანეცის ქრონიკის ამ ადგილს ჰ. მარგარიანი: „დემეტრე მეფემ დაამარცხა კარასონკურ ათაბაგი ნორბერდთან მრავალრიცხოვანი ჯარით“,[14] თუმც სომხურ ტექსტს უცვლელად ტოვებს.

ქრონიკაში არის გიორგი III-ის მიერ დვინის აღების თარიღი. წელიწადის გარდა, რომელიც სხვა წყაროებიდანაც არის ცნობილი, სამუელ ანეცი კონკრეტულ დღესაც ასახელებს:

„Ապա ի միւս ամին ի ՈԺԱ. թվին. յօգոստոսի ԻԱ. էառ նոյն Գօրգի զԴւին քաղաք...“[15]

„შემდეგ, მომდევნო წელს, 611-ს, აგვისტოს 21-ში აიღო იმავე გიორგიმ ქალაქი დვინი.“

როგორც გამომცემლის მითითებიდან ჩანს, სხვაგან 21 აგვისტოს ნაცვლად 1 აგვისტო გვხვდება,[16] თუმცა მინიშნებული არ არის, სად და რომელ ხელნაწერში. ჩანს, რომ აქ არ იგულისხმება ავტორის ხელთ არსებული ნუსხები, იმიტომ რომ ასეთ შემთხვევაში აუცილებლად გვექნებოდა მითითება. როგორც ჩანს, გამომცემელი უნდა გულისხმობდეს პეტერბურგის აკადემიის ხელნაწერს, სადაც, როგორც მ. ბროსესეული ფრანგული თარგმანის კომენტარებიდან ჩანს, ჩვენთვის საინტერესო ბრძოლის თარიღად სწორედ პირველი აგვისტო გვაქვს.[17] სხვა ხელნაწერების „իա"-ს („20"-ის) ნაცვლად აქ არის „ի ա" („1-ში"). ასეთი კითხვა-სხვაობის არსებობა ადვილი ასახსნელია. სომხურში ასო ի აღნიშნავს რიცხვ 20-ს და ამავე დროს შეიძლება წინდებულიც იყოს. 21-ის აღმნიშვნელი „իա" ასოებიდან თუ პირველს – ի-ს (ანუ 20-ს) მივიჩნევთ წინდებულად, დაგვრჩება რიცხვი 1. არ არის გამორიცხული, რომ საპირისპირო მოვლენასთანაც გვქონდეს საქმე, შესაძლოა თავიდან იყო რიცხვი 1 ի წინდებულით, შემდეგ კი მათი შერწყმის შედეგად გაჩნდა 21. თვისა და რიცხვის აღმნიშვნელი სიტყვებიდან წინდებული შეიძლება ახლდეს როგორც ორივეს, ასევე მხოლოდ პირველ მათგანს. ამ თხზულებაში ორივე შემთხვევა გვხვდება. ქრონიკის იმ მონაკვეთში, სადაც აღნიშნული ცნობაა, ორი წინადადებით ადრეც არის თარიღი, სადაც წინდებული ერთვის როგორც თვის, ასევე დღის აღმნიშვნელ სიტყვებს: „ի յունիս ի ժԳ".[18] ასეთ შემთხვევაში ძნელია იმის გარკვევა, თავიდან როგორ გამოიყურებოდა ჩვენთვის საინტერესო ცნობა. ხელნაწერთა უმრავლესობაში, როგორც ჩანს, რიცხვი 21 უნდა გვქონდეს. მაგრამ ამ ადგილას 1 აგვისტოს წაკითხვას შესაძლოა მხარს უჭერდეს არაბი ისტორიკოსების ალ-ფარიკისა [19]და იბნ ალ-ასირის ცნობები,[20] რომლებიც დვინის აღებას შაბანის თვით ათარიღებენ. 1162 წელს შაბანის თვე გრძელდებოდა 16 ივლისიდან 13 აგვისტომდე. დასახელებულ ავტორთაგან განსაკუთრებით საყურადღებოა ალ-ფარიკი, რომელიც ამ ამბების თანამედროვე იყო. იგი ერთხანს საქართველოშიც ცხოვრობდა და შემდეგაც კარგად იცნობდა საქართველოსთან დაკავშირებულ ამბებს. თუ ალ-ფარიკისა და იბნ ალ-ასირის ცნობებს სარწმუნოდ მივიჩნევთ, მაშინ შესაძლოა 1 აგვისტო უფრო ახლოს იყოს ნამდვილ თარიღთან, რადგან 1 აგვისტო სწორედ შაბანის თვეში იყო. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ძნელია უპირატესობა მიენიჭოს ერთ რომელიმე ვარიანტს, მით უმეტეს, რომ ერთ-ერთი მათგანი მხოლოდ ერთ ნუსხაში გვხვდება. *21 აგვისტოსთან* ერთად, ალბათ *1 აგვისტოც* შეიძლება ჩავთვალოთ ამ ტექსტის წაკითხვის ერთ-ერთ შესაძლო ვარიანტად.

სამუელ ანეცის თხზულების მოცემული ადგილების დაზუსტება მნიშვნელოვანია, რადგან მათი საშუალებით შესაძლოა გაირკვეს ზოგიერთი მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტი თუ თარიღი.

ეროვნული

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. Evsebii caesariensis et Samyelis Aniensis chronica, Iohannes Zohrabus et Angelus Maius, Mediolani, MDCCCXVIII.
2. Extrait de la chronographie de Samuel d'Ani, Recueil des historiens des Croisades, Documents armeniens, T. premier, Paris, 1869.
3. Samuel d'Ani, Tables Chronologiques, M. Brosset, Collection d'historiens armeniens, T. II, St. Petersburg, 1876.
4. *Սամուէլի քահանայի Անեցւոյ Հաւաքմունք ի գրոց պատմագրաց, Յառաջաբանով, համեմատութեամբ, յաւելուածներով և ծանօթութիւններով Արշակ Տէր-Միքելեանի, Վաղարշապատ, 1893.*
5. იქვე, გვ. 135.
6. იქვე.
7. სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთა"-ს ძველი ქართული თარგმანები, ქართულ-სომხური ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1978, გვ. 40.
8. ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე, ქართლის ცხოვრება, ტექსტი, დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 366.
9. თაყაიშვილი ე. „მოკლე ცნობები საქართველოს ისტორიიდან" და შენიშვნები ამ ცნობების შესახებ, ძველი საქართველო, ტ. II, განყ. III, ტფ., 1913, გვ. 60.
10. *Մեծին Վարդանայ Բարձրբերդեցւոյ պատմութիւն տիեզերական ի լոյս ընծայեաց Մկրտիչ Էմին, Մոսկվա*, 1861, გვ. 165.
11. *Սամուէլի քահանայի...* (სამუელ ანეცი), გვ. 139.
12. *Մխիթարայ Այրիվանեցւոյ Պատմութիւն Հայոց ի լոյս ընծայեաց Մկրտիչ Էմին, Մոսկվա,1860, გვ. 62.*
13. მხითარ აირივანეცი, ქრონოგრაფიული ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძე-ტატიშვილმა, თბ., 1990, გვ. 80.
14. მარგარიანი ჰ. რამდენიმე ეპიზოდი XII საუკუნის მეორე მეოთხედის საქართველოს ისტორიიდან, თსუ შრომები, 165, თბ., 1975, გვ. 81.
15. სამუელ ანეცი, დას. ნაშრ., გვ. 137.
16. იქვე.
17. Samuel d'Ani, გვ. 464.
18. სამუელ ანეცი, გვ. 137.
19. Minorsky V. Studies in Caucasian History, London, 1953, გვ. 92.
20. სილაგაძე ბ. XII-XIII სს. საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი იბნ ალ-ასირის ცნობათა შუქზე. - კრებ. საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1966, გვ. 109.

Nino Tortladze

Some Questions Related to the Text of the Cronicles by Samuel Anetsi

Evidences concerning Georgia are kept in the Cronicles by Samuel Anetsi, Armenian historian of the 12th c. Proceeding from these evidences some questions require more precise definition of the text.

One question is duration of the reign of the king of Georgians, David V, son of Demetre. Several manuscripts of the work of Samuel Anetsi indicate 2 years, others - 2 months. Comparing this information to other sources one can suppose, that there was two month initially and later on because of the similiarity of the words "month" and "year" this passage was modified. It's assumed in the present paper that changes must be made in the passage concerning the battle between the King Demetre and the Atabeg Kara-Sonkur in Norberd.

In most of the manuscripts of the Chronicles by Samuel Anetsi the capture of Dvin by the King Giorgi III is dated by 21st August, 1162. Though in one manuscript there is mentioned Ist August instead of 21 st. Based on the camparison of this information with other sources (works of Arabian historians Al-Fariq and Ibn al-Asir) a consideration is drawn that difference in reading must exist as one of the possible variants of reading of the texst.

მამისა ბერძნიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ეპისტოლეს ჩვენამდე მოღწეული უძველესი დედანი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებულმა საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროების კომისიამ 1987 წელს მიიღო გადაწყვეტილება ქართული ეპისტოლური წყაროების შედგენისა და გამოცემის შესახებ. გადაწყდა, რომ პირველ რიგში ქართული ეპისტოლური მასალიდან გამოიცემოდა მხოლოდ დედნის სახით შემონახული წერილები (ორიგინალები).

1989 წელს გამოვიდა ჩემს მიერ მომზადებული „ქართული ეპისტოლური წყაროების კორპუსის" პირველი წიგნი[1], რომელშიაც შევიდა ქრონოლოგიურად დალაგებული ასამდე წერილი-ორიგინალი, დაწყებული XV ს-ით და დამთავრებული 1762 წლით (ერეკლე-თეიმურაზის ერთობლივი მეფობის დასასრულით). უძველესად ამ გამოცემაში ჩათვლილია XV ს-ის ბოლოს შედგენილი წერილი ციციშვილის კარისკაცის - ანტონისა ვაჩიძორის მონასტრის წინამძღვარ აბრამისადმი. (ქაღალდი, რომელზედაც დაწერილი იყო ეს წერილი, XVI ს-ში გამოიყენეს ხახულის სვინაქსარის საკერებლად. ამ საშუალებით წერილმა ჩვენამდე მოაღწია დაუზიანებლად).

ეხლა, როცა ჩვენი ცოდნა ამ საკითხზე შესამჩნევად გაიზარდა, აღმოჩნდა, რომ „ეპისტოლური წყაროების კორპუსში" არ შესულა მასში გათვალისწინებული ქრონოლოგიური მიჯნების რამდენიმე წერილი-ორიგინალი[2]. ერთ-ერთ ასეთად ჩაითვლება კორპუსის I წიგნის ქვედა ქრონოლოგიურ ზღვარზე ორი საუკუნით ადრე შედგენილი ეპისტოლე.

ესაა ვარძიის მონასტრის დეკანოზის წერილი უფალ ქორდასადმი. წერილი დაცულია საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივის ძველ საბუთთა განყოფილების №1448 ფონდში 3675 ნომრად; რომელსაც არქივის ძველ საბუთთა კატალოგის შემდგენელი მიხ. ბოჭორიძე პალეოგრაფიული ნიშნებით XIII საუკუნის მეორე ნახევრით ათარიღებს.

ეს საბუთი წარმოადგენს 26,2 სმ. სიგანის და 9 სმ. სიგრძის ქაღალდის ბარათზე დაწერილ ეპისტოლეს, ქაღალდს დამათარიღებელი ნიშანი არა აქვს. ერთი შეხედვითაც ცხადი ხდება, რომ ეს საბუთი ეპისტოლეა — ტექსტი ისეა გამართული ბარათზე, როგორც ეს ეპისტოლოგრაფიაშია მიღებული. იგი დაწერილია მკაფიო ლამაზი მხედრულით ბარათის ორივე მხარეს 6-6 სტრიქონი. მაგრამ verso-ს მარჯვენა ზედა კუთხე დატოვებულია ცარიელად. ბარათს აშკარად ეტყობა გადანაკეცების კვალი - იგი დაკეცილი ყოფილა ოთხად ისე, რომ verso-ს დაუწერელი ადგილი დაკეცილი ბარათის გარეთა მხარეს მოხვედრილიყო. ბარათის დაკეცვის ასეთი წესი ჩვენში არსებობდა მე-19 საუკუნემდე. (პარალელურად იხმარებოდა აგრეთვე წერილის ირიბად დაკეცვის წესი). ჩვეულებრივ დაუწერელ მხარეზე ადრესატის სახელი და მისამართი იყო ხოლმე დაწერილი და ბეჭდით დალუქული. თუმცა არც მისამართი და არც ბეჭედი ჩვენს წერილს არა აქვს, მაინც ცხადია, რომ ეს ბარათი გასაგზავნად იყო საგანგებოდ დაკეცილი. გადანაკეცებზე ნაწერი გადაცრეცილია[3], რაც იმის მაჩვენებელია, რომ ბარათი დაკეცილად ყოფილა შენახული (წერილის დაკეცილი გაგზავნა ალბათ შემოღებულ იქნა მაშინ, როცა საწერ მასალად ქაღალდის გამოყენება საყოველთაო გახდა. ეტრატის დაკეცვა კი მოუხერხებელი იყო და მისი მხოლოდ დაგრაგვნა იყო შესაძლებელი).

გარეგანი დაკვირვებით მიღებული შთაბეჭდილება შინაარსის გაცნობითაც დასტურდება: ტექსტი წარმოადგენს ერთი პირის წერილს მეორესადმი.

როგორც ითქვა, წერილის ავტორია ვარძიის ღვთისმშობლის სახელობის მონასტრის დეკანოზი, ხოლო ადრესატი - ჩვენთვის უცნობი პიროვნება „უფალი ქორდა". უფალი ქორდა სოციალურად მაღლა დგას ვარძიის დეკანოზზე. ამიტომაც დეკანოზი მოლოზნური თავმდაბლობით ასეთი დიდკაცის წინაშე თავის სახელის ხსენებას ვერ ბედავს.

წერილი ასე იკითხება: (განკვეთილობის ნიშნები და ქარაგმები დედნისეულია).

recto: 1. ქ ო̃ ო: ჩემო: ქორდა: სამარადისედ: მლოცველი: თქ̃უ ენი: დეკანოზი:
ვევედ

2. რები: ღ̃ სა: და ამა: ყოლად: წსა: ვარძისა: ღ̃ ს: მშობელსა:
თქ̃უ ენისა: ძითო

3. ითა: უმიზეზოდ: სუფევისათოის: მერმე: ვითა: ამა: ვარძისა: ღ̃ ს:
მშობლისა

4. მსასუებელნი: ხართ: ვარძელი: მძღოარი: და ძმანი: ჰაგრე: მადრელნი:
მოვიდეს

5. ესემცა: მფარველი: თქ̃უ ენი: და ძე: ამისი: თქ̃უ ნსა: ძითოით:
სუფევასა: ნო: მოაკლებ

6. ს: ძმანი: გამომიგზავნია

verso: 1. და: ვარძისა: ღ̃ ს: მშობლ

2. ისა: ნამთხოევი: დასათალელი: მიკად

3. რებია: ვითა: ამა: ჟამსა: ასათობო: თქ̃უ ნც

4. იცით: ეგრე: აღარაი: სით: მოსრულა: ასე რომე: საოფლოთა:
კანდელთაც: ვეღარ: სანია

5. დაგოდ: ვინთებთ: და გფარავსმცა: ესე: ყოვლად: წმიდა: მღთით:
მწირველი: თქ̃უ ნი: ოფ̃ ო:

6. ჩემო:

verso-ს მარცხენა განის აშიაზე ტექსტისავე ხელით:
თქ̃უ ენსა̃ : წ ე.

ვარძიელი დეკანოზის ეს ეპისტოლე შედგენილია ქართულ ეპისტოლოგრაფიაში მიღებული სქემით[4]. იგი შეიცავს წერილისათვის დამახასიათებელ ყველა აუცილებელ ნაწილს. ეს ნაწილებია:

1. ქანწილი (ვარძიელის წერილის recto-ს დასაწყისი).

2. ადრესატის დასახელება (recto-ს პირველი სტრიქონის მე-2, მე-3 და მე-4 სიტყვები).

3. ავტორის დასახელება ანუ სახელდება (ვარძიელის ბარათში recto-ს პირველი სტრიქონის მე-5, მე-6, მე-7 სიტყვები საკუთარი სახელის მოუცემლად).

4. ადრესატისადმი მიმართვა-მისალმება (ამ შემთხვევაში recto-ს მე-2 სტრიქონი მთლიანად და მე-3-ის დასაწყისი სამი სიტყვა).

5. თხრობა - ძირითადი შინაარსის ამსახველი ნაწილი წერილისა. ამ ნაწილში მოთხრობილია, თუ რა მიზეზით იწერება წერილი. თხრობა აუცილებლად იწყება ქართულ ეპისტოლოგრაფიაში საგანგებოდ შერჩეული სიტყვით „მერმე"[5]. ვარძიელის წარილის recto-ს მესამე სტრიქონის მეხუთე სიტყვად მოცემულია ეს ტერმინი „მერმე". თავად თხრობა კი იწყება recto-ს მესამე სტრიქონის შუიდან, გრძელდება მე-4, მე-5, მე-6 სტრიქონზე, მთლიანად უჭერია verso-ს პირველი ოთხი სტრიქონი და მთავრდება მეხუთე სტრიქონის შუაზე).

6. შემდეგ ნაწილში საერთოდ მოცემულია ხოლმე ადრესატის დალოცვა-გამოთხოვება, ავტორის ხელრთვა და თარიღი (ეს ორი უკანასკნელი კომპონენტი ვარძიელის წერილს საერთოდ არა აქვს და ავტორის მიერ ადრესატის დალოცვას მოსდევს ავტორის თავშეკავებული და მოკრძალებული განცხადება: „ღთით მწირველი თქუენი, უფალო ჩემო, თქუენსა წინაშე" (verso-ს მეხუთე, მეექვსე სტრიქონები და recto-ს განის აშია).

7. წერილის უკანასკნელი ნაწილი საერთოდ შეიცავს მოკითხვებსა და მადლობებს სხვათაგან შემოთვლილ მოკითხვებზე. ეს ნაწილი წერილის სქემისა ვარძიელის ბარათში არ არის მოცემული.

როგორც ვხედავთ, ვარძიელი დეკანოზის წერილის სქემა თითქმის მთლიანად ეთანხმება შემდეგდროინდელი წერილების სქემას.

წერილი დაწერილია ლიტერატურული ენით, სტილი მისი შემჭიდროვებული და საქმიანია. ავტორი ერიდება ზედმეტსიტყვაობას და ცდილობს არ გადაუხვიოს ეპისტოლოგრაფიაში დამკვიდრებულ ტრადიციული ფორმულების ფარგლებს.

წერილის დასათარიღებლად, გარდა პალეოგრაფიული ნიშნებისა, არაფერი მოგვეპოვება (როგორც ითქვა, ქაღალდს, რომელზედაც ეს წერილია შესრულებული, ჭვირნიშანი არა აქვს), თუ არ ჩავთვლით ვარძიის მონასტრის ხსენებას. ეს ფაქტი გამოგვადგება წერილის დაწერის მხოლოდ terminus ante quem non-ის გასარკვევად. ცნობილია, რომ ვარძიის მონასტერი სამცხეში XII ს-ში გამოიკვეთა, ხოლო იმერეთის ვარძიის ეკლესიის დღეს არსებულ შენობაში ჩატანებულია XI-XIII სს-ებით დათარიღებული წარწერებიანი ქვები. აქედან უნდა დავასკვნათ, რომ რომელ ვარძიაშიც არ უნდა იყოს დაწერილი ეს წერილი, იგი XI-XIII სს-ზე ადრინდელი ვერ იქნება. terminus post quem non-ის გასარკვევად კი პალეოგრაფიული ნიშნები უნდა გამოვიყენოთ. თუმცა მხოლოდ პალეოგრაფიულ ნიშნებზე დაყრდნობა ძნელი და სახიფათოა.

წერილში ნახმარია ქართული ანბანის მხედრული დამწერლობის თითქმის ყველა ასო. - აკლია მხოლოდ ხუთი: ღ, პ, ტ, ჭ და ჯ.

ვარძიელი დეკანოზის წერილის ასოთა მოყვანილობა-დამწერლობა შევუდარეთ ილია აბულაძის მიერ შედგენილ პალეოგრაფიულ ალბომში მოყვანილ მხედრული წერის ნიმუშებს: 1. ჭიაბერის საბუთს (1185 წ.), 2. ქება-ქებათას თარგმანებას (XII-XIII სს მიჯნა), 3. ძაგან აბულეთის ძის დაწერილს (1260 წ.), 4. დავით VIII-ის სიგელს გრიგოლ ჭაჭნიაშვილისადმი (1297-1298 წწ.), 5. გიორგი ბრწყინვალის წყალობის წიგნს გამრეკელ-ჯავახიშვილისადმი (1345 წ.) და 6. ალექსანდრე I-ის 1441 წლის სიგელს[6].

აღმოჩნდა, რომ ყველაზე მეტი მსგავსება ამ წერილს ძაგან აბულეთის ძისა (1260) და დავით VIII-ის სიგელთანა აქვს (1297-1298). ე. ი. ჩვენთვის საინტერესო წერილი, ასოთა მოხატულობისა და მათი განლაგებით სტრიქონის ხაზს მიმართ, XIII ს-ის მეორე ნახევარს მიეკუთვნება.

XII ს-დან XVIII ს-მდე მხედრული დამწერლობის ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანია გრძელ ფეხიანი ასოების ე, ვ, კ, ფ, ყ, ჟ-ის ი-ნთან გადაბმის წესი.

ჩამოთვლილ ასოებს ასო ი-ნი ბოლოშივე მიებმის და გადაბმული ასო სტრიქონის ხაზზე არ ამოდის.

ვარძიელის ნაწერში კი ჩამოთვლილ გრძელფეხა ასოთაგან ი-სთან მეზობლობს მხოლოდ ვ-ინი. ასოთა ეს კომპლექტი -ვი- ვარძიელთან ექვსჯერ გვხვდება. ამათგან სამჯერ გადაუბმელი, სამჯერ კი გადაბმული - ვ და ი ისე ებმიან ერთმანეთს, რომ ასო ი-ნი სტრიქონის ხაზზე ამოდის. ე. ი. XII ს-დან დადასტურებული ვ და ი ასოთა გადაბმის წესი ვარძიელმა არ იხმარა. ამით ის საერთო წესიდან ამოვარდნილი ჩანს. საერთო წესს არღვევს ვარძიელი, როცა ის -კა-ასოთა კომპლექს გადაუბმელად წერს. მათი გადაბმით წერა კი დადასტურებულია უკვე გიორგი III-ის 1170 წლის სიგელში[7].

სამაგიეროდ ნაწერის დასათარიღებლად განსაკუთრებით ნიშანდობლივია ასო ი-ნის დაწერილობა. ი-ს განლაგება ტექსტში სამნაირია: დამოუკიდებელი, გადაბმული, წინა და მომდევნო ასოებზე და გადაბმული წინა ასოზე. სამივე შემთხვევაში ვარძიელი ი-ს წერს დღევანდელი დაწერილობისაგან განსხვავებით - მარცხნივ პირგახსნილი. ამ ფორმისაა ეს ასო ზემოხსენებულ სამსავე შემთხვევაში. ასეთი დამწერლობა ასო ი-ს ჰქონდა XI, XII, XIII სს. მხედრულში. მომდევნო საუკუნეებში კი ი-ნი თანამედროვე ფორმისაა.

XIV და XV სს-ში ასოების ჩ, ც, წ-ს დამწერლობა მკვეთრად იცვლის ფორმას. ადრე ასო „ჩ" გაგრძელებული იყო და სტრიქონის ხაზს ზევით და ქვევით იწერებოდა. XV ს-ში კი ასო „ჩ" მთლიანად ხაზს ზევით იწერება. ასო „ც" XII-XIII სს-ებში მარჯვნიდან პირგახსნილი იყო, ზემოდან კი თავშეკრული. XV ს-ში ასო ც-ანიც თანამედროვე დამწერლობას უახლოვდება. ასო წ-არსაც XI-XII სს-ებში ფეხი მარცხნივ პირგახსნილი ჰქონდა და სტრიქონის ხაზს ქვევით იწერებოდა, სტრიქონის ხაზზე კი ასოს თავი იყო მოთავსებული. XIII-XIV სს-ებში ამ ასოს ფეხი აღარ არის მარცხნივ პირგახსნილი, მეტწილად ფეხი უკვე მორკალებულია, თავი ამ ასოსი ისევ სტრიქონის ხაზზეა მოთავსებული. ასევეა XV ს-ში. მაგრამ იმავე XV ს-ში დასტურდება წ-არის ისეთი დაწერილობა, რომელიც ამ ასოს თანამედროვე დაწერილობას უახლოვდება. ვარძიელის „წ" კი თავისი დამწერლობით XII-XIII სს-ების ნაწერს უახლოვდება.

ასევე „ფ", „ქ", „ღ" ასოთა დაწერილობაც ვარძიელთან უფრო XII-XIII სს-ებში მიღებულ დამწერლობას ემსგავსება, ვიდრე XIV-XV-ისას.

„ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში" ქრონოლოგიური თანამიმდევრობით მოცემულია ქართული ანბანის ყოველი ასოს გრაფიკული მოხაზულობის ისტორიული ნიმუშები ქართული დამწერლობის სამივე სახისა (ასომთავრული, ნუსხური, მხედრული). ნიმუშები ამოკრებილია V-XVIII სს ეპიგრაფიკული ძეგლებიდან და ხელნაწერებიდან. ჩვენ ვარძიელის წერილის ყოველი ასო შევუდარეთ ენციკლოპედიის ცხრილებს (ცხრილები შედგენილია ნ. შოშიაშვილის მიერ) და აქაც იგივე სურათი მივიღეთ: ვარძიელის წერილის ასოთა დაწერილობის უმრავლესობა XIII საუკ. ასოთა მოხაზულობას ემთხვევა. ზოგი კი (მაგ., ღ, ყ, შ, ი) XII საუკუნისას და არც ერთი XIV-XV ს-ისას.

ყველა ამ ნიშნით ვარძიელის ეს წერილი XIII საუკუნის, უფრო მისი მეორე ნახევრის, უნდა იყოს.

ამ თარიღის დამაბრკოლებლად არ ჩაითვლება წერილის მასალად ქაღალდის გამოყენება.

აღმოსავლური ქაღალდის ჩვენში შემოსვლას ი. ჯავახიშვილი VIII-IX სს-ში ვარაუდობს. მაგრამ მისივე თქმით ქაღალდზე დაწერილი ხელთნაწერი XI საუკუნეზე ადრე არა ჩანს. XII ს-დან კი ჩვენამდე მოაღწია ხელის მიხედვით დათარიღებულ

ხელნაწერთა საკმაო რაოდენობამ[8]. პირველი დათარიღებული ქაღალდზე შესრულებული ხელნაწერი კი 1188 წელს არის გადაწერილი („თარგმანებაჲ ქებისა ქებათაისი", საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. A, №65). ამიტომ XII საუკუნე უნდა ჩაითვალოს საეკლესიო მწერლობაში ქაღალდის ფართო გავრცელების ხანად. „საერო ძეგლებისათვის და კერძო პირთაგან ქაღალდის ხმარება საქართველოში თუ ამაზე უწინარეს არა, XI ს-ითგან მაინც არის საგულისხმებელი"[9].

ქაღალდზე შესრულებულმა დოკუმენტურმა მასალამ კი ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ XIV საუკუნისამ. ჩვენს ხელთ არსებული ეპისტოლეთა დედნებიც, დაწყებული, XV ს-ით, ყველა ქაღალდზეა შესრულებული. ვარძიელი დეკანოზის წერილი ქაღალდზე დაწერილი ეპისტოლეს ქრონოლოგიურად პირველი ნიმუშია.

ვარძიელის ტექსტის ორთოგრაფიულ თავისებურებათაგან ავღნიშნავთ ო და უ-ს გრაფიკული მონაცვლეობის შემთხვევებს:

I. „ო" არის დაწერილი და უნდა ვიკითხოთ „უ": „ოფალო" (r, t. v, 5), ძითორთ (r. 5), საოფლო (v. 4), ნო (r.5).

II. „უ" არის დაწერილი და უნდა ვიკითხოთ „ო": დეკანუზი (r.1), მსასუებელი (r.5).

ქარაგმის ნიშნები დასმულია თავთავის ადგილას. (ო̃ ო, თქ̃უ ნი, თქ̃უ ნისა, წ̃ ე, ღ̃ს მშობლისა).

რაც შეეხება წერილის შინაარსს და მასში ნახსენებ პირებს:

როგორც ითქვა, წერილის ავტორი არის ვარძიის ღვთისმშობლის სახელობის მონასტრის დეკანოზი. სამწუხაროდ ავტორი სჯერდება მხოლოდ თავისი ხარისხის აღნიშვნას, საკუთარ სახელს კი აღარ ახსენებს. დეკანოზს სამონასტრო წესწყობილებაში ხელისუფალთა შორის მესამე ადგილი უჭირავს - წინამძღვარი, მოძღვარი, დეკანოზი - ასეთი იერარქიაა დაცული მონასტრებში (ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. II, ტფ., 1929, გვ. 57). ვარძიელის წერილში ამათგან აისახა მხოლოდ ორი — მოძღვარი და დეკანოზი. მონასტერში გაერთიანებულ პირებს კი ვარძიელი დეკანოზი ძმებს უწოდებს.

დეკანოზის მოვალეობას შეადგენდა მღვდელმსახურების ხელმძღვანელობა მონასტერში. მის ხელთაა აგრეთვე მოძღვართან ერთად საპატიო სტუმართა მასპინძლობა (ვაჰანის ქვაბთა განგება, გამოსცა ლ. მუსხელიშვილმა. ტფ. 1939. გვ. 69, 13) და, რაც მთავარია, სამონასტრო ტიპიკონის უზადოდ შესრულებაზე თვალყურის დევნება (იქვე, გვ. 90, 17). ჩვენი წერილის მიხედვითაც ვარძიის დეკანოზი ცდილობს უზრუნველყოს მონასტრისათვის „დასათაღელი" (ჩათვლილი, ნაანგარიშევი) შეწირულებათა უწყვეტლობა.

წერილის ადრესატია ქორდა, რომელსაც „უფალო ჩემო"-ს ეპითეტით მიმართავს ავტორი. უფალი ქორდა და მისი ძე დიდკაცობის წარმომადგენელნი არიან. ავტორი გამსჭვალულია მათდამი უაღრესი პატივისცემით. ამავე დროს იგი ქორდას უწოდებს „ამა ვარძისთა ღთ~ს მშობლისა მსასოებელს". ე. ი. ქორდა უნდა წარმოვიდინოთ ვარძიის მონასტრის შემწირველ ან აღაპის დამკვეთ პირად.

ვარძიის მონასტრის კრებულს მჭიდრო ურთიერთობა აქვს ქორდასთან. წერილის დაწერის უწინარეს ვარძიელი მოძღვარი და ძმანი ქორდას სტუმრებიან და ამ სტუმრობით დიდად მადლიერნი დაბრუნებულან - „ვარძიელი მოძღვარი და ძმანი ჰაგრე მადრელნი მოვიდეს" - წერს დეკანოზი. მაგრამ ამას გარდა ვარძიის „მსასოებელ ქორდას", როგორც ჩანს, ნაკისრი ჰქონდა გარკვეული მატერიალური ვალდებულება მონასტრის მიმართ. წერილის დაწერის მომენტში ვარძიის მონასტერს მძიმე დღეები

დადგომია - მას „აღარა საით“ აღარ შემოდის „ასათობო“, რის შედეგადაც მონასტერი სანიადაგოდ სახმარ (ყოველდღიურად სახმარ) კანდელსაც ვეღარ ინთებს. „ვითა ამა ჟამსა **ასათობო**, თქვენც იცით, აგრე აღარაი სით მოსრულა, ასე რომე საოფლოთა კანდელთაც ვეღარ სანიადაგოდ ვინთებთ“ - ნათქვამია წერილში. სიტყვა „**ასათობო**“ თუმცა მთლად გამართული არ არის, მნიშვნელობა მისი ცხადი უნდა იყოს. „ასათობო“ ისეთი რამაა, რისიც ანთება ხდება, გასანათებელი საშუალებაა. რაკი ტექსტში შემდეგ მოდის განმარტება, რომ ასათობოს უქონლობით კანდელსაც ვეღარ ინთებენ, უნდა დავასკვნათ - ასათობო საკანდელე ზეთი, სანათებელი ზეთი ყოფილა. ჩანს, ვარძიის სამონასტრო მეურნეობაში არ წარმოებდა სანათებელი ზეთის გამოხდა, და მონასტერი მთლიანად დამოკიდებული ყოფილა შემოწირულებებსა და გადაკვეთილ გადასახადებზე. ეს ფაქტი ტექსტში შემდეგნაირად არის გამოხატული: „ვარძისა ღ˜ს მშობლისა ნამთხოევი დასათალელი“. „ნამთხევი“ - რაც შეხვდა, რაც ერგო, რაც დაუწესდა; „დასათალელი“ - ჩათვლილი, ნაანგარიშევი, ნაგულისხმევი.

ახლა, როცა მონასტერს „ასათობო“ აღარ შემოდის, დეკანოზი იძულებულია გაკადნიერდეს და მონასტრის ერთერთ „მსასოებელს“ უფალ ქორდას მონასტრისათვის „დასათალელი“ (ჩათვლილი, ნაანგარიშევი) სანათებელი ზეთის სათხოვნელად ძმები გაუგზავნოს.

მაგრამ ვინ არის ეს „უფალი ქორდა“? სახელი ქურდისაგან ნაწარმოები გვარი ქურდიანი რამდენჯერმე იხსენიება სვანეთის სულთა მატიანესა და XIV-XV სს. სვანურ საბუთებში. ქურდიანები სეტის ხევის მცხოვრებლები არიან. მათ თითქოს კავშირი არ უნდა ჰქონდეთ. ვარძიელის წერილის ქორდასთან. სახელი ქორდა კი ორჯერ არის ფიქსირებული საჩხერის რაიონის სოფ. ქორეთის ღვთაების სახელობის ეკლესიის წარწერებში.

ამ ეკლესიის სამხრეთი კარიბჭის მარცხენა ნახევარსვეტის ბაზისზე გამოქანდაკებულია ჯვარი, რომლის მკლავებს შორის ამოკვეთილია წარწერა: „წმინდაო სამებაო, შეიწყალე ქორდაი“ (ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი, II, დასავლეთ საქართველოს წარწერები, ნაკვ. I. IX-XIII სს. შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვალერი სილოგავამ. თბ., 1980, №123).

ამავე ეკლესიის სამხრეთ კედელში,სახურავის კარნიზის ქვემოთ ჩასმულ ფილაზე ვკითხულობთ: „ქ. წმინდაო სამებაო, შეიწყალე მიქაელ მჭევრაის ძე ქორდაი“ (იქვე, №128). ამ წარწერებს მათი გამომცემელი ვ. სილოგავა XI ს-ით ათარიღებს.

ქორეთის ეკლესიის კედლებზე სხვა პიროვნებათა წარწერებიცაა — მიქაელ მიჯვიტანის ძე, ფერისა ინასარაი, ძოჭაპის ძენი, მოლოზანი გრძელის ძე. რაკი ეს პირები ეკლესიაზე მოხსენების ღირსი გახდნენ, უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი ეკლესიის მაშენებელნი, შემწე-დამხმარენი და შემწირველები იყვნენ. აქედან -ყველა ესენი ქორეთის მიდამოებში - საჩხერის რაიონში მსახლობლად უნდა ჩავთვალოთ. მათ შორის ქორდა გვარსახელი ორჯერ იხსენიება ეკლესიის წარწერებში. ამით თითქოს ხაზგასმულია ამ საგვარეულოს უპირატესობა. სოფლის თანამედროვე სახელწოდება - ქორეთი — შესაძლოა აქ მაცხოვრებელი ქორდას საგვარეულოდან მომდინარეობდეს.

თუ ვარძიის დეკანოზის წერილის ადრესატ უფალ ქორდას საჩხერის მახლობლად ქორეთის მიდამოებში მცხოვრებ ფეოდალური სახლის წარმომადგენლად ვივარაუდებთ, მაშინ ისიც უნდა დავუშვათ, რომ მონასტერი, რომლის მსასოებელიცაა ქორდა, უნდა იყოს არა სამცხის, არამედ იმერეთის ვარძია.

იმერეთის ვარძია აშენებულია მდ. ჩხერიმელას მარცხენა შენაკად ბორიმელაზე (ხარაგაულის რაიონი). ვარძიის დღეს არსებული ეკლესია აგებულია XVIII ს-ში, IX-XIII

სს. დიდი სამონასტრო კომპლექსის ნანგრევებზე. იმერეთის ვარძიის მონასტერი შეისწავლა ხელოვნებათმცოდნე კუკური დვალმა. მანვე გამოავლინა თანამედროვე ძეგლში XI-XIII სს. ნაშთები. სამწუხაროდ, კ. დვალის ეს ნაშრომი გამოქვეყნებული არ არის. იმერეთის ვარძია ისევე ღვთისმშობლის სახელობისა იყო, როგორც სამცხის ვარძია.

მაგრამ იმერეთის ვარძია ქორეთთან შედარებით ადვილი დასაკავშირებელი არ იყო. ვარძიიდან წამოსული ქვეითი მგზავრი შორაპანთან ყვირილას ხეობას შეუდგებოდა, აქედან ქორეთი ერთი დღის სავალზე არც კი იყო.

ქრონოლოგიურად პირველი ნიმუში მიმოწერის დედნისა ჩვენთვის ძვირფასია ერთი მხრივ იმით, რომ იგი გვაცნობს მონასტრის შინაური ყოფის დეტალებს და მეორე მხრივ ამ წერილით აშკარად დასტურდება ჩვენში ეპისტოლოგრაფიის ტრადიციების - წერილის შედგენის, ფურცელზე განთავსების და გაგზავნის წესების — სიძველე და მისი უწყვეტელობა XIII-XVIII სს-ში.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ქართული ეპისტოლური წყაროების კორპუსი, I. XV ს. - 1762 წ. შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო მამისა ბერძნიშვილმა, თბილისი, 1989. სერიისა და ტომის რედაქტორი რ. კიკნაძე.
2. ჩვენ განზრახული გვაქვს კორპუსის I წიგნში გამორჩენილი წერილების დედნების დამატების სახით ცალკე გამოცემა.
3. ტექსტი საერთოდ ადვილად იკითხება, მაგრამ გადანაკეცებზე ნაწერი გადაცრეცილია და მისი ამოკითხვა მოხერხდა ჩემი და ქ-ნ დარეჯან მეგრელაძის საერთო ძალით.
4. წერილის სქემის შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. ჩვენი „წინასიტყვაობა" წიგნში „ქართული ეპისტოლური წყაროების კორპუსი", I. თბ., 1989. გვ. 15-18.
5. „მერმე" როგორც წერილის ძირითადი შინაარსის - თხრობის - გამომყოფი ტერმინი ჩვენთვის ცნობილ წერილთა დედნებში პირველად ნახმარია XV საუკ. ბოლოს (ქართული ეპისტოლური წყაროების კორპუსი, I, №5).
   „მერმე"-თი იწყება საბუთის ძირითადი შინაარსის გადმოცემა სამეფო მიწერილობა-ბრძანებებშიც. პარალელურად იხმარებოდა აგრეთვე უფრო ძველი ფორმა „აწცა". მაგ., დავით აღმაშენებლის ნიანია ნიანასძისადამი ბოძებულ სიგელში მეფის ტიტულატურის შემდეგ დასმულია ტერმინი „აწცა", რითაც იწყება სიგელის ძირითადი შინაარსის გადმოცემა (ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, თბ., 1984, გვ. 50). ასევეა ლაშა-გიორგის ქვათახევისადმი ბოძებულ სიგელში (იქვე, გვ. 107).
6. ქართული წერის ნიმუშები. პალეოგრაფიული ალბომი, შეადგინა ი. აბულაძემ. თბ., 1949. ტაბულა №115, 116, 119, 120, 121.
7. იქვე, ტაბულა №114.

8. ჯავახიშვილი ი., ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია. ტფ., 1926, გვ. 39. ი. ჯავახიშვილს მოტანილი აქვს ქაღალდზე შესრულებულ ხელნაწერთა ნომრები XI-XII საუკუნეებისა ყოფ. საეკლესიო მუზეუმის ფონდებიდან (A). ასეთ ხელნაწერთა რიცხვის გაზრდა ხელნაწერთა ინსტიტუტის სხვა ფონდებითაც შეიძლება.

9. იქვე, გვ. 40.

Mamisa Berdznishvili

The Earliest Origiinal of Georgian Epistolary Documents

Document 3675 preserved in the fund 1448 of the department of archaic documents in the Georgian Central State Archives is the oldest manuscript preserved.

It is a letter of anonymous deacon of the Vardzia monastery named after the Virgin to H. E. Korda. According to this letter Korda was one of the Trustees of the monastery. The letter is not dated. As in the text is mentioned the Vardzia monastery we can point out only the earliest date of the letter. There are two Vardzia monasteries in Georgia: one in Samtskhe and the other in Imereti. Both of them are named after the Virgin and are founded in the 11-12th cc. That's why this letter was written not earlier then the 12 th c. According to the paleographic peculiarities it is to be written in the second half of the 13 th c.

It seems likely that Korda was a member of the feudal society representatives of which are mentioned in the inscriptions of the church in Korda (Sachkhere region). Obviously the author of the letter is deacon of Imereti Vardzia Monastery.

This letter shows old age of the georgian epistolographic traditions at least since the 13th c. At the same time it describes way of life in the monastery.

ლიანა დავლიანიძე

კირაკოს განძაკელის ერთი ცნობის შევსებისათვის

XIII ს-ის სომეხი მწერლის კირაკოს განძაკელის (1202-1272) „სომხეთის ისტორიაში" თხრობა იწყება სომეხთა გაქრისტიანებიდან, ე. ი. IV ს-ის დასაწყისიდან და სრულდება 1265 წლით. ავტორი თანამედროვეა მონღოლთა ბატონობის ხანის, ტყვედაც იყო ნამყოფი მათთან და, როგორც თვითმხილველი, ვრცლად და მართებულად ასახავს მოვლენებს. ადრინდელი ამბების გადმოცემისას იყენებს სხვადასხვა წყაროს, უმთავრესად წინამორბედ ავტორთა ნაწარმოებებს.

„სომხეთის ისტორია" არაერთხელ იქნა გამოქვეყნებული, განსაკუთრებით აღსანიშნავია მეცნიერულად დადგენილი ტექსტის გამოცემა შესავალი წერილითურთ კ. მელიქ-ოჰანჯანიანის მიერ[1]. ამჟამად არსებობს მისი სრული რუსული თარგმანიც, რომელიც შესრულა ლ. ხანლარიანმა ვრცელი შესავლით და კომენტარებით[2].

კირაკოს განძაკელის თხზულება არაერთ საყურადღებო ცნობას შეიცავს საქართველოსთან დაკავშირებით. ამჯერად ყურადღებას შევაჩერებ ერთ-ერთ მათგანზე, მით უფრო, რომ ის შევსებას და განმარტებას მოითხოვს.

ნაწარმოების XIII თავი (სულ სამოცდახუთია) ეძღვნება XII ს-ის სომეხ მწერალს და მოძღვარს მხითარ გოშს, თავისი დროისათვის დიდად განსწავლულ სასულიერო პირს, მრავალი თხზულების ავტორს. კირაკოს განძაკელის სიტყვით ცოდნის გასაღრმავებლად სამშობლოდან გამგზავრებული მხითარ გოში იქიდან დაბრუნებისას მივიდა ქ. კარინში, სადაც შეხვდა „კეთილმორწმუნე იშხანს (დიდებულს), სახელად ქურდს, სარწმუნოებით ქრისტიანს, გაქცეულს ქართველთა მეფისაგან და იმ დროს იქ მყოფს, გაეცნო მას, ხოლო [ქურდმა] შეიყვარა ის, ვითარცა მამა. ამის შემდეგ [მხითარი] დაბრუნდა სამშობლოში... შემდეგ იშხანი ქურდიც ახერხებს თავის სამფლობელო კაენისა და მაჰკანაბერდის მხარეებში დაბრუნებას. ქართველთა მეფემ, სახელად თამარმა, დიდი პატივი მიაგო მას, დაუბრუნა მშობლიური ადგილები და სხვაც მრავალი. [ქურდი] იყო მამა სადუნისა და დავითის, პაპა შერბაროქის სადუნის მამის"[3]. ამის შემდეგ ტექსტში მოთხრობილია კვლავ მხითარ გოშის შესახებ, კერძოდ, მისი მისვლა იშხან ქურდთან, დამკვიდრება კაენში არსებულ გეტიკის მონასტერში და ა. შ.

„სომხეთის ისტორიის" ამ ნაწილის გაცნობის შემდეგ იბადება კითხვები: ა) ვინ იყო და რა როლს ასრულებდა იშხანი ქურდი იმდროინდელ საქართველოში? ბ) რომელ ქართველ მეფეს გაექცა ის და რა მიზეზით? გ) ვისი საშუალებით, როდის და როგორ მოახერხა უკან დაბრუნება? დ) რა დამსახურებისათვის მიიღო თამარ მეფისაგან პატივი და სამფლობელოები?

როგორც აღინიშნა, კირაკოს განძაკელს მოხსენიებული ჰყავს ქურდის შთამომავლები, კერძოდ, მისი შვილები სადუნი და დავითი, შვილიშვილი შერბაროქი და ამ შერბაროქის ძე-სადუნი. ამათ შორის საქართველოს ისტორიაში კარგად არის ცნობილი ბოლოს დასახელებული სადუნი, მანკაბერდელად წოდებული. როდესაც დავით ულუს ძე დემეტრე, მეფედ დასამტკიცებლად ურდოში წაიყვანეს აბაღა ყაენთან, ყაენმა მას „მისცა ყოველი სამეფო" და მცირეწლოვნების გამო მეურვედ „წარმოატანა თანა სადუნი, რომელსა უბოძა მეფემან დიმიტრი ათაბაგობა"[4]. კირაკოს განძაკელი სადუნის შესახებ იმასაც აღნიშნავს, რომ ის ჰულაგუ ყაენის დროსაც პატივცემული იყო და თავისი ძლიერი აგებულების გამო მის უპირველეს ფალავნებში ჩარიცხული[5]. ამასვე

ადასტურებს XIII ს-ის სომეხი ავტორი გრიგოლ აკანელი. ამასთანავე უთითებს, რომ ის იყო არწრუნიანთაგანი, შვილიშვილი ამირა ქურდისა[6], ხოლო ამავე პერიოდის მწერალი მხითარ აირივანელი 1281 წლის ქვეშ იძლევა ცნობას სადუნ-არწრუნის გარდაცვალების შესახებ[7]. ამრიგად როგორც სადუნ მანკაბერდელის ერთ-ერთი წინაპარი, კერძოდ პაპის მამა, ქურდიც არწრუნთა საგვარეულოდან უნდა ვივარაუდოთ. არწრუნი ფეოდალები ადრე სასუნში დამკვიდრებულნი, შემდეგ, X ს-დან გადავიდნენ ვასპურაკანში, სადაც 908 წ. შექმნეს ვასპურაკანის სამეფო. 1021 წ. მისმა მეფე სენექერიმმა ვეღარ გაუძლო მტრის შემოტევას და თავისი სამეფო ბიზანტიის კეისარს ბასილი II-ს გადასცა. სამაგიეროდ მიიღო მცირე აზიაში, — კაპადოკიაში, მდებარე ქ. სებასტია, სადაც გადასახლდა 1021 წ. და განაგრძო მეფობა როგორც ბერძენთა კეისრის ვასალმა[8]. გ. ოვსეპიანის აზრით არწრუნთა ერთ-ერთი შტო XI ს-ის მეორე მეოთხედში დაეფუძნა კაენის გავარსა და მაჭკანაბერდში, ხოლო როდესაც აქ არსებული ტაშირ-ძორაგეტის სამეფო დასუსტდა, მათ აქვე შექმნეს პატარა საიშხანო[9].

ქურდ არწრუნზე უფრო ვრცელ ცნობებს იძლევა XII ს-ის სომეხი მწერალი და სწავლული მოძღვარი მხითარ გოში. მის თხზულებაში „ალბანეთის ქრონიკა" იქ, სადაც საუბარია დემეტრე I-ის (1125-1156) ძე მეფე დავით V-ზე, რომელიც მამის სიცოცხლეშივე მოძალადეობით დაეუფლა სამეფო ტახტს 1155 წ., აღნიშნულია, რომ მან მეტად განადიდა თბილისის სატრაპი ვასაკი და მისი ძმა ქურდი. შემდეგ, როდესაც გარდაიცვალა დავით V და ტახტზე ავიდა დემეტრე I-ის უმცროსი შვილი გიორგი III (1156-1184), მან მოისურვა ვასაკ იშხანის შეპყრობა, რადგან, როგორც ქალაქის გამგებელი („ქალაქაპეტი"), დავით V-ს მეტ პატივს მიაგებდა და სამსახურსაც უკეთ უწევდა, ვიდრე მას, მაგრამ ვასაკმა ქურდთან ერთად მოახერხა გაქცევა და თავი შეაფარა კარინს ანუ არზრუმს. არზრუმის ამირა სალდუხმა სიხარულით და პატივით მიიღო ისინი, რადგანაც 1154 წ. ანისის გარემოცვის დროს შეპყრობილი და თბილისში ტყვედ მოყვანილი სალდუხისათვის მრავალი დახმარება გაუწევია ვასაკს. მადლიერმა არზრუმის ამირამ თავის მხსნელს უბოძა სხვადასხვა კუთხის გამგებლობა, ხოლო რამოდენიმე ხნის შემდეგ, როდესაც ვასაკი გარდაიცვალა და იქვე დაკრძალეს, მისი დროშა, საყვირი და უფლებები გადასცა ქურდს[10].

ამრიგად, ვასაკისა და ქურდის საქართველოდან გაძევების გარემოებას თითქოს ნათელს ჰფენს მხითარ გოშის „ალბანეთის ქრონიკის" ცნობები, ხოლო გრიგოლ აკანელი და მხითარ აირივანელი ქურდის შთამომავალ სადუნ მანკაბერდელს არწრუნთა საგვარეულოს აკუთვნებენ, რაც საფუძველს იძლევა არწრუნადვე იქნეს მიჩნეული ქურდიც.

აქ შეიძლება დაისვას კითხვა, რამ განაპირობა თბილისის სატრაპის ვასაკის განსაკუთრებული ერთგულება მეფე დავით V-ის მიმართ? მიუხედავად იმისა, რომ დავითი დემეტრე I-ის უფროსი შვილი იყო, როგორც ცნობილია, დემეტრეს სამეფო ტახტი უმცროსი შვილისათვის - გიორგისათვის უნდოდა[11]. XIII ს-ის სომეხი ისტორიკოსის ვარდან აღმოსავლელის ბუნდოვანი ცნობის მიხედვით, რაც არა ერთხელ გამხდარა მკვლევართა განსჯის საგანი, ჩანს დემეტრეს წინააღმდეგ რაღაც შეთქმულებას ჰქონია ადგილი. მისმა უფროსმა ვაჟმა დავითმა მაინც მიაღწია თავის მიზანს და დაეუფლა სამეფო ტახტს. ეტყობა, მას დიდი ოპოზიცია ჰყავდა ქართველ დიდებულებში, რაც უნდა გამხდარიყო მიზეზი იმისა, რომ მხითარ გოშის ცნობის თანახმად, ის მომხრეებს ეძებდა სომეხთა შორის. გარდა ვასაკ სატრაპისა, მას თავისთან მიუწვევია სომეხ კვირიკიანთა უკვე დაცემული სამეფოს უფლისწული კვირიკე — მეფე დავითის (1089-1145) ძე და დაპირებია სამკვიდრებლის აღდგენას. სურვილი

ჰქონია აგრეთვე შეეკრიბა ქართველები და სომხები, გაემართა პაექრობა და გაეგო ჭეშმარიტება სარწმუნოების შესახებ[12]. ყოველივე ეს მაფიქრებინებს, რომ სომხეთის წარჩინებულებს დიდი მონაწილეობა ჰქონდათ მიღებული დავით V-ის გამეფებაში და ერთგულებდნენ მას.

ამის შემდეგ უნდა გაირკვეს ვინ და როდის დააბრუნა ქურდი არზრუმიდან. როგორც კირაკოს განძაკელის ტექსტშია, მისთვის პატივი მიუგია ქართველთა მეფე თამარს, მაგრამ დაბრუნების საკითხის გასარკვევად გათვალისწინებული უნდა იქნეს კიდევ ერთი სომხური წყაროს მონაცემები, კერძოდ XIII ს-ის ავტორის, კაენის მხარეში არსებული ქობაირის მონასტრის წინამძღვრის დავით ქობაირელის „მოსახსენებელის". მასში მოთხრობილია დემნა უფლისწულისა (დავით V-ის ძის) და ორბელთა 1177 წლის აჯანყების ამბები გიორგი III წინააღმდეგ. ამ თხზულების მიხედვით „მეფის ბრძანებით" (იგულისხმება გიორგი III) აჯანყებულებს დაედევნა თბილისის კეთილ-მსახური ამირაპეტი ქურდი, დაეწია მათ ვიწრო გზაზე თავის საკუთარ მხარეში, დასცა მათ ბრძოლის ყიჟინა და უკანვე გამოაქცია"[13]. ე. ი. აჯანყების დროს ქურდი უკვე დაბრუნებულია და მეფე გიორგისთან შერიგებულიც. ზემოთ მოტანილი ტექსტის მიხედვით მისი დაბრუნება აჯანყებამდე რამდენადმე ადრე უნდა მომხდარიყო, რადგანაც მხითარ გოშის „ალბანეთის ქრონიკაში" ქურდს მოხელეობის აღმნიშვნელი მითითება არ ახლავს, „მოსახსენებელში" კი იგი „თბილისის ამირაპეტია", რაც, ალბათ, გიორგი III-მ უბოძა აჯანყების დაწყებამდე.

საგულისხმოა, რომ 1177 წლისათვის ქურდის მამული კაენი სხვის ხელშია. ისევ დავით ქობაირელის სიტყვით, აჯანყებულებმა დაითანხმეს კაენის გამგებელი და მეციხოვნეები მეფის წინააღმდეგ. შემდეგ აღნიშნულია, რომ ივანე ორბელის ძმამ ლიპარიტმა თავისი ხალხით წაიყვანა დემნა უფლისწული მიუვალი კაენისაკენ[14]. ამრიგად, ორბელებს კაენზე ხელი მიუწვდებოდათ როგორც თანამზრახველთა მამულზე. სტეფანოზ ორბელიანის მიხედვით ამ პერიოდში კაენის მფლობელად დასახელებულია ჰასან კაენელი[15], რომელსაც დ. ბერძენიშვილი ადგილობრივ ფეოდალად მიიჩნევს[16].

ვფიქრობ, გიორგი III-სა და ქურდის შერიგებას აჯანყების დაწყებამდე არწრუნთა მამულის კაენის კუთვნილების საკითხი ედო საფუძვლად, დავით ქობაირელი ამბობს, რომ „ქართველთა ქვეყნის დიდებულებს დიდი ხანია განზრახული ჰქონდათ მეფისაგან განდგომა". შესაძლებელია ეს გიორგიმაც იცოდა და მან თვითონ უხმო ქურდს, როგორც დაინტერესებულ პირს, აჯანყებულთა წინააღმდეგ და სამკვიდრებლის დაბრუნება აღუთქვა. ალბათ, ამავე დროს უბოძა მას სამოხელეო თანამდებობაც.

აჯანყების ჩახშობის შემდეგ გამდგარ ფეოდალებს მამულები ჩამოერთვათ, კაენი სამეფო დომენად იქცა. თითქოს მოსალოდნელი იყო, რომ ეს მხარე ადრინდელ პატრონს დაბრუნებოდა, მაგრამ გიორგი III-ის მეფობის ბოლო ხანებში მას სხვა სომეხი ფეოდალები განაგებდნენ (სარგის ამირა, ელიბეკი)[17], მაგრამ არა ქურდი. აღარწინის წარწერის მიხედვით მეფეს ჩვენთვის უცნობი რაღაც მიზეზის გამო ქურდისათვის თანამდებობაც კი წაურთმევია და ის ისევ კარინში გაქცეულა[18]. საქართველოდან მეორედ წასული ქურდი გიორგი III-ის სიცოცხლეში სამშობლოში აღარ ჩანს.

რაც შეეხება კაენის მხარეს, გიორგი რუსის 1191 წლის აჯანყებამდე, როგორც თამარის პირველი ისტორიკოსი ამბობს: „ვარდან დადიანი მსახურთუხუცესი (იყო) ლიხთაქით პატრონი ორბეთის და კაენისა"[19]. აჯანყების დამარცხების შემდეგ მას ეს მხარეები ჩამოერთვა, როგორც გიორგი რუსის მხარეზე მდგომს და მის თანამებრძოლს. იგივე ავტორი აღნიშნავს, რომ თამარმა უხვად დააჯილდოვა თავისი

ერთგულნი, მათ შორის „უბოძის სარგისის ძესა ივანეს... კაენი და კაიწონი გულაქუნით და სხვა მრავლითა სახარაჯოთა ქალაქითა და ციხითა[20]. კირაკოს განძაკელის ზემოთ მოტანილ ცნობაში კი თამარმა დიდი პატივი მიაგო ქურდს და დაუბრუნა მშობლიური ადგილები (ე. ი. კაენიც) და სხვაც მრავალი. ხომ არ შეიძლებოდა ერთი და იგივე მხარე ერთდროულად ორი მფლობელისათვის მიეცა თამარს პირად საკუთრებაში? ამის გასარკვევად შეიძლება გათვალისწინებული იქნეს ის ფაქტი, რომ ვარდანის მიხედვით ივანე მხარგრძელი იყო ქურდის „დისწული"[21], რაც გაზიარებულია სამეცნიერო ლიტერატურაში. შ. მესხია ს. ერემიანზე დაყრდნობით აღნიშნავს: სარგის მხარგრძელი დაქორწინებული იყო თბილისის გამგებლის ვასაკისა და ქურდის დაზე საგდუხტზე, რომელიც წარმოშობით არწრუნთა ნახარარების ძველი გვარის იმ განშტოებიდან იყო, რომელმაც დავით აღმაშენებლის დროიდან გადმოინაცვლა ჩრდილო სომხეთში[22]. ამრიგად, ივანე მხარგრძელი ყოფილა ქურდის დის საგდუხტის შვილი. ამ ნათესაობის საფუძველზე ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ივანე მხარგრძელმა თვითონ დაუთმო თავის ბიძა ქურდს ის მხარეები, რომლებიც თავიდანვე მასვე ეკუთვნოდა. შესაძლებელია თვითონვე იშუამდგომლა თამართან, რათა ეცნო ისინი ქურდის საკუთრებაში და დაითანხმა კიდეც. ამ დროს, ალბათ, გათვალისწინებული იქნებოდა ქურდის დამსახურებაც 1177 წ. დემნა უფლისწულის აჯანყების ჩახშობასთან დაკავშირებით. თუ ეს დასაშვებია, მხოლოდ ქურდის სიცოცხლეში ექნებოდა ამ მფლობელობას ადგილი, რადგან მომდევნო ხანებში კაენი და მაჭკაბერდი ისევ მხარგრძელთა ხელშია. ზემოთ ნათქვამის შესაბამისად ქურდი კარინიდან მეორედ დაბრუნებულა თვითონ თამარ მეფის ნებით და ივანე მხარგრძელის შუამდგომლობით. აქედან გამომდინარე კირაკოს განძაკელის ცნობაში მხითარ გოშისა და ქურდის შეხვედრას კარინში ადგილი უნდა ჰქონოდა არა ქურდის პირველი გაქცევის დროს (1156 წლის ახლო ხანებში), არამედ მოვლენების განვითარების მიხედვით 1177 წლის აჯანყების შემდეგ, როდესაც უცნობი მიზეზების გამო ის გაერიდა გიორგი III-ს და ისევ კარინს შეაფარა თავი. კარინიდან ჯერ სამშობლოში ბრუნდება უკვე ქურდთან დაახლოებული მხითარ გოში, ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ - ქურდიც. ამ დროს ღებულობს ის თამარისაგან თავის მამულს, მხითარ გოშიც მიდის მასთან და კაენის მხარეში არსებული გეტიკის მონასტრის წინამძღვარი ხდება. ახლო ხანებში ადგილი აქვს ძლიერ მიწისძვრას, რაც ანგრევს მონასტერს, ხოლო 1191 წელს ახალი გეტიკის მშენებლობა იწყება.

მნიშვნელობას მოკლებული არ უნდა იყოს კიდევ ერთი საკითხი: როგორც აღინიშნა, კირაკოს განძაკელთან ქურდი მოხსენიებულია როგორც „იშხანი" (დიდებული), მხითარ გოშის „ალბანეთის ქრონიკაში" როგორც ვასაკის ძმა, რომელიც დიდი პატივით იმყოფება კარნუ ქალაქში სალდუხის კარზე, დავით ქობაირელთან (მისი შრომა დაწერილია 1179 წ.) 1177 წლის აჯანყების დროს ის „თბილისის ამირაპეტია", ხოლო 1181 წლის წარწერაში[23] და გრიგოლ აკანელთან - „ამირაა"[24]. საკითხის გასარკვევად ინტერესს იმსახურებს ის დასკვნა, რომელიც სათანადო კვლევის შედეგად წარმოდგენილი აქვს დ. მუსხელიშვილს ამირთამირობის (ამირაპეტი) ინსტიტუტის მიმართ, „თბილისის ამირა" და „თბილისის ამირთამირა". ერთი და იგივე არ არის, რომ ამირთამირობა უფრო გვიანდელი მოვლენაა ამირობასთან შედარებით და რომ ეს ინსტიტუტი წარმოიქმნა ქართულ ნიადაგზე. ამირთამირობის დაწესება მოდის XII სს-ის 80-იანი წლების მიწურულზე... ამ წოდების მატარებელ მოხელეს თავის მხრივ ჰყავდა „ქვეშე დაწესებული" მოხელენი - „ქალაქის ამირანი"[25]. ამ დასკვნის გათვალისწინებით, საეჭვოა, რომ ქურდი თბილისის ამირაპეტი, ანუ ამირთამირა ყოფილიყო 1177 წლისათვის,

რამდენადაც ჩვენს სინამდვილეში, როგორც აღინიშნა, ეს ტერმინი მხოლოდ XII ს-ის 80-იანი წლების მიწურულიდან იძენს რეალურ შინაარსს. დავით ქობაირელმა, ვფიქრობ, ის იხმარა ქურდის მიმართ, რათა უფრო უკეთ წარმოეჩინა მისი პიროვნება. რამდენადაც დავით ქობაირელი იყო ცენტრალური ხელისუფლების მომხრე, ჩანს, დიდად აფასებდა ქურდის თავდადებას აჯანყებულთა წინააღმდეგ ბრძოლაში, რაც არაერთგზის დასტურდება მისი „მოსახსენებლის" ტექსტშიც. ამდენად, ქურდი უნდა ყოფილიყო ამირა, რასაც ეთანხმება 1181 წლის წარწერა და ამირადვე დამახსოვრებია ის შემდგომ თაობებსაც, რამაც გამოხატულება ჰპოვა 1272 წ. დაწერილ გრიგოლ აკანელის შრომაში.

თამარის დროს ქურდი საბოლოოდ მკვიდრდება თავის მამულში. შესაძლებელია ის იყენებს ადრინდელ კავშირებს და, მიუხედავად ხანდაზმულობისა, მსხვილი ვაჭრობის საქმეში ებმება. სომეხ წარჩინებულთა დაწინაურება საქართველოს სამეფოში უფრო ინტენსიურად იწყება ლორე-ტაშირის კვირიკიანთა სამეფოს დასუსტების შემდეგ (1065 წ.)[26], როდესაც თურქ-სელჩუკიანებისაგან გათავისუფლებული მისი მიწები საქართველომ შეიერთა. ცნობილია, რომ დავით აღმაშენებელი და დემეტრე I კვირიკიანთა სამეფოში მოსახლე ფეოდალებს თავისი ნებითაც აყენებდნენ საქართველოს სამსახურში და თავის მოხელეებად აქცევდნენ. ეს პროცესი ხელს უწყობდა როგორც სომხურ საგვარეულოთა დაწინაურებას, ასევე ქართული სამეფო კარის გარკვეული პოლიტკის გატარებასაც. კერძოდ, სავაჭრო-ეკონომიკური სფეროს განვითარებას და წინსვლას[27]. ს. ერემიანი საგანგებოდ მიუთითებს ქურდ არწრუნის დიდ კავშირებზე სავაჭრო წრეებთან[28]. ასეთი კავშირების მქონე ამირა უთუოდ სარგებლობას მოუტანდა ქალაქსაც და სამეფო ხელისუფლებასაც[29].

დაბოლოს, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, არსებობს მოსაზრება ქურდის ქურთული წარმოშობის შესახებ. ქურდის მამულთან არსებული ქურდვაჭრის ხევი იხსენიება თამარის ხანაში [30] და, ვფიქრობ, ის მართლაც ქურდის სახელს უნდა უკავშირდებოდეს. უფრო ადრე ამ ადგილის სახელწოდება შეინიშნება ჯუანშერთან „ქურდის ხევის" ფორმით VIII ს-ის ერისმთავრების არჩილის და მირის დროს[31]. როდესაც XI ს-ში ვასპურაკანში არსებული არწრუნთა სამეფო ბიზანტიას გადაეცა, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, ქურდ არწრუნის შტო იმ პერიოდში სახლდება კაენის მხარეში - ქურდის ხევის მახლობლად. იქნებ არც ის არის შემთხვევითი, რომ ქურთული წარმოშობის სარგის მხარგრძელმა, - ზაქარია და ივანეს მამამ, ცოლად შეირთო ვასაკისა და ქურდის და საგდუხტი.

აკად. ნ. ბერძენიშვილი წერდა, რომ ადგილი ქურდის ხევი ქურდის ტომის ნაკვალევი უნდა იყოს დებედას ხეობაში[32]. ამავე აზრს ავითარებს დ. ბერძენიშვილი[33]. ყოველივე ამის შემდეგ გასახსენებელია ისიც, რომ, როგორც კირაკოს განძაკელი უთითებს, მხითარ გოშს ქ. კარინში შეხვდა სარწმუნოებით ქრისტიანი ქურდი, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ მას და, შესაძლებელია, მის საგვარეულოსაც, ჯერ კიდევ ვასპურაკანში ცხოვრებისას (თუ უფრო ადრე არა) მოუპოვებიათ არწრუნობაც და ქრისტიანული სარწმუნოებაც.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. კირაკოს განძაკეცი, სომხეთის ისტორია, კ. მელიქ ოჰანჯანიანის გამოც., ერევ., 1961 (სომხურ ენაზე).
2. Киракос Гандзакеци, История Армении, перевод с древнеармянского, предисловие и комментарий Л. А. Ханларян, М., 1976.
3. კირაკოს განძაკელი, თავი XIII
4. ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., თბ., 1959, გვ. 270.
5. კირ. განძაკელი, თ. 61.
6. გრიგოლ აკანელი, მოისართა ტომის ისტორია, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით და კომენტარებით გამოსცა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1961, გვ. 47; ქართულ თარგმანში მოცემულია „შვილი ამირ ქურდისა", რაც, ალბათ, უნებლიე შეცდომაა. ტექსტში შესაბამის ადგილას არის სიტყვა - „თორნ", რაც აღნიშნავს „შვილიშვილს, შთამომავალს".
7. მხითარ აირივანეცი, ქრონოლოგიური ისტორია, ლ. დავლიანიძე — ტატიშვილის გამოც., თბ., 1990, გვ. 85.
8. თომა არწრუნი, არწრუნიანთა სახლის ისტორია, თბ., 1917 (სომხურ ენაზე) ის. აგრეთვე არისტაკეს ლასტივერტეცი. ისტორია, ქართული თარგმანი, გამოკვლევით, კომენტარებითა და საძიებლით გამოსცა ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1974, გვ. 161,162, 164.
9. გ. ჰოვსეფიანი, ხაღბაკიანები ანუ პროშიანები სომეხთა ისტორიაში, ვაღარშაპატი, 1928, გვ. 14, (სომხურ ენაზე).

9ა ტერმინი „სატრაპი" ქართულ სინამდვილეში იშვიათია. მომდინარეობს ძველი ირანული - „ხშათრაპატ"-იდან სადაც, „ხშათრა" აღნიშნავს „ძალაუფლებას", „ქვეყნის გამგებლობას" - იგივე შაჰ. მოგვიანებით ქალაქის გამგებლის მნიშვნელობითაც ჩანს. რაც შეეხება „სატრაპს,"-ეს იმავე მნიშვნელობის ბერძნული ფორმაა (ტერმინის განმარტებაში დამეხმარა თ. ჩხეიძე, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ).

10. დავლიანიძე ლ., მხითარ გოშის „ალბანეთის ქრონიკა", ქართული წყაროთმცოდნეობა, II, თბ., 1968, გვ. 46-48.
11. ქ. ცხ. II, გვ. 3.
12. მხ. გოში, დასახ. ნაშრ. გვ. 47.
13. მაისურაძე გ., ერთი სომხური წყარო დემნა უფლისწულის აჯანყების შესახებ. - კრებ. - საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1966, გვ. 264.
14. იქვე.
15. სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთა"-ს ძველი ქართული თარგმანები, ქართულ-სომხური ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1978, გვ. 46.
16. ბერძენიშვილი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, თბ., 1979, გვ. 79.
17. Еремян С. М. Агарцинская надпись 1184 г. - Сборник в честь акад. И. А. Орбели, М., 1965, с. 84-85; მესხია შ., საშინო პოლიტიკური ვითარება და სახელმწიფო წყობა XII საუკუნის საქართველოში, თბ., 1979, გვ. 118.
18. მესხია შ., იქვე, გვ. 131, 288.
19. ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქ. ცხ. II, გვ. 49.
20. ქ. ცხ. II, გვ. 54.
21. ვარდან ბარძბერდელის მსოფლიო ისტორია, მოსკ., 1861 (სომხურ ენაზე).

22. მესხია შ., დასახ. ნაშრ., გვ. 277.
23. კოსტანიანცი კ., ლაპიდარული წარწერები, სპბ, 1913 (სომხურ ენაზე), გვ. 33-34; ვიმოწმებ დ. მუსხელიშვილის მიხედვით.
24. გრიგოლ აკანელი.., მოისართა ტომის ისტორია, ნ. შოშიაშვილის გამოც., გვ. 47.
25. მუსხელიშვილი დ., თბილისის ამირთამირობის ინსტიტუტისათვის კრებ. – საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1966, გვ. 216-217.
26. მელიქსეთბეგი ლ., „ჩრდილო მხარეთა სომეხთა მოძღვარნი" და მათი ვინაობა, თბ., 1928, გვ. 31.
27. მესხია შ., მხარგრძელთა აღზევება საქართველოში, - კრებ. საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII ს-ის საქართველოში, თბ., 1979, გვ. 276.
28. Еремян С. Юрий Боголюбский по армянским и грузинским источникам, Научные труды Ереванского гос-университета, т. XXIII, Ер., 1946, с. 399.
29. ანთელავა ილ., საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XIII სს. თბ., 1983, გვ. 223.
30. ქ. ცხ. II, გვ. 51, 54.
31. ქ. ცხ., I, 33. 242.
32. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, თბ., 1975, გვ. 12.
33. ბერძენიშვილი დ., დასახ. ნაშრ., გვ. 107.

Liana Davlianidze

Complement of One Evidence of Kirakos Gandzaketsi

The Armenian historian of the 13 th c. Cyrakos Gandzaketsi informs us about exile of Kurdi from Georgia, who was the brother of the Tbilisi satrap Varsak, concerning his return to Tbilisi and subsuequently1 the donation of land property to him by Queen Tamar.

The paper researches the question who expeled Kurdi, how many times he was exiled and why Queen Tamar allowed him to return to Georgia. Kurdi's origin as well as his trade contacts are considered.

მარინე კიკნაძე

ერთი აღმოსავლური ტერმინი ფარსადან გორგიჯანიძის საისტორიო თხზულებაში

წერილობითი ისტორიული წყაროების ინტერპრეტაციაში გადამწყვეტ როლს თამაშობს ტექსტის წაკითხვა და მისი შინაარსის გახსნა. ამისათვის აუცილებელია იმ ეპოქის კონკრეტული ცოდნა, რომელსაც ეკუთვნის შესასწავლი ძეგლი[1]. ტექსტის სწორი წაკითხვა, ანუ მისი სწორი გაგება მოითხოვს არა მხოლოდ ტექსტის ლექსიკის, მორფოლოგიის, სინტაქსის, ცალკეული შემოკლებების, მექანიკური შეცდომების წარმომავლობის „ცნობას", არამედ მისი შინაარსის სწორად აღქმას ეპოქასთან, თავისი დროის გეოგრაფიულ აღნიშვნებთან, ისტორიულ სახელებთან კავშირში[2], ე. ი. ისტორიული კონტექსტის დაწვრილებით ცოდნას.

წერილობითი წყაროს სიტყვასიტყვითი აზრის გაგებას (რაც წყაროთმცოდნეობითი ანალიზის ერთ-ერთ ამოცანად ითვლება) ემსახურება წერილობითი ძეგლის ტექსტში დაძებნილი ისტორიული ტერმინების შესწავლა. საერთოდ, ტერმინოლოგიური ძიებები წყაროთმცოდნეობითი საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა. აქ შეიძლება გამოიყოს რამდენიმე ასპექტი, რომლებიც მეტნაკლებად განაპირობებენ მთლიანად წყაროთმცოდნეობის განვითარების დონეს.

არაერთხელ აღინიშნა, რომ საგანგებო შესწავლას და განმარტებას საჭიროებს ნასესხები ლექსიკა. ზოგიერთმა ტერმინმა ნაწილობრივ შეიცვალა საწყისი მნიშვნელობა, ზოგიერთ ტერმინს შეიძლება რამდენიმე მნიშვნელობა ჰქონდეს, სხვა ენაში შესვლისას კი საერთოდ ახალი მნიშვნელობა შეიძინოს, რომელიც არსებითად განსხვავდება თავდაპირველისაგან. ზოგჯერ გვიანდელი ხანის გადამწერები, რომელთაც აღარ ესმოდათ ხმარებიდან გამოსული ტერმინების მნიშვნელობა, ამახინჯებდნენ მათ დამწერლობას. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ სიტყვის სემანტიკა და მისი ტერმინოლოგიური მნიშვნელობა კონკრეტულ კონტექსტში ხანდახან ერთმანეთს სცილდება. უცხოენოვან ტერმინებთან გაუფრთხილებელი მოპყრობა დაუშვებელია, რადგან მათი მცდარი განმარტება შეიძლება გახდეს წყაროს ზოგიერთი ცნობის არასწორი ინტერპრეტაციის და, აქედან გამომდინარე, არასწორი დასკვნების საფუძველი.

ამჯერად ყურადღებას შევაჩერებთ ტერმინზე „შაჰსევენი" („შაჰისევანი"). იგი სპარსულ-აზერბაიჯანული წარმოშობისაა და სიტყვასიტყვით ნიშნავს შაჰის მოყვარულს. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ შაჰსევენების გვარდია შაჰ აბას I-მა შექმნა XVI საუკუნის მიწურულს ყიზილბაშთა ტომების დასასუსტებლად. თავდაპირველად შაჰსევენებს უწოდებდნენ ყველას, ვინც ნებაყოფლობით შედიოდა შაჰის სამსახურში. XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან შაჰსევენები ყიზილბაშთა ტომების პრივილეგირებულ გაერთიანებას დაერქვა, ამჟამად კი შაჰსევენები ირანის აზერბაიჯანის თურქული მოდგმის ერთ-ერთ მომთაბარე ტომს ჰქვია[3].

XVII საუკუნის სპარსულ თხრობით წყაროებში ეს ტერმინი ხშირად გამოიყენება. ვხვდებით საინტერესო ფორმას „შაჰსევენი" شاهسونی- (შაჰსევენობა, შაჰის სიყვარული, ერთგულება). გამოთქმებს شاهسونی کردن (შაჰისათვის სასარგებლო საქმის გაკეთება, შაჰის ერთგულება, შაჰსევენობის გაწევა), شاهسونی فرمودن (შაჰსევენობის ბრძანება, შაჰისათვის სასურველი საქმის გაკეთებინება)[4].

ტერმინი „შაჰსევენი“ სპარსულ დოკუმენტურ წყაროებშიც მოიხსენიება. მაგალითად, 1617 წლის 24 აგვისტო-22 სექტემბრის შაჰ აბას I-ის ფირმანში მელიქ ნაზარის სონყორაბადის მელიქად დანიშვნის შესახებ[5], 1626 წლის 15 ივნისის მამულის წყალობის ქართულ-სპარსული წიგნის სპარსულ ტექსტში, რომელიც სიმონ II-ის მიერ მახარებელ კოტრაშვილისა და მისი ძმისთვისაა მიცემული და სხვა[6].

რამდენჯერმე გვხვდება ეს ტერმინი XIX საუკუნის ცნობილი აზერბაიჯანელი მეცნიერის და მწერლის აბას ყული-აღა ბაქიხანოვის მნიშვნელოვან ისტორიულ ნაშრომში „გულისთანე ირამ“ (სამოთხის ვარდნარი), რომელშიც გაშუქებულია ჩრდილოეთ აზერბაიჯანის და დაღესტნის ისტორია უძველესი დროიდან 1813 წლამდე[7]. ავტორმა წიგნი სპარსულ ენაზე დაწერა ანტიკური, აღმოსავლური, სომხური, ქართული წყაროების გამოყენებით და შემდეგ თვითონვე თარგმნა რუსულად.

ტერმინი „შაჰსევენი“ გამოყენებული აქვს ქართველ ისტორიკოსს ფარსადან გორგიჯანიძეს თავის ისტორიულ თხზულებაში „საქართველოს ცხოვრება“. ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ XV საუკუნის დასაწყისში, თემურ ლენგის მიერ ქალაქ ბაილაყანის აღდგენის დროს „ლაშქარს შაჰისევ/ა/ნი უბრძანეს და არაზის წყლით დიდი რუ გაილეს, სიშორით ექვსი აღაჯი“[8], რომლითაც მდინარე არეზიდან ქალაქში წყალი შემოვიდა. ესე იგი ლაშქრისთვის მბრძანებლის სახელზე სამუშაოზე გასვლა უბრძანებიათ (შდრ. شاهسوني فرمودن). გორგიჯანიძის თხზულებისათვის ს. კაკაბაძის მიერ შედგენილ ლექსიკონში ეს ტერმინი არ არის შეტანილი.

როგორც ვხედავთ, ქართველმა ისტორიკოსმა ხსენებული ტერმინი იმ პერიოდის მოვლენათა აღწერაში ჩართო, როცა არც შაჰსევენთა გვარდია და ორგანიზაცია არსებობდა, არც, ბუნებრივია, თვითონ ტერმინი. ამაში მდგომარეობს ფარსადან გორგიჯანიძის ტერმინოლოგიური ანაქრონიზმი, რადგან, გარდა იმისა, რომ ტერმინ „შაჰსევენის“ მნიშვნელობა გაფართოებულია სივრცეში, იგი გადაადგილებულია დროშიც (ამ კუთხით ინტერესს იმსახურებს სხვა ტერმინიც - „აღაჯი“, რომელიც ასევე არ არსებობდა XV ს-ში).

„შაჰსევენის“, „აღაჯის“ და მსგავსი ტერმინების ისტორია კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ტექსტზე მუშაობისას ნებისმიერი, თუნდაც თითქოსდა ნაცნობი ტერმინი მხოლოდ მოცემული კონტექსტის და ავტორის მიერ კონკრეტულად ამ შემთხვევაში ტერმინისთვის მინიჭებული მნიშვნელობის გათვალისწინებით უნდა განიმარტოს.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. Ключевский В. О., Сочинения, т. 6, М., 1958, с. 477; Пронштейн А. П. Проблемы предварительной исторической критики историков в трудах В. О. Ключевского. - В кн. "Источниковедческие разыскания. 1982, Тбилиси, 1985, с. 66.
2. Лихачев Д. С., Текстология на материале русской литературы X-XVII вв. Л., 1983, с. 163.
3. Марков В. С., Шахсеваны на Мугани. - "Зап.-Кавказ. отд. РГО". Тифлис, 1890, кн. 14, в. I, с. 3, 5; Пигулевская Н. В., Якубовский А. Ю., Строева Л. В., Петрушевский И. П., Белецкий Л. М., История Ирана с древнейших времен до конца XVIII века. Л., 1958;

Ростопчин Ф. Б., Заметки о шахсеванах. - СЭ, 1933, №3-4; СИЭ. М., 1976, т.16, с. 144-145; Рахмани А. А., Азербайджан в конце XVI и в XVII веке, Баку, 1981, с. 225; Minorsky V., Encyclopedie des Islam. Leiden - Leipzig, 1934, P. 286-288; სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში. წიგნი I, ნაკვეთი I, გამოსცა ვ. ფუთურიძემ, თბილისი, 1961, გვ. 93 (შენიშვნები). ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, გვ. 481 (შენიშვნები); ისქანდერ მუნში. აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორიის გაგრძელება. ცნობები საქართველოს შესახებ. გამოკვლევა, თარგმანი და შენიშვნები დაურთო ნ. გელაშვილმა, თბილისი, 1981, გვ. 77 (შენიშვნები); Персидско-Русский словарь, под ред. Ю. А.Рубинчика, М., 1970, . II, dị. 88.

4. Искандер-бек Торкемани Мунши, Тарих е алам арайе Аббаси (Мироукрашающая история Аббасова), кн. 1-2, Тегеран, 1956-7; ისქანდერ მუნში, აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორიის გაგრძელება, გვ. 61; ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანით და შესავლითურთ გამოსცა ვ. ფუთურიძემ, თბილისი, 1969, გვ. 26, 98, 99.
5. სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში, გვ. 6.
6. ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, ტექსტი დაადგინა, თარგმნა და შენიშვნები დაურთო ვ. ფუთურიძემ, თბილისი, 1955, გვ. 52.
7. Бакиханов А., Гюлистан-Ирам, Баку, 1926, с. 92_3, 93_2.
8. ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ს. კაკაბაძის გამოცემა, ამონაბეჭდი საისტორიო მოამბიდან; წიგნი II, ტფილისი, 1926, გვ. 104.

Marina Kiknadze

One Oriental Term in the Historical Work by Parsadan Gorgijanidze

The paper considers the term "shahsevan", which is met in the "History of Georgia" by the famous Georgian historian Parsadan Gorgijanidze (17th c). The Georgian historian used the term for relating events of time, when neither organization of shahsevan, nor the term as such existed yet. This is a case of terminologic anachronism, when the meaning of the term is extended in space and shifted in time.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათელა კბილცეცხლაშვილი

მითოლოგია იოანე ბატონიშვილის „ხუმარსწავლაში“

იოანე ბატონიშვილი (1768-1830) - გიორგი XIII-ის შვილი და ერეკლე II-ის შვილიშვილი - თავისი დროის დიდად განათლებული პიროვნებაა. მის მრავალფეროვან შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს „ხუმარსწავლას“ („კალმასობას“). ამ ნაწარმოებში ის მხატვრული თხრობის - დიალოგების - სახით მკითხველს აწვდის ენციკლოპედიურ ცნობებს საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული მეცნიერების თითქმის ყველა დარგის შესახებ, მასში ასახულია XIX საუკუნის დასაწყისის მეცნიერული ცოდნის დონე.

ნაწარმოების მთავარი პერსონაჟია ქიზიყელი იპოდიაკონი იოანე ხელაშვილი (რეალურად არსებული პიროვნება - ვაქირელი იონა ხელაშვილი, იოანე ბატონიშვილთან დაახლოებული, რომელიც რუსეთში ილრმავებს ღვთისმეტყველურ-ფილოსოფიურ განათლებას). „კალმასობაში“ სწორედ ამ იოანეს პირით გადმოგვცემს თავის მეცნიერულ შეხედულებებს იოანე ბატონიშვილი.

„ხუმარსწავლის“ უახლესი გამოცემის (1990 წ.) რედაქტორი ალ. ბარამიძე წერს: „ზოგ შემთხვევაში ავტორისეული მასალა თარგმანია რუსული და რუსული გზით, უცხოური წყაროებისა, ზოგჯერ კი კომპილაციაა, უმეტეს წილად კი იოანე ბატონიშვილი გვთავაზობს თავისი დაკვირვებისა და ნაფიქრ-ნააზრევის შედეგს. რასაკვირველია, უფრო ორიგინალურია „ხუმარსწავლის“ ცნობები მშობლიური ქვეყნის ისტორიის, ენისა და ლიტერატურის საკითხებზე“[1].

ამჯერად ჩვენი წერილის საგანია მითოლოგია იოანე ბაგრატიონის „კალმასობაში“.

იოანეს სიტყვით, „მეტოლოლია (მითოლოგია) არის ჴელოვნება, ანუ აღმოჩინება ზღაპარსიტყოობათა, ღმერთთათუს და სარწმუნოებათა ძუწლთა ბერძენთა და რომაელთასა“[2].

ავტორი - „ღმერთებად, ნახევარღმერთებად ანუ გმირებად და ეგრეთვე ალლეგორიის მღუთაებად“ - ჰყოფს „ძველ ღმერთებს“[3]; და იძლევა თითოეულ ამ ჯგუფის განმარტებას და მათში შემავალ პირთა დახასიათებას. იგი მოკლედ მოგვითხრობს იუპიტერის, ნეპტუნის, პლუტონის, აპოლონის, დიანას, მინერვას, მარსის, ვენერას, ვულკანის, ციკლოპების, ეოლას, ცერერას, ბახუსის, მერკურისა და სხვათა შესახებ.

გარდა ამისა, იოანე გადმოგვცემს მითოლოგიის ზოგ საკითხსაც: დისი ანუ ქვეშეთის სამეფო, ჯოჯოხეთის ოთხი მდინარე, არგონავტების მითი, ილიადა და ა. შ.

იოანე ბატონიშვილი იცნობს ამ მითების სხვადასხვა ვარიანტებს („**მომზრახეობენ, რომელ** მეფობასა შინა მის/სა (იტალიაში ლათინთა მეფე იანიასადმი, ნ. კ.) იყო ოქროვანი საუკუნე, ე. ი. საუკუნე ნეტარი და უბიწო“[4].

„**რომელნიმე უბნობენ** შობასა მისსა (იუპიტერისას, ნ. კ.) არკადიასა შინა, ხოლო სხჳანი - კრიტიას “[5].

„**რომელნიმე მომზრახეობენ**, ვითამც იშჳა **იგა** (იუნონა, ნ. კ.) არღოსსა შინა. ხოლო სხჳანი უბნობენ სამოსეს შინა“[6].

„...ძენი იუპიტერისანი **თქმითა ამით მჳწლთა მცხოვრებთა შორის** მნიშუნელობდნენ დიდ გმირებად და ამაღლე[v]ბულად სხჳათა დედათა ზედან დედებად“ [7].

„...მოლექსენი მიაწერდენ, რომელ იგი იყო ძე წეოლასი და ავრორისა (საუბარია „მძვინვარე და ფრიად ცივ ქარ აქვილონზე“, ნ. კ.), **რომელნიცა მიაწერდენ** მას გჳწლის

კუდიანობასა და თმათეთრობას"[8]. ხაზგასმულია, რომ ეს საკითხი სხვადასხვა „მოლექსეთ" მიეწერება).

თავისი მითოლოგია იოანე ბატონიშვილს შეეძლო გაემართა სხვადასხვა წყაროთა მიხედვით. საქართველოში ელინური მითების ცოდნა ძველთაგანვე მომდინარეობს. ჯერ კიდევ XI საუკუნეში ეფრემ მცირემ გადმოაქართულა „ელინთა ზღაპრობანი".

იოანე ბატონიშვილს საქართველოშივე შეეძლო გაეღრმავებინა ცოდნა ბერძნულ-რომაული მითებისა. ხოლო ლათინური ენის ბრწყინვალე დაუფლება მას საშუალებას აძლევდა დედანშივე წაეკითხა ზოგი რომაელი ავტორი.

რუსეთში გადასახლების შემდეგ კი მისი განათლების ასპარეზი შესამჩნევად გაფართოვდა.

როგორც ჩანს, იგი - რუსულის საშუალებით - დიდძალ ევროპულ ლიტერატურას გაეცნო. ამაზე მეტყველებს რუსული სიტყვების შემოტანა თხრობაში - ბაღინია (БОГИНЯ), რასაც აქვე მოვიხმობთ: 1) „იგი (იუპიტერ, ნ. კ.) შეიცვალებოდა მსგავსად აკაურისა „ოქროს წვიმად" დანაისათვს მწყემსად - მნემონისათვს, ანუ სახსოვრად **ბოღინთათვს ანუ ღმერთებთა**"[9].

2) „ძველთაგან ვითარ რაცხდენ მინერვას?

- **ბოღინად სიბრძნისა** და **ბრძოლისად**"[10].

რომ იოანეს წყარო მითოლოგიისა რუსულენოვანი იყო, ეს ჩანს შემდეგი გარემოებებიდან. იგი იძლევა საკუთარ სახელთა ლათინურ ფორმას (კოციტუს, კუპიდონ, ციკლოპ, ცერბერუს და ა. შ.). ლათინური ფორმების ხმარება მაჩვენებელია ან იმისა, რომ იოანე ლათინურად კითხულობს ტექსტებს, ან იგი რუსული თარგმანით სარგებლობს.

XIX ს. დასაწყისში რუსეთში პოპულარული იყო რომაელი ავტორების ცოდნა. მათი ორიგინალში დაუფლება საერთო განათლების ეტალონიც კი იყო. გავიხსენოთ პუშკინი (ევგენი ონეგინი): „Да помнил хоть не без греха из Энеиды два стиха!"

იოანე ხელაშვილის პირით ჩვენი ავტორი იძლევა კვინტესენციას იმისას, რაც მიღებული იყო მითოლოგიის შესახებ მისი დროის ევროპასა და რუსეთში.

კალმასობის მითოლოგიის ზოგი ნაწილი გვაფიქრებინებს, რომ ისინი ავტორს აღებული აქვს ვერგილიუსის „ენეიდადან". ამ ფაქტის ნათელსაყოფად მოვიტანთ შესაბამის მაგალითებს:

იოანე ჯოჯოხეთის ოთხი მდინარიდან („სტიკსი, ახერონი, კოციტა", ნ. კ.) ლეტაზე დასძენს, რომ იგი არის დავიწყების მდინარე (ხუმარსწავლა, I, გვ. 314, 315).

„ენეიდაში"[11] ოთხივე მდინარეზეა თხრობა, ამასთან, მასში ხაზგასმულია, რომ „ლეთევსის ნაკადულებში სულები ეწაფებიან ანკარა წყალს, დროს რომ ავიწყებს", ათასი წლის გავლის შემდეგ კი, „მათ ღმერთი" ამავე მდინარესთან „კვლავ მიიყვანს", „რათა უხსოვარი ცის კაბადონი იხილონ და დაუბრუნდნენ მიწიერ სხეულთ" (ენეიდა, გვ. 149, 150).

იოანე მდინარე სტიქსის შესახებ ამბობს: მდინარესა ამას ფუცვიდნენ ღმერთნი (კალმასობა, I, გვ. 315).

„ენეიდაში" ვკითხულობთ: (იუპიტერმა) დაიფიცა სტიქსის ტალღებზე (ენეიდა, გვ. 199, 222).

იოანე ბოროტ კაცთა მტანჯველად - ღამისა და სიყვარულის ასულებს - ფურიებს - ასახელებს, თავზე - თმების ნაცვლად - ხვეული გველებით, ესენი კი სამია: ტიზიფონა, მეღერა და ალექტო (ხუმარსწავლა, I, გვ. 315).

„ენეიდაშიც“ ფურიები - ღამით შობილნი არიან, თავზე გველების გრაგნილით. ისინი იუპიტერის ტახტთან გამოჩნდებიან, რომელთაც ვნება მოაქვთ ბედშავ კაცთათვის (ენეიდა, გვ. 290).

ხუმარსწავლით: იუპიტერი იშვა კრიტიას (ხუმარსწავლა, I, გვ. 310).

„ენეიდაშია“ გადმოცემული, რომ: „ზღვაში ძევს კრეტა, რომელიც იუპიტერის კუნძულია“, ამასთან „იდას მთასთანაა აკვანი იუპიტერის მოდგმისა; იქიდანაა მათი პაპათ-პაპა“ („ენეიდა“, გვ. 70, 71).

იოანესთან “ხუმარსწავლა-კალმასობაშია“: „ქუჩკნელის სამეფოში“ „კეთილის მოქმედთათვის ველი ელისეის სავანე“, ხოლო „ბოროტთათვს — ტარტაროზი“ (ხუმარსწავლა, I, გვ. 314).

„ენეიდაში“, ციდან ჩამოსული ანქიზეს სული, ენეასს - თავის პირმშოს - ჩასძახის: „ქვეშეთის მხარეს მეწვიე, შვილო, მე საძულველ ტარტარში კი არ ვარ, არამედ ვსუფევ ელიზიუმში“-ო („ენეიდა“, გვ. 127).

აქ მოტანილი ეს მაგალითები მოწმობენ, რომ იოანე ბატონიშვილის ძირითადი წყარო ვერგილიუსის ენეიდაა.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. იოანე ბატონიშვილი, ხუმარსწავლა. კალმასობა. წიგნი I, თბ., 1990, წინასიტყვაობა ალ ბარამიძისა, გვ. 7.
2. იქვე, გვ. 307.
3. იქვე, გვ. 307.
4. იქვე, გვ. 308, 309.
5. იქვე, გვ. 310.
6. იქვე, გვ. 311.
7. იქვე, გვ. 312.
8. იქვე, გვ. 323.
9. იქვე, გვ. 311.
10. იქვე, გვ. 319.
11. ვერგილიუსი, ენეიდა, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და საძიებელი დაურთო რ. მიმინოშვილმა, თბ., 1976 (შემდეგში მითითება თვით ტექსტშივე იქნება მოტანილი მოკლედ - ენეიდა).

Natela Kbiltsetskhlashvili

Mythology in the Encyclopedia by Ioann Bagrationi

Ioann Bagrationi (1768-1830) - the son of the Georgian king Giorgi XIII and grandson of Irakli II was a highly educated scholar. Among his works is distinguished 'Encyclopedia' in which information concerning all branches of natural sciences and humanities are included. Thus it reflects the level of knowledge of the early nineteenth c. In the present paper particular attention is paid to the sources of Ioann Bagrationi and as a main source Aeneid of Virgil is indicated.

ქეთევან მანია

საქართველოში წყაროთმცოდნეობითი კვლევის ზოგი ასპექტი XX ს. 80-90-იან წლებში (ნარატიული წყაროები)

წყაროთმცოდნეობა პრაქტიკული საქმიანობის შედეგად აღმოცენებული დარგია, რომლის ამოცანას ისტორიულ სინამდვილესთან წყაროს მიმართების დადგენა წარმოადგენს. წყაროთმცოდნეობა ეს არის ცოდნის სფერო, რომელსაც არც ერთი სხვა მეცნიერება არ სწავლობს. მაგრამ მიუხედავად ამისა, ის ერთხანს დამხმარე ისტორიულ დისციპლინად ითვლებოდა. წყაროთმცოდნეობის მეცნიერებად აღიარება სპეციალისტების მიერ ცოტა მოგვიანებით ხდება, როცა ჩნდება საისტორიო წერილობითი წყაროების გამოვლენის, ინტერპრეტაციისა და პუბლიკაციის თეორიისა და მეთოდების დამუშავების აუცილებლობა. ეს პროცესი დასავლეთ ევროპასა და რუსეთში XIX ს-ის მიწურულს და XX ს-ის დამდეგს დასრულდა. ამ დროს გამოქვეყნდა პირველი განმაზოგადებელი თეორიული ნაშრომები. საქართველოში წყაროთმცოდნეობის ფუძემდებლად ივანე ჯავახიშვილია აღიარებული. 1916 წელს მისი ნაშრომით, „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა. წიგნი I, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V-XVIII სს.)" არსებითად დასრულდა წყაროთმცოდნეობის დამოუკიდებელ მეცნიერებად ჩამოყალიბება. ი. ჯავახიშვილმა დაამუშავა აღნიშნული დარგის ზოგადთეორიული და მეთოდური პრობლემები, განსაზღვრა ძირითადი ამოცანები, მოგვცა V-XVIII სს. ქართული საისტორიო თხზულებების დეტალური წყაროთმცოდნეობითი დახასიათება.

წყაროთმცოდნეობითი საქმიანობა დიდად უწყობს ხელს ისტორიული წყაროების საფუძვლიანად შესწავლას და ქმნის მაღალხარისხოვანი ნაშრომების დაწერის შესაძლებლობას. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ისტორიული კვლევის პროცესში წყაროთა ახალი ჯგუფების გამოვლენასთან ერთად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება უკვე კარგად ცნობილი წყაროების ახლებურ წაკითხვას, მანამდე შეუმჩნეველი ინფორმაციის მოპოვებას.

უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე ეს დარგი მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევს: კვლევა ზოგადთეორიული და კონკრეტულ წყაროთმცოდნეობითი ხაზით მიმდინარეობს. გამოქვეყნდა წყაროთმცოდნეობის კარდინალური პრობლემებისადმი მიძღვნილი თემატურად მრავალფეროვანი და საინტერესო მასალები მონოგრაფიებისა თუ წერილების სახით. სამეცნიერო ლიტერატურაში ადგილი ჰქონდა განვლილი გზის შეჯამების რამდენიმე ცდას[1]. რადგანაც 80-იანი წლების შუა ხანებამდე პერიოდი გ. ალასანიას, გ. ანჩაბაძის, რ. კიკნაძის, მ. ჩხარტიშვილის მიერ გამოკვლეულია, ხოლო 80-90-იანი წლები ამგვარ ყურადღებას მოკლებულია, ამიტომ დავისახეთ მიზნად თვალი გავადევნოთ უკანასკნელ პერიოდში განვითარებულ ტენდენციებს. რასაკვირველია, მეტად რთულ და შრომატევად სამუშაოს წარმოადგენს აღნიშნულ დარგში შესრულებული კვლევითი საქმიანობის აღნუსხვა, მაგრამ შევეცდებით შეძლებისდაგვარად სრულად იქნეს წარმოჩენილი წყაროთმცოდნეობის ძირითადი ასპექტები უკანასკნელი ორი ათწლეულის მანძილზე.

ჩვენი ნაშრომი ნარატიული წყაროების კვლევის ისტორიას ეხება. თავდაპირველად განვიხილავთ მედიევალური ისტორიოგრაფიის და ჰაგიოგრაფიის შემსწავლელ ნაშრო-

მებს, შემდეგ წყაროების პუბლიკაციებს და თარგმანებს. ასევე დავახასიათებთ თეორიული პრობლემატიკისადმი მიძღვნილ გამოკვლევებს. მათთვის ხშირ შემთხვევაში ამოსავალია სწორედ ნარატიული წყაროები.

ქართული შუასაუკუნოვანი ისტორიოგრაფიის უმნიშვნელოვანესი ძეგლი - „ქართლის ცხოვრება" - ყველა თაობის ქართველოლოგთა შეუნელებელ ინტერესს იწვევდა. XX ს-ის 80-90-იან წლებშიც საპატიო ადგილი უჭირავს ამ „წმიდა" და „პატიოსან" წიგნთან, როგორც ამას ძველი ქართველი მწიგნობრები უწოდებდნენ, დაკავშირებული საკითხების კვლევას. თხზულების წყაროთმცოდნეობით შესწავლას მიეძღვნა რ. კიკნაძის[2], ი. ანთელავას[3], მ. ლორთქიფანიძის[4], ვ. გოილაძის[5], ე. აბაშიძის[6], გ. არახამიას[7], ზ. რატიანის[8], ე. ხოშტარია-ბროსეს[9] მონოგრაფიები. არაერთი საყურადღებო შეხედულებაა გამოთქმული სპეციალურ კრებულებსა თუ სამეცნიერო ჟურნალებში. წყაროთმცოდნე - სპეციალისტების მიერ „ქართლის ცხოვრების" ტექსტოლოგიური შესწავლის პრობლემები ფართო განხილვის საგანს წარმოადგენს[10], საინტერესო თვალსაზრისს ვხვდებით კრებულის დასაწყისი ნაწილის საკითხებზე[11], გამოკვლევათა მთელი ციკლი მიეძღვნა ძეგლის ქრონოლოგიური მონაცემების შესწავლას[12], გამოქვეყნდა წერილები წყაროს ჰერმენევტიკული ანალიზის შესახებ[13], ძველი ქართველი ისტორიკოსები ხშირად ქართულ და უცხოურ ენებზე შექმნილ ისტორიულ წყაროებს იყენებდნენ, რომელთა მითითება-გამოყენების წესს მიეძღვნა მნიშვნელოვანი საგანგებო ძიებები[14].

„ქართლის ცხოვრების" ყოველმხრივ განხილვას ისახავდა მიზნად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მიერ დაგეგმილი თემატური სამეცნიერო სესია „ძველი ქართლის ცხოვრება", მიძღვნილი ი. ჯავახიშვილის ხსოვნისადმი[15]. მართალია, ობიექტური მიზეზების გამო (მწვავე პოლიტიკური სიტუაცია) სესიის ჩატარება ვერ მოხერხდა, მაგრამ დაიბეჭდა თეზისები, რომლებიც მნიშვნელოვნად სწევს წინ ამ მიმართულებით კვლევას.

წყაროთმცოდნეობითი შესწავლის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს ძეგლების პუბლიკაციას, რომელთა კრიტიკული გამოცემები კრებულში შემავალი თხზულებების ხელახალ გააზრებას ისახავენ მიზნად. ჩვენთვის საინტერესო პერიოდში განხორციელდა რამდენიმე მეტად საყურადღებო პუბლიკაცია - რ. კიკნაძე, ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატიანე[16]; გ. არახამია - სუმბატ დავითის ძე, ცხორებაჲ და უწყებაჲ ბაგრატონიანთა[17]; მ. შანიძე – ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი[18]. სხვადასხვა ნუსხებისა და წყაროების შეჯერებით ზემოთ აღნიშნული მკვლევრების მიერ დადგენილ იქნა თხზულებების ტექსტები. გამოცემები აღჭურვილია შესაბამისი წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევებით, ისტორიულ-ფილოლოგიური კომენტარებით, შენიშვნებით, ლექსიკონითა და საძიებლებით.

ქართული საისტორიო ძეგლების მიმართ სხვადასხვა ხალხების ინტერესის ზრდამ გამოიწვია ამ ძეგლების უცხო ენაზე თარგმნის აუცილებლობა, თარგმანების სერიის ძირითად ამოცანას წარმოადგენს არაქართველ მკითხველს მიაწოდოს ქართული საისტორიო თხზულებების თანამედროვე მეცნიერული, კომენტირებული ნაშრომი უცხო ენაზე. ქართულ წყაროთა უცხო ენაზე თარგმნა ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში დაიწყო და დღესაც აქტიურად მიმდინარეობს.

განსახილველ პერიოდში განხორციელდა „ქართლის ცხოვრებაში" შემავალი რიგი ტექსტების თარგმანები. გ. წულაიამ თარგმნა „მატიანე ქართლისა"[19] და ჯუანშერ ჯუანშერიანის „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა"[20]. მ. ბერძნიშვილმა გამოსცა XII-XIII სს. საქართველოსა და კავკასიის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ისტორიისათვის უმნიშვნელოვანესი პირველწყარო „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი"[21]. იგი იმ-

ორებს ვ. დონდუას თარგმანს, რომელსაც ურთავს გამოკვლევას და კომენტარებს. ფარსადან გორგიჯანიძის „საქართველოს ცხოვრების“ რუსული თარგმანი მოამზადა რ. კიკნაძემ[22]. საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნარატიული წყარო „ცხოვრება საქართველოჲსა“ ანუ როგორც ქართულ ისტორიოგრაფიაში ცნობილია, „პარიზის ქრონიკა“, რუსულად თარგმნა გ. ალასანიამ[23]. „ქართლის ცხოვრების“ ნაწილი გერმანულ ენაზე თარგმნა და გამოსცა ჰერტრუდ პეჩმა[24]. „მატიანე ქართლისა“ ინგლისურად თარგმნა ა. ჭანტურიამ[25].

ყოველი ძეგლის თარგმნისას გამოცემას წინ უძღვის შესავალი წერილი, რომელიც შეიცავს აუცილებელ ცნობებს ავტორისა და მისი ეპოქის შესახებ. ტექსტის შესწავლის ისტორიას, არსებული გამოცემების თარგმანების დახასიათებას და ძეგლის შეფასებას ერთვის პირთა, გეოგრაფიულ სახელთა და ტერმინთა საძიებლები. ამგვარად, თხზულების უცხო ენაზე თარგმნა დიდმნიშვნელოვანი საქმიანობაა, რაც ისტორიული წყაროების შესწავლისა და პოპულარიზაციის საფუძველია.

„ქართლის ცხოვრების“ ტექსტოლოგიური შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სიმფონია-ლექსიკონის შედგენას და გამოცემას, რომელსაც ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული საქართველოს ისტორიის წყაროების კომისია. სიმფონია-ლექსიკონის პირველი ნაკვეთი მიეძღვნა ლეონტი მროველის[26], ხოლო მეორე ჯუანშერის თხზულების ლექსიკას[27]. ამ სიტყვათსაძიებელში მოცემულია ტექსტში აღნიშნული ყველა სიტყვა შესაბამისი კონტექსტით. ზემოხსენებული ავტორების თხზულებათა ლექსიკონზე მუშაობისას გასწორებულ იქნა არაერთი ბუნდოვანი ან მცდარად გაგებული ადგილი, ახლებურად დაისვა ტექსტთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი.

„ქართლის ცხოვრების“ პარალელურად ინტენსიურად ისწავლებოდა ქართული მედიევური ისტორიოგრაფიის ისეთი ღირსშესანიშნავი ძეგლი, როგორიცაა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“. მას მიეძღვნა არაერთი სამეცნიერო სტატია, მონოგრაფიები. მ. ჩხარტიშვილი, ე. აბაშიძე, ლ. პატარაძე განიხილავენ წყაროს ტექსტის დადგენის, დათარიღების, ჰერმენევტიკული ანალიზის პრობლემებს, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიმართებას „ქართლის ცხოვრებასთან“[28].

საინტერესო ასპექტს მიაქცია ყურადღება ლ. პატარიძემ, რომლის განხილვის საგანია ძეგლში საკრალური დროის და ისტორიული მიმართების პრობლემა[29].

განხორციელდა „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ე. თაყაიშვილისეული რუსული თარგმანის ხელახალი პუბლიკაცია შესაბამისი რედაქციული ცვლილებებითა და კომენტარებით მ. ჩხარტიშვილის მიერ[30].

ქართველოლოგიაში ყოველთვის დიდი ინტერესით ეკიდებოდნენ ჰაგიოგრაფიას როგორც ისტორიულ წყაროს. გამოცემულია არაერთი ძეგლი, თარგმნილია უცხო ენაზე. არსებობს საინტერესო გამოკვლევები. განსახილველი პერიოდი არ ყოფილა გამონაკლისი. განსაკუთრებული ყურადღებით სარგებლობდა ქართული ჰაგიოგრაფიის ისეთი საინტერესო ძეგლი, როგორიცაა „წმინდა ნინოს ცხოვრება“. მკვლევარები მას სამართლიანად აღიარებდნენ მაღალხარისხოვან ისტორიულ ძეგლად და ორიგინალურ ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა რიცხვს მიაკუთვნებდნენ. თხზულების შესწავლას არაერთი საინტერესო გამოკვლევა მიეძღვნა. მათ შორის, მ. ჩხარტიშვილის, ლ. პატარიძის უკვე დასახელებული ნაშრომები. მნიშვნელოვანი კორექტივი განიცადა ძეგლის დათარიღებამ. აღსანიშნავია, რომ ტრადიციულად მას IX ს. ათარიღებენ, ახალი თარიღით კი ძეგლი შეიქმნა გაქრისტიანების ახლო ხანებში.

გამოკვლეულ იქნა სხვა ძეგლებიც, მ. ჩხარტიშვილმა „წმინდა ევსტათი მცხეთელის წამების“ და „წმინდა სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ დათარიღების, ატრიბუციის პრობლემები ახლებურად გადაწყვიტა[31]. ზ. რატიანმა განიხილა „ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“ როგორც საზოგადოებრივი აღნაგობის შესწავლის წყარო[32]. ნ. ვაჩნაძემ წარმოაჩინა ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში ქართული საზოგადოების ზნეობრივი იდეალის - წმინდანის ხატი[33]. ზ. ტყეშელაშვილმა შემოგვთავაზა „წმინდა შუშანიკის წამების“ ბიბლიურ წიგნებთან მიმართების საკითხის გააზრება[34].

განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდნენ მკვლევარები ასევე დამოუკიდებლად არსებული ისტორიული თხზულებების წყაროთმცოდნეობით შესწავლას. აღნიშნულ პერიოდში განხორციელდა ზოგიერთი ნარატიული წყაროს პუბლიკაცია. XVIII ს. ანონიმური ქრონიკის (მოიცავს 1373-1683 წლების საქართველოს ისტორიას) მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტი პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ხელნაწერის საფუძველზე გამოაქვეყნა გ. ალასანიამ[35].

პაპუნა ორბელიანის „ამბავი ქართლისანი“ ე. ცაგარეიშვილმა[36]. თეიმურაზ ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ ლ. მიქიაშვილმა[37]. მანვე გამოსცა ომან ხერხეულიძის „მეფობა ირაკლი მეორისა“ - კრიტიკულად დადგენილი ტექსტი[38].

გამოცემის პარალელურად აქტიურად მიმდინარეობდა ამ ძეგლების ტექსტოლოგიური კვლევა, მათი ავტორების მიერ გამოყენებული ქართული თუ უცხოური წყაროების ძიება. ცხრაზმის საერისთავოს საგვარეულო მატიანის „ძეგლი ერისთავთას“ წყაროს საკითხი გააშუქა გ. არახამიამ[39]. მანვე შემოგვთავაზა ძველი ქართული საგვარეულო მატიანეების სუმბატ დავითისძის თხზულებისა და „ძეგლი ერისთავთას“ წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა[40]. ფარსადან გორგიჯანიძის „ქართლის ცხოვრების“ ფოლკლორული მოტივი გაანალიზა გ. ახვლედიანმა[41]. იოანე ბატონიშვილის „ისტორია ქართლისას“ როგორც საისტორიო წყაროს განხილვა წარმოდგენილია ნ. კბილცეცხლაშვილის სადისერტაციო ნაშრომში[42], მკვლევარი ეხება ასევე თხზულების ერთი წყაროს საკითხს[43]. კახეთის თავად-აზნაურთა საგვარეულოების წარმოშობის პრობლემას[44] და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

ქართველი ისტორიკოსებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა უცხოური წყაროების შესწავლას. ამ მხრივ საკმაოდ ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ წყაროთმცოდნე - სპეციალისტები XX ს-ის 80-90-იან წლებში. სხვადასხვა ჟურნალებსა თუ კრებულებში ე. მამისთვალისშვილის, ვ. ვაშაკიძის და სხვა მკვლევართა მეტად საყურადღებო წერილებს ვხვდებით. შესწავლილ იქნა ჰანს შილტბერგერის „მოგზაურობის წიგნი“[45]. სტრაბონის „გეოგრაფია“[46], მაჰმუდ ნათანზის „ხსოვნათა სიწმინდე საუკეთესოთა გადმოცემებში“[47], ანონიმური სპარსული თხზულება „ქვეყნის დამამშვენებელი შაჰ-ისმაილი“[48], ალ ქუფის „წიგნი ქვეყნების დაპყრობათა შესახებ“[49], ჰოვჰანეს დრასხანაკერტცის „სომხეთის ისტორია“, უცნობი ავტორის „ქვეყნიერების საზღვრები“[50], ნასერ ხოსროუს „მოგზაურობათა წიგნი“ ნიზამ ალ მულქის „მმართველობის წიგნი[51], ზაქარია ქანაკერცის „კონდაკი“, ტერ ოჰან ვოსკერჩიანის მოთხრობები: „ერეკლე მეფის ერევანში ლაშქრობა 1779 წ.“ „ომარ ხანის მიერ ლორეს ქარხნის დარბევა“ და „თბილისის დარბევა აღა-მაჰმად ხანის მიერ“[53], ნამის „საქართველოს დაპყრობის წიგნი“[54], ვარდან არეველცის „მსოფლიო ისტორია“[55], ქირზი-ოღლუს „ოსმალთა მიერ კავკასიის ქვეყნების დაპყრობა“[56].

საანალიზო პერიოდში გამოიცა ძველი ბერძნულიდან, ძველი სომხურიდან, ძველი სპარსულიდან, იტალიურიდან, ესპანურიდან, გერმანულიდან, ინგლისურიდან თარგმნილი არა-ერთი ძეგლი. თ. ყაუხჩიშვილმა გამოსცა მრავალტომეული „ბერძენი მწერლების ცნობების საქართველოს შესახებ“. 1980 წ. გამოვიდა IV ტომი. აქ ელინისტი პოეტების

შემოქმედება ახალი კუთხით არის წარმოჩენილი, ნაჩვენებია მათი პოეზიის როგორც ერთ-ერთი საინტერესო ნარატიული წყაროს მნიშვნელობა საქართველოს ისტორიისათვის[57]. V ტომში მკვლევარი წარმოადგენს მსოფლიო მნიშვნელობის ავტორებს – იოსებ ფლავიუსის და ფლავიუს არიანეს თხზულებებს[58]. ხოლო VI ტომი ეძღვნება მემნონის, ლუკიანეს და ალკიფრონის შემოქმედებას, მათი ღირებულების განსაზღვრას საქართველოს ისტორიისათვის[59]. „ალექსანდრიანის“ ბერძნული ტექსტი თარგმნა რ. მირიანაშვილმა[60]. ნ. გელაშვილმა გამოაქვეყნა სპარსელი ისტორიკოსის ისქანდერ მუნშის თხზულება „აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორიის გაგრძელება[61]. მანვე თარგმნა და გამოკვლევა დაურთო სპარსულ წერილობით წყაროებს - შაჰ ისმაილ I-ის ანონიმი ავტორის, ყაზი ახმედ ღაფარის და მაჰმუდ ნათანზის საისტორიო თხზულებებს[62]. ესპანელი მოგზაურების კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები თარგმნა და გაანალიზა ლ. მამაცაშვილმა[63]. მოსე ხორენაცის „სომხეთის ისტორია ა. აბდალაძემ[64]. ლ. დავლიანიძემ შემოგვთავაზა სომეხი ისტორიკოსის მოვსეს კალანკატუაცის თხზულების „ალვანთა ქვეყნის ისტორიის“ თარგმანი[65]. მასვე ეკუთვნის მხითარ აირევანცის „ქრონოგრაფიული ისტორიის“ გამოცემა[66]. ძველი სომხურიდან თარგმნა თოვმა მეწოფეცის თხზულება „ისტორია თემურ-ლენგისა და მისი შთამომავლებისა“ კ. კუციამ[67]. გამოვიდა ე. მამისთვალიშვილის მონოგრაფია ანონიმი ავტორის იტალიური თხზულება „თურქეთ-სპარსეთის ომი და ქრისტიანი ქართველები“ თარგმანით და გამოკვლევით[68]. მანვე გააცნო ქართველ მკითხველს რუი დე კლავიხოს ცნობები საქართველოს შესახებ[69]. დ. გოჩოლეიშვილის ნაშრომში შესწავლილია არაბი ისტორიკოსების ალ-უმარის, ალ-მუჰიბბის, ალ-კალკაშანდის ცნობები[70]. ნ. მელაძემ გამოსცა ინგლისელი მოგზაურის რიჩარდ უილბრაჰამის ნაშრომი[71].

აღნიშნული თარგმანები წარმოადგენდნენ მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებულ ნაშრომებს. ყოველ მათგანს ახლავს წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა და შენიშვნები, ერთვის პირთა, გეოგრაფიულ სახელთა და ტერმინთა საძიებლები, რეზიუმეები ევროპულ ენებზე.

საყურადღებოა, რომ ზემოთ ხსენებული უცხოური წყაროები მეტად მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის ამა თუ იმ ეპოქის საქართველოს სოციალური პოლიტიკური და ეკონომიკური ისტორიისათვის. ქართული წერილობითი წყაროების შემთხვევაში (ეს განსაკუთრებით ეხება XV-XVI სს.), რაც განპირობებული იყო ურიცხვი მტრის შემოსევებით, უცხოური წყაროები გარკვეულ წილად ავსებს საქართველოს ისტორიის ზოგიერთ მომენტს.

კონკრეტულ კვლევა-ძიებას თან სდევდა თეორიული განზოგადებები, დამყარებული კონკრეტული ანალიზის შედეგებზე. უკანასკნელ წლებში აშკარად საგრძნობი გახდა წყაროთმცოდნეობის თეორიისა და მეთოდოლოგიის მიმართ ინტერესის ზრდა. დღეს წყაროთმცოდნეობის ყურადღების ცენტრშია ქართული ისტორიული წყაროების ხანგრძლივი კვლევის პროცესში მიღებული შედეგების განზოგადება, ზოგადი მეთოდოლოგიური და მეთოდური საკითხების დამუშავება ადგილობრივ მასალაზე დაყრდნობით. წყაროთმცოდნეობის თეორიული განზოგადებებისადმი მიძღვნილი რამდენიმე წერილი და მონოგრაფია დაიბეჭდა.

წყაროთმცოდნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენის წერილობითი ისტორული წყაროების ტიპოლოგიურ პრობლემას განიხილავს გ. ალასანია[72]. ხოლო წერილობითი ისტორიული წყაროების გამოცემის მეთოდიკის ზოგიერთ საკითხს ეხება რ. კიკნაძის წერილი. მანვე მიუძღვნა მონოგრაფია თანამედროვე წყაროთმცოდნეობის აქტუალურ პრობლემებს[73]. ქართული საისტორიო მწერლობის ერთ-ერთი დარგის ჰაგიოგრა-

ფიის კვლევის პრინციპების განსაზღვრას წამოადგენს. ზ. ალექსიძის ნაშრომში[74] დიდი მნიშვნელობა ენიჭება წყაროთმცოდნეობითი ტერმინოლოგიის დადგენას. ისწავლება ისტორიულ წყაროებში დაცული ტრადიციული ტერმინები და ასევე გრძელდება თანამედროვე ტერმინოლოგიის დაზუსტება და შევსება. მ. კიკნაძის ნაშრომში დასაბუთებულია ტერმინოლოგიური ასპექტების მნიშვნელობა წყაროთმცოდნეობითი ანალიზისათვის, ნაჩვენებია შუა საუკუნეების ქართული ისტორიული წყაროების ტერმინების ზუსტი და სრული განმარტება[75].

ქართული ნარატიული წყაროების რუსულ ენაზე თარგმნის თეორიული და პრაქტიკული პრობლემების განსაზღვრას მიეძღვნა მ. აბაშიძის მონოგრაფია[76]. მკვლევარმა მოგვცა თარგმანის ტიპოლოგიური დახასიათება და ძირითადი პრინციპები. წარმოგვიდგინა თარგმნილი და ორიგინალური ტექსტების შედარებითი სტილისტური ანალიზი.

თეორიული ძიების შემცველია ზემოთ დასახელებული მ. ჩხარტიშვილის მონოგრაფიაც „წმინდა ევსტათი მცხეთელის წამების“ და „წმინდა სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ წყაროთმცოდნეობითი შესწავლის შესახებ.

ისტორიული მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე დიდი ინტერესით ეკიდებიან მეცნიერული კვლევის ახალი მეთოდების დამუშავებას. ურიცხვი ინფორმაციის დაგროვების შემთხვევაში აუცილებელ პირობას წარმოადგენს მასალის დამუშავების რაოდენობრივი მეთოდისა და მანქანით საკითხავი მონაცემების ბანკის შექმნა. გ. ალასანიასა და ი. ორლოვის მიერ დასმულ იქნა „ქართლის ცხოვრების“ სტილისტური შედარების მათემატიკური მოდელის შემუშავების საკითხი. ამ მხრივ კვლევა წარმოდგენილია აგრეთვე მ. ჩხარტიშვილის მონოგრაფიაში „წმინდა ნინოს ცხოვრების“ შესახებ და მ. აბაშიძის ზემოთ დასახელებულ ნაშრომში.

საქართველოს ისტორიის ნარატიული წყაროების კვლევა დღეს ინტენსიურად მიმდინარეობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებში: ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში, აგრეთვე ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. დიდია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული წყაროების შემსწავლელი კომისიის როლი წყაროთმცოდნეობითი ძიების ინტენსიურად წარმართვის საქმეში. მრავალი ზემოთ დასახელებული წიგნი სწორედ ამ კომისიის პუბლიკაციაცაა. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ, მიუხედავად რთული საგამომცემლო პირობებისა, ბეჭდური პროდუქციის თვალსაზრისით ეს პერიოდი არ შეიძლება ჩაითვალოს წინა პერიოდთან შედარებით უკუსვლად. მონოგრაფიების გარდა, გამოდიოდა პერიოდული გამოცემებიც წყაროთმცოდნეობის დარგში. ესენია კრებულები: „წყაროთმცოდნეობითი ძიებანი“ (რუსულ ენაზე) და „ქართული წყაროთმცოდნეობა“. წარმომადგენლობითი სამეცნიერო სესიები მეცნიერული აზრის გაცვლა-გამოცვლისათვის კარგ პირობებს ქმნიდა.

ასეთია მოკლედ XX ს. 80-90 იან წლებში საქართველოში წყაროთმცოდნეობის ზოგი ძირითადი ტენდენცია, კერძოდ, ნარატიული წყაროების კვლევის ისტორია.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. ალასანია გ., ანჩაბაძე გ. ქართული საბჭოთა წყაროთმცოდნეობა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის სერია, 1981, №1 გვ. 147; Аласаниа Г. Г. Некоторые тенденции источниковедения истории Грузии в 50-х 70-х годах XX века. В сб. Источниковедческие разыскания, 1979, Тб., 1984. с. 9-16. კიკნაძე რ. წყაროთმცოდნეობითი კვლევა ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის სერია, 1984, №2, გვ. 159, მისივე, ისტორიული მეცნიერების განვითარების ზოგიერთი ასპექტი საქართველოში დიდი სამამულო ომის წლებში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის სერია, 1985, №2, გვ. 175–180. კიკნაძე რ., ჩხარტიშვილი მ. წყაროთმცოდნეობითი კვლევა საბჭოთა საქართველოში, კრ.: ისტორიული მეცნიერების განვითარება საბჭოთა საქართველოში, თბ., 1986, გვ. 99–128.
2. კიკნაძე რ. საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის საკითხები, თბ., 1982.
3. ანთელავა ი. XI– XIV სს. ქართული საისტორიო წყაროები, თბ., 1988.
4. ლორთქიფანიძე მ. რა არის „ქართლის ცხოვრება", თბ., 1989.
5. გოილაძე ვ. ფარნავაზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა ქრონოლოგია, თბ., 1990.
6. აბაშიძე ე. „ქართლის ცხოვრების" წარმოქმნისა და განვითარების საკითხები, თბ., 1993.
7. არახამია გ. „ქართლის ცხოვრების" პირველი მატიანის წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული შესწავლის საკითხები, დისერტაცია, წარდგენილი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1995.
8. რატიანი ზ. წყაროთა ღაღადი ანუ „პირიქითა საქართველო" თბ., 1995.
9. ხოშტარია–ბროსე. ლეონტი მროველი და „ქართლის ცხოვრება", თბ., 1996.
10. ქადაგიძე მ. „ცხოვრება მეფეთ–მეფისა თამარისი" და მისი ტექსტის აღდგენის მეთოდი. - ქართული წყაროთმცოდნეობა, VII, 1987, გვ. 45–47. ანთელავა ი. შენიშვნები „ქართლის ცხოვრების" ტექსტისათვის, გვ, 61–66. ხოშტარია–ბროსე ე. „მატიანე ქართლისაი"–ს ორი ადგილის გაგებისათვის, - ქართული წყაროთმცოდნეობა VIII, 1993, გვ. 55–67.
11. არახამია გ. „ქართლის ცხოვრების" დასაწყისი ნაწილის შედგენილობის შესწავლის მეთოდისათვის. - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის სერია, 1987, №4, გვ. 170–171. ბადრიძე შ. „ქართლის ცხოვრების" არქაული ნაწილის ინტერპრეტაციის საკითხები, იქვე, გვ. 177–180. ხოშტარია–ბროსე ე. „ქართლის ცხოვრების" დასაწყისი ციკლის შესწავლის შედეგები და ტექსტში არსებული მინაწერების ინტერპრეტაციის ცდა. - ქართული წყაროთმცოდნეობა, VIII, 1993, გვ. 81–87. ქადაგიძე მ. „ცხოვრება მეფეთ–მეფისა თამარისი", ქართული მხატვრული აზროვნების კონტექსტში, იქვე, გვ. 132–138. ანჩაბაძე გ. ეთნონიმ „ხაზარის" მნიშვნელობისათვის „ქართლის ცხოვრებაში", იქვე, გვ. 40–70. ალექსიძე ზ. „ცხოვრება ფარნავაზისი". - მნათობი, 1984, №4, გვ. 152–158. გოილაძე ვ. IV ს. ქართლის მეფეთა რიგი და „მეფეთა ცხოვრების" „მოქცევაჲ ქართლისაჲსთან" მიმართების საკითხი. - მნათობი, 1998, №5–6, გვ. 117–127.
12. ქადაგიძე მ. ქრონოლოგიის საკითხები თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულებებში. - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის სერია, 1987, №3, გვ. 183–188. ანჩაბაძე გ. ჯუანშერ ჯუანშერიანი და მისი „ცხოვრება ვახტანგ გორგა-

სლისა“. - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის სერია, 1987 წ., №3, გვ. 183–188. არახამია გ. „მეფეთა ცხოვრება“ ბაგრატიონების შესახებ. – ისტორიულ–წყაროთმცოდნეობითი ძიებანი, 1989, გვ. 69–76.

13. ბოგვერაძე ა. ლეონტი მროველის ერთი ისტორიულ–პოლიტიკური კონცეფციის შესახებ. - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის სერია, 1987, №4, გვ. 173–174. აბდალაძე ა. „ცხოვრება ქართველთა მეფეთას„ არმენოფილური ტენდენციის მიზეზებისათვის, იქვე, 188–192. გამსახურდია კ. „ვარათრაგნა თრაეტონა და ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“. - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის სერია, 1987, №3, გვ. 113–121. ჩხარტიშვილი მ. არაკი სინდთა მეფისა. – ქართული წყაროთმცოდნეობა, VIII, 1993, გვ. 55–67.

14. ჩხარტიშვილი მ. წყაროების მითითების წესი ლეონტი მროველის თხზულებაში. – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის სერია, 1982, №2, გვ. 83–92. აბაშიძე ე. საქართველოს წერილობითი ისტორიის განვითარებისათვის ადრეულ შუასაუკუნეებში. - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის სერია, 1990, №3, გვ. 105–112. ვაშაკიძე ვ. „მეფეთა ცხოვრება“ და ბერძნული „ალექსანდრიანი“. -ისტორიულ–წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევები, თბ., 1991, გვ. 37–46.

15. აკად. ი. ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური სამეცნიერო სესია „ძველი ქართლის ცხოვრება“, მოხსენებათა თეზისები, თბ., 1989, 25–26 აპრილი, 1989.

16. ჟამთააღმწერელი. ასწლოვანი მატიანე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები დაურთო რ. კიკნაძემ, თბ., 1987.

17. სუმბატ დავითის ძე. ცხორებაჲ და უწყებაჲ ბაგრატონიანთა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. არახამიამ, თბ., 1990.

18. ცხოვრება მეფეთ–მეფისა დავითისი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო მ. შანიძემ, თბ., 1992.

19. Летопись Картли. Перевод, введение и примечания Г. В. Цулая, Тб., 1982.

20. Джуаншер Джуаншериани. Жизнь Вахтанга Горгасала, Перевод, введение и примечания, Г. В. Цулая, Тб., 1986.

21. Жизнь Царицы цариц Тамар. Перевод и введение В. Д. Дондуа, Исследование и примечания М. М. Бердзнишвили, Тб., 1985.

22. Парсадан Горгиджанидзе. История Грузии. Перевод Р. К. Кикнадзе и В. С. Путуридзе. Иследование и указатели Р. К. Кикнадзе, Тб., 1990.

23. Парижская хроника. Перевод, исследование, примечания и указатели Г. Г. Аласаниа, Тб., 1991.

24. Das Leben Kartlis. Eine Chronik aus Georgien. 300-1200. Herausgegeben von Gertrud Pätsch. Leipzig, 1985.

25. The Georgian Chronicle. Matiane Kartlisa. Introduction and notes by Roin Metreveli, Translation and indexes by Arrian Chanturia. Tb. 1996.

26. „ქართლის ცხოვრების“ სიმფონია-ლექსიკონი, I შემდგენლები: მ. კვაჭაძე, ნ. ნატრაძე, ზ. სარჯველაძე, მ. ჩხენკელი, თ. ხაჟომია, თბ., 1986.

27. „ქართლის ცხოვრების“ სიმფონია-ლექსიკონი, II, შემდგენლები: ა. სარჯველაძე, ზ. სარჯველაძე, თ. ხაჟომია, თბ., 1986.

28. ჩხარტიშვილი მ. „წმინდა ნინოს ცხოვრების“ მცირე და ვრცელი რედაქციების ურთიერთმიმართების საკითხისათვის. - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის სერია,. 1980, №1, გვ. 96-107. მისივე; მეტაფრასი „წმიდა ნინოს

ცხოვრების" „ქართლის ცხოვრებისეული" რედაქციის შესახებ. - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის სერია, 1980, №4, გვ. 114-121. მისივე, ქართული ისტორიული აზრის განვითარების ისტორიიდან („მოქცევაჲ ქართლისაჲ"). — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის სერია, 1985, №3, გვ. 124-123. მისივე, ქართული ჰაგიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი შესწავლის პრობლემები, „ცხოვრებაჲ წმიდისა ნინოჲსი", თბ., 1987. მისივე, "ნინოს ცხოვრების" ვრცელი რედაქციის ატრიბუცია. - მნათობი, 1987, №5, გვ. 143-155. აბაშიძე ე. ქართლის ისტორია „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ში. - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის სერია, 1988, №3, გვ. 127-135. მისივე „ქართლის ცხოვრებისა" და „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს ურთიერთმიმართების საკითხები. - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის სერია, 1991, №3, გვ. 108-116. პატარიძე ლ. „ცხოვრებაჲ წმიდისა ნინოჲსი", (ქართლის გაქრისტიანების კულტურულ-ისტორიული საკითხები), თბ., 1993.

29. პატარიძე ლ. საკრალური დრო და სივრცე „ნინოს ცხოვრებაში". — ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ძიებანი, თბ., 1989, გვ. 57-63.

30. Обращение Грузии. Перевод с древнегрузинского Е. С. Такаишвили. Редакционная обработка, исследование и комментарии М. С. Чхартишвили. Тб., 1989.

31. ჩხარტიშვილი მ. მარტვილობაჲ და მოთმინებაჲ წმიდისა ევსტათი მცხეთელისაჲ და მოქალაქეობაჲ წმიდისა სერაპიონ ზარზმელისაჲ (წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა), თბ., 1990.

32. რატიანი ზ. „ევსტათი მცხეთელის მარტვილობა" როგორც საქართველოს საზოგადოებრივი აღნაგობის შესწავლის წყარო. - ქართული წყაროთმცოდნეობა, VIII, 1993, გვ. 49-54.

33. ვაჩნაძე ნ. სააზროვნო სისტემა და ქართული საზოგადოების ზნეობრივი იდეალი (V-X სს.) თბ., 1998.

34. ტყეშელაშვილი ზ. „წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ" ბიბლიური წერილები და სიმბოლიკა, თბ., 1998.

35. ცხოვრება საქართველოჲსა (პარიზის ქრონიკა). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა გ. ალასანიამ, თბ., 1980.

36. პაპუნა ორბელიანი. ამბავნი ქართლისანი. ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1981.

37. თეიმურაზ ბაგრატიონი. ახალი ისტორია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ლ. მიქიაშვილმა, თბ., 1983.

38. ომან ხერხეულიძე. მეფობა ირაკლი მეორისა. ტექსი გამოსაცემედ მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. მიქიაშვილმა., 1989.

39. არახამია გ. „ძეგლი ერისთავთას" ერთი წყაროს საკითხისათვის. — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის სერია, 1982, №4, გვ. 154-159.

40. არახამია გ. ძველი საგვარეულო მატიანეები, თბ., 1988.

41. ახვლედიანი გ. ერთი ფოლკლორული მოტივი ფარსადან გორგიჯანიძის „საქართველოს ცხოვრებაში". - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის სერია, 1984, №3, გვ. 77-85.

42. კბილცეცხლაშვილი ნ. იოანე ბატონიშვილის „ისტორია ქართლისა" როგორც საისტორიო წყარო. სადისერტაციო ნაშრომი სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლდ, თბ., 1991.

43. მისივე, იოანე ბაგრატიონის „ისტორია ქართლისას“ ერთი წყაროს შესახებ. - ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევები, 1989, გვ. 33-36.
44. მისივე, იოანე ბაგრატიონის კახეთის თავად-აზნაურთა საგვარეულოების წარმოშობის შესახებ. - ქართული წყაროთმცოდნეობა, ტბ., VIII, 1993, გვ. 218-223.
45. მამისთვალიშვილი ე. საქართველო ჰანს შილტბერგერის „მოგზაურობის წიგნში“. – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის სერია, 1981, №2, გვ. 103-119.
46. ვაშაკიძე გ. სტრაბონის „გეოგრაფიის“ ერთი ადგილის გაგებისათვის, იქვე, გვ. 92-95. მისივე, სტრაბონის „გეოგრაფიის“ XI , 3,6-ის წყაროს გაგებისათვის. - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის სერია, 1989, №3, გვ. 145-150. ხაზარაძე ნ. სტრაბონის ერთი ცნობის ინტერპრეტაციისათვის („გეოგრაფია“, XI, 2,57). – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის სერა, 1984, №1 გვ. 105-116.
47. გელაშვილი ნ. მაჰმუდ ნათანზის ცნობები საქართველოს შესახებ. – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორის სერია, 1983, 61, გვ. 91-99.
48. მისივე, ცნობები საქართველოს შესახებ სპარსულ ისტორიულ თხზულებაში „ალამარაი-ე შაჰ ისმაილ“. - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის სერია, 1984, №3, გვ. 18-39.
49. ცქიტიშვილი ო. აჰმად იბნ ასამ ალ-ქუფი არაბთა პირველი ლაშქრობების შესახებ საქართველოში. - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის სერია, 1984, №1, გვ. 98-104.
50. აბდალაძე ა. ჰოვჰანეს დრასხანაკერტცისეული ვურისა და გამრთა „ქვეყნების“ კვალდაკვალ. - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის სერია, 1984, №4, გვ. 95-105.
51. ცინცაძე მ. საქართველო და ქართველები X-XI ს-ის სპარსულ წყაროებში, იქვე, გვ. 84-93.
52. დავლიანიძე ლ. ზაქარია ქანაკერცის ზოგიერთი ცნობა საქართველოს შესახებ. – ქართული წყაროთმცოდნეობა, VII, 1987, გვ. 104-111.
53. მისივე, ტერ ოჰან ვოსკერჩიანის ცნობები საქართველოს შესახებ. – ქართული წყაროთმცოდნეობა, VIII, 1993, გვ. 204-210.
54. აბულაძე ც., შენგელია ნ. ნამის „საქართველოს დაპყრობის წიგნი“. – ქართული წყაროთმცოდნეობა, VII, 1987, გვ. 98-103.
55. კვაჭანტირაძე ე. ვარდან არეველცის „მსოფლიო ისტორიის“ წყაროთმცოდნეობითი დახასიათების ზოგიერთი საკითხი. - ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ძიებანი, ტბ., 1989, გვ. 77-82. მისივე, ვარდან არეველცის „მსოფლიო ისტორა“ როგორც საისტორიო წყარო. დისერტაცია, წარდგენილი ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად.
56. ურუშაძე ლ. საქართველოს ისტორიის საკითხები თურქი ისტორიკოსის ფ. ქირზიოღლუს მონოგრაფიაში „ოსმალთა მიერ კავკასიის ქვეყნების დაპყრობა“. - ისტორიულ-წყაროთმცოდნეობით ძიებანი, ტბ., 1989, გვ. 113-122.
57. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა, ტბ., IV, 1980.
58. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა, ტბ., 1983.

59. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა, თბ., VI, 1987.
60. ალექსანდრიანი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო რ. მირიანაშვილმა, თბ., 1980.
61. ისქანდერ მუნში. აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორიის გაგრძელება, სპარსულ ტექსტს გამოკვლევა, ქართული თარგმანი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნ. გელაშვილმა, თბ., 1981.
62. სამი სპარსული წყარო XVI ს-ის საქართველოს შესახებ. სპარსულიდან თარგმნა. შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნ. გელაშვილმა, თბ., 1990.
63. კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ლ. მამაცაშვილმა, თბ., 981.
64. მოვსეს ხორენაცი. სომხეთის ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ა. აბდალაძემ, თბ., 1984.
65. მოვსეს კალანკატვაცი, „ალვანთა ქვეყნის ისტორია“. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძე-ტატიშვილმა, თბ., 1985.
66. მხითარ აირევანცი. ქრონოგრაფიული ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძე-ტატიშვილმა, თბ., 1990.
67. თოვმა მეწოფეცი. ისტორია თემურ-ლენგისა და მისი შთამომავლებისა. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო კ. კუციამ, თბ., 1988.
68. თურქეთ-სპარსეთის ომი და ქრისტიანი ქართველები. იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ე. მამისთვალიშვილმა, თბ., 1987.
69. რუი გონსალეს დე კლავიხოს ცნობები საქართველოს წესახებ, ესპანურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ე. მამისთვალიშვილმა, თბ., 1992.
70. XIV-XV სს. არაბი ისტორიკოსების ცნობები საქართველოს შესახებ (ალ-უმარი, ალ-მუჰიბბი, ალ-კალკაშანდი, არაბულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. გოჩოლეიშვილმა, თბ., 1988.
71. რიჩარდ უილბრაჰამის მოგზაურობა საქართველოში, ინგლისურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნ. მელაძემ, თბ., 1990.
72. ალასანია გ. ქართული საისტორიო წერილობითი წყაროების კლასიფიკაციის საკითხები. - ქართული წყაროთმცოდნეობა, VI, თბ., 1985, გვ. 3-36. ალასანია გ., კიკნაძე რ. წყაროთმცოდნეობის თეორიული პრობლემები, თბ., 1988. Аласания Г. Г. Классификация грузинских исторических историков, Тб., 1986.
73. კიკნაძე რ. წერილობითი ისტორიული წყაროების გამოცემის მეთოდიკის ზოგიერთი საკითხი. - ქართული წყაროთმცოდნეობა, VI, თბ., 1985, გვ. 39-62. მისივე. თანამედროვე წყაროთმცოდნეობის აქტუალური საკითხები, თბ., 1985.
74. ალექსიძე ზ. ქართული წყაროების მეთოდური საკითხები, თბ., 1985.
75. კიკნაძე მ. ტერმინოლოგიური ძიებები და წერილობითი წყაროების ინტერპრეტაციის პრობლემა. დისერტაცია, წარდგენილი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1990, მარსაგიშვილი მ. ძველი ქართული საისტორიო მწერლობის ერთი ტერმინისათვის. - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის სერია, 1984, №3, გვ. 62-67.

76. Абашидзе М. Д. Источниковедческие аспекты перевода грузинских исторических источников на русский язык. Тб., 1992.

77. Аласаниа Г. Г. Орлов Ю. К. Опыт статистической классификации текстов (на материале "Картлис цховреба"). - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის სერია, 1983, №2, გვ. 57-79; გუგულიშვილი ბ., დუმბაძე მ., მირიანაშვილი რ. ავტომატიზებულ-კომპიუტერულ სისტემებში „ქართლის ცხოვრების" შეტანის მეთოდიკა, ი. ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური სემეცნიერო სესია „ძველი ქართლის ცხოვრება". მოხსენებათა თეზისები, თბ., 1989 25-27 აპრილი, 1989, გვ. 14..

Ketevan Mania

Source studies in Georgia in the 1980s -1990s
Narrative sources

The narrative sources of history of Georgia were intensively studied during the two last decades of 20th c. The scholars carried on their works synchronously in several directions. The special researches were devoted to the defining informative values of medieval Georgian historiographical and hagiographical monuments. The texts established according to all the manuscripts were published together with introductions, glossaries, notes and indexes. Some of this monuments were translated into the modern European languages. Besides, the foreign author's evidences on Georgia and the Georgians were collected. The most important excerpts together with translations into Georgian and researches together with translations into Georgian were published. Sometimes the results of the specific researches posed the questions of a more global character. So the theoretical problems were considered with particular attention. Scholarly sessions devoted to the problems of study of Georgian historical sources were arranged as well. Thus, despite of the hard political and socio-economic situation in Georgia in the 1980s-1990s, the achievements of the proceding periods in the field of source studies were not decreasing, on the contrary, many positive tendencies were developed quite successfully.

ილიაუნის
ბიბლიოთეკა

აკადემიკოს თინათინ ყაუხჩიშვილის ძირითად ნაშრომთა ბიბლიოგრაფია:

1. υἱὸς ἄρρην ძე წული. ენიმკის მოამბე, XIV, თბილისი, 1944.
2. ზოგიერთი კავშირისა და ნაწილაკის მნიშვნელობისათვის ძველ ქართულში. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, თბილისი, 1946.
3. ბერსუმა პიტიახშის წარწერისათვის. თსუ შრომები, XXX/I B, თბილისი, 1947.
4. გრემის ბერძნული წარწერა. თსუ შრომები, 37, თბილისი, 1949.
5. იოანე ვახტანგის ბერძნული წარწერა. მეცნ. აკად. მოამბე, X, 6, თბილისი, 1950.
6. Греческая надпись Иоанна - Вахтанга. Сообщения АН Грузии, XI, 6. Тбилиси, 1950.
7. ბერძნული წარწერები საქართველოში, თბილისი, 1951.
8. ქართული ხელნაწერების ბერძნული მინაწერები. მიმომხილველი, II, თბილისი, 1952.
9. კომპოზიტები ძველ ქართულში. თსუ შრომები, 47, თბილისი, 1952.
10. γένος" – ტერმინის მნიშვნელობისათვის სტრაბონთან. მიმომხილველი, III, თბილისი, 1953.
11. წილკნის გემის ბერძნული წარწერა. მასალები საქართველოს არქეოლოგიისათვის, I, თბილისი, 1955.
12. ბიჭვინტის მოზაიკის ბერძნული წარწერა. მეცნ. აკად. მოამბე, XVI, 1, თბილისი, 1955.
13. ჰეროდოტეს ზოგიერთი ცნობის შესახებ. მასალები საქართველოს ისტორიისათვის, № 32, თბილისი, 1955.
14. Греческая надпись бичвинтской мозаики. Сообшения АН Грузии, Т. XVI, 1. Тбилиси, 1955.
15. სტრაბონის ტერმინოლოგიისათვის. ისტორიის ინსტ.-ის შრომები, II, თბილისი, 1956.
16. სტრაბონის „გეოგრაფია", თბილისი, 1957.
17. Греческая надпись на сухумском светильнике. Труды абхазского института... , №3. Сухуми, 1957.
18. Эпиграфические новости из Грузии. ВДИ, 1958. № 4.
19. აპიანე „მითრიდატეს ომები", თბილისი, 1959.
20. Eine griechische Inschrift auf einen Öllämpchen aus Suchumi. Bibliotheca classica Orientalis, 1960, 4.
21. Die Geographie Strabons. Bibliotheca classica Orientalis, 1960, 5.
22. ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ, თბილისი, 1960.
23. მემნონის ცნობები საქართველოს შესახებ – მასალები საქ-ის ისტორიისათვის, № 34, თბილისი, 1962.
24. Epigraphische Neuigkeiten aus Grusien. Bibliotheca classica Orientalis, 1962, 2.
25. ჰიპოკრატეს ცნობები საქართველოს შესახებ, თბილისი, 1965.
26. ფსევდო-სკილაქსის ზოგიერთი ცნობის შესახებ. ქართული წყაროთმცოდნეობა, I, თბილისი, 1965.
27. პოლიბიოსის ცნობები საქართველოს შესახებ. „ორიონი", თბილისი, 1967.
28. ვანის ბერძნული წარწერები. მეცნ. აკადემიის მოამბე, X VIII, 1, თბილისი, 1967.
29. კაზრეთის ბერძნული წარწერა. საქ. მუზეუმის მოამბე, XXVII – . თბილისი, 1967.
30. Hippokrates' Zeugnisse über Georgien. Bibliotheca classica Orientalis, 1967. 2.
31. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ I ტ, თბილისი, 1967.
32. Греческая надпись из Казрети. Виз. Временник, № 29, Москва, 1968.
33. არისტოტელეს ზოგიერთი ცნობის შესახებ. ქართული წყაროთმცოდნეობა, II, თბილისი, 1968.
34. რეცენზია ნ. ლომოურის წიგნზე „დიონ კასიუსის ცნობები საქართველოს შესახებ. ქართული წყაროთმცოდნეობა, II, თბილისი, 1968.

35. Греческая эпиграфика как источник истории Колхиды. Тезисы научной международной сессии. Тбилиси, 1969.
36. ჰერაკლიდე და მისი ცნობები საქართველოს შესახებ. ალმის. ფილოლოგია, I, თბილისი, 1969.
37. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ II ტ, თბილისი, 1969.
38. ახალი გამოკვლევა კოლხიდის ქალაქების შესახებ: რეცენზია მ. ინაძის წიგნზე: Причерноморские города древней Колхиды – „მნათობი", თბილისი, 1970. № 6.
39. ბერძნული ეპიგრაფიკა, როგორც საქართველოს ისტორიის წყარო. ქართული წყაროთმცოდნეობა, III, თბილისი, 1971.
40. Héraclide et ses connaissances sur la Géorgie. Bedi Kartlisa, XXVIII, Paris, 1971.
41. ალექსანდრე გამყრელიძე. ქართული წყაროთმცოდნეობა, IV, თბილისი, 1973.
42. ანტიკური სამყარო რუსთაველის ეპოქის ისტორიოგრაფიაში I – მაცნე, ისტორიის... სერია, თბილისი, 1973. № 4.
43. ანტიკური სამყარო რუსთაველის ეპოქის ისტორიოგრაფიაში მაცნე, ისტორიის... სერია, თბილისი, 1974. № 3.
44. Die Bedeutung der antiken Quellen für die moderne georgische Historiographie: Wissenschaftliche Beiträge der Friedrich-Schiller-Universität Jena. 1974.
45. Греческая эпиграфика как источник истории Грузии. „Проблемы античной культуры", Тбилиси, 1975.
46-47. ჰეროდოტეს „ისტორია" I-II (I – გამოკვლევა, I-V წიგნების თარგმანი, II – VI-IX წიგნების თარგმანი, საძიებლები), თბილისი, 1975, 1976.
48. საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, თბილისი, 1976.
49. ანტიკური სამყარო რუსთაველის ეპოქის ისტორიოგრაფიაში, III. ივ. ჯავახიშვილისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბილისი, 1976.
50. ბიჭვინტის ბერძნული წარწერის გამო. ნ. ბერძენიშვილისადმი მიძღვნილი კრებული, თბილისი, 1976.
51. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ III ტ, თბილისი, 1977.
52. Греческие надписи на грузинских фресках. Atti del'primo simposio internationale. Milano, 1977.
53. Aischylos' "Perser" und Herodotos' "Historie". საერთაშორისო კონფერენციის მასალები. იენა, 1977.
54. სტრაბონის „გეოგრაფიის" ტექსტისათვის. ბიზანტინოლოგიური ეტიუდები, თბილისი, 1978.
55. ესქილეს „სპარსელები" და ჰეროდოტეს „ისტორია". ქართული წყაროთმცოდნეობა, V. თბილისი, 1978.
56. ბიჭვინტის მოზაიკის ბერძნული წარწერა. „დიდი პიტიუნტი", IV, თბილისი, 1978.
57. Грузинская эпиграфика. Историческая энциклопедия, Москва, 1978.
58. Strabon und das alte Georgien. Philologus, Berlin. 1978, 1.
59. Die Kaukasischen Stämme nach den antiken Quellen dargestellt (Heniocher). საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები. Bergamo (Italia). 1979.
60. О некоторых сведениях Ликофрона и его схолиастов - Сборник материалов конференции по вопросам античной культуры. Тбилиси. 1980.
61. Scriptores Graeci. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ IV ტ, თბილისი, 1980.

62. მასალები კავკასიის ტომთა ეთნოგენეზისათვის, I აქაძები: მაცნე, ისტორიის... სერია, თბილისი, 1981. № 3.
63. მასალები კავკასიის ტომთა ეთნოგენეზისათვის, II ჰენიოხები: მაცნე, ისტორიის... სერია, თბილისი, 1981. № 4.
64. გრიგოლ წერეთელი. საქ. მუზეუმის მოამბე, XXXVII, თბილისი, 1981.
65. ნოქალაქევის ბერძნული წარწერები. „ნოქალაქევი-არქეოპოლისი", № 1, თბილისი, 1981.
66. წილკნის აკლდამის ბერძნული წარწერა. მაცნე, ისტორიის... სერია, თბილისი, 1982, № 2.
67. შესავალი წერილი წიგნში ალ. გამყრელიძე, წერილები, თბილისი, 1983.
68. Scriptores Graeci. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ V ტ, თბილისი, 1983.
69. Греческие надписи Гелатского храма. Источниковедческие разыскания, Тбилиси 1984.
70. Греческая надпись эшерского городища. Источниковедческие разыскания, Тбилиси 1985.
71. Греческая надпись на бронзовой плите из Вани. Проблемы древней истории Причерноморья. Тбилиси, 1987.
72. Античные источники по истории г. Батуми. Источниковедческие разыскания, Тбилиси, 1987.
73. Scriptores Graeci. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ VI ტ, თბილისი, 1987.
74. სამეგრელოს ბერძნული ისტორიული წარწერები. ქართული წყაროთმცოდნეობა, VII, თბილისი, 1987.
75. ვანის ბერძნული წარწერა ბრინჯაოს ფილაზე. ქართული წყაროთმცოდნეობა, VII, თბილისი, 1987.
76. ანტიკური წყაროები ბათუმის ისტორიისათვის – ბათუმის ინსტიტუტის შრომები, თბილისი, 1987.
77. Die griechische Inschriften aus Georgien – საერთაშორისო კონგრესი ბერძნულ-ლათინურ ეპიგრაფიკაში. სოფია, 1987.
78. ხობის ბერძნული წარწერა – „ეგრისი", თბილისი, 1988.
79. Древнегреческие надписи Грузии - Источниковедческие разыскания, Тбилиси, 1989.
80. Восточная ономастика в греческих надписях Грузии - Тезисы докладов сессии Иена-Тбилиси, Тбилиси. 1990.
81. საირხის ბერძნული გრაფიტო. ქართული წყაროთმცოდნეობა, VIII, თბილისი, 1992.
82. ნოქალაქევის ექსპედიციის მიერ მოპოვებული ბერძნული წარწერები – „ნოქალაქევი-არქეოპოლისი", III, თბილისი, 1992.
83. კახეთის წარწერების მიმოხილვა – ალ. ალექსიძისადმი მიძღვნილი საკავშირო კონფერენციის თეზისები, თბილისი, 1992.
84. ახალი ბერძნული წარწერები არმაზციხე-ბაგინეთიდან – „მცხეთა", თბილისი, XI, 1996.
85. ახალი ბერძნული წარწერა არმაზციხე-ბაგინეთიდან (II) – „ძარკვევები" IV, საიუბილეო კრებული, თბილისი, 1998.
86. საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი. I (დასავლეთი საქართველო), 1999.
87. საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი. II (აღმოსავლეთი საქართველო), 2000.
88. Neuenteckte Inschriften aus Mzcheta, Phasis, vol. 2-3, 2000.

სტატიები ენციკლოპედიებში: 1. ქსე – I-XI ტტ. (აპიანე-ჰეროდოტე).
ქსე-ს სამტომეულისთვის 18 სტატია (იმავე ავტორებზე).

შ ი ნ ა ა რ ს ი

მ. ინაძე, ნ. ლომოური, ო. ლორთქიფანიძე, დ. მუსხელიშვილი, გ. ალასანია
ღვაწლმოსილი მეცნიერი... 5
ვ. ვაშაკიძე
თინათინ ყაუხჩიშვილი..10
მ. ინაძე
აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის“ ზოგიერთი ცნობის დათარიღებისათვის... 12
გ. ალასანია
ქართული წერილობითი წყაროების ბუნ-თურქები (საკითხის ისტორიოგრაფია)...........19
მ. სანაძე
საქართველოს ისტორიის უძველესი პერიოდი „ქართლის ცხოვრებისა“ და „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ მიხედვით...30
ნ. მინდაძე
თინათინ ყაუხჩიშვილი და საქართველოს ტრადიციული მედიცინის ისტორიული საკითხები..48
მ. ჩხარტიშვილი
ცნობები სამოელ მთავარეპისკოპოსის შესახებ ძველ ქართულ ჰაგიოგრაფიულ და საისტორიო მწერლობაში...53
ნ. ხაზარაძე
ჯუანშერისეული სტერის იდენტიფიკაციისათვის...67
თ. პაპუაშვილი
ხახულის კარედი ხატის კვირიკეს ჯვრის ქართულ-ბერძნული წარწერა........................72
ნ. თორთლაძე
სამოელ ანცის ქრონიკის ტექსტთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი..............79
მ. ბერძნიშვილი
ქართული ეპისტოლეს ჩვენამდე მოღწეული უძველესი დედანი..........................84
ლ. დავლიანიძე
კირაკოს განძაკელის ერთი ცნობის შევსებისათვის...92
მ. კიკნაძე
ერთი აღმოსავლური ტერმინი ფარსადან გორგიჯანიძის საისტორიო თხზულებაში.. 99
ნ. კბილცეცხლაშვილი
მითოლოგია იოანე ბატონიშვილის „ხუმარსწავლაში“ 102
ქ. მანია
საქართველოში წყაროთმცოდნეობითი კვლევის ზოგიერთი ასპექტი XX ს. 80-90-იან წლებში (ნარატიული წყაროები)...106
აკადემიკოს თინათინ ყაუხჩიშვილის ძირითად ნაშრომთა ბიბლიოგრაფია.......118

ეროვნული ბიბლიოთეკა

Contents:

M. Inadze, N. Lomouri, O. Lortkipanidze, D. Muskhelishvili. G Alasania

Honourable scholar..........5

V. Vashakidze

Tinatin Kaukhchishvili..........10

M. Inadze

On the Sources of Information in Argounautica of Apollonius of Rhodes..........12

G. Alasania

Bun -Turks of the Georgian Written Sources..........19

M. Sanadze

Ancient Period of the Georgian History According to the "History of Kartli" ("Kartlis Tskhovreba") and "Conversion of Kartli" ("Moktsevay Kartlisay")..........30

N. Mindadze

Tinatin Kaukhchishvili and the Traditional Medical Culture..........48

M. Chkhartishvili

The Evidences on Samuel the Archbishop of Kartli (Eastern Georgia) in Monuments of medieval Georgian Literature..........53

N. Khazaradze

Location of Steri mentioned by Juansher.......... 67

T. Papuashvili

The Georgian -Greek Inscription of the Kvirike Cross of the Khakhuli Triptych – Icon.......... 72

N. Tortladze

Some Questions Related to the Text of the Cronicles by Samuel Anetsi..........79

M. Berdznishvili

The Earliest Origiinal of Georgian Epistolary Documents.......... 84

L. Davlianidze

Complement of One Evidence of Kirakos Gandzaketsi..........92

M. Kiknadze

One Oriental Term in the Historical Work by Parsadan Gorgijanidze..........99

N. Kbiltsetskhlashvili

Mythology in the Encyclopedia by Ioann Bagrationi..........102

K. Mania

Source studies in Georgia in the 1980s -1990s..........106

Scholarly research studies by academician Tinatin Kaukhchishvili..........118

ელექტრონული
ბიბლიოთეკა